ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი

# აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე

## ტომი VI

## ნომერი II

ბათუმი - 2023

აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის შრომების კრებულია. მასში ასახულია, აღმოსავლეთის ისტორიის, პოლიტიკის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, წყაროთმცოდნეობის, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის მნიშვნელოვანი საკითხები.

**რედაქტორი: პროფესორი ემზარ მაკარაძე**

**ინგლისური ტექსტის რედაქტორი: შოთა როდინაძე**

**სარედაქციო საბჭო:** აკადემიკოსი როინ მეტრეველი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; აკადემიკოსი რევაზ გაჩეჩილაძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; აკადემიკოსი შაჰინ მუსტაფაევი (აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აზერბაიჯანი); პროფესორი გიორგი სანიკიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი); პროფესორი ნანი გელოვანი (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი); პროფესორი ფარდა ასადოვი (აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,აზერბაიჯანი); პროფესორი ნურიე მურატოვა ( ბლაგოევოგრადის სამხრეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი, ბლაგოევოგრადი, ბულგარეთი).

**კრებულში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს სარედაქციო კოლეგიის თვალსაზრისს.**

© ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი. საქართველო, 6010. რუსთაველი/ნინოშვილი 32/35. ელ.ფოსტა: emzar.makaradze@bsu.edu.ge

ISSN 2587-490X
E-ISSN 2720-8168

Batumi Shota Rustaveli State University

Faculty of Humanities

Department of Oriental Studies

# HERALD OF ORIENTAL STUDIES

Volume VI

№ II

Batumi - 2023

Herald of Oriental Studies is the collection of papers of the department of Oriental Studies at the faculty of Humanities at Batumi Shota ProfessRustaveli State University. The papers are about the noteworthy issues of history, politics, archaeology, ethnology, introduction to linguistics and literary studies of the Eastern countries.

**Editor:** **Professor Emzar Makaradze**
**Editor of the English text:** **Shota Rodinadze**

EDITORIAL BOARD: Academician Roin Metreveli, Georgian National Academy of Sciences; Academician Elizbar Javedidze, Georgian National Academy of Sciences; Academician Revaz Gachechiladze, Georgian National Academy of Sciences; Academician Shahin Mustafaev (National Academy of Sciences of Azerbaijan, Azerbaijan); Professor Giorgi Sanikidze (Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies, Ilia State University); Professor Nani Gelovani (Institute of Oriental Studies, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University); Professor Farda Asadov (National Academy of Sciences of Azerbaijan, Azerbaijan); Professor Nurie Muratova (South-West University of Blagoevgrad, Blagoevgrad, Bulgaria).

**The opinions expressed in this collection belong to the authors and may not necessarily align with the perspectives of the editorial board.**

**© Department of Oriental Studies**
Address: Rustaveli/Ninoshvili Str. 32/35, Batumi, Georgia, 6010,
Batumi Shota Rustaveli State University, Department of Oriental Studies.
E-mail : emzar.makaradze@bsu.edu.ge
**ISSN 2587-490X**
**E-ISSN 2720-8168**

## ისტორია, პოლიტიკა, წყაროთმცოდნეობა
## HISTORY, POLITICS, PRIMARY SOURCE STUDIES

**ზაზა შაშიკაძე**
ბათუმის საბოლოო დაპყრობა და ადმინისტრაციული მმართველობის შემოღება ოსმალთა მიერ ------------------------------------9
**Zaza Shashikadze**
The final seizure of Batumi and the establishment of Ottoman administrative authority ------------------------------------------------------31
**მარიამ გურეშიძე**
იმამ შამილის ტყვედ აყვანა და მურიდიზმის დასასრული -----51
**Mariam Gureshidze**
Capture of the Imam Shamil and the end of Muridism ---------------62
**გვანცა ევანისელი**
საქართველოს ისტორიის ერთი ეპიზოდის ასახვა მე-14 საუკუნის სირიულ ქრონიკაში - „ისტორია მარ იაჰბალაჰასი და ბარ საუმასი“------------------------------------------------------------------72
**Gvantsa Evaniseli**
Reflection of one episode of Georgian history in the 14th century Syrian chronicle – „History of Mar Yahbalaha and Bar Sauma“ ------90
**გიორგი ახალკაციშვილი**
პაპი პიუს II-ისა და მეჰმედ II-ის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან – Epistola ad Mahomatem (1461) ----------------107
**George Akhalkatsishvili**
From the History of Diplomatic Relations between Pope Pius II and Mehmed II – “Epistola ad Mahometum” (1461) ----------------------129
**ბუხუტი სიჭინავა**
ქურთოლოგია: მიღწევები და პრობლემები საქართველოს მაგალითზე -------------------------------------------------------------148
**Bukhuti Sitchinava**
Kurdology: Successes and Challenges on the Example of Georgia ---162

**სიმონ გურეშიძე**
ისრაელის მუსლიმთა ფონზე აღქმული პალესტინა-ისრაელის კრიზისის მიზეზები -----------------------------------------173
**Simon Gureshidze**
Causes of the Palestine-Israel Crisis as Perceived by Israeli Muslims----188
**სულხან კუპრაშვილი, გოდერძი ვაჭრიძე**
ბრძოლა სამეფო ტახტისთვის იმერეთში XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში და ქართლ - კახეთის მეფის ერეკლე II-ის პოლიტიკა---------------------------------------------------------------------200
**Sulkhan Kuprashvili, Goderdzi Vachridze**
The battle for the royal throne in Imereti in the 80s-90s of the 18th century and the policy of Erekle II, the king of Kartl – Kakheti ----216
**ირაკლი ბარამიძე**
ბათუმი XV საუკუნის ევროპულ წყაროებში-----------------229
**Irakli Baramidze**
Batumi in European Sources of the 15 th Century -------------------240

## ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა
## LINGUISTICS, LITERARY CRITICISM

**ეთერ ღვინიაშვილი, გიორგი ნარიმანიშვილი**
სეიდაბადში ნაპოვნი ჰიჯრის I საუკუნით დათარიღებული მანძილის აღმნიშვნელი ქვის წარწერა --------------------------------248
**Eter Gviniashvili, George Narimanishvili**
Inscription of the Milestone Discovered in Seid-Abadi Dated to the 1st century of Hegira ---------------------------------------------------267
**ზეინაბ ახვლედიანი**
თურქულის, როგორც მეორე უცხო ენის შესწავლისას, ქართველთა მიერ დაშვებული საერთო შეცდომები და აღმოფხვრის გზები ---------------------------------------------------------------------284

**Zeinab Akhvlediani**
Common mistakes made by Georgians when learning Turkish as a second foreign language, and ways to eliminate them ---------------303
**ნათია აბაშიძე, შოთა როდინაძე**
საფრთხის ქვეშ მყოფი ენების იუნესკოს ატლასი და აჭარის საზღვრისპირა სოფლების მეტყველების ანალიზი -----------------320
**Natia Abashidze, Shota Rodinadze**
UNESCO Atlas of Endangered Languages and analysis of the speech of Adjara border villages ----------------------------------------------337
**ჰარუნ ჩიმქე**
აუცილებლობის სემანტიკის გადმოცემის თავისებურებანი ქართულ-თურქული მასალის მიხედვით ---------------------------353
**Harun Cimke**
PECULIARITIES OF CONVEYING THE SEMANTICS OF NECESSITY ACCORDING TO THE GEORGIAN-TURKISH MATERIAL ---370

## არქეოლოგია, ეთნოლოგია, ნუმიზმატიკა
## ARCHEOLOGY, ETHNOLOGY, NUMISMATICS

**გურამ ჩხატარაშვილი, ვალერი მანკო, მერაბ ხალვაში**
კავკასია და ახლო აღმოსავლეთი ადრე ჰოლოცენის ხანაში (უახლესი არქეოლოგიური კვლევა-ძიების მიხედვით) --------------385
**Guram Chkhatarashvili, Valery Manko, Merab Khalvashi**
The Caucasus and the Middle East in the early Holocene (According to recent archaeological research) -------------------------------------404
**ირინე ვარშალომიძე, ანდრია როგავა**
რომაული მონეტები სუფსა - ყვავილნარიდან (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, გურია) --------------------------------------------421
**Irine Varshalomidze, Andria Rogava**
Roman Coins from Supsa-Kvavilnari (Lanchkhuti Municipality, Guria) ---------------------------------------------------------------------440

## რეცენზია
## REVIEW

**ემზარ მაკარაძე**
**რეცენზია** კრებულზე - „აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე - 85“. რედაქტორი ნ. ჯაველიძე, გამომცემლობა, „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია“, თბილისი, 2023. ---------------454
**Emzar Makaradze**
**Review** of the publication: "Academician Elizbar Javelidze - 85" Edited by N. Javelidze, Published by the "National Academy of Sciences of Georgia," Tbilisi, 2023. ------------------------------------------------456

# ბათუმის საბოლოო დაპყრობა და ადმინისტრაციული მმართველობის შემოღება ოსმალთა მიერ [1]

**ზაზა შაშიკაძე**
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის
დეპარტამენტის პროფესორი. საქართველო,
6010. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35.
+995577 999 767. zaza.shashikadze@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0002-5406-577X
DOI: https://doi.org/10.61671/hos.6.2023.7353

**ანოტაცია**

XIX ს-მდე ბათუმის ისტორიის შესახებ ქართულ წყაროებში ძალიან მწირი ინფორმაცია გვხვდება და ამ სიცარიელის ამოსავსებად თურქეთის რესპუბლიკის არქივებსა და წიგნსაცავებში დაცულ ოსმალურ დოკუმენტურ მასალას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს.

ანკარის მიწისა და კადასტრის მთავარი სამმართველოს არქივში, 122 შიფრით დაცულია ბათუმის ვრცელი დავთარი, რომელიც ჯერ არ არის შემოტანილი სამეცნიერო მიმოქცევაში და წარმოადგენს მნიშვნელოვან დოკუმენტს ბათუმისა და რეგიონის ისტორიისთვის.

ჟურნალის B გვერდზე ვხედავთ 1704 წლის სექტემბრით დათარიღებულ გაფართოებულ ტექსტს, სადაც საინტერესო ცნობებია ბათუმისა და მის შემოგარენში მდებარე სოფლის შესახებ. ნათქვამია, რომ ეს ტერიტორია ბოლო დრომდე გურიელის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ეს ცნობა მნიშვნელოვანია ბათ-

[1] სტატია მომზადდა და იბეჭდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის #FR-19-7386 გრანტის ფარგლებში.

უმის ოსმალეთის იმპერიის დაქვემდებარების თარიღების დასადგენად, რადგან ამ თარიღთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული აზრი არსებობს. მეცნიერთა ნაწილი თვლიდა, რომ ბათუმი ოსმალეთის იმპერიაში XVI ს-ის შუა ხანებში შევიდა, სხვები კი 1703 წელს ასახელებდნენ. ვფიქრობთ, მოტანილი საისტორიო წყარო მეორე მოსაზრებას ამყარებს. ბათუმი და მიმდებარე სოფლები ოსმალეთის იმპერიამ საბოლოოდ XVIII ს-ის პირველ წლებში დაიპყრო და ბათუმი ადმინისტრაციულ ცენტრადაც აქცია.

ჩვენს მიერ გაანალიზებული დოკუმენტების მიხედვით, აღნიშნულ პერიოდში ბათუმის ლივის საზღვრები შავი ზღვის დასავლეთ სანაპირომდე ვრცელდება და მოიცავს ტერიტორიებს ათინას (დღევანდელი Pazar). დოკუმენტში მოცემულია ტერიტორიის აღწერა, რაც საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ აღნიშნული პერიოდის რეგიონი არაერთი კუთხით, იქნება ეს სოციალურ - ეკონომიკური, პოლიტიკური, ეთნიკური, რელიგიური, დემოგრაფიული და სხვა.

**საკვანძო სიტყვები:** ბათუმი; ლივა; დავთარი; აღწერა.

**შესავალი**

ბათუმის ისტორიის შესახებ ქართულ საისტორიო წყაროებში ძალიან მწირი ინფორმაცია გვხვდება და ამ სიცარიელის ამოსავსებად თურქეთის რესპუბლიკის არქივებსა და წიგნსაცავებში დაცულ ოსმალური დოკუმენტურ მასალას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია უნიკალური დოკუმენტი XVIII ს-ის დასაწყისის „ბათუმის ლივის ვრცელი დავთარი“, რომელიც ინახება ანკარის მიწისა და კადასტრის მთავარი სამმართველოს არქივში, 122 შიფრით და პირველად შემოდის მიმოქცევაში. იგი შეიცავს ფასდაუდებელ ცნობებს ბათუმისა და რეგიონის ისტორიისთვის.

ძვირფასია, ეთნიკური, რელიგიური, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, დემოგრაფიული, ენათმეცნიერული და

სხვა საკითხების შესწავლის კუთხით. აღნიშნულ პერიოდში ბათუმი, გარდა მისი მიმდებარე 14 სოფლისა, ადმინისტრაციულად მოიცავდა ზღვისპირა აღმოსავლეთ ჭანეთს, კერძოდ, ხოფას, ჰემშინს, არხავეს და ათინას. დაცულია მათი ძველი ტოპონიმიკა.

დოკუმენტის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა დიდი შენაძენი იქნება, როგორც ქართული ისე თურქული ისტორიოგრაფიისათვის.

**მეთოდები**

წინამდებარე ნაშრომში მოცემული საკითხის კვლევის დროს გამოყენებული იქნა ისტორიული შემეცნების და შედარებითი ანალიზის მეთოდები; კრიტიკულად არის გაანალიზებული საკვლევ თემასთან დაკავშირებული საისტორიო წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა, რომელთა გათვალისწინება და შედარება მნიშვნელოვანია მოვლენათა ზუსტი და ობიექტური შეფასებისათვის.

**შედეგი**

კვლევის შედეგად დგინდება არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც არ იყო ცნობილი და საკმაოდ დიდ სამეცნიერო ინტერესს წარმოადგენდა. მათ შორისაა ოსმალთა მიერ ბათუმის საბოლოო დაპყრობის თარიღი, რომელიც კვლევებში განსჯის საგანია. დგინდება, რომ ბათუმთან ერთად ოსმალებმა დაიპყრეს მისი მიმდებარე თოთხმეტი სოფელი. დაწვრილებით არის აღწერილი ახლადდაპყრობილ ტერიტორიაზე შექმნილი ვითარება. შემოღებული გადასახადები. ვლინდება საინტერესო ტოპონიმები, რომელიც დღეს უკვე დაკარგულია.

ნაშრომში, XVI ს-ის შუა წლებიდან მოყოლებული, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის შესწავლილი და განხილული ბათუმის საკითხი, მისი ადმინისტრაციული ფუნქცია.

აღსანიშნავია, რომ მოცემული პერიოდის ბათუმის ისტორიის შესახებ მსგავსი მოცულობის ინფორმაციის მქონე დოკუმენტი ჯერ არ ყოფილა სამეცნიერო განსჯის საგანი. ბათუმის სანჯაყი XVII ს-ის დასაწყისში მოიცავს აღმოსავლეთ ჭანეთის ტერიტორიასაც, რაც ასევე სამეცნიერო სიახლეა.

**დისკუსია**

საქართველოს ისტორიის ძირითად წყაროში, - „ქართლის ცხოვრებაში“ ბათუმზე ძალზე მწირი ინფორმაცია გვხვდება და, ისიც მხოლოდ XVI ს-ს განეკუთვნება. ვახუშტი ბატონიშვილიც მხოლოდ აღნიშნულ ფაქტებს იმეორებს და ცალკე, დამატებით გვაძლევს ბათუმის შესახებ გეოგრაფიულ ცნობებს (ვახუშტი, 1973: 676, 792-793, 814). ამიტომაც, ბათუმის ისტორიის სრულყოფილი შესწავლისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოურ წყაროებს.

თურქეთის არქივებში ინახება უამრავი დოკუმენტი ბათუმის შესახებ. მდიდარი საისტორიოგრაფიო ტრადიციის მქონე ოსმალეთის იმპერიაში, არც ბათუმი დარჩენილა ყურადღების მიღმა და, როგორც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იმპერიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის შესახებ, საყურადღებო დოკუმენტური და ნარატიული დოკუმენტებია შექმნილი.

ოსმალურ წყაროებში ბათუმის ისტორიის ამსახველ მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან მასალათა შორის გამოვარჩევთ „ბათუმის ლივის ვრცელ დავთარს“, რომლის ორიგინალიც ინახება თურქეთის რესპუბლიკაში, ანკარის მიწისა და კადასტრის მთავარი სამმართველოს არქივში შიფრით 122. დავთარი დღემდე არ არის შესწავლილი, როგორც პირველწყარო უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქისა და რეგიონის ისტორიისათვის.

რიკას ურთულესი ხელით დაწერილი 92 გვერდიანი დოკუმენტის ზომა 14x41 სანტიმეტრია. დოკუმენტის მიხედვით ბათუმის ლივა მოიცავს დღევანდელი ქალაქის ტერიტორიას თავის შემოგარენით და ვრცელდება დასავლეთით შავი ზღვის სანაპიროზე ლაზისტანში, ათინას (დღევანდელი Pazar) ტერიტორიის ჩათვლით. თუმცა, ჩვენ ამჯერად დოკუმენტს მხოლოდ ერთი კუთხით წარმოვაჩენთ და განვიხილავთ მხოლოდ დოკუმენტის პირველ გვერდებზე არსებულ ჩანაწერებს და მათში დაცულ საინტერესო ინფორმაციას.

ოსმალთა მიერ ბათუმის დაპყრობის თარიღის შესახებ ქართულ და თურქულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა. ქვემოთ მოკლედ შევეხებით აღნიშნულ საკითხს.

ერთიანი ქართული სამეფოს დაშლის შემდეგ ბათუმი იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში, გურიელების მმართველობაში დარჩა.

XVI ს-ის დასაწყისში, სამცხის ათაბაგის მზეჭაბუკ დიდის გარდაცვალების შემდეგ, მისი ადგილის დასაკავებლად დაპირისპირება დაიწყო. ოსმალეთი და სპარსეთი მარჯვედ იყენებდნენ შიდა ფეოდალურ ომს სამცხე-საათაბაგოში და „დახმარების" საბაბით იპყრობდნენ და არბევდნენ მას (გაბაშვილი, 1954: 53).

ქართული პოლიტიკური ელიტა კარგად ხედავდა, რომ ოსმალეთის საფრთხე ადრე თუ გვიან დადგებოდა და მიზნის განსახორციელებლად ისინი სამცხის ტერიტორიებს გამოიყენებდნენ. ამიტომაც, 1535 წელს იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ (1510-1565 წწ.), სამცხიდან ოსმალთა შემოჭრის საფრთხის გასანეიტრალებლად, ათაბაგის წინააღმდეგ გაილაშქრა. 13 აგვისტოს ახალქალაქთან ახლოს, სოფელ მუჯახეთთან მან დაამარცხა ყვარყვარე და ტყვედ ჩაიგდო იგი (ქართლის ცხოვრება, 1959: 457). საათაბაგოს დიდი ნაწილი იმერეთის სამეფოს დაექვემდებარა. მხარდაჭერის სანაცვლოდ გურიელმა ჭანეთი და აჭარა მიიღო ისევ, ხოლო ქართლის მეფე ლუარსაბ I-ს (1527-1556 წწ.) ბაგრატმა ჯავახეთი დაუთმო. ათაბაგობა დროებით შეწყდა. ყვარყვარეს მცირეწლოვანმა ვაჟმა ოთარ შალიკაშვილის დახმარებით სტამბოლში სულთანს შეაფარა თავი. 1536 წლის 4 ივლისს, არზრუმის ბეგლარბეგმა საათაბაგოს ტერიტორიებზე ილაშქრა (ფეჩევი, 1964:25) და დაიპყრო ზემო ლიგანის (Livane) ხეობა, მდინარე ჭოროხის აყოლებაზე დღევანდელი იუსუფელის მიდამოებიდან სპერის მიმართულებით .

მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ აქედან იწყება ოსმალური მმართველობის შემოღება აღნიშნულ ტერიტორიებზე (Danişmend, 1971:190; Kırzıoğlu, 1998:162-163; შენგელია, 1974:33; სვანიძე, 1971:57). თუმცა, წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ ბაგრატ III-მ, რომელიც აქტიურად ებრძოდა ოსმალთა საათაბაგოში დამკვიდრებას, მოახერხა ამ ადგილების დროებით დაბრუნება.

XVI ს-ის 40-იან წლებში, ტყვეობაში მყოფი ყვარყვარე III-ის გარდაცვალების შემდეგ, მისმა ვაჟმა ქაიხოსრომ სულთნის დახ-

მარებით გადაწყვიტა ბაგრატ III-ის დამარცხება და ათაბაგობის აღდგენა. სულთანს კარგად ესმოდა, რომ მისი მხარდაჭერა გააძლიერებდა სამცხეში ოსმალთა გავლენას და დახმარებაზე უარი არ უთქვამს (სვანიძე, 1971:58).

1543 წელს, არზრუმის გამგებლის, მუსა ფაშას მეთაურობით საქართველოში კვლავ შემოვიდა ოსმალთა 22 ათასიანი ლაშქარი. ფაშამ ოლთისისა და ნარმანის მიწების დაპყრობის შემდეგ, ალყა შემოარტყა ოლთისის ციხეს, მაგრამ ვერ აიღო. ციხეში ამ დროს იყო იმერეთის მეფე ბაგრატ III, რომელსაც სამცხე წართმეული ჰქონდა ათაბაგისთვის.

ბაგრატი მიხვდა, რომ პირისპირ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა მტერს და ამიტომაც ხერხს მიმართა. მეფემ, რომელსაც ისევ გურიელი ედგა გვერდში, მოტყუებით მოახერხა მტრის ჯარის ორად გაყოფა. მან საჩუქრები გაუგზავნა ფაშას და დამარცხება აღიარა. ამასთან შეჰპირდა, რომ ოსმალთა ჯარის უომრად გაბრუნების შემთხვევაში ციხეს მის ნებისმიერ წარმომადგენელს გადასცემდა. მუსა ფაშა მოტყუვდა, ციხის მისადგომებთან ჯარის ნაწილი დატოვა მის ჩასაბარებლად, თვითონ კი არზრუმისკენ გაემართა. ბაგრატმა ისარგებლა მოწინააღმდეგის ლაშქრის გაყოფით, ჯერ ოლთისთან დაამარცხა ისინი და შემდეგ მამირვანში, სოფელ ქარაღაქთან წამოეწია და გაანადგურა მუსა ფაშას ჯარი. ფაშა ბრძოლაში დაიღუპა (მახარაძე, შაშიკაძე, 2021: 59-60).

ქართველთა გამარჯვებებმა განარისხა სულთანი და კვლავ გამოაგზავნა არზრუმისა და დიარბაქირის მმართველები სალაშქროდ. დიარბაქირის ბეგლარბეგმა, ხადიმ ალი ფაშამ რომ შეიტყო მუსა ფაშას სიკვდილის ამბავი, შურისძიების მიზნით სასწრაფოდ ამ მხარეში მოვიდა და დალაშქრა რიგი ტერიტორიებისა, თუმცა ზუსტად არ არის ცნობილი მათი დასახელება (Aydın, 1998: 66).

1545 წელს, ბასიანში სოფელ სოხოისტასთან მოხდა დიდი ბრძოლა ქართველებსა და ოსმალებს შორის. ოსმალებს მეთაურობდა, მუსა ფაშას ადგილზე არზრუმის ბეგლარბეგად დანიშნული თემერუდ ალი ფაშა. ჰასან რუმლუ აღნიშნულ დაპირისპი-

რებას მოიხსენიებს, როგორც ყანლი ჩემენის ბრძოლას. ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ.

საყურადღებოა, რომ შურისძიების მიზნით, სოხოისტას ბრძოლის შემდეგ, 1547 წელს ოსმალები თავს დაესხნენ გურიელს. ბაგრატმა დახმარება ვერ გაუწია მას. მიუხედავად ამისა, გურიელმა მაინც მოახერხა ოსმალთა შემოტევის დაძლევა. ქართლის ცხოვრების მიხედვით, „ამას ჟამსა გურიელს გაუწყრა ხონთქარი ამისთვის, რომ მაშინ ბასიანს, თუ შენ ბაგრატს არ მოჰყოლოდი, იმდენს ჯარს ვერ ამომიწყუეტდაო ბაგრატი. გამოუსია ჯარი და მოვიდნენ ბათომს და დაუწყეს ციხეს შენება კატარღებითა და ნავებითა“ (ქართლის ცხოვრება, 1959:360). მსგავს ცნობას გვაწვდის ვახუშტიც: „ხოლო შემდგომად მოვიდა სპა ხონთქრისა გურიასა ზედა, რათა შური იგი აგონ, ვინაჲთგან მიჰყვა ბაგრატ მეფესა და მოსწყვდნა სპანი ოსმალთა; მიუღეს გურიელს ჭანეთი, დაუწყეს შენება ციხისა ბათომს“ (ვახუშტი, 1973: 814).

გურიელმა შეკრიბა ჯარი და ოსმალები განდევნა ბათუმიდან. მტერი ზღვიდან ნავებით უკან გაბრუნდა. თუმცა, ადიდებული ჭოროხის გამო ქართველებმა ცხენებით ვერ შეძლეს მდინარის გადალახვა და ოსმალთა დადევნება. მტერმა გონიოს მიაღწია და ციხის გამაგრება დაიწყო, რის შემდეგაც მას წაართვეს ჭანეთი (ქართლის ცხოვრება, 1959:360). ოსმალებმა განახლებული გონიოს ციხე აქციეს ავანპოსტად აჭარის დასარბევად და გურიაზე ლაშქრობების მოსაწყობად (იაშვილი, 1948:18). ამ დროს ბათუმი ისევ გურიელის დაქვემდებარებაში ჩანს. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, აღნიშნული მოვლენების შემდეგ, ბაგრატის ძმა ვახტანგი გურიელს და გურიელებს ბათუმში შეხვდა (ქართლის ცხოვრება, 1959:360).

დღეისთვის ცნობილი ყველაზე ადრეული თურქული ცნობა, რომელშიც ბათუმი სანჯაყად არის მოხსენებული, 1549 წლით არის დათარიღებული (KKT. RD., 209:71). თუმცა, წყაროების ანალიზით ირკვევა, რომ ოსმალეთსა და გურიელს შორის საზღვარი გონიოსთან ახლოს მდინარე ჭოროხზე გადიოდა.

1545-1549 წლებში ტრაპიზონის სანჯაყბეგმა ბიიქლი მეჰ-

მედ ფაშას ძე მუსტაფა ფაშამ გონიოს ციხე კიდევ ერთხელ შეაკეთა და გაამაგრა (KKT. RD., 209: 78, 80, 154; Aydın, 1998: 258). ჩანს, რომ ამ დროს ბათუმიც სანჯაყად იქნა გამოცხადებული, თუმცა ზუსტი თარიღი გაურკვეველია. თურქი ისტორიკოსი დუნდარ აიდინი 1549 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ დოკუმენტზე დაყრდნობით, თვლის, რომ „ამ დოკუმენტში ნახსენები ბათუმის მმართველი ემირ ბეგი ბათუმის პირველი სანჯაყბეგია“ (Aydın, 1998:258).

1549 წლის 15 დეკემბერს არზრუმის თიმარების დავთარდარი სულეიმ ბეგი ბათუმის სანჯაყში დაინიშნა (Aydın, 1998: 258). ბათუმის სანჯაყბეგის რეზიდენცია გონიოს ციხე იყო (KKT. RD., 209: 141; Aydın, 1998:259), როგორც ჩანს, სწორედ იმიტომ, რომ ბათუმს ისევ გურიელი ფლობს.

მუჰიმე დავთარში დაცული 963 წლის 28 ზილკაადეს (1556 წლის 3 ოქტომბერი) ცნობის მიხედვით ტრაპიზონის სანჯაყის საზღვარი მდინარე ჭოროხზე გადიოდა (Bostan, 2002:48) და ბათუმი ისევ ოსმალეთს გარეთაა.

სანჯაყად გამოცხადების შემდეგ ბათუმი, როგორც წესი, უნდა აღწერილიყო, თუმცა აღნიშნული თარიღის მსგავსი დოკუმენტი ჯერჯერობით არ აღმოჩენილა. უფრო მოგვიანებით, 1564 წლის 11 დეკემბრის დივანის კანცელარიის დოკუმენტში ბათუმს ისევ ვხვდებით (Aydın, 1998: 259).

1564 წელს ბათუმი როსტომ გურიელმა დაიპყრო, თუმცა იგი მცირე დროის შემდეგ ისევ ოსმალეთის შემადგენლობაში გადავიდა. 1578 წლიდან ირან-ოსმალეთის მორიგ ომამდე ბათუმი არზრუმს გამოეყო და ცალკე საბეგლარბეგო ჩამოყალიბდა (Aydın, 1998: 259). ბათუმის სანჯაყის შექმნის შემდეგ, XVI ს-ის მეორე ნახევარში, გონიოს ნაჰიე, ათინა, ჰემშინი და არხავის ყაზა ბათუმს დაექვემდებარა და ბათუმისა და ტრაპიზონის სანჯაყებს შორის საზღვარი მაფავრიზე (დღევანდელი Çayeli-ს ილჩე) გადიოდა (Bostan, 2002:48).

1582 წელს კი, მურად III-ის (1574-1595 წწ.) დროს, ქვეყნის ხელახალი ადმინისტრაციული მოწყობის დროს ბათუმ-ტრაპიზონის სანჯაყების ხარჯზე ერთიანი ეიალეთი შეიქმნა. ახალი

ეიალეთის ბეგლარბეგი ტრაპიზონში იჯდა (Gologlu, 2013: 64).

1609 წელს მამია II გურიელმა, ისარგებლა რა ოსმალეთის იმპერიაში შექმნილი მდგომარეობით, მოახერხა ოსმალების განდევნა აჭარიდან (ვახუშტი,1973:724), ჩანს, რომ საზღვარმა ისევ ჭოროხზე გადაინაცვლა.

ოსმალო ისტორიკოსებისა და ევროპელი მისიონერების ცნობების მიხედვით, ბათუმი XVII ს-ის დასაწყისში, კერძოდ 1615 წელს გურიელის მმართველობაში იყო (თამარაშვილი, 1902: 138), თუმცა, ჩანს, რომ ოსმალეთმა მალევე წაგლიჯა იგი.

1617-1648 წლებში ბათუმი კვლავ ოსმალეთის შემადგენლობაში ჩანს. ამავე პერიოდის გურიის სამთავროს ისტორიული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ოსმალთა გადმოსვლა ჭოროხზე მხოლოდ ბათუმის ციხითა და მისი მიდამოებით შემოიფარგლებოდა (ჩხატარაიშვილი, 1959:106-107). გურიის სამთავროში კი ისეთი რთული მდგომარეობა იყო, რომ გურიელს ნამდვილად არ ჰქონდა შესაძლებლობა, ბათუმისთვის ებრძოლა. მთელი დასავლეთ საქართველო (იმერეთის სამეფო) შიდა დაპირსპირებებმა ძალზე დაასუსტა. პარალელურად, იგი ხარკს უხდიდა ოსმალეთს.

ამ დროს გურიელი, საქართველოს მეფე - მთავრებთან ერთად, დიპლომატიური გზით ცდილობდა რუსეთის დახმარების მოპოვებას, რათა აღეკვეთა მის ტერიტორიებზე ოსმალთა თარეში. თუმცა მცდელობას თავიდან შედეგი არ მოჰყოლია.

XVII ს-ის 60-იანი წლებიდან, გიორგი III გურიელი, რომელიც გამჭრიახობით გამოირჩეოდა, მოხერხებულ პოლიტიკას აწარმოებდა ოსმალეთთან. მიუხეავად იმისა, რომ იგი ხარკს უხდიდა სულთნის ხელისუფლებას, მაინც შეძლო ბათუმის მხარის დაბრუნება. მის დროს საზღვარი ისევ ჭოროხზე გადიოდა.

გურიელის შემადგენლობაში ჩანს ბათუმი შარდენის ჩანაწერებშიც რომელმაც XVII ს-ის 70-იან წლებში იმოგზაურა აქ.

ბათუმის ლოკალიზაციის შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობებს ვხვდებით თურქულ წყაროებში. ზოგიერთი მათგანის მონაცემით, ბათუმი 1582 წლიდან შევიდა ტრაპიზონის ეია-

ლეთის შემადგენლობაში და XVII ს-ის შუა წლებშიც მას ეკუთვ-ნოდა.

ფაქტია, რომ ევლია ჩელები შეცდომას უშვებს, როდესაც გადმოგვცემს, რომ ტრაპიზონის ერთ-ერთი სახელთაგანია „ქალ-აქი ქვემო ბათუმი“. აქვე ამბობს, რომ ტრაპიზონის ვილაიეთი „ჯანჰას“ (სწორი ფორმაა ჭანიჭა-ზ.შ.), ზემო ბათუმის, ქვემო ბათ-უმის, გონიოს და ტრაპიზონის სანჯაყებისგან შედგება (ჩელები, 1971:81-82). ვფიქრობთ, რომ ევლია ჩელების მიერ ნახსენები „ზემო ბათუმი“ დღევანდელი ორთაბათუმის თემს უნდა გული-სხმობდეს და ქვემო ბათუმი უფრო ზღვისპირა ტერიტორია. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს უფრო გვიანდელი, 1835 წლის აღწ-ერა, რომელიც ცხადყოფს, რომ ამ პერიოდშიც კი ორთაბათუმში ბევრად უფრო მეტი მოსახლეობა ცხოვრობს (NFS.d 01170: 220-225), ვიდრე დღევანდელი ქალაქის ტერიტორიაზე, რომელიც აღწერის დოკუმენტში „სოფელ ნავსადგურად“(Karye-i Liman) არის მოხსენებული (NFS.d 01170: 206-209).

ქათიბ ჩელების მონაცემების მიხედვითაც ბათუმი გურიე-ლის მმართველობაში ჩანს (ჩელები, 2013:43).

აშკარაა, რომ დღევანდელი ბათუმის ტერიტორია თავისი შემოგარენით, ჭოროხის ჩრდილოეთი, დიდი ხნის განმავლობაში ხელიდან ხელში გადადიოდა გურიელსა და ოსმალებს შორის. ხოლო გონიო, რომელიც XVI ს-ის პირველი ნახევრიდან დარჩა ოსმალეთს, ადმინისტრაციული ცენტრი იყო სანჯაყისა, რომე-ლიც ბათუმის სანჯაყად, ზოგჯერ კი გონიოს სანჯაყად მოიხსენ-იებოდა. ეს უნდა იყოს ამ განსხვავებული ცნობების მიზეზიც. „ბათუმის სანჯაყი“ უფრო ადმინისტრაციული ტერმინი ჩანს, ვიდრე კონკრეტული გეოგრაფია.

1703 წელს (ზოგი ცნობით 1704), იმერეთის გამგებლის, გიორგი აბაშიძის მკვეთრი ანტიოსმალური პოლიტიკის გამო, ოსმალთა ლაშქარი გურიის გზით იმერეთში შემოიჭრა. მამია III გურიელს ფიცი ჰქონდა მიცემული იმერეთის მმართველზე და იძულებული იყო შებრძოლებოდა მტერს. ოსმალებმა ააოხრეს გურია და გურიელიც იძულებული გახდა მორჩილება გამოეც-ხადებინა ფაშასთვის (რეხვიაშვილი, 1989:151).

ამ შემოსევის შემდეგ, ბათომი, რომელიც თურქებმა დაიპყრეს, ჩანს, რომ საბოლოოდ გადავიდა მათ ხელში. მანამდე კი, XVII ს-ის მიწურულს, გიორგი III გურიელმა, გამაჰმადიანებულ აჰმედ ბეგ თავდგირიძეს ჭოროხის ჩრდილოეთ ნაპირზე მდებარე სამფლობელოები ჩამოართვა. ამან აჰმედ ბეგი და მისი ძმა მუსტაფა ბეგი გურიელის მოსისხლე მტრად აქცია და შემოსულ დამყრობელს სთხოვეს დახმარება (ჩხატარაიშვილი, 1959:150).

მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბათუმი ოსმალებმა საბოლოოდ 1703 წელს დაიპყრეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არის ცნობილი (იაშვილი, 1948:21; ჩხატარაიშვილი, 1959:150; ჩხატარაიშვილი, 1972:60; რეხვიაშვილი, 1989:151). აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს XVIII ს-ის პირველ წლებში შედგენილი „ბათუმის ლივის აღწერის დიდ დავთარში“ დაცული ცნობები. დოკუმენტის დასაწყისში, მოცემულია თოთხმეტი სოფელი და მათი შემოსავლები, რომელიც „გურიელის ქვეყნიდანაა“ და ბათუმის ლივას დაექვემდებარა. სოფლები აღწერილია „დავთრის გარეშე“ და არზრუმის გამგებლის, კეთილშობილი ვეზირის, ჰალილ ფაშას მეცადინეობით ბეჭდით დამოწმებულ დავთარშია ჩაწერილი (TTD 122: A). ჩანაწერი დათარიღებულია ჰიჯრის 1116 წლის ჯემაზი ულ-ეველის 22 რიცხვით (1704 წლის 22 სექტემბერი). ტექსტის შინაარსი პირდაპირ მიუთითებს ბათუმის ახალ დაპყრობაზე.

დაბლა მოცემული ვრცელი დავთრის ცნობები კარგად მოგვითხრობს, თუ რა მდგომარეობა იყო ბათუმსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ოსმალთა მიერ მისი საბოლოო დაკავების შემდეგ. თუ რა ტერიტორიები დაიპყრეს ოსმალებმა ამ დროს ბათუმთან ერთად და როგორ ინერგებოდა საბოლოოდ იმპერიული მმართველობის სისტემა.

დავთარი იწყება მინაწერით, რასაც მოჰყვება ახლად შემოერთებულ სოფელთა აღწერა. მეორე გვერდზე ვხვდებით ბევრად უფრო ვრცელ მინაწერს, რომელშიც დადგენილია ახალი რეგლამენტაცია აღნიშნულ ტერიტორიაზე.

ნათქვამია, რომ „დავთრის მდგომარეობა საკუთრივ ბათუმის ხსენებული სოფლების შემოსავლებისა, რომელიც გურიელის

დაქვემდებარებაში იყო და დავთრის გარეშე აღიწერა და არზრუმის გამგებლის, კეთილშობილი ვეზირის, ჰალილ ფაშას მეცადინეობით თავიდან აღწერეს და ბეჭდით დამოწმებულ დავთარში ჩაიწერა. ხსენებული ვეზირის ცნობით, წერილითა და უზენაესი ფირმანით 1116 წლის ჯემაზი ელ-ეველის 22 რიცხვში (1704 წლის 22 სექტემბერი). სახელმწიფო ხაზინას დაექვემდებარა და მთავარ დავთარხანეში დადასტურდა და ბრძანება გამოიცა“ (TT.D122: A).

შემდეგ მოცემულია საერთო შემოსავალი:

„გამოსაღები 14 სოფლიდან 384,5 ესედი ყურუში[2] და მეოთხედი, 28 ახჩაა“.[3]

ნავსადგურზე თევზჭერის გადასახადი 36 ესედი ყურუში.

მდინარე ჭოროხზე ნავებით გადაადგილების საფასური წელიწადში მოჭრილი 10 ესედი ყურუში.

ჯამი - 430,5 ესედი ყურუში, 1 ახჩა და 27 ფარა“ (TT.D122: A).

ხელნაწერის გაგრძელებაში წარმოდგენილია 14 სოფლის ჩამონათვალი მათზე შეწერილი გადასახადებით:

**სოფელი ანარია** (სახელწოდება შესაძლებელია კიდევ დაზუსტდეს):

ღომი (Pasta) 11 ქილა, [ფასი] მეოთხედი, 2,5 ყურუში ესედი და 1 მეოთხედი;

სიმინდი 30 ქილა, [ფასი] 20 ჩურუქ ახჩა,[4] 3,5 ესედი ყურუში და 1 მეოთხედი;

---

[2]ყურუში - ვერცხლის ფული, რომელმაც ოსმალეთში 1687 წელს გაუფასურებული ახჩა შეცვალა. უდრიდა 80 ახჩას. მანამდე ყურუში (გროში) ეწოდებოდა ევროპის სახელმწიფოთა ვერცხლის ფულს, რომელიც ოსმალეთშიც ტრიალებდა. ევროპელები ოსმალურ ყურუშს პიასტრს უწოდებდნენ (შენგელია, 1987:286). ესედი ყურუში (ლომიანი ყურუში) - ლომის გამოსახულებიანი ჰოლანდიური ფულის მიბაძვით დაბეჭდილი ოსმალური მონეტა. პირველად 1691 წელს მიჭრა, ზარაფხანების ანგარიშებში კი 1701 წლიდან გვხვდება (Sahillioğlu, 1995: 368-369).

[3]ახჩა - ვერცხლის ფული ოსმალეთის იმპერიაში, რომელიც პირველად 1328 წელს მოიჭრა.

[4] ჩურუქ ახჩა - სპილენძის ფულის წვრილი ერთეული, რომლის რაოდენობაზეც იყო დამოკიდებული ფარას ერთეული. ერთი ფარა შეიცავდა ოთხ ჩურუქ ახჩას. ჰქონდა დაბალი სყიდვითუნარიანობა, ამიტომაც საპირისპიროდ იხმარებოდა „საღლამ ახჩაა“ ან საღლამ ფარა“ (შენგელია, 1987: 288).

შირა[5] 30 ბათმანი, [ფასი] 8 ახჩა, 1,5 ესედი ყურუში;
ბადჰავა და საპატარძლო გადასახადი,[6] 1 ესედი ყურუში.
ჯამი 9 ესედი ყურუში.
**სოფელი ახა(ლ)შენი:**
ღომი (Pasta) 37 ქილა, [ფასი] მეოთხედი, 9 ესედი ყურუში;
სიმინდი 76 ქილა, [ფასი] 20 ახჩა, 9,5 ესედი ყურუში და 1 მეოთხედი;
შირა 100 ბათმანი, [ფასი] 8 ახჩა, 5 ესედი ყურუში;
გამოსაღები სკაზე, სავარაუდოდ 5 ესედი ყურუში;
ბადჰავა და საპატარძლო გადასახადი 6 ესედი ყურუში;
ჯამი 34,5 ესედი ყურუში და 1 მეოთხედი.
**სოფელი სამების გვერდი:**
ღომი (Pasta) 47 ქილა, [ფასი] მეოთხედი, 9 ესედი ყურუში;
სიმინდი 128 ქილა, [ფასი] 20 ახჩა, 16 ესედი ყურუში;
შირა 137 ბათმანი, [ფასი] 8 ახჩა, 7 ესედი ყურუში;
გამოსაღები სკაზე, სავარაუდოდ 5 ესედი ყურუში;
ბადჰავა და საპატარძლო გადასახადი 7 ესედი ყურუში;
ჯამი 46,5 ესედი ყურუში და მეოთხედი.
**სოფელი ყოროლის სუ:**[7]
ღომი (Pasta) 40 ქილა, [ფასი] მეოთხედი, 10 ესედი ყურუში;
სიმინდი 93 ქილა, [ფასი] 20 ახჩა, 11,5 ესედი ყურუში 20 ახჩა;
შირა 100 ბათმანი, [ფასი] 8 ახჩა, 5 ესედი ყურუში;
გამოსაღები სკაზე, სავარაუდოდ 5 ესედი ყურუში;
ბადჰავა და საპატარძლო გადასახადი 6 ესედი ყურუში;
ჯამი 37,5 ესედი ყურუში და 20 ახჩა.
**სოფელი ყოროლისთავი:**
ღომი (Pasta) 37 ქილა, [ფასი] მეოთხედი, 9 ესედი ყურუში და 1 მეოთხედი;

[5] შირა - ყურძნის წვენი.
[6] ჯარიმები და საქორწინო გადასახადი. ამ და სხვა ოსმალური გადასახადების შესახებ აჭარაში ვრცლად იხილეთ (შაშიკაძე, მახარაძე, 2011: 22-34).
[7] სოფელი ყოროლისწყალი ხელნაწერში ამ ფორმით არის მოცემული. ტოპონიმის მეორე ნაწილი გათურქულებულია - Su - წყალი.

სიმინდი 98 ქილა, [ფასი] 20 ახჩა, 12 ესედი ყურუში და 1 მეოთხედი;
შირა 115 ბათმანი, [ფასი] 8 ახჩა, 5 ესედი ყურუში და 1 მეოთხედი;
გამოსაღები სკაზე, სავარაუდოდ 6 ესედი ყურუში;
ბადჰავა და საპატარძლო გადასახადი 6 ესედი ყურუში;
ჯამი 38,5 ესედი ყურუში და 1 ახჩა.

**სოფელი აგარა:**

ღომი (Pasta)  30 ქილა, [ფასი] მეოთხედი, 7,5 ესედი ყურუში;
სიმინდი 80 ქილა, [ფასი] 20 ახჩა, 10 ესედი ყურუში;
შირა 66 ბათმანი, [ფასი] 8 ახჩა, 3 ესედი ყურუში, 1 მეოთხედი და 8 ახჩა;
გამოსაღები სკაზე, სავარაუდოდ 2 ესედი ყურუში;
ბადჰავა და საპატარძლო გადასახადი 2,5 ესედი ყურუში;
ჯამი 25 ესედი ყურუში 1 ახჩა და 8 ფარა.

**სოფელი კაპრეშუმი** (ხელნაწერში კაპრეშული - ზ.შ.):

ღომი (Pasta) 35 ქილა, [ფასი] მეოთხედი, 8,5 ესედი ყურუში და 1 მეოთხედი;
სიმინდი 100 ქილა, [ფასი] 20 ახჩა, 12,5 ესედი ყურუში;
შირა 100 ბათმანი, [ფასი] 8 ახჩა, 5 ესედი ყურუში;
გამოსაღები სკაზე, სავარაუდოდ 2 ყურუში ესედი;
ბადჰავა და საპატარძლო გადასახადი 2,5 ესედი ყურუში.
ჯამი 30,5 ესედი ყურუში.

**სოფელი მახინჯაური:**

ღომი (Pasta)  44 ქილა, [ფასი] მეოთხედი, 11 ესედი ყურუში;
სიმინდი 120 ქილა, [ფასი] 20 ახჩა, 15 ესედი ყურუში;
შირა 130 ბათმანი, [ფასი] 8 ახჩა, 6,5 ესედი ყურუში;
გამოსაღები სკაზე, სავარაუდოდ 4 ესედი ყურუში;
ბადჰავა და საპატარძლო გადასახადი 5 ესედი ყურუში;
ჯამი 41,5 ესედი ყურუში.

საკუთრივ ბათუმის შემოსავლის ჯამი 300 ესედი ყურუში, 1 ახჩა და 28 ფარაა.

**ბათუმის ნავსადგურში დაჭერილი თევზისათვის:**

ბათუმის ნავსადგურში თევზჭერისთვის 12 ესედი ყურუში.
ზღვაპატრას[8] ტბაზე თევზჭერისათვის 12 ესედი ყურუში.
ჭოროხის მახლობლად ადგილი, რომელსაც ზღმას[9] ემახიან, 12 ესედი ყურუში.
კვლავ ბათუმის ნაჰიეში შემავალი სოფელ ერგეს მოსაზღვრე სოფლების მოსავლიდან მიღებულ შემოსავალს გაცნობებთ:

**სოფელი ერგე:**

ღომი (Pasta) 36 ქილა, [ფასი] მეოთხედი, 9 ესედი ყურუში;
სიმინდი 120 ქილა, [ფასი] 20 ახჩა, 15 ესედი ყურუში;
შირა 90 ბათმანი, [ფასი] 8 ახჩა, 4,5 ესედი ყურუში;
ბადჰავა და საპატარძლო გადასახადი 2 ესედი ყურუში.
ჯამი 30,5 ესედი ყურუში.

**სოფელი ჯოჭო:**

ღომი (Pasta) 29 ქილა, [ფასი] მეოთხედი, 7 ესედი ყურუში და 1 მეოთხედი;
სიმინდი 84 ქილა, [ფასი] 20 ახჩა, 10,5 ესედი ყურუში;
შირა 80 ბათმანი, [ფასი] 8 ახჩა, 4 ესედი ყურუში;
გამოსაღები სკაზე, სავარაუდოდ 2,5 ესედი ყურუში;
ბადჰავა და საპატარძლო გადასახადი 2 ესედი ყურუში;
ჯამი 26,5 ესედი ყურუში და 1 მეოთხედი.

**სოფელი ხელვაჩაური**:

ღომი (Pasta) 8 ქილა, [ფასი] მეოთხედი, 8 ესედი ყურუში;
სიმინდი 28 ქილა, [ფასი] 20 ახჩა, 3,5 ესედი ყურუში;
შირა 23 ბათმანი, [ფასი] 8 ახჩა, 1 ესედი ყურუში და 1 მეოთხედი;
ბადჰავა და საპატარძლო გადასახადი 2 ესედი ყურუში;
ჯამი 7,5 ესედი ყურუში და 1 მეოთხედი.

**სოფელი კიბე:**

ღომი (Pasta) 24 ქილა, [ფასი] მეოთხედი, 6 ესედი ყურუში;

---

[8] აღნიშნული ტოპონიმი დაზუსტებული ფორმა არ არის, თუმცა ხელნაწერის ამოკითხვის ვარიანტი გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ აწინდელი ბათუმის ტერიტორიაზე ძველად არსებულ რომელიმე ტბას „ზღვაპატრა“, ან „ზღვაპატარა“ ერქვა.
[9] აღნიშნული ტოპონიმიც სავარაუდოთ ზღვას უნდა უკავშირდებოდეს.

სიმინდი 110 ქილა, [ფასი] 20 ახჩა, 13,5 ესედი ყურუში;
შირა 90 ბათმანი, [ფასი] 8 ახჩა, 4,5 ესედი ყურუში;
ბადჰავა და საპატარძლო გადასახადი 2 ესედი ყურუში;
ჯამი 26 ესედი ყურუში და 1 მეოთხედი (TT.D 122: A).

**სოფელი კაპნისთავი:**

ღომი (Pasta) 29 ქილა, [ფასი] მეოთხედი, 7 ესედი ყურუში;
სიმინდი 89 ქილა, [ფასი] 20 ახჩა, 10 ესედი ყურუში;
შირა 60 ბათმანი, [ფასი] 8 ახჩა, 3 ესედი ყურუში;
გამოსაღები სკაზე, სავარაუდოდ 2,5 ესედი ყურუში;
ბადჰავა და საპატარძლო გადასახადი 2 ესედი ყურუში;
ჯამი 24,5 ესედი ყურუში და 1 მეოთხედი.

**სოფელი ოსანაური:**

ღომი (Pasta) 4 ქილა, [ფასი] მეოთხედი, 1 ესედი ყურუში;
სიმინდი 16 ქილა, [ფასი] 20 ახჩა, 2 ესედი ყურუში;
შირა 80 ბათმანი, [ფასი] 8 ახჩა, 1 ესედი ყურუში;
ბადჰავა და საპატარძლო გადასახადი 2 ესედი ყურუში;
ჯამი 5 ესედი ყურუში (TT.D 122: A).

შემდეგში მოცემულია ვრცელი მინაწერი:

„ბათუმის სანჯაყში გურიელის ქვეყნისადმი დაქვემდებარებული ბათუმის ნაჰიე ადრე დავთრის გარეშე წერილობითი პირობით, წლიური ორმოცდათხუთმეტი ათასით, გონიოს სანჯაყბეგების ხასად იყო აღწერილი, მაგრამ ამ დრომდე გურიელთა კუთვნილებაში და მფლობელობაში იყო; და ვინაიდან გონიოს ბეგებს ისინი არ ეკავათ, ხსენებული ნაჰიე გურიელის ქვეყანას და მის მფლობელობას ჩამოერთვა და შემოისაზღვრა. ამიერიდან უზენაესი ხაზინის მიერ იქნა დაკავებული და მირლივას თანხმობით ახლიდან აღიწერა ხსენებული ნაჰიეს მთლიანი შემოსავლის დადგენის მიზნით და დავთარში იქნა შეტანილი. თოთხმეტი სოფლის უშრის[10] საფასური მთლიანად, თევზის ბაზარი, ტბები და სხვა; ბადჰავა და საპატარძლო გამოსაღები ოთხას ოცდაათ ნახევარი და მეოთხედი ყურუშია. რამდენიმე წლის განმავლობაში, სანამ ეს წესი დამკვიდრდება, მოსახლეობა სხვამხ-

[10] აჭარაში დაწესებული ოსმალური გადასახადები დაწვრილებით არის შესწავლილი 1574 წლის აჭარის ლივის ვრცელი დავთრის მიხედვით (შაშიკაძე, მახარაძე, 2011).

რივ არ შეაწუხოთ. [1]115 წლის მარტის თვიდან მოყოლებული ადრე რაჭველის[11] ციხის დაცვაში მყოფ, ქვემო აჭარის სანჯაყბეგ იუსუფ ბეგსა და მის ძმას მეჰმედს აქვს დაკისრებული. ხსენებულ ნაჰიეში სავარგულების სიმცირის და მოსახლეობის ზედმეტად სიღარიბის გამო, მოსახლეობა თავიდანვე გათავისუფლდეს [ზედმეტი გადასახადებისაგან -ზ.შ.], ბათუმის ნავსადგურთან ახლოს ხელახლა ჩასახლებულების გარდა. ციხის გალავნის ხითა და ქვით გამაგრების სამუშაოები დასრულდეს, აგრეთვე დამთავრდეს სხვა დაზიანებული კედლების აღდგენა. მხოლოდ უშრის დადგენილი საფასური იქნეს გადახდილი და უზენაესი ხაზინის მხრიდან ურჯულოთაგან მათი დამსახურების მიხედვით წელიწადში დადგენილი თითო კეთილშობილი ოქრო ჯიზიეს აკრეფის შემდეგ, საბუთი გაიცეს. ამის გარდა ხსენებულ ნაჰიეში მცხოვრები მუსლიმი და არამუსლიმი მოსახლეობა ავარიზით, ურფისა და შაკკას [12] გადასახადებით და ფირმანით დაკისრებული არცერთი გადასახადით არ იქნას შეწუხებული და შევიწროებული. არ გაიყიდოს ბათუმის ნაჰიეს არცერთი რეაია.[13] თუ გაყიდვა გამოაშკარავდა, მათი ადგილსამყოფელიდან უკან დააბრუნონ და ძველ ადგილებზე დაასახლონ და გამყიდველები დაისაჯონ. თუ ვინმე გურიიდან, იმერეთიდან ან სხვა ადგილებიდან ჩამოვა და ისლამის პატივს ეზიარება, შარიათის მხრიდან ხსენებულ ნაჰიეში თავისუფალი ადგილები აჩვენეთ და დაასახლეთ. ხსენებული პირობებით მთავარ საანგარიშოში ჩაიწეროს და მოსახლეობას ეცნობოს, საპატიო ბრძანება გაიცეს და დავთრის სახე მიეცეს. არზრუმის გამგებელმა უკეთილშობილესმა ჰალილ ფაშამ წარდგინება და საბუთი და თამასუქი გამოაგზავნა მთავარ დავთარხანაში. შემოწმების დროს ბათუმის სანჯაყის მოკლე და ვრცელ [დავთრებში - ზ.შ.] ხსენებული სოფლები არ იყო აღრიცხული. დავთარჰანეს მთავარმა ხსენებული ვეზირის

[11] ციხის სახელწოდება აშკარად იკითხება როგორც რაჭველ (რაჯვილ, რაჯველ). საფიქრებელია, რომ საუბარია ოსმალთა მფლობელობაში არსებული, დასავლეთ საქართველოს, კერძოდ რაჭაჩი მდებარე ციხეზე.

[12] გადასახადები ოსმალეთის იმპერიაში, რომლებიც საომარი და საგანგებო მდგომარეობის დროს იკრიბებოდა.

[13] ქრისტიანი გლეხი.

გაგზავნილი საბუთის და თამასუქის და წარდგინების მიხედვით ბრძანა, დადგენილი კანონის მიხედვით, ხსენებული ნაჰიეს შემოსავალი ოთხას ოცდაათნახევარი და მეოთხედი ყურუშის ოდენობით მთავარ საანგარიშოსა და დავთარხანაში დამოწმებულიყო. [1]115 [წლის] მარტიდან დაწყებული, ხსენებულ იუსუფ ბეგსა და მის ძმას მეჰმედს დაეკისროს და გონიოს ბეგები აღარ ჩაერიონ და ხაზინის საკუთრებად გამოცხადდეს. ხოლო ჯიზიე, მინდობილი საბუთის ძალით, ტრაპიზონის ჯიზიადარმა აკრიფოს და შარიათის ნებით რამდენ ქაღალდსაც გასცემს, ნუსხის სახით ჯიზიეს საანგარიშოს გაუგზავნოს. წარდგინების მიხედვით არსებული პირობების დატოვებით საპატიო ბრძანება გაიცა, დავთარში დამოწმებისათვის ცნობა გაიცა. ცნობის მიხედვით ადგილზე დამოწმების შესახებ უზენაესი ფირმანი გამოვიდა და მთავარ დავთარხანეში დამოწმებულ იქნა. 24 ჯუმაზი ელ-ეველი, წელი 1116“[14] (TT.D. 122: B).

**დასკვნა**

კვლევის შედეგად კარგად ჩანს, რომ ბათუმი და მის შემოგარენში მყოფი სოფლები ოსმალეთს ჯერ კიდევ ახალი შემოერთებული აქვს და ცდილობს საკუთარი მმართველობის ფორმების, საგადასახადო სისტების და მიწისმფლობელობის წესების დამკვიდრებას. საგადასახადო სისტემა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გამართული, მოსახლეობისგან აიკრიფება მხოლოდ ნაწილი, თუმცა იგი უკვე გაწერილია ოფიციალურად და აღრიცხულია დავთარში. ჩანს, რომ მოსახლეობა აქ ძირითადად ქრისტიანულია.

ბათუმი და მიმდებარე ტერიტორია დიდი ხნის განმავლობაში მონაცვლეობით შედიოდა გურიელის მფლობელობაში ან ოსმალთა იმპერიის შემადგენლობაში, თუმცა XVII ს-ის პირველ წლებში ოსმალეთმა მყარად მოიკიდა აქ ფეხი. ეს იყო იმპერიის მიერ ამ ტერიტორიის საბოლოო ინკორპორაცია, რაც 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომამდე გრძელდებოდა.

გარკვეული დროის განმავლობაში ოსმალებმა გაწერილი წესების თანახმად სრულად შეძლეს საკუთარი მმართველობის

[14]1704 წლის 24 სექტემბერი.

სისტემის შემოღება, რაც ძირითადად აისახებოდა გამართულ ადმინისტრაციულ, მიწისმფლობელობის და საგადასახადო სისტემაში.

## გამოყენებული ლიტერატურა:


*ქართლის ცხოვრება.*(1959). ტ.II, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილი, თბილისი.

*ქართლის ცხოვრება.* (1973). ტ. IV. ბატონიშვილი ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა,* ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილი, თბილისი.

ფეჩევი, იბრაჰიმ.(1964). *ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ,* თურქულიდან თარგმნა და გამოკვლევებითა და კომენტარებით გამოსაცემად მოამზადა სერგი ჯიქიამ, თბილისი.

ჩელები, ქათიბ. (2013). *ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ,* თურქულიდან თარგმნა და გამოკვლევებითა და კომენტარებით გამოსაცემად მოამზადა გიული ალასანიამ, თბილისი.

გაბაშვილი, ვ. (1954). - *აღმოსავლური გენეზისის პრობლემა,* მახლობელი აღმოსავლეთის კრებული, თბილისი.

თამარაშვილი, მ. (1902). *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით, XIII ს-დან ვიდრე XX ს-მდ,* ტფილისი.

იაშვილი, ვ. (1948). *აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში,* ბათუმი.

მახარაძე, მ., შაშიკაძე, ზ. (2021). *ლალა მუსტაფა ფაშას ვაყუფ-ნამეები საქართველოს შესახებ,* თბილისი.

რეხვიაშვილი, მ. (1989). *იმერეთის სამეფო 1462-1810 წწ.,* თბილისი.

სვანიძე, მ. (1971). *საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს.,* თბილისი.

შაშიკაძე, ზ., მახარაძე, მ. (2011). *აჭარის ვრცელი და მოკლე დავთრები,* თბილისი.

შენგელია, ნ. (1974). *XV-XIX სს-ის საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები,* თბილისი.
შენგელია, ნ. (1987). *XVI-XVII სს-ის ოსმალური დოკუმენტური წყაროები,* თბილისი.
ჩხატარაიშვილი,ქ. (1959). *გურიის სამთავრო (პოლიტიკური სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევი,* საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.
ჩხატარაშვილი,ქ.(1972). *საქართველოს საგარეო ურთიერთობათა ისტორიიდან (XVIII ს-ის პირველი მეოთხედი),* „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები“, თბილისი.
TT.D 122 - *Ankara Tapu ve Kadastro Genel Müdürlüğü Arşivi,* Tapu Tahrir Defteri.
NFS.d 01170. *Cumhurbaşkanlık Osmanlı Arşivi,* Nüfüs Defteri.
KKT RD 209. *Cumhurbaşkanlık Osmanlı Arşivi, Kamil Kepeci Tasnifi,* Ruznamçe Defteri.
Aydın, D. (1998). *Erzurum Beylebeyılığı ve Teşkilatı, Kuruluş ve Genişleme Devri (1534-1566),* Ankara.
Bostan, H. (2002). *XV-XVI. Asırlarda Trabzon sancağında Sosyal ve İktisadî Hayat,* Ankara.
Danışmend, İ.H.(1971).*İzahli Osmanlı Tarihi Kronolojisi,* c. 2, İstanbul.
Goloğlu, M. (2013). *Trabzon Tarihi Fetihten Kuruluşa Kadar,* ikinci baskı, Trabzon.
Kırzıoğlu, F. (1998). *Osmanlıların Kafkas Elleri'ni Fethi (1451-1590),* Ankara.
Sahillioğlu, H. (1995). *Esedî, İslam Ansiklopedisi,* c. 11, İstanbul.

## References:

*Kartlis Tskhovreba.* (1959). T̓.II. T̓ekst̓I Dadgenili Qvela Khelnats̓eris Mikhedvit, S.Qaukhchishvili,Tbilisi.

*Kartlis Tskhovreba.* (1973). Ṫ.IV. Baṫonishvili Vakhushṫİ, *Aghtseṙa Samefosa Sakartvelosa,* Ṫeksṫİ Dadgenili Qvela Khelnatseṙis Mikhedvit, S.Qaukhchishvili,Tbilisi.
Fechevi, Ibrahim. (1964). *Tsnobebi Sakartvelosa da Kaṽkaṡiis Shes-akheb,* Turkulidan Targmna da Gamokʾ vlevebita da Ḱome-nṫarebit Gamosatsemad Moamzada Sergi Jikiam, Tbilisi.
Chelebi, Katib. (2013). *Tsnobebi Sakartvelosa da Kaṽkaṡiis Shesaxeb,* Turkulidan Targmna da Gamokʾ vlevebita da Ḱomenṫarebit Gamosatsemad Moamzada Giuli Alasaniam, Tbilisi.
Gabashvili, V.(1954) – *Aghmosavluri Genezisis Ṕroblema,* Makhlobeli Aghmosavletis Ḱrebuli, Tbilisi.
Tamarashvili, M. (1902). *Isṫoria Ḱaṫoliḱobisa Kartvelta Soris, Namdvilis Sabutebis Shemoṫanita da Ganmarṫebit, XIII s-dan Vidre XX s-mde,* Ṫiflisi.
Iashvili, V. (1948). *Achaṙa Osmalta Baṫonobis Ṕeriodshi.* Batumi.
Makharadze, M., Shashiḱadze, Z. (2021). *Lala Mustaṗa Fashas Vaquf-Nameebi Sakartvelos Shesakheb,* Tbilisi.
Rekhviashvili, M. (1989). *Imeretis Samefo 1462-1810 tsṫs.,* Tbilisi.
Svanidze, M.(1971). Sakartvelo-Osmaletis Urtiertobis Isṫoriidan *XVI-XVII ss.,* Tbilisi.
Shashiḱadze, Z., Makharadze, M.(2011). *Achaṙis Vrtseli da Moḱle Dav-trebi,* Tbilisi.
Shengelia, N. (1974). *XV-XIX ss-is Sakartvelos Isṫoriis Osmaluri Tsq̇a-roebi.* Tbilisi.
Shengelia, N. (1987). *XVI-XVII ss-is Osmaluri Doḱumenṫuri Tsq̇aroebi.* Tbilisi.
Chkhaṫarashvili, K. (1959). *Guriis Samtavro (Ṕolitiḱuri, Sotsialur-Eḱo-nomiuri Isṫoriis Narḱvevi,* Saḱandidaṫo Disertatsia, Tbilisi.
Chkhaṫarashvili, K.(1972). *Sakartvelos Sagareo Urtiertobata Isṫoriidan (XVIII s-is Ṕirveli Meotxedi),* „Sakartvelos Feodaluri Khanis Isṫoriis Saḱitxebi“, Tbilisi.
TT.D 122 - *Ankara Tapu ve Kadastro Genel Müdürlüğü Arşivi,* Tapu Tahrir Defteri.
NFS.d 01170. *Cumhurbaşkanlık Osmanlı Arşivi,* Nüfüs Defteri.

KKT RD 209. *Cumhurbaşkanlık Osmanlı Arşivi, Kamil Kepeci Tasnifi,* Ruznamçe Defteri.

Aydın, D. (1998). *Erzurum Beylebeyılığı ve Teşkilatı, Kuruluş ve Genişleme Devri (1534-1566),* Ankara.

Bostan, H. (2002). *XV-XVI. Asırlarda Trabzon sancağında Sosyal ve İktisadî Hayat,* Ankara.

Danışmend, İ.H. (1971). *İzahli Osmanlı Tarihi Kronolojisi,* c. 2, İstanbul.

Gologlu, M. (2013). *Trabzon Tarihi Fetihten Kuruluşa Kadar,* ikinci baskı, Trabzon.

Kırzıoğlu, F. (1998). *Osmanlıların Kafkas Elleri'ni Fethi (1451-1590),* Ankara.

Sahillioğlu, H. (1995). *Esedî, İslam Ansiklopedisi,* c. 11, İstanbul.

# The final seizure of Batumi and the establishment of Ottoman administrative authority[15]

**Zaza Shashikadze**
Professor of the Department
of Oriental Studies of Batumi
Shota Rustavelı State University.
Ninoshvili st. 32/35, Batumi, Georgia 6010.
+995577 999 767. zaza.shashikadze@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0002-5406-577X
DOI: https://doi.org/10.61671/hos.6.2023.7353

**Abstract**

There is limited historical information available about Batumi's early history prior to the 19th century in Georgian sources. Therefore, the Ottoman archival materials preserved in the archives and libraries of the Republic of Turkey play a crucial role in bridging this informational gap.

Among the valuable records stored in the archives, there is an extensive log dedicated to Batumi, cataloged under code 122 within the Main Archive of the Department of Land and Cadastre in Ankara. This document, yet to be introduced into scholarly discourse, holds significant importance for unraveling the history of Batumi and its surrounding region.

Page B of this document contains a detailed text dating back to September 1704, offering intriguing insights into Batumi and the neighboring villages. It mentions that this area was part of the Gurieli kingdom until a relatively recent period. This reference is instrumental in pinpointing the timing of Batumi's incorporation into the Ottoman

[15] The article was prepared and is being published within the framework of Shota Rustaveli National Science Foundation grant #FR-19-7386.

Empire, as historical literature has offered differing opinions on this matter. While some scholars believed Batumi became part of the Ottoman Empire in the mid-16th century, others asserted it was in 1703. The historical source provided supports the latter perspective, indicating that Batumi and its adjacent villages were ultimately annexed by the Ottoman Empire in the early 18th century, leading to the establishment of Batumi as an administrative center.

According to the documents we have analyzed, during this specific era, the boundaries of the Liva of Batumi extended to the western coast of the Black Sea and encompassed the territories of Atina (known today as Pazar). This document offers a comprehensive description of the region, allowing for multidimensional exploration of the period, including aspects such as socio-economic dynamics, political developments, ethnic composition, religious influences, demographic changes, and more.

**Keywords**: Batumi; Liva; log; census.

## Introduction

Georgian historical sources provide scant information about the history of Batumi, making the Ottoman documentary material preserved in the archives and libraries of the Republic of Turkey a vital resource for filling this historical void.

This paper focuses on an extraordinary document from the early 18th century, referred to as the "Comprehensive Log of Batumi Liva" (coded as 122), housed in the archives of the Main Department of Land and Cadastre in Ankara. This document is presented to the scholarly community for the first time, offering invaluable insights into the history of Batumi and its surrounding region.

The document holds significant potential for the examination of various aspects, including ethnicity, religion, socio-economic conditions, politics, demographics, language, and more. During the specified era, Batumi, along with its 14 adjacent villages, was administratively linked to the coastal region of Eastern Chaneti, encompassing

Khopa, Hemshin, Arkhave, and Atina. The document also preserves the original place names of these regions.

Introducing this document into the realm of scholarly discourse will be a substantial contribution, benefiting both Georgian and Turkish historiography alike.

**Methods**

In this study, the research approach employed historical cognition and comparative analysis methods. We critically evaluated historical sources and relevant scientific literature pertaining to the research topic. This meticulous examination and comparison of these sources are essential for ensuring an accurate and unbiased assessment of historical events.

**Results**

The research has yielded several significant findings of considerable scientific interest, shedding light on previously unknown aspects of historical relevance. Notably, the study has resolved the debate regarding the date of Batumi's ultimate conquest by the Ottomans, a matter subject to scholarly scrutiny. It has been established that alongside Batumi, the Ottomans also seized control of fourteen surrounding villages. The research provides a detailed account of the conditions prevailing in this newly acquired territory, including the introduction of taxes and the identification of intriguing toponyms that have since been lost to time.

The study systematically examines and discusses the administrative role and evolution of Batumi from the mid-16th century onwards, providing a chronological perspective.

It is worth emphasizing that a document with a similar wealth of information about Batumi's history during this period has not previously been the subject of scholarly investigation. Furthermore, the research introduces a novel insight by revealing that in the early 17th century, the Batumi Sandjak encompassed the territory of Eastern Chaneti—a noteworthy contribution to the field of historical understanding.

**Discussion**

In the primary source of Georgian history, the "Life of Kartli," there is limited information available about Batumi, and it is primarily confined to the 16th century. Vakhushti Batonishvili merely reiterates these facts and provides additional geographical details about Batumi separately (Kartlis Tskhovreba, 1973:676, 792-793, 814). Consequently, foreign sources assume great significance in conducting a comprehensive exploration of Batumi's history.

Turkish archives contain numerous documents related to Batumi. Within the Ottoman Empire, which boasted a rich historiographical tradition, Batumi did not escape attention. Being an integral part of the empire for an extended period, it generated noteworthy documentary and narrative materials.

Among the multitude of diverse materials from Ottoman sources that illuminate Batumi's history, one stands out: the "Comprehensive Log of Batumi Liva." The original document is preserved in the Republic of Turkey, specifically in the Archives of the Main Department of Land and Cadastre in Ankara, under code 122. Surprisingly, this book has remained unexplored to date, despite being a pivotal primary source of immense importance for understanding the history of our city and region.

The most challenging handwritten document in Rika's collection comprises 92 pages and measures 14x41 centimetres. According to this document, the territory of Batumi Liva encompassed the present-day city and its environs, extending westward to the Black Sea coast in Lazistan, which also included the region of Atina (now known as Pazar). However, for this discussion, we will focus solely on the contents of the initial pages of the document and the intriguing information they contain.

The various sub-ethnic groups of the Caucasus were brought together in the 19th century by Sufism, which grew in the North Caucasus, while Muridism inspired in them the idea of independence. The Caucasian mountaineers were totally obsessed with this idea, which made them absolutely incapable of rational thinking. They were deeply devoted to their birthplace and valued their country's independence above everything else. At the same time, war, raids and robbery were the cornerstones of their existence, and in the event of even the slightest offense they defended their honor with bullets and daggers. ((pondi-1087, aghts'era-1, sakme-307 p. 26).

## Methods

In the research, archival documents are used, which allows us to present new views on the processes that took place in the North Caucasus in the 19th century, and we rely on the method of comparative analysis.

## Results

It is widely known that the driving force behind the ideology of Imam Shamil's irreconcilable struggle against the Russian Empire was muridism. Archival documents prove that Sufism originated in the mountains even before the liberation struggle, which was reflected in their combat skills, organization, tactics and battle strategy, and cohesion. Imam Shamil used precisely this factor and developed it during the fight against the Russian Empire.

In the conquest war of the Russian Empire, each of its military or diplomatic actions was based on the complete and timely possession of accurate information. The Russian Empire's action was based on a correct analysis of current or expected events.

## Discussion

Regarding the Russian Empire's war of conquest in the North Caucasus in the 19th century, in order to compare the potential of the parties involved, it is crucial to bear in mind two things: first, what Frederick the Great [King of Prussia Frederick II, 1740–1772] said about Russians based on his own experience (pondi-1087, aghts'era-1,

sakme-353 p. 28) : "They can be defeated, but it is impossible to win", and, on the other hand, the North Caucasians are quite difficult to defeat in an unfair  battle because of their fighting mentality, ideology, fighting skills and, most importantly, their unique love for the homeland and freedom. In this regard, the paper examines two archival documents through which the above is analyzed.

An abridged version of the archival document (pondi-1087; aghts'era - 1; dok'ument'i-335) is given as follows: “Ghunib!... This name brings together so many memories of Caucasian elders!... Ghunib signifies the end of Muridism, this is the finale of a bloody rhapsody. For thirty-seven years, the impenetrable forests of Dagestan were filled with the continuous roar of war and the sound of weapons. Here, in Ghunib, the last words of the Caucasian imams were uttered, words that finally shook the heavy chain of Muridism for the people. Ghunib is the graveof Gazavat, just as the village of Kurin was his birthplace and Gimri its cradle.

On August 10, 1859, Russian troops besieged Ghunib: Major General Tarkhan-Mouravi’s detachment was positioned in the north; in the east was Colonel Kononovich, in the south - Colonel Radetsky, and in the west is Colonel Tergukasov. The main reserve was positioned atop the Keger heights, from which the commander-in-chief could observe the movements of all Russian columns in the event of an attack, as the whole area of Ghunib was open and clearly visible from these heights. To avoid unnecessary bloodshed, the commander-in-chief decided to start negotiations first and entrusted them to Colonel Lazarev the well-known in Daghestan, who was very popular among the highlanders. On August 19, Lazarev had a meeting with the sons of the imam and explained to them the pointlessness of further resistance, advised them to surrender and accept the offer of the commander-in-chief. He allowed Shamil, his entire family and suite to freely leave Russia for Mecca. However, Shamil did not think to submit so soon. Hearing what Lazarev said, he calmly replied: May the will of Allah's will be done. Ghunib is a high mountain. I am on the

mountain. God is higher than me; The Russians are down: let them attack!".

After capturing Ghunib, Shamil presumably believed that the unreachable peak would probably put a temporary stop to the Russian army's victories-winter would arrive, the snow would melt, communications would cease in mountainous Daghestan, and the Russians would be forced to leave the mountains. “However, the few days that they spent in Ghunib gave Shamil time to reflect thoroughly on his desperate situation. He was aware that Dagestan, with the exception of Ghunib, had already entirely submitted to the Russians with all the villages, where all that was left of Muridism had unified. However, gradually, he realized that his days of ruling were over.

On August 21, he himself made an attempt to resume negotiations. Shamil was told that the only thing that could stop the bloodshed was his complete surrender. In response, he wrote "Shamil cannot accept the offer, there is God in heaven, and in Ghunib his believing Muslims, swords are in their hands for the Divine Ghazavat (jihad)."

With this, the negotiations came to an end, and Ghunib was besieged by Russian forces. On August 24, Prince Tarkhan-Mouravi's column occupied the gardens on the northern side of Ghunib for battle, and another column, under the command of Colonel Kononivich, climbed from the Kara-Kois bed and deployed riflemen on the hill, looking for a place to deploy the cannons.

It was intended to establish a bridgehead for these two columns on the night of the 24th to the 25th, but the army that entered the battle continued to advance without stopping. At night, Prince Tarkhanov's column launched a fictitious attack, which forced the murids to throw down they had already prepared. The sound of stones falling from the rock buzzed through the mountain for two hours. When the stone rain stopped, Tarkhanov started to move the column. A short while ago, a number of hunters from Colonel Tergokasov's column made use of the pitch-black night to climb Ghunib's highest peak and investigate potential entry points to the mountain's most

inaccessible side using ropes. The hunters started climbing through the experienced braves and the battalion as a whole followed suit. Following the courageous soldiers, the hunters started ascending, and eventually the entire battalion.

The battalion of the Apsheron regiment, under the personal command of Tergukasov, was the first to ascend Ghunibsh. Its appearance decided the fate of Ghunib. The Murids, after the shocking message that the Russians were already on the mountain, attacked the Absheronites from all directions and thereby allowed Prince Tarkhanov's column to ascend Gunib without firing a single shot... Together with Tarkhanov, the 2nd battalion of Shirvan (from Kononovich) under the command of Major Stange moved to the defensive wall erected in the eastern part of Ghunib, and after hand-to-hand combat, Shamil's last bastion was captured.

It was midday when the commander-in-chief with his army approached Ghunib and stopped in a birch alley, half a mile from the aul, where Shamil was fortified with the last company of murids. There were 14 battalions standing around the village like a wall, waiting only for the leader's command to go on the attack. At this time, a white flag flashed on one of the huts. Prince Baryatinsky immediately ordered a ceasefire and sent Colonel Lazarev to the village, demanding Shamil's unconditional surrender.

On a little square in front of the aul, Lazarev encountered armed murids, one of whom was a tall man on a gray horse with a gloomy expression. In a commanding posture, it was not difficult to recognize Shamil. Lazarev greeted the murids with the usual oriental greeting, and without revealing that he recognized the fierce ruler of Daghestan, he asked them to show him Shamil. All the world is known of your valor, and as long as the mountains stand its glory will not be extinguished. When this was done, he approached the imam with trepidation, and after a short but rather heavy silence said: - "Shamil! The whole world knows about your valor, and as long as the mountains stand your glory will not fade". Submit to the will of destiny and trust in Sovereign-Emperor's patience. By doing this, you

will save from perdition thousands of people who have remained faithful to you in the worst of difficulties. These people are not just fighters but also civilians, their blind and boundless loyalty deserves this sacrifice from you. Demonstrate that you are great, both in joy and in trouble, and you can accept God's will without complaint.

If it wasn't for Ghunib, Shamil would have been alone with the murids, and maybe he would have decided to fall down with a weapon, protect the remaining loyal aul, but the future of the family would have been doomed in case of his stubbornness. Old Shamil really had something to think about! It was obvious that his entire worldview was called into question, which drove him to battle, one that compelled him to fight the unbelievers to his last breath, as well as his strong bond with numerous family who accompanied him in Ghunib. The latter gain an advantage.

Thus, the fierce ruler of the mountains, the imam of Chechnya and Dagestan, Akhulgo, forest Ichkeria and Dargo, after 30 years of brave defense, was going to put an end to the bloody battle by laying down his arms in front of the winner. It is clear what emotions filled the soul of a soldier fighting in the Caucasus while watching this scene. As soon as Shamil appeared, he was recognized by his tall white turban, - a victorious, uncontrollable “hurray” was heard! He sniffed the air and moved from battalion to battalion with a roar. This sudden excitement almost spoiled the matter, because the confused imam suddenly turned his horse, and only the wise Lazarev, who explained to him that with this cry the troops pay a deserved tribute, calmed him down, and he decided to continue on his way.

It was precisely three o'clock in the afternoon when Shamil got off from his horse, put one hand on Satevar's saddle, and the other leaned on Gorda, and stopped right in front of Prince Baryatinsky. He was indeed surrounded by only one retinue. Present here were the chief of the main staff, Adjutant General Miliutin, and the most prominent figures of the Caucasian War: Count Evdokimov, Baron Wrangel, Kessler, Prince Mirsky, Tarkhan-Mouravi and Baron Nikolai. Several adjutants and princely officers stood here. The moment when

Shamil stopped in front of Count Baryatinsky was truly solemn! All eyes were directed towards the imam, whose face was marked with deep spiritual sorrow. He wore a long chokha, sewn with simple straps, and a green beshmet. On the legs were cheviaks, red tarsicon shin guards, and on the head was a white marmash shawl, the long ends of which were thrown over the back. In addition to Satevari and Gorda, he also had two pistols: one in his holster, the other in his belt. He expected to be asked the question, "A Rao Donghuz (pig), where is your Gorda, which you offered me to take?" And if such was the case, he made a firm decision to disarm himself with a sateru to avoid further humiliation. Of course, nothing of the kind happened, and the speech addressed by Count Baryatinsky to Shamil was so short and dignified that it made a deep impression on everyone around. Baryatinsky said: “Shamil, you did not accept the terms I offered you, and you did not want to come to the camp with me. This time I came. You yourself wanted the fighters to decide the matter, and I decided in your favor. Now we will talk about these conditions. You must go to St. Petersburg and wait there for the Sovereign Emperor’s decision on your fate. Instead, you must be the guarantor of your safety and the safety of your family. Hearing these words, Shamil replied: “General! I didn't listen to your advice - forgive me and don't judge me! I am a simple “uzden”, I have fought for religion for thirty years, but now my people have betrayed me, my followers are scattered, and I myself am exhausted from the struggle. I am old: 63 years old. I congratulate you on the conquest of Daghestan and I wholeheartedly wish the ruler success in managing the mountaineers for their own well-being!

“I will immediately send you to His Majesty the Emperor,” said the commander-in-chief, “and one of my adjutants,” he pointed to Colonel Trompovsky, “will take you away so that you do not have to endure unnecessary hardships on the way.”

With these words, the commander-in-chief rose to his feet, mounted his horse, and marched towards the army to hand over Shamil to Count Evdokimov. Shamil looked bewildered, but then after arriving at the camp, he was ushered into a luxurious tent specially

prepared for him, and served tea in a silver saucer, only then did he seem to recover. And he came to his senses. In the morning, his whole family was brought from Ghunib, and after one day and night, Shamil was already on the road to Temir-Khan-Shura, from where he had to go to St. Petersburg to appear before the Emperor.

The birch alley where Shamil surrendered was called the alley of Count Baryatinsky, and on the stone where the Commander-in-Chief sat, large words were carved: “1859, August 25, 4 o’clock in the afternoon.” the day and hour of the end of the Caucasian War. A beautiful pergola was built on this stone, which has survived to this day.

According to the following archival document (pondi-1087, aghts'era-1, sakme-407 gv. 1-3. the story of an eyewitness is narrated. Translated from Arabic): When Colonel Lazarev stopped in Ghunib with Daniel-Sultan and other persons, Shamil sent with him his son Kazi-Mukhammed and another person. The negotiations lasted a long time. Kazi-Muhammad said on the orders of Shamil: “You are mukhanat.” How many times have we made peace and entered into battle, but have seen nothing from you except betrayal and lies. We never believe what the Commander-in-Chief and/or any other person says. We saw nothing but deception and violation of an already concluded agreement in the words of General Grabe, Fez and Klugenau. How can we trust your words? Colonel Lazarev replied: “Don’t repeat the past, whatever happened, happened. It’s better to look at today and analyze the results! Know that I want to arrange your affairs as best as possible.

After the capture of Ghunib: Shamil first sent an eyewitness to negotiations, who met with General Kessler, Lieutenant Smirnov, Armenian Zakhar, later Baron Wrangel and Lazarev. Prince Baryatinsky received the eyewitness very warmly and asked to introduce Shamil. Shamil initially intended to defend himself and said to the fighters with him: "You should fight, not tell me to go to the Commander-in-Chief!” I want to fight and die today! Qazi-Muhammad said to his father: "I don't want to fight, I'll go to the

Russians, and if you wish, fight yourself!" Shamil became extremely angry; even the armed women in the mosque humiliated and quarreled with Qazi-Muhammad for his cowardice, and some cursed him. They were in this state for four hours, and Shamil agreed to go to the commander-in-chief after his son's betrayal. Seeing him, the entire army shouted "Hurray"! Shamil was afraid and thought that he would be deceived and killed. However, Gotsatlinsky told to one of the murids, Muhammad-Khudanat-oglu: "Even if you escape, it will not save you; I'd rather kill Lazarev now and start with Gazava. At this time, Lazarev stood in front of the Russian army, who eased the situation and said: "Where are you returning?" do not be afraid! There will be no betrayal between us." The eyewitness notes that Baron Wrangel ordered him to bring Qazi-Muhammad and Shafi-Muhammad's wives and Shamil's family. Qazi-Muhammad was in the mosque with the murids. He asked an eyewitness: Where did you leave my father? who replied: "Don't you know that I left your father to the Sardar, who dragged him into the tent?" He then asked what he wanted, to which Qazi Muhammad replied: "I want to fight until I am killed." "If you wanted to fight, you should have fought before, but now the war is behind us. Get up and follow me." An eyewitness took him with his brother and family to Baron Wrangel, to whom the baron said: "I am very pleased with your service and will never forget it." After that, I did not see either Shamil, the commander-in-chief, or Baron Wrangel," the eyewitness explained.

**Conclusion**

It should be noted that the long, exhausting war waged by Russia in the North Caucasus, which was also determined by various important geopolitical factors, ended in the defeat of the highlanders, since the resources of the highlanders at that time were limited. As Shamil grew older and more weary, the naibs split up, and following the imam, no one emerged as a leader to uphold the muridism phenomenon and bring the mountaineers together behind it in the struggle against the enemy. The mountaineers were motivated by muridism to battle the common enemy under the imam's guidance and

achieve freedom. It should be highlighted, nonetheless, that the concept of the fight for the freedom of the North Caucasians through the capture of Imam-Shamil has not yet been completed.

## REFERENCES:

*National Archive of Georgia;* Fund-1087, census-1, case-307.(in Georgian).
*National Archive of Georgia;* Fund-1087, census-1, case-353.(in Georgian).
*National Archive of Georgia;* Foundation-1087; census - 1; Document-335. (in Georgian).
*National Archive of Georgia;* Fund-1087, census-1, case-407.(in Georgian).
Knysh, A. D. (2004). *Islamic Mysticims. Brief History.* Moscow-Saint-Petersburg "DILYA". (in Russian).

# საქართველოს ისტორიის ერთი ეპიზოდის ასახვა მე-14 საუკუნის სირიულ ქრონიკაში - „ისტორია მარ იაჰბალაჰასი და ბარ საუმასი“[30]

**გვანცა ევანისელი**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი, თბილისი, საქართველო. 0179.
ილია ჭავჭავაძის გამზირი №1.
+995 599 60 11 09. gvanca.evaniseli@tsu.ge
ORCID ID 0000-0002-1771-737X
DOI:https://doi.org/10.61671/hos.6.2023.7355

**აბსტრაქტი**

მონღოლთა საერთაშორისო ასპარეზზე გამოჩენის შემდეგ კათოლიკურმა დასავლეთმა აქტიურად დაიწყო უცნობი ხალხის გაცნობაზე ზრუნვა. პაპობას იმედი გაუჩნდა, რომ მისიონერების დახმარებით თათართა კათოლიკურ ქრისტიანობაზე მოქცევა შეეძლო. იგი აქტიურად შეუდგა პროზელიტიზმს მონღოლთა ულუსებში. ამ მისიისთვის საქართველო, თავისი შემწყნარებლური დამოკიდებულებით ფრანცისკანელი და დომინიკანელი მისიონერების მიმართ, შესანიშნავი პლაცდარმი აღმოჩნდა. თავის მხრივ, მონღოლებიც ცდილობდნენ პაპობა თავიანთ გულწრფელობაში დაერწმუნებინათ, რათა მათთან ანტიეგვიპტური ალიანსი შეექმნათ. მიზნის მისაღწევად ისინი დასავლეთში მოლაპარაკებებზე ქრისტიანებს აგზავნიდნენ. მათ შორის ნესტორიანელებს, რომლებიც თათართა ტერიტორიაზე დიდი ხნით ადრე დასახლდნენ და დასავლეთში დაგმობილი მწვალებლობაც გაავრცელეს. ერთ-ერთი ასეთი მოგზაური სასულიერო პირი

[30] კვლევა №PHDF-22-2230 განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

რაბან საუმა იყო, რომელმაც დასავლეთში 1287-88 წლებში იმოგზაურა.

ასეთი დიდი პატივი მან არამხოლოდ რომაელთა ენის კარგი ცოდნის გამო, არამედ თავისი წმინდა საქმიანობითაც დაიმსახურა. მათ შორის ასკეტური ცხოვრებით, არაერთი განსაცდელის გამოვლითა და იერუსალიმში მოგზაურობის უდიდესი სურვილით. დაახლოებით 1275-77 წლებში ცოდვების მონანიების წადილით დაწყებულ ურთულეს გზას რაბან საუმასთან ერთად მისი მოწაფე, მომავალი პატრიარქი იაჰბალაჰა III-ც შეუდგა. სწორედ ამ მოგზაურობის დროს ბერები საქართველოში მოვიდნენ, სადაც მათ შეიტყვეს, რომ მიუხედავად ილხანთა ყაენ აბაღას კეთილგანწყობისა, ისინი მოგზაურობის გაგრძელებას ვერ შეძლებდნენ. მე-14 საუკუნის პირველი ნახევრის ანონიმი ავტორის მიერ შექმნილი ქრონიკა იტყობინება, რომ ბერებმა იერუსალიმისაკენ მოგზაურობა საქართველოში მყოფი მძარცველებისა და მკვლელების გამო ვერ შეძლეს. ამის მიზეზი სავარაუდოდ ილხანთა მმართველებისაგან სამცხის განდგომა უნდა ყოფილიყო. ქართველთა წინააღმდეგობა 1275 წლის 10 აპრილს მომხდარ მიწისძვრას უნდა გამოეწვია. ამ უკანასკნელს, დანარჩენ საქართველოსთან ერთად, განსაკუთრებით სამცხე დაუზარალებია. მრავალი ადამიანის გარდაცვალებას და შენობა-ნაგებობების ნგრევას თან ემატებოდა მონღოლთა გადასახადები და სამხედრო ბეგარა, რასაც კიდეც უნდა გამოეწვია მსგავსი ცვლილებები საქართველოში.

სამეცნიერო სივრცეში შემოტანილი ეს ცნობა და მისი ანალიზი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჟამთააღმწერელი მხოლოდ მიწისძვრის პოლიტიკურ შედეგებზე გვაწვდის ცნობას და გვეუბნება, რომ მამა-შვილი სარგისი და ბექა ილხანებს განუდგნენ. სტატიაში მოხმობილი ნაწყვეტი სირიელი ანონიმის ქრონიკიდან მემატიანეს ინფორმაციას ავსებს და მიწისძვრის შედეგების მნიშვნელოვან სოციალურ ასპექტებსაც გვაჩვენებს.

**საკვანძო სიტყვები:** ილხანთა საყაენო; საქართველო; სამცხის საათაბაგო; რაბან საუმა; რაბან მარკოსი; ნესტორიანელი ქრისტიანები.

## შესავალი

XIII საუკუნის 20-იან წლებში საერთაშორისო ასპარეზზე მონღოლების სახით ახალი ძალა გამოჩნდა. მათმა სამხედრო ექსპანსიამ ქრისტიანულ სახელმწიფოებში დაბნეულობა გამოიწვია. თავდაპირველად წარმართი თათრები ქრისტიანებადაც კი მიიჩნიეს. მაგალითად, საქართველოს იმ დროინდელი მხედართმთავარი ივანე, პაპ ჰონორიუს III-ისთვის გაგზავნილ წერილში ჩიოდა თათრები ჩვენს ქვეყანას „ჯვრის ნიშნით შეიარაღებულნი“ შემოესივნენ ასე მოგვატყუეს და ექვსი ათასამდე კაცი მოგვიკლესო (ტაბაღუა, 1984: 178-179).

რაც შეეხება ჯვაროსნებს, მათში ახალი ძალით იფეთქა მივიწყებულმა ლეგენდამ იოანე ხუცესის შესახებ. 1221 წელს, მაშინ, როდესაც მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილე რაინდების ენთუზიაზმი თანდათანობით ქრებოდა, გაჩნდა ჭორები იმის შესახებ, რომ იოანე პრესვიტერის შთამომავალი დავითი, ჯვაროსნების დასახმარებლად და წმინდა მიწის გასათავისუფლებლად, აღმოსავლეთიდან მოემართებოდა. გავრცელებულმა ხმებმა აკრის ეპისკოპოსის ჟაკ დე ვიტრის მიერ 1221 წლის 18 აპრილს პაპ ჰონორიუს III-სთვის გაგზავნილ წერილში ჰპოვა ასახვა. წერილის ანალიზი ცხადყოფს, რომ *„ჟაკ დე ვიტრის და ასევე სხვა ლათინ მემატიანეთა რელაციოში, რომელიც ლეგენდარული დავითის ისტორიას შეეხება, ერთმანეთში აღრეულია ნესტორიანელთა ხანის* (იგულისხმება ნაიმანთა ხანი ქუჩლუკი, რომელიც ანტიისლამურ პოლიტიკას ატარებდა ყარახატაელთა სახელწიფოს მეთაურად გახდომის შემდეგ.) *და მონღოლთა მეთაურის ისტორიები“* (გოგოლაძე, წითლანაძე, ქარჩავა, სილაგაძე, 2015:313).

მონღოლთა საქართველოში შემოჭრისა და აღმოსავლეთ ევროპაში ლაშქრობის შემდეგ ლათინური სამყარო ნელ-ნელა იწყებს ახალი ხალხის გაცნობას. წმინდა საყდარი კი მათი კათო-

ლიკურ ქრისტიანობაზე მოქცევის მიზნით აღმოსავლეთში მისიონერების აგზავნის. თავდაპირველად მონღოლებისთვის პაპობასთან ალიანსი ინტერესს არ იწვევდა, თუმცა აინ ჯალუთის ბრძოლაში განცდილი მარცხის შემდეგ თათართა ერთ-ერთი ულუსი, ილხანთა საყაენოს სახით, ლათინებთან ანტიმუსლიმური კვალიციის შესაქმნელად, აქტიურ მოქმედებაზე გადადის.

მონღოლთა დიპლომატია განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა წმინდა საყდართან. ისინი მაქსიმალურად ცდილობდნენ და წარმატებით ახერხებდნენ პაპობის დარწმუნებას იმაში, რომ მათ კათოლიკურ ქრისტიანობაზე მოქცევისა და ალიანსის შექმნის წრფელი სურვილი გააჩდათ. ამისთვის ისინი დასავლეთში არა წარმართ, არამედ ხან მართლმადიდებელ ქრისტიან ელჩს, ხანაც კი ნესტორიანელ ბერს აგზავნიდნენ. არ არის გამორიცხული, რომ წარმართ მონღოლებს, ქრისტიანობის სხვადასხვა მიმდინარეობებს შორის, სხვაობა საერთოდ არ ესმოდათ. მიუხედავად ამისა, შესაძლოა ხანები, პონტიფექსებთან და ლათინ ლიდერებთან მოლაპარაკებებისას, ამ გზით მიზნის მიღწევას უფრო მარტივად იმედოვნებდნენ.

ჩვენი კვლევის უმთავრესი მიზანი ნესტორიანელი სასულიერო პირის, რაბან საუმას დასავლეთში მოგზაურობის ერთი ეპიზოდის განხილვაა. იგი საქართველოს ისტორიასთანაც იკვეთება და მნიშნელოვან ინფორმაციას შეიცავს XIII საუკუნის 70-იანი წლების სამხრეთ საქართველოში არსებული სოციალური მდგომარეობის შესახებ. ამასთანავე, სტატიის მიზანია იმ სირთულეების დანახება, რომელიც მონღოლებს დაპყრობილი საქართველოს (გარდა დასავლეთი საქართველოსი) დამორჩილებაში ექმნებოდათ.

**მეთოდი**

საკითხზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ ჰერმენევტიკული ანალიზის მეთოდი. მთავარი წერილობითი წყარო, რომელიც საკვლევად შეირჩა თავად მოგზაური ბერის, რაბან საუმას ბიოგრაფიული ტექსტია. აღსანიშნავია, რომ მან ჩვენამდე სირიული თარგმანით, შემოკლებული სახით მოაღწია. შესაბამისად, ორიგინალი ტექსტიდან შესაძლოა ბევრი რამ გამქრალი, ან შეცვლი-

ლია. აღნიშნული გარემოება პირველწყაროსთან ფრთხილ დამოკიდებულებას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, ჰერმენევტიკულ ანალიზთან ერთად სტატიაში გამოყენებულია წყაროთა კრიტიკული ანალიზის მეთოდიც.

**დისკუსია**

მონღოლთა დიპლომატიურ თუ პოლიტიკურ სამსახურში ნესტორიანელ ქრისტიანებს უდიდესი როლი ენიჭებოდათ. ისინი პირველად V საუკუნეში, კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნესტორის ქადაგების შემდეგ გამოჩნდნენ. მოძღვრება ამტკიცებდა, რომ მარიამმა ქრისტეს სახით ადამიანი შვა, რომელმაც ღვთაებრივი ბუნება მოგვიანებით შეიძინა. მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებამ, რომელიც 431 წელს ეფესოში გაიმართა, მოძღვრება მწვალებლობად მიიჩნია და დაგმო. ამიერიდან დევნილი ნესტორიანელები სპარსულ სამყაროსთან ასოცირდებოდნენ, ვინაიდან მათი ცენტრი ქალაქ ქტეზიფონში მდებარეობდა. ჯერ კიდევ აქედან მოყოლებული მათი საქმიანობა რელიგიურთან ერთად პოლიტიკურიც იყო, რადგან ბიზანტიის მთავარი მოწინააღმდეგისათვის თავის შეფარება მათი მხრიდან აშკარად მიუთითებდა ბიზანტიის იმპერატორის ძალაუფლების უგულებელყოფასაც (Foltz, 2010:61). აღმოსავლეთში ნესტორიანელთა გადანაცვლებას მათი მოძღვრების შემდგომი გავრცელებისთვის ხელი არ შეუშლია. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ აბრეშუმის გზასთან სიახლოვემ ბევრი მათგანის მხრიდან სავაჭრო საქმიანობის დაწყებას შეუწყო ხელი. შედეგად მათ შეეძლოთ ქადაგება და ვაჭრობა ერთმანეთისთვის შეეთავსებინათ.

აღმოსავლეთის ეკლესიას (იგივე ნესტორიანულ ეკლესიას) მისიონერული ხასიათი ჰქონდა. იმისთვის რომ ნესტორის მოძღვრება გექადაგა სულაც არ ითვლებოდა საჭიროდ ცალკეულ ადგილებში სამონასტრო კომპლექსების დაარსება. შესაბამისად, ასევე, არ არსებობდა საჭიროება იმისა, რომ მისიონერი რომელიმე სამონასტრო ორდენის წარმომადგენელი ყოფილიყო. აღმოსავლეთის ეკლესიის მხრიდან მისიონერებად ითვლებოდნენ ნესტორიანელი ვაჭრებიც, რომლებიც აბრეშუმის გზაზე გადაადგილდებოდნენ, ზემოთ ხსენებულმა ფაქტორებმა ცენტრალურ აზი-

აში ნესტორის მრწამსის გავრცელებას შეუწყო ხელი. ფართო ევანგელიზაციის ხელის შემწყობად ასევე უნდა განვიხილოთ ისიც, რომ მისიონერებს ქადაგების პარალელურად მუშაობაც შეეძლოთ (Dickens, 2001:2).

ისტორიკოსი ობრი რასელი თავის ნაშრომში სხვადასხვა პერიოდში ნესტორიანელთა განსახლების არეალს განიხილავდა და ჩამოთვლიდა შემდეგ ტერიტორიებს: ინდოეთი, ჩინეთი, ცენტრალური აზია და არაბეთი(Vine,1937:135). ჩვენი ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა პერიოდიდან გამოჩნდნენ ნესტორიანელები ცენტრალური აზიაში. როგორც ისტორიკოსი მარკ დიკენსი შენიშნავს, პირველი მისიონერები უკვე შაჰ კავად I-ის (473-531) მმართველობის დროიდან გაჩნდნენ და მათი საქმიანობა აქ მაცხოვრებელ ჰუნ ჰეფტალიტებთან იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ უკვე 549 წლისათვის მათ აღმოსავლეთის პატრიარქისაგან ეპისკოპოსის დანიშვნის უფლება მოითხოვეს (Dickens, 2001:3). უფრო მასობრივად ცენტრალურ აზიაში ქრისტიანობის გავრცელება ოდნავ მოგვიანებით პატრიარქ ტიმოთეოს I-ის (780-823) მმართველობის დროს მოხდა. მან ნაწილობრივ საკუთარი ინიციატივით, ნაწილობრივ კი ადგილობრივი ტომების თხოვნით აღმოსავლეთში ასამდე მისიონერი გაგზავნა. როგორც ჩანს, მას მიტროპოლიტიც დაუნიშნავს, რომელიც ქალაქ სამარყანდში მჯდარა. აღმოსავლეთის ეკლესიის პატრიარქის მიერ გაგზავნილი მისიონერების ეფექტური საქმიანობის შედეგი უკვე მომავალში გამოჩნდება, როდესაც მონღოლებსა და თურქებში ქრისტიანობის შესახებ გარკვეული ინფორმაცია მოიყრის თავს (Vine,1937: 128).

დაახლოებით 1007-1008 წლებში კერაიტების თურქულ - მონღოლურ ტომში მასობრივად დაიწყო ნესტორიანული ქრისტიანობის გავრცელება. სირიელი სწავლული აბულ-ფარაჯი, იგივე ბარჰებრაია ძალიან საინტერესოდ გადმოგვცემს კერაიტების ქრისტიანობაზე მოქცევის ამბავს. კერაიტებს მეფეს, რომელიც სანადიროდ იყო წასული, თოვლიანი ქარბუქის გამო გზა აებნა. მცდელობის მიუხედავად, უკან დასაბრუნებელი გზა მაინც ვერ

იპოვნა. უცბად, მას გამოეცხადა კაცი, რომელმაც უთხრა რომ, თუ იგი ქრისტიანობას ირწმუნებდა მაშინ ხსნის გზას უფალი უჩვენებდა. გადარჩენილმა კერაიტების მეფემ ქრისტიან ვაჭრებს მათი სარწმუნოების შესახებ ყველაფერი გამოჰკითხა და მერვის მიტროპოლიტს მღვდლების გამოგზავნა სთხოვა, რათა ის და მისი ხალხი მოენათლათ (Stewart, 1928:143-144). ამ გადმოცემიდან გარდა თავად ფაქტისა, რომ კერაიტებმა ქრისტიანობა ჯერ კიდევ XI საუკუნის დასაწყისში მიიღეს, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისიც, რომ კიდევ ერთხელ დავინახეთ აბრეშუმის გზაზე მოსიარულე ვაჭრები, როგორც მისიონერები. ამრიგად, ის, რასაც ზემოთ აღვნიშნავდით, რომ ნესტორიანული პროზელიტიზმი დაკავშირებული იყო ვაჭრობასთანა და აბრეშუმის გზასთან, კიდევ ერთხელ ამ ცნობით მტკიცდება (გოგოლაძე, წითლანაძე, ქარჩავა, სილაგაძე, 2015:286).

მეათედან მეთორმეტე საუკუნემდე ასევე მოინათლნენ სხვა ტომებიც. სახელდობრ: ონგუტები, უიღურები, ნაიმანები, მერკიტები, კანგლები (Dickens, 2001:9). სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი ტომები გაერთიანდნენ XIII საუკუნის დასაწყისში ჩინგიზ ყაენის მიერ შექმნილ თურქულ - მონღოლურ კონფედერაციაში. მართალია ამ ტომებიდან ზოგიერთმა მხოლოდ ნაწილობრივ აღიარა ნესტორის მოძღვრება, თუმცა გაერთიანებულ მონღოლთა იმპერიაში მაინც საკმაოდ იგრძნობოდა ქრისტიანთა რაოდენობა. ამაზე მიუთითებს, ერთის მხრივ მუსლიმი ისტორიკოსების მხრიდან მათი მოხსენიება, მეორეს მხრივ კი ლათინი ავტორების ხაზგასმა საყაენოში ნესტორიანელთა დიდ რაოდენობაზე.

ნესტორიანელებს, ხშირ შემთხვევაში, მონღოლთა იმპერიაში მნიშვნელოვანი თანამდებობებიც ეკავათ. მაგალითად, ილხანთა სამხედრო ძალების ხელმძღვანელი აინ ჯალუთის ბრძოლაში - ნეტორიანელი კიტბუღა გახლდათ (Jackson, 2005:120).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ნესტორიანელი ქრისტიანები დიდ როლს ასრულებდნენ მონღოლთა საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებშიც. ყველაზე ნათლად ეს მოგზაური ბერის რაბან ბარ საუმას დროს გამოჩნდა. როგორც აღვნიშნეთ, მოცემული სტატიის მიზანი ზემოთ მოხსენიებული სასულიერო პირის

მოგზაურობის ერთი, შედარებით ბუნდოვანი მონაკვეთის განმარტებაა, კონკრეტულად კი იმის, თუ რატომ შეწყვიტეს მან და მისმა მოსწავლემ, მომავალმა აღმოსავლეთის ეკლესიის პატრიარქმა იაჰბალაჰა III-მ ჩინეთიდან წმინდა მიწისკენ მსვლელობა საქართველოში? ამის გაგებით შევეცდებით ვუპასუხოთ მთავარ კითხვას. კერძოდ, XIII საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში მიმდინარე რა პროცესებმა განაპირობა, რომ ქვეყნის ერთი ნაწილი ილხანთა საყაენოს აღარ ემორჩილებოდა?

სტატიის ძირითადი საკითხის განხილვამდე მოკლედ შევეხოთ ბიოგრაფიულ ცნობებს მოგზაურთა შესახებ. რაბან საუმა ხანბალიქში არისტოკრატი ქრისტიანების ოჯახში დაიბადა. მამამისი შიბანი ეკლესიის მმართველი ყოფილა. მას და მის მეუღლეს თანაცხოვრების მიუხედავად გარკვეული დროის განმავლობაში შვილი არ უჩნდებოდათ. ისინი უფალს გულმხურვალედ შესთხოვდნენ შვილის ყოლას. ღმერთმა ისმინა მათი ვედრება და აჩუქა ვაჟი, რომელსაც საუმა უწოდეს. როდესაც ბიჭმა განათლების მისაღებად შესაფერის ასაკს მიაღწია, მშობლებმა მასწავლებელი მოუძებნეს და მიაბარეს. აქედან მოყოლებული ოც წლამდე საუმა მღვდლებთან ერთად ცხოვრობდა. სწორედ ამ დროს მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება მიეტოვებინა ამქვეყნიური სიამოვნებანი და უფრო მეტი სულზე და უფალზე ეფიქრა. მან უარი თქვა როგორც ხორცზე, ასევე მომწამლავ სასმელებზე. მშობლებისთვის გულდასაწყვეტი აღმოჩნდა შვილის გადაწყვეტილება. ცდილობდნენ თავი შეეცოდებინათ, ახსენებდნენ იმას, რომ თუ იგი ბერი გახდებოდა მათი სიმდიდრე უპატრონოდ დარჩებოდა, ან უცხონი დაეუფლებოდნენ. მშობლების დასამშვიდებლად საუმამ უარი თქვა თავის გადაწყვეტილებაზე, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებით. სამი წლის შემდეგ წინააღმდეგობის მიუხედავად, მან ტონზურა შეიჭრა და ბერად აღიკვეცა, საკუთარი ქონება კი ღარიბებს დაურიგა. იგი ვენახში მუშაობდა იმ იმედით, რომ უფლის საჩუქარს მიიღებდა. მისმა ამ საქმიანობამ მხოლოდ შვიდ წელს გასტანა. მას თავისი რწმენის ასკეტიზმით განემტკიცება სურდა, ამიტომ იგი ხანბალიქიდან მთებში წავიდა, სადაც განმარტოებული ადგილი იპოვა. მისი ჭეშმარიტი

რწენისა და განდეგილობის ამბავი მალევე გახდა ცნობილი მიმდებარე ტერიტორიებზეც. ხალხი მასთან იმისთვის მოეშურებოდა, რომ მისი სიტყვები მოესმინა (Borbone, 2021:59-65). საუმას პიროვნებითა და ასკეტიზმით აღფრთოვანებულთა შორის იყო რაბან მარკოსიც. მომავალი პატრიარქი და მისი თანამგზავრი იერუსალიმისაკენ დაწყებულ მოგზაურობაში.

რაც შეეხება რაბან ბარ საუმას თანამგზავრს. მომავალი პატრიარქი მარ იაჰბალაჰა, იგივე რაბან მარკოსი 1245 წელს ქალაქ ქოშანგში დაიბადა. მართალია, მისი  ეთნიკურობა ისტორიკოსთათვის ბოლომდე ნათელი არ არის, თუმცა თანამგზავრის მიერ დაწერილი ისტორია სახელწოდებით: „ამბავი მარ იაჰბალაჰასი და ბარ საუმასი“ მწირ ბიოგრაფიულ ცნობებს მაინც იძლევა მომავალ პატრიარქზე (Borbone, 2008:222). ის ნესტორიანელი სასულიერო პირის ოჯახში დაიბადა. ბავშობიდან ძმებს შორის მარკოსი განათლების მიღების სურვილით, ღვთისმსახურებითა და ეკლსიურობით გამოირჩეოდა. იაჰბალაჰამ რთული გზა განვლო სანამ თავის სულიერ მასწავლებელ - რაბან საუმასთან მივიდოდა და მას დაემოწაფებოდა. ამ უკანასკნელმა თავიდანვე გააფრთხილა მარკოსი, რომ გზა ბერობამდე არც ისეთი მარტივი იქნებოდა. სამწლიანი ასკეტური ცხოვრების, თავდაუზოგავი შრომისა და  სწავლების შემდეგ მან ტონზურა მიიღო, რაც მის მღვდლად კურთხევას ნიშნავდა (Borbone, 2021:67).

მათ იერუსალიმში წასვლა დანაშაულებებისა და ცოდვების სრული მიტევების მოპოვებისთვის გადაწყვიტეს. ერთობლივი მოგზაურობის დაგეგმვის შემდეგ აუცილებელი იყო სახიფათო გზებზე გადაადგილებისთვის მონღოლთა უზენაესი მმართველისაგან ფირმანი, ანუ ერთგვარი საშვი მიეღოთ. ამ დროისთვის მონღოლთა უზარმაზარი იმპერია ერთიანი აღარ იყო. იგი წვრილ ნაწილებად - ულუსებად დაიშალა. მათ საზღვრებზე გადაადგილება დიდ საფრთხეებს შეიცავდა მოგზაურთათვის. პირველწყაროში გამოკვეთილია რამდენიმე მათგანი, რომელთა წინაშეც თავად ნესტორიანელი მოგზაურები აღმოჩნდნენ. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი, ხოლო უკანასკნელზე ხან-

გრძლივად შევჩერდეთ რადგან იგი საქართველოს ისტორიის ერთ, უმნიშვნელოვანეს მომენტს შეიცავს:

მოგზაურობა წმინდა მიწისკენ არამარტო დასავლელ პილიგრიმებს უჯდებოდათ ძვირი, არამედ აღმოსავლელებსაც. გარდა საკვებისა და სამოსისა, მოგზაურთათვის აუცილებელი იყო გადასაადგილებლად საჭირო პირუტყვის (ცხენი, ჯორი) გამოცვლა, ღამის გასათენებელი ადგილი და ადამიანები, რომლებსაც ეცოდინებოდათ გზა იერუსალიმისაკენ. ზემოთ ჩამოთვლილი აუცილებლობები დიდძალ ფულს მოითხოვდა, რომელიც ღარიბ, ასკეტურ ცხოვრებას მიჩვეულ ბერებს არ გააჩნდათ. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მოგზაურობის დაწყებამდე ამ საქმიანობის უცოდინარმა სასულიერო პირებმა ქონება, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებდნენ ღარიბებს დაურიგეს. ხარჯების დაფარვა საკუთარ თავზე ყუბილაი ხანმა (1259-1294) აიღო. ამ უკანასკნელმა მოგზაურ ბერებს გადასაადგილებლად პირუტყვი, ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი ქსოვილები გადასცა (Borbone, 2021:71.73).

მიუხედავად იმისა, რომ მონღოლთა გამოჩენის შემდეგ აბრეშუმის გზამ კვლავ დაიბრუნა თავისი მნიშვნელობა და მასზე აქტიურად გადაადგილდებოდნენ ვაჭრები, იგი კვლავაც სახიფათო რჩებოდა. ამის უმთავრესი მიზეზი ამ ადგილებში მოსახლეობის ნაკლებობა და გაუდაბურებული ტერიტორიები იყო, რომლის ხსენებასაც მოგზაური ბერების ბიოგრაფიაში არაერთხელ ვხვდებით. მაგალითად, ერთ ეპიზოდში ავტორი შენიშნავს: *„იქიდან მათ მიაღწიეს ხოტანს, ეს იმ ტანჯვის შემდეგ, რაც მათ გამოიარეს მშრალ სტეპებში. იქ არავინ ცხოვრობს, რადგან მწარე წყალია. ვერ ხერხდება ვერაფრის დათესვა. და იქამდე მიმავალი მთელი გზის განმავლობაში მხოლოდ რვა დღე შეიძლებოდა სასმელი წყლის მოპოვება“* (Borbone,2021:73) (Rossabi, 2010:52). ასეთი სირთულეები შორეული აზიიდან წამოსულ სასულიერო პირებს არაერთი შეხვდებოდათ. მიუხედავად ამისა, არცერთ მათგანს მათი წინსვლა იერუსალიმისაკენ არ შეუწყვიტავს.

კიდევ ერთი გასათვალისწინებელი გარემოება ის გახლდათ, რომ მონღოლთა სახელმწიფო ერთიანი აღარ იყო. გარდა

იმისა, რომ იმპერია რამდენიმე მსხვილ ნაწილად დაიშალა. ცალკეულ ერთეულებში დამაბულობა არ ნელდებოდა. სწორედ ერთ-ერთი ასეთი დაპირისპირების შესახებ გვაწვდის ცნობებს ბარ საუმასა და ბარ მარკოსის მოგზაურობა. 1269 წელს ყუბილაი ყაენს ბიძაშვილი, ხაიდუ (დაახ.1230-1301) აუჯანყდა. მათ შორის თურქესტანის გამო დაწყებული ბრძოლა ათწლეულები გაგრძელდა. 1271 წელს დიდმა ყაენმა დაპირისპირების დასასრულებლად საკუთარი ვაჟი, ნომუხანი გაგზავნა, თუმცა ეს უკანასკნელი დამარცხდა და ხაიდუმ ტყვედაც ჩაიგდო. ასეთ ვითარებაში აბრეშუმის გზაზე გადაადგილება არამარტო ვაჭრებისთვის იყო სახიფათო, არამედ ბერებისთვისაც. მართალია, შიდაარეულობამ იმპერიაში სასულიერო პირები იძულებული გახადა ექვსი თვით შეეწყვიტათ თავიანთი მოგზაურობა, მაგრამ წმინდა მიწის მოლოცვის განზრახვაზე ხელი მაინც არ აუღიათ (Borbone, 2021: 73.75) (Rossabi, 2010:55).

ზემოთ განხილული საკითხების შემდეგ გადავიდეთ იმ პრობლემაზე, რამაც სასულიერო პირების იერუსალიმისაკენ მოგზაურობა შეაფერხა. იმისთვის, რომ აღნიშნულ მონაკვეთზე საუბარი ვრცლად შევძლოთ პირველწყაროდან ციტატას სრულად მოვიხმობთ: *„...ისინი [რაბან საუმა და ბარ მარკოსი გ.ე] სხვების თანხლებით იერუსალიმისაკენ გაემართნენ. როდესაც მათ ქალაქ ანისს მიაღწიეს ისინი გაჩერდნენ და მონასტრებსა და ტაძრებს ესტუმრნენ. შენობების სილამაზითა და შთამბეჭდაობით საგონებელში ჩავარდნენ. <u>იქიდან ისინი საქართველოში შევიდნენ, სადაც გზა სავარაუდოდ უფრო მარტივი უნდა ყოფილიყო. მაგრამ მისვლის შემდეგ ხალხმა მათ შეატყობინა, რომ გზა დაკეტილი იყო მძარცველობისა და მკვლელობების გამო, რომელიც ამ ადგილას ხდებოდა</u>*“ (Borbone,2021:79). ამ მონაკვეთის გაცნობის შემდეგ გვიჩნდება ლოგიკური შეკითხვების ჯაჭვი. კერძოდ, რატომ ვერ შეძლეს სასულიერო პირებმა გზის გაგრძელება? მძარცველებისა და მკვლელობების საფრთხე ხომ მთელი გზის განმავლობაში არსებობდა? რატომ არ მოქმედებდა ილხანთა საყაენოს მიერ გაცემული ბრძანებები საქართველოში?

და რა მოვლენას შეიძლება გამოეწვია საქართველოში მძარცველებისა და მკვლელების მომრავლება?

ამ მოგზაურის შესახებ კვლევის პროცესში არაერთ სამეცნიერო ნაშრომს გავეცანით (მაგალითად, სერ ვოლის ბადჯის ნაშრომი „ჩინეთის იმპერატორის ყუბილაი ხანის ბერები“ (Budge, 1928), პიერ ჯორჯო ბორბონეს „მე-13 საუკუნის მოგზაურობა ჩინეთიდან ევროპამდე. „ამბავი მარ იაჰბალაჰასი და რაბან საუმასი“ (Borbone,2008), ვილჰელმ ბაუმის „აღმოსავლეთის ეკლესია: მოკლე ისტორია“ (Baum, 2003) და სხვა). თუმცა უმეტეს მათგანში ვერ ვნახეთ საქართველოში მოგზაურობის შეწყვეტის ახსნა. ამ მხრივ ერთ-ერთი გამონაკლისი ავსტრიელი ისტორიკოსი და თეოლოგი ვილჰელმ ბაუმია, რომელიც თავის ნაშრომში გაკვრით ახსენებს ილხანთა საყაენოს დაპირისპირებას ოქროს ურდოსთან და ამით ხსნის მოგზაურობის შეფერხებას (Baum, 2003:95). ჩვენ ვერ გავიზიარებთ მის შეხედულებას. შევეცდებით იმ მიზეზის ჩვენეულ გააზრებას, რატომაც შეუძლებელი აღმოჩნდა ბარ საუმასთვისა და რაბან მარკოსისათვის გზის გაგრძელება.

აღნიშნული მოგზაურობა დაახლოებით 1274-1277 წლებით უნდა დათარიღდეს (Baum, 2003:94). ამ პერიოდში ილხანებსა და ოქროს ურდოს შორის არსებული ურთიერთობების გაცნობის შემდეგ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ შორის აქტიურ სამხედრო დაპირისპირებას, მით უფრო საქართველოს ტერიტორიაზე, ვერ ვხვდებით (Morgan, 1995:86-91). რაშიდ ად-დინი შენიშნავდა, რომ ბერქეს სიკვდილის შემდეგ (1266) ოქროს ურდო იძულებული გახდა აბაღა ყაენთან მშვიდობა დაემყარებინა. მშვიდობა ილხანებთან, იმავე ავტორის თქმით, 1288 წლამდე შენარჩუნდა და ოქროს ურდოს თავდასხმით დაირღვა (Morgan,1995 :89). 1270-80-იან წლებში ოქროს ურდო უფრო ეგვიპტის სასულთნოს მმართველ ბეიბარსთან და მის მემკვიდრეებთან დიპლომატიური კავშირების დამყარებაზეა ორიენტირებული, ვიდრე ილხანთა წინააღმდეგ აქტიური სამხედრო კამპანიების მოწყობაზე (Morgan, 1995:89-90). აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ვილჰელმ ბაუმის მტკიცება მცდარია და ექსპედიცია იერუსალიმის მიმართულებით სხვა მიზეზით უნდა ჩაშლილიყო. ის

ფაქტი რომ ნესტორიანელი ბერები ილხანთა მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე უპრობლემოდ გადაადგილდებიან გვაფიქრებინებს, რომ მათ საყაენოს მხრიდან სრული მხარდაჭერა ჰქონდათ. ალბათ სწორედ ამიტომ აღნიშნავდა ბიოგრაფიის ავტორი, რომ მოგზაური ბერებისთვის საქართველო სავარაუდოდ უფრო მარტივი გასავლელი უნდა ყოფილიყო. მართალია, ოფიციალურად საქართველო მონღოლთა ბატონობის ქვეშაა, თუმცა, როგორც ჩანს, იგი ბოლომდე არ ემორჩილება მათ. აქ მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი ფაქტორია ის თუ კონკრეტულად რომელი ნაწილი განუდგა მონღოლებს და რატომ?

ჩვენთვის ცნობილია, რომ 1249 წელს ერთიანი საქართველო ორად გაიყო. მკვლევარმა მიხეილ ბახტაძემ საკმაოდ საფუძვლიანი ვარაუდი გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყნის გაყოფას გარდა საჭურჭლის გაყოფისა, დასავლეთ საქართველოში სახელმწიფო მმართველობის ახალი აპარატის ჩამოყალიბება მოჰყვა (ბახტაძე, 2011:46-52). ამ ყველაფერს თან საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლაც ახლდა. დავით ნარინი, რომელიც ილხანებს არ ემორჩილებოდა, ცდილობდა კავშირი ეგვიპტის სასულთნოსთან დაემყარებინა, რომელიც დასავლეთით ჰულაგუიანთა სახელმწიფოს უპირველესი მეტოქე იყო. მეორეს მხრივ, აღმოსავლეთ საქართველომ, რომელიც ილხანთა უღელქვეშ იყო მოქცეული, წმინდა მიწის განსათავისუფლებლად მათთან და ლათინებთან კავშირი აირჩია (ევანისელი, 2019:87-88). შესაძლებელია გვეფიქრა, რომ ბერებს დასავლეთ საქართველოში სწორედ ასეთი გართულებული მდგომარეობა დახვდათ, თუმცა აქ არსებობს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. კერძოდ, სასულიერო პირები მთელი მოგზაურობის განმავლობაში უკვე არსებულ და გაკვალულ, აბრეშუმის გზას მიუყვებიან. მაშინ გაუგებარია რატომ უნდა ყოფილიყო, ავტორის შენიშვნით, უსაფრთხო გზა მონღოლთა ბატონობისაგან განმდგარი დასავლეთ საქართველო, რომელზეც აბრეშუმის გზა არ გადიოდა. ამდენად მათი დასავლეთ საქართველოში გადასვლა ნაკლებ სავარაუდებელია. რჩება ორი პოლიტიკური ერთეული სამცხის საათაბაგო, რომე-

ლიც ერთიან საქართველოს 1266 წელს გამოეყო (ზახტაძე, 2008: 25), და აღმოსავლეთ საქართველო.

აღმოსავლეთ საქართველოში ამ დროს დემეტრე II მეფობდა, რომლის პოლიტიკასაც გარდაცვალებამდე მონღოლებთან დაახლოებული სადუნ მანკაბერდელი განაგებდა. ვინაიდან ეს უკანასკნელი სწორედ ილხანი ყაენების მიერ იყო დაწინაურებული წესით მის ინტერესებში არ უნდა ყოფილიყო მათ წინააღმდეგ წასვლა. თანაც ამ პერიოდში არც ქართულ პირველწყაროებში და არც სხვაგან აღმოსავლეთ საქართველოს მონღოლებთან წინააღმდეგობა არ ჩანს.

ერთადერთი პოლიტიკური ერთეული, 1266 წელს ხასინჯუდ გამოცხადებული სამცხის საათაბაგოა, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ მონღოლთა სამსახურს თავს არ არიდებდა, დროდადრო მას განუდგებოდა ხოლმე (ზახტაძე, 2008:26). აჯანყების ერთი ასეთი მაგალითი ჟამთააღმწერელსაც აქვს მოტანილი თავის აწლოვან მატიანეში. მასთან ვკითხულობთ: *„მათ ჟამთა შინა საქმისა რასათÂსმე განუდგეს თათართა სარგის და ძე მისი, ბექა...“*(ჟამთააღმწერელი, 1987:168)(ზახტაძე, 2008:26-27) ამ ციტატას მოგვიანებით კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით და უფრო ვრცლად განვიხილავთ.

ამავე ჟამთააღმწერელთან გადავაწყდით ერთ საინტერესო ცნობას, რომლითაც, ჩვენი აზრით, შესაძლებელია ის გარემოება აიხსნას, თუ რატომ შეწყვიტეს მოგზაურობა სასულიერო პირებმა საქართველოში მოსვლისას. ან რით იყო გამოწვეული მოსახლეობის მხრიდან აღნიშნული ძარცვა და მკვლელობა. როგორც ჟამთააღმწერელი იუწყება: *„შეიძრა მძაფრად ქუეყანა სამხილებელად უსჯულოებათა ჩვენთათÂს. და კუალად ხუთშაბათსა მცირედ შეიძრა და არავინ გულისÃმა-ყო, რათამცა წყალობად აღეძრა ღმერთი შემნდობელი. და ვითარ მოიწია პარასკევი ვნებისა უფლისა, კუალადცა შეიძრა ქუეყანა, დაყუდდა და არღარა იქმნა. და ვითარ მოიწია შაბათი, და იქმნა სამ ჟამად დღე და ხვალისა დღე ჯერ-იყო სიხარული აღდგომისათÂს უფლისა და ყოველნი მოელოდეს სიხარულსა, ესოდენ რისხვით მოხედნა ღმერთმან ქუეყანასა სიმრავლისათÂს უსამართლოებათა ჩუენთასა, რამ-*

*ეთუ საფუძველითურთ შეიძრა ქუეყანა"* (ჟამთააღმწერელი, 1987 :167). როგორც მოცემული ციტატიდან ჩანს, სამი მცირე ბიძგის შემდეგ საქართველოს საფუძვლიანი მიწისძვრა დაატყდა თავს. აქვე ავტორი შენიშნავს, რომ მიწისძვრამ განსაკუთრებით სამცხის რეგიონი დააზარალა: *„ესე რისხვა საშინელი სამცხესა ოდენ მოიწია, ვიდრე თÂსა ერთისა ჟამთამდე, გარნა სხუაგან არსადა ევნო. მცხეთის საყდარიცა დაიქცა, სამცხეს ურიცხÂი სული მოსწყდა, და ყოვლად საყდარი, ეკლესია და ციხე არსად დარჩა დაუქცევარი, იქმნა გლოვა და ტირილი უზომო".* (ჟამთააღმწერელი, 1987:168) ასეთ მძიმე დარტყმას ქვეყანაში უკიდურესად უნდა გაერთულებინა მდგომარეობა. მიწისძვრა სამცხეში არამარტო მრავალი ადამიანის გარდაცვალებას და ეკლესია-მონასტრებისა, თუ ციხეების ნგრევას გამოიწვევდა, არამედ სერიოზულად დააზიანებდა უბრალო ადამიანების კარ-მიდამოსაც. დატოვებდა მათ უსახლკაროდ და უშემოსავლოდ. „ღვთის რისხვა" სავარაუდოდ მოსახლეობის პანიკაში ჩავარდნასა და სამცხიდან აყრასაც შეუწყობდა ხელს, რაც კიდევ უფრო შეამცირებდა მის ეკონომიკურ საფუძველს - გადახდისუნარიან მოსახლეობასა და მუშახელს.

ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზებს, ჩვენი აზრით, ხელი უნდა შეეწყო იმისთვის, რომ ულუკმაპუროდ და უსახლკაროდ დარჩენილ მოსახლეობას ძარცვა-რბევა დაეწყო. მათ ამაში სავაჭრო გზების სამცხეში არსებობაც შეუწყობდა ხელს. დაზარალებულ ხალხს მძიმე ტვირთად უნდა დასწოლოდა მონღოლთა გადასახადები. ასევე, ამ გადასახადთა ამკრეფთა მხრიდან არცთუ ისე იშვიათად გამოვლენილი თავშეუკავებლობა. სამცხეს, გარდა იმისა, რომ იგი გადასახადს უხდიდა ილხანთა ულუსს, სამხედრო ვალდებულებაც ეკისრა. რიცხობრივად შემცირებულ ქვეყანას შესაძლოა ვერც ყაენთა მიერ მოთხოვნილი სამხედრო კონტიგენტი გამოეყვანა, რაც უკანასკნელთა უკმაყოფილებას გამოიწვევდა.

ვფიქრობთ, სწორედ ამის გამოხატულება უნდა იყოს ზემოთ ნახსენები უკმაყოფილება და აჯანყება მამა-შვილის, სარგის და ბექა ჯაყელის მხრიდან. ზემოთ მოხმობილი ციტატიდან ჩანს,

რომ ჟამთააღმწერელი სამცხის მმართველთა აჯანყების კონკრეტულ მიზეზს არ ასახელებს. იგი მხოლოდ იმას შენიშნავს, რომ „*საქმისა რასათÂსმე განუდგეს თათართა*“. კერძოდ რა საქმისთვის ამას უკვე აღარ განავრცობს. ნიშანდობლივია, რომ ასწლოვან მატიანეში ჯაყელთა აჯანყება სწორედ მიწისძვრის ეპიზოდის განხილვას მოსდევს, რაც ჩვენი ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს. მონღოლთა ძალმომრეობა და მათი მხრიდან უმძიმესი სამხედრო ვალდებულებების დაკისრება არაერთხელ გამხდარა ქართველთა აჯანყების მიზეზი[31] ვფიქრობთ ეს გამორიცხული არც ამ შემთხვევაში იქნებოდა.

მიწისძვრა საქართველოში 1275 წლის 10 აპრილს უნდა მომხდარიყო, ხოლო სარგისისა და ბექა ჯაყელის ყაენისაგან განდგომა მოგვიანებით. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა მოგზაური სასულიერო პირების მოსვლა საქართველოში. სავარაუდოდ, ისინი სომხეთის ქალაქ ანისიდან სამცხეში უნდა შემოსულიყვნენ, საიდანაც მოწისძვრის შედეგებმა გზა მათთვის სახიფათოდ აქცია. სასულიერო პირებმა კარგად უწყოდნენ, რომ მათთვის კიდევ უფრო სახიფათო სამხრეთის გზით გავლა იქნებოდა, რადგან იქ მონღოლთა არცერთი მმართველის, არც დიდი ხანის ყუბილაის და არც აბაღას, უსაფრთხოების გარანტიის სიგელი არ იმოქმედებდა. ეს ტერიტორიები დიდი ხანია ილხანთა საყაენოსა და მამლუქთა შორის გაჩაღებული დაპირისპირების ასპარეზი იყო. შესაბამისად, რაბან ბარ საუმასა და ბარ მარკოსის იერუსალიმისაკენ მოგზაურობა საქართველოში მოსვლით დასრულდა. როგორც მოხმობილი ციტატიდან ვნახეთ, ჟამთააღმწერელი მხოლოდ იმ ადამიანურ მსხვერპლზე და შენობა-ნაგებობებზე საუბრობს, რაც სამცხეში ძლიერ მიწისძვრას მოჰყვა. სამწუხაროდ, იგი არაფერს ამბობს იმაზე, თუ ამ ურიცხვი ზარალის შემდეგ რა გზებს მიმართეს ქართველებმა თავის გადასარჩენად.

მიწისძვრის შედეგებზე საუბრისას ჟამთააღმწერელი მხოლოდ პოლიტიკური შედეგის მოხმობით შემოიფარგლება, რომ-

---

[31] მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ დავით ულუს აჯანყება, რომელმაც ეგვიპტეში სალაშქროდ ჯარის გამოყვანაზე უარი თქვა და ეს მონღოლთა მოხელეების მიერ ქართველთა შევიწროვება-შეურაცხობით ახსნა (ჟამთააღმწერელი, 1987, გვ. 120-121).

ლის მიხედვითაც ჯაყელები ილხანებს განუდგნენ. ნესტორიანელი ბერების ბიოგრაფია აღნიშნულ უკმარისობის განცდას მეტ-ნაკლებად ავსებს და დამატებით გვეუბნება, რომ მიწისძვრას შედეგად სამხრეთ საქართველოში ძარცვა და მკვლელობები მოჰყვა. გარდა ამისა, პირველწყარო სამცხის განდგომის შესახებ ჟამთააღმწერელის ცნობას ამყარებს, რადგან აშკარაა ილხანების მფარველობა ბერებზე სამხრეთ საქართველოში არ მოქმედებდა.

**დასკვნა**

რაბან საუმასა და რაბან მარკოსის მოგზაურობის ანონიმი ავტორის ტექსტი მნიშნელოვანი წყაროა XIII საუკუნის 70-იანი წლების სამხრეთ საქართველოში არსებული მდგომარეობის შესასწავლად. მისი მოშველიებით ვასკვნით, რომ სამცხეში 1275 წლის მიწისძვრის შედეგად გამოწვეული სირთულეებისაგან თავის დასაღწევად ძარცვა და მკვლელობა დაწყებულა. დიდი ადამიანური მსხვერპლისა და ნგრევის შედეგად ილხანთა მორჩილება გაჭირდა, ამიტომ ჯაყელები, სარგისი და ბექა მონღოლებს განუდგნენ. აქედან გამომდინარე, აბაღა ყაენის მხარდაჭერის მიუხედავად, იერუსალიმისაკენ მიმავალმა ბერებმა საქართველოს ტერიტორიაზე გავლა ვერ შეძლეს. მიუხედავად ამისა, რაბან საუმამ 1287-88 წლებში ევროპაში იმოგზაურა. მისი ელჩობა დასავლეთში იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ ისტორიკოსი მორის როსაბი მას განვლილი გზის მიხედვით მარკო პოლოსაც კი ადარებდა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

ბახტაძე, მ. (2008). *ჯაყელთა საგვარეულოს ისტორია XI-XV საუკუნეებში.* თბილისი.

ბახტაძე, მ. (2011). *ერთიანი ქართული სამეფოს ორად გაყოფის შესახებ XIII საუკუნის შუა ხანებში. საისტორიო კრებული.* ტ. I. თბილისი.

გოგოლაძე, ა., წითლანაძე, თ., ქარჩავა, თ., სილაგაძე, ნ. (2015). *საქართველო და ჯვაროსნული აღმოსავლეთი ჟაკ დე ვიტრის ცნობების მიხედვით.* თბილისი.

ევანისელი, გ. (2019). *პაპობის აღმოსავლური პოლიტიკა და საქართველო - რომის ეკუმენური და დიპლომატიური ურთიერთობა (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები).* სამაგისტრო ნაშრომი. თბილისი.

*ჟამთააღმწერელი.* (1987). *ასწლოვანი მატიანე.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა რევაზ კიკნაძემ. თბილისი. გამომცემლობა „მერანი".

ტაბაღუა, ი. (1984). *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს).* თბილისი.

Baum, W. Winkler. D. W. (2003). *The Church of The East: A concise History*. RoutledgeCurzon. London.

Borbone, P.G. (2008). *A 13th Century Journey from China to Europe. The "Story of Mar Yahballaha and Raban Sauma."* Egitto e Vicino Oriente. XXXI.

Borbone, G. P. (2021). *History of Mar Yahballaha and Rabban Sauma*. Hamburg.

Budge, Sir E. A. Wallis. (1928). *The Monks of Kublai Khan Emperor of China*. London.

Dickens, M. (2001). *Nestorian Christianity in Central Asia.*

Jackson, P. (2014). *The Mongols and The West, 1221 – 1410.* Routledge. New York.

Foltz, R. (2010). *Religions of the Silk Road: Premodern Patterns of Globalization*. Palgrave macmillan. 2nd edition.

Morgan, D. (1995). *Mongols and Mamluks: The Mamluk-Ilkhanid War 1260-1281.* Reuven Amitai-Press.

Rossabi, M. (2010). *Voyage from Xanadu: Rabban Sauma and the first journey from China to the West.* University of California Press.

Stewart, J. (1928). *Nestorian Missionary Enterprise: The story of a church on fire*. Edinburgh. T. & T. Clark.

Vine, Aubrey R. (1937). *The Nestorian Churches: A Concise History of Nestorian Christianity in Asia from the Persian Schism to the Modern Assyrians*. London. Indipendent Press.

# Reflection of one episode of Georgian history in the 14th century Syrian chronicle – „History of Mar Yahbalaha and Bar Sauma“[32]

**Gvantsa Evaniseli**
PhD student at Ivane Javakhishvili State University
Tbilisi, Georgia, 0179. N1, Ilia Chavchavadze Ave.
+995 599 60 11 09. gvanca.evaniseli@tsu.ge
ORCID ID 0000-0002-1771-737X
DOI:https://doi.org/10.61671/hos.6.2023.7355

## Abstract

ისტორიკოსი ჯეიმს ჰანკინსი წერილს არარეალურად აღიქვამს, მაგრამ ამბობს, რომ ეს იყო ჭეშმარიტი ძალისხმევა, დაფუძნებული „დამკვიდრებულ მისიონერულ ტრადიციაზე“ (Hankins, 1995:128-130). რიჩარდ უილიამ საუზერნმა წერილს უწოდა „ხედვის მომენტი“ და მან აღნიშნა, რომ წერილი შთაგონებულია უფრო სახელმწიფოებრიობითა და ჰუმანიზმით, ვიდრე რელიგიით, და ძალიან ჰგავს გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი პაპის ვედრებას (Southern, 1962:102). ის, რომ ეს წერილი იყო იმედგადაწურული პაპის მიერ დაწერილი ბოლო ანტიოსმალური დიპლომატიური გაბრძოლება, ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად, დ. პაიჭაძემ აღნიშნა (პაიჭაძე, 1989: 74). ფრანც ბაბინგერი აღნიშნავს, რომ წერილი მართლაც დაიწერა, მაგრამ ასეთი შინაარსით ოსმალეთში გაგზავნა არ მოხერხდებოდა, ზედმეტად ფანტასტიკური იქნებოდა იმ ადრესატისთვის, რომელიც სულთნად მოსვლისთანავე ისლამის საღვთო დროშით აწარმოებდა დაპყრობებს (Babinger, 1968:6). ბაბინგერი თავის მოსაზრებას ამყარებს სულთნის მიერ, კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ, პირადად წარმოთქმული სიტყვებით „...მსოფლიოში მხოლოდ ერთი იმპერია, ერთი რწმენა და ერთი სუვერენიტეტი უნდა არსებობდეს. სტამბოლზე უფრო ღირსეული ადგილი მსოფლიოში არ არსებობს ამ ერთიანობის დასამყარებლად. ამ ქალაქის წყალობით შემიძლია ქრისტიანების მოქცევა ჩემი მმართველობის ქვეშ“ (Babinger,1951:140., İnalcık, 2019:227-228). შესაბამისად, ამ სიტყვების ავტორთან გაგზავნილი რჯულის შემცვლელი წინადადება არ იქნებოდა წარმატებული პოლიტიკის შედეგი.

უფრო განსხვავებული ვერსია აქვს რ.ჯ. მიტჩელს, რომელმაც ნამუშევარი აღწერა, როგორც უფროსი, ბრძენი და უფრო ლიბერალური ენეასის [პიუს II, გ.ა] მიერ დაწერილი, რომელიც ახლა გონიერებასა და ჰუმანისტურ დიპლომატიას მიმართავს და არა სამხედრო კონფლიქტებს (Mitchell, 1962:153-154). კენეტ სეტონმა წერილი შეაფასა, როგორც „აუხსნელი ფანტაზიის პროდუქტი“, რომლის წერის დროსაც პიუს II-ს, როგორც ჩანს, ეგონა, რომ სულთანი მეჰმედი უარს იტყოდა ისლამზე და მოექცეოდა ქრისტიანობაზე, თუ ის შეძლებდა იმის გაგებას, რომ ქრისტე იყო

ცოდვების მთავარი მიმტევებელი (Setton, 1997:233). ფრანკო გაეტაც, რომელიც აღნიშნავს წერილში არსებულ მრავალ დამაბულობას და მასსა და პიუსის სხვა წერილებს შორის ოსმალების შესახებ არსებულ უთანასწორობას, ამტკიცებს, რომ „რამდენიმე კვირის განმავლობაში, როგორც ჩანს, პიუსი მეჰმედ II-ს სხვა კუთხით ხედავდა“. ასევე, ის, წერილს პაპის „სანუკვარ ოცნებად აღიქვამდა (Gaeta, 1965:132., Bisaha, 2002:184).

ზემოთ ჩამოთვლილი ისტორიკოსების მოსაზრებებისგან განსხვავებით, მეცნიერთა გარკვეული ნაწილი, მაგალითად გეორგ ფოიგტი და ფრანკო კარდინი, ამტკიცებენ, რომ ეს წერილი სულაც არ იყო სულთანთან გაგზავნის მიზნით დაწერილი და ის ქრისტიანი მოსახლეობისთვის იყო შექმნილი, რათა ხალხი და ევროპელი მთავრები პაპს ანტიოსმალური კოალიციების შექმნის სურვილისკენ მოებრუნებინა (Bisaha, 2002:184., Фойгт, 1934:117). ფაქტია, რომ ეს ორი ავტორი არასერიოზულად აღიქვამს პიუსის მიერ დაგეგმილ ანტიოსმალურ ლაშქრობებს. იმის გათვალისწინებით, თუ რა ძალებს ფლობდნენ იმ დროის ევროპული სახელმწიფოები, განსაკუთრებით ასწლიანი ომის შემდეგ, ოსმალთა წინააღმდეგ დაგეგმილი ანტიოსმალური კოალიციები მართლაც ფუჭი ქმედება იქნებოდა. ამ დროს ოსმალეთის იმპერია, მილიტერისტული და პოლიტიკური კუთხით, ძალაუფლების ზენიტში გადადიოდა. კარდინი ასევე ვარაუდობდა, რომ პაპმა ანტიოსმალური ჯვაროსნული ლაშქრობის მოწოდებები ევროპაში პაპების ჰეგემონობის, როგორიც XI-XIII საუკუნეებში ჰქონდათ, აღდგენის გამო დაიწყო (Bisaha, 2002:184).

ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრებები ეკუთვნით დასავლელ ისტორიკოსებს. ახლა განვიხილოთ რას ფიქრობენ თურქი ისტორიკოსები ამ საკითხთან დაკავშირებით და ბოლოს შევაჯამოთ.

თურქი ისტორიკოსებიდან წერილზე ყურადღებას ვრცლად მხოლოდ რამდენიმე ამახვილებს. ჰალილ ინალჯიკი აღნიშნავს, თუ როგორ მოუხმო პაპმა სულთან მეჰმედს ქრისტიანობის მიღებისაკენ - „პიუსი ამბობს, რომ თუ ის [მეჰმედ II. გ.ა] მიიღებს ქრისტიანობას, გახდება მსოფლიოში ყველაზე

ძლიერი მმართველი კანონიერი იმპერატორის ტიტულით და [პაპი გ.ა] მიანიჭებს მას "ბერძნების იმპერატორის" [ბიზანტიის. გ.ა] ტიტულს. აღმოსავლეთი, რომელიც მას ძალით უჭირავს და უსამართლოდ იცავს, გახდება მისი კანონიერი საკუთრება და რომ ყველა ქრისტიანი მას დაექვემდებარებოდა. მან [პაპმა. გ.ა] პირობა დადო, რომ მისი პატივისცემით, ისინი აღიარებენ მას [სულთანს. გ.ა] არბიტრად, რათა დაასრულოს ბრძოლა და ბევრმა აღიაროს, დაემორჩილონ და თავის ძალაუფლება მიმართოს მათ წინააღმდეგ, ვინც რომის ეკლესიის უფლებებს ეწინააღმდეგება" (Kritovoulos, 2019:209., İnalcık, 2019:228). ჰალილ ინალჯიკს ქემალ ფაშაზადეს მიერ აღნიშნული მოვლენაც მოჰყავს იმის არგუმენტად, რომ წერილი რომც ჩასულიყო მეჰმედთან, შედეგი არ ექნებოდა - „მეჰმედ II ფათიჰმა მართლმადიდებელი პატრიარქი, სომეხი პატრიარქი და ებრაელთა მთავარი რაბინი სტამბოლში შეკრიბა და ჯერ კიდევ 1456 წლის ზაფხულში დაავალა, რომ მოემზადებინათ მსოფლიო რუკა, რომლის დასაპყრობადაც მოემზადებოდა. ფათიჰი (დამპყრობელი - ასე ეწოდა მეჰმედ II-ს კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ) თავს თვლიდა ალაჰის მახვილად და რწმენის გამავრცელებლად დედამიწაზე (İnalcık, 2019:229., Kemalpaşazâde:164). ჰალილ ინალჯიკი ასევე აღნიშნავს, რომ პიუს II-ს ჰქონდა ინფორმაცია მეჰმედის მიერ იტალიის დაპყრობის სურვილის შესახებ, რასაც აღნიშნავდა კიდეც თავის ეპისტოლეში (İnalcık, 2019:510). ფაქტია, ინალჯიკიც ისე ფიქრობს, როგორც მეცნიერთა ის ნაწილი, რომლებიც წერილის დაწერის მიზეზად პაპის გამოუვალ მდგომარეობაში ყოფნას ასახელებენ. წარმოგიდგენთ წერილის ზოგიერთი ნაწილის თარგმანს:

**ნაწილი I**

„ჩვენ გწერთ თქვენი გადარჩენის მიზნით, ალაჰის, დამპყრობლის გზაზე, თქვენი დიდებისა და პატივის მიღწევისთვის, ასევე ერებს შორის მშვიდობისთვის და კომფორტისთვის. გთხოვთ მოუსმინოთ ჩვენს სიტყვებს, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებთ.

თუ ჩვენი ნათქვამი მისაღებია, მოგიწოდებთ მიიღოთ ის; თუ არასწორი ვართ, ჩააგდეთ ცეცხლში და დაწვით. არ უარყოთ წერილი მხოლოდ იმიტომ, რომ ის მოვიდა ქრისტიანისგან, რადგან ეს წერილი მოდის იმ ქრისტიანისგან, რომელიც ყველა ქრისტიანის მეთაურია. [...] ჩვენ არ ვართ თქვენს წინააღმდეგ განწყობილი, მაგრამ ჩვენ წინააღმდეგი ვართ იმისა, რაც თქვენ გააკეთეთ. ქრისტიანობაც ეძებს ხსნის გზებს თავისი მტრებისთვის; ბერძნებს, ლათინებს, ებრაელებს და მუსლიმებს არ განასხვავებს. არ დახუჭოთ ყურები, რადგან მუჰამედის რელიგია ასევე აღიარებს იესოს დიდ წინასწარმეტყველად. იესო დაიბადა ქალწულისგან [მარიამისგან, გ.ა] და ცნობილი იყო თავისი სასწაულებით. თურქებმა და ქრისტიანებმა ჩაიდინეს ყველა სახის დანაშაული, რათა მახვილით გაემარჯვათ. თქვენც გინდათ ლათინების დაქვემდებარება. თქვენი ძალა ჩვენ შორისაა. ზოგიერთებმა შეიძლება იფიქრონ, რომ ჩვენ შორის არსებული განსხვავებულობის გამო ამ ადგილებში [ქრისტიანების ტერიტორიაზე გ.ა] შეჭრა არ გაუჭირდებათ. მაგრამ თქვენ ნამდვილად არ იცით ჩვენი რესურსები და ქრისტიანი ერის სიდიადე: თქვენ ალბათ არ იცით ესპანეთის ძალა, საფრანგეთის მეომარი სულისკვეთება, გერმანელი ერის სიდიადე, ბრიტანეთის გმირობა, პოლონეთის გამბედაობა, უნგრეთის გამძლეობა და იტალიის სიმდიდრე, ენერგია და გამოცდილება ომში. მხოლოდ უნგრეთი გაწუხებთ თქვენ და აწუხებდა თქვენს წინაპრებს დიდი ხნის განმავლობაში [...] მხოლოდ უნგრეთი გამოდის თქვენს წინააღმდეგ ოთხმოცი წლის განმავლობაში; გიფიქრიათ ოდესმე იმაზე, თუ როგორ გადარჩებოდით იტალიის, საფრანგეთისა და გერმანიის დიდი არმიისა და რესურსების წინაშე?

მანამდე იმპერატორმა იუსტინიანემ (527-565) ბელისარიუსი მცირე ძალით გაგზავნა იტალიაში და მის იმპერიას რომი და იტალია შეუერთა ალპებამდე; იუსტინიანეზე ნაკლები არ ხარ. ფრთხილად იყავით, ზოგიერთმა მოსაუბრემ, ბევრმა ავადმყოფმა აქ [იტალიაში, გ.ა] თუ საზღვარგარეთ შეიძლება მოგატყუოთ; რადგან მმართველები უსმენენ მათზე დიდების ნათქვამებს... მართალია იუსტინიანე ბატონობდა საბერძნეთსა და აზიაში, მან

ვერ დაიპყრო იტალია, მან მხოლოდ განდევნა იქიდან შემოჭრილი ბარბაროსი გოთები. რომის იმპერიის სიყვარული ჯერ კიდევ თბილია იტალიელების გონებაში და არავინ ეთანხმება ბელისარიუსის უცხო უღელის ქვეშ დაქვემდებარებას. ბელისარიუსმა არ დაუბრუნა იტალიელებს თავისუფლება, იტალიელებმა თვითონ მოიპოვეს საკუთარი თავისუფლება.

თქვენმა წინაპრებმა არც იტალია შეამჩნიეს და არც დაიპყრეს. თქვენ არ გაქვთ უფლება იტალიაზე გაბატონდეთ. თუ დაჟინებით მოითხოვთ იტალიაში შეჭრას, შეხვდებით საბრძოლველად გამზადებულ ხალხს. დღეს, ვინც ადრე მართავდა, ვერ დაიმორჩილებთ იმას. დღეს მთელი იტალია ცხენოსანი ჯარისკაცებითაა სავსე და ფული არ აკლია [...] აქ საქმე ხმლით წყდება. თქვენ შეხვდებით მამაც ჯავშნიან კაცებს ცხენზე ამხედრებულებს.

მეორეს მხრივ, [იტალიაში, გ.ა] სახელმწიფოებს შორის განსხვავებები თქვენთვის სასარგებლოა. მაგრამ თუ ქრისტიანული სამყაროს გულს მიუახლოვდებით, ყველა ქრისტიანს თქვენს წინაშე გაერთიანებულს ნახავთ, შემოსევის შემთხვევაში ყველა ქრისტიანი დაივიწყებს მტრობას ერთმანეთთან და გაერთიანდება საერთო მტრის [ოსმალების, გ.ა] წინააღმდეგ. შესაძლებელია, თუმცა რთულია, მთელი ქრისტიანული სამყარო შეიკრიბოს თქვენი თავდასხმის მოსაგერიებლად.

თქვენს სასახლეში არიან ადამიანები, რომლებმაც იმოგზაურეს იტალიაში და იხილეს ჩვენი ძალა, შეგიძლიათ მათ ჰკითხოთ და შეადაროთ თქვენი რესურსები იტალიის რესურსებს. შეიძლება იყვნენ ისეთებიც, ვინც იტყვის, რომ ჩვენს შორის მიმდინარე ომები გაგიადვილებთ იტალიაში შემოსვლას; მაგრამ აქ ვერ იპოვით ისეთ ადამიანს, რომელსაც სურს არაქრისტიანის ქვეშევრდომობა. ყველა მზადაა მოკვდეს ქრისტიანული რელიგიისთვის. თქვენ ვერ ნახავთ აქ რას აკეთებდნენ თქვენი წინაპრები ბერძნებთან, რომელთა ორი მხარეც ერთმანეთს დაუპირისპირდა ძალაუფლებისთვის ბრძოლაში, თურქები ხან ერთს ეხმარებოდნენ ხან მეორეს, ბოლოს ორივე მხარე გამოფიტული იყო, საბოლოოდ თურქებმა ორივე მხარე დაიკავეს და მათი მმა-

რთველობის ქვეშ შეიყვანეს. იტალიაში სახელმწიფოები ასე არ არიან, ზოგი მონარქიულია, ზოგი რესპუბლიკაა. მაგალითად, ვენეციის რესპუბლიკა გონებრივად და ფინანსურად ძლიერია და ქრისტიანულ რელიგიას ემორჩილება.

ჩვენ გვჯერა, რომ იმის ნაცვლად, რომ რელიგიის [ქრისტიანობის, გ.ა] მტრები იტალიაში შევიდნენ, ისინი სიკვდილს აირჩევენ. მეზობლებიც რომ არ დაეხმარონ, მხოლოდ ვენეციას შეუძლია ამის თავიდან აცილება, რადგან ის ძალიან ძლიერია ზღვაზე და ხმელეთზე. ან გაქვთ რაიმე წარმოდგენა ფლორენციის ქრისტიანული რელიგიის დიდებულების, ძალაუფლების, სიმდიდრისა და ერთგულების შესახებ? გჯერათ, რომ ეს ქალაქი იტალიის კარების გაღების საშუალებას მისცემს სხვა რელიგიის წარმომადგენლებს?

ამ ქვეყანაში [იტალიაში, გ.ა] არის სხვა დიდი ქალაქებიც, ბევრი ცნობილი ადამიანი და დიდი ლიდერი. მხოლოდ სიცილიის სამეფო აღვნიშნოთ, თუმცა, ამჟამად, იქ ორი მეფე ომობს, არცერთ მათგანს არ სურს თქვენი დახმარებით გამარჯვების მიღწევა, ამ შემთხვევაში ისინი მზად არიან დაკარგონ სამეფო. თუ რომელიმე მათგანი თქვენთან გამოიქცევა, იტალიის მთელ მმართველებს შეეზიზღებათ. რაც შეეხება მილანის ჰერცოგს, მისი ჯარი შესანიშნავია, მეფეთა ტოლფასი.“

**ნაწილი II**

„თუ, იმის გამო, რომ თქვენ უკვე დაიქვემდებარეთ მრავალი ქრისტიანული თემი, გჯერათ, რომ დანარჩენებიც იგივეს გააკეთებენ და დაგნებდებიან, ცდებით. ის ქრისტიანები, რომლებმაც მორჩილება გამოგიცხადეს, არიან ბიბლიის ჭეშმარიტებას მოკლებული. ბერძნებმაც კი არ მიიღეს, თავის დროზე, ფლორენციის საბჭოს გადაწყვეტილებები (1439), ისინი ცუდ გზას დაადგენენ. შესაძლოა, რამდენიმე მმართველი უხალისოდ გემორჩილებოდეთ სასოწარკვეთილების გამო. იტალიის ძლევამოსილი ქრისტიანული ქალაქები არასოდეს მოიდრეკენ ქედს თქვენი ჯარების წინაშე. ცოტა ხნის წინ ბელგრადში იმ რამდენიმე ადამიანმა, რომლებსაც მკერდზე ჯვრები ჰქონდათ გამოსახული, თქვენი ჯარები არ დააჩოქეს? (აქ საუბარია 1456 წელს ნანდორფეჰ-

ერვართან ოსმალთა დამარცხება და ქალაქ ბელგრადის გადარჩენა., გ.ა).

ამიტომ მივედით მთავარ აზრამდე, რომელმაც გვაიძულა მოგვეწერა ეს წერილი, კერძოდ, თუ როგორ შეგიძლიათ უზრუნველყოთ თქვენი დიდება და პატივი და თქვენი ხსნა შემდგომ ცხოვრებაში; ამისათვის ყურადღებით გაეცანით ქვემოთ მოცემულ რამდენიმე საკითხს. თუ გსურთ ქრისტიანებზე თქვენი ავტორიტეტი დაამყაროთ და თქვენი სახელი რაც შეიძლება ცნობილი გახადოთ, არ გჭირდებათ ფული, იარაღი, ჯარები ან საზღვაო ძალები. პატარა რამეს შეუძლია დღეს ყველაზე ძლევამოსილ და ცნობილ ადამიანად გაქციოთ. ეს არის ნათლობა რამდენიმე წვეთი წმინდა წყლით; ეს საკმარისია იმისთვის, რომ მიგიყვანოთ ქრისტიანულ ლოცვებთან და ბიბლიურ რწმენამდე. თუ ამას მიიღებთ, მსოფლიოში არ იარსებებს სხვა მმართველი, რომელიც შენს პატივსა და ძალაუფლებას გადააჭარბებს. ჩვენ გაღიარებთ ბერძნების და აღმოსავლეთის [ბიზანტიის, გ.ა] მმართველად. თქვენ სამართლიანად განაგრძობთ იმის ფლობას, რაც ამჟამად გაქვთ ძალით და უსამართლოდ.

**ნაწილი III**

[...] თუ მიიღებ ქრისტიანობას, ყველა ეს საპირისპირო ქცევა დასრულდება და საყოველთაო მშვიდობა დამყარდება, რატომ გეშინია, რატომ ერიდები ნათლობას?

შენს სასახლეში თურქები შეგაშინებენ, იტყვიან, „თურქმა სარწმუნოება რომ მიატოვოს, თურქი აღარ არის, ყველაფერს დაკარგავ და მარტო იქნებიო“. მაგრამ იქნებიან ისეთები, ვინც დაგიჭერენ მხარს, რადგან შენს სამსახურში მყოფთაგან ბევრი ქრისტიანი დაიბადება მომავალში... მათ [სულთნის კარს და ოსმალო მოსახლეობას, გ.ა] არ სძულთ ქრისტიანები, ისინი პირადად თქვენი ერთგულები არიან. შთააგონეთ ეს ყოველივე ჯარს და პროვინციების მეთაურებს და ყველაფერი მზად არის გადაწყვეტილების მისაღებად. როდესაც ბერძენი და სომეხი მოქალაქეები დაინახავენ, რომ მათი რელიგია მიიღეთ, ისინი უფრო დიდი იმედით დაელოდებიან და გადარჩებიან გადასახა-

დებისგან და ჩაგვრისგან, რომელსაც ყოველდღიურად აწყდებიან.

თუ ქრისტიანი გახდები, კონსტანტინე დიდის (რომის იმპერატორი 306-337 წლებში., გ.ა) მაგალითზე, ყველაფერი დიადი გელოდება წინ. თქვენთან ერთად მოინათლებიან სხვა თურქებიც. ეს უფრო დიდი საქმე იქნება, ვიდრე ნებისმიერი სხვა განაჩენი. ერები ყოველთვის შეგაქებენ ბერძნულ, ლათინურ და ბარბაროსულ ენებზე. არც ერთი მოკვდავი არ იქნება შენზე მაღლა პატივითა და ძალით. შენი ამჟამინდელი ძალა და დიდება დროებითია... ყველაფერი ამქვეყნად დროებითია" (İnalcık, 2019:751-761., Baca, 1990:115-212).

უნდა აღვნიშნოთ, რომ პაპის მიერ დაწერილი ზემოთ წარმოდგენილი წერილი, კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ პიუს II იყო „დიპლომატი პაპი". ის, გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი, მთელი ძალებით და არგუმენტებით ცდილობდა მეჰმედ II-ის გაქრისტიანებას. პაპი სულთანს თან მოუწოდებს ქრისტიანობის მიღებისკენ და თან აშინებს ვენეციისა და ფლორენციის ძალების წინააღმდეგობით, თუ ის იტალიაზე გაილაშქრებს. ვენეციას აქამდეც ჰქონდა ომი ოსმალეთთან (1422-1430 წლებში), შესაბამისად, დიდი ალბათობით, იტალიის დასაცავად მომავალშიც გამოვიდოდა. რაც შეეხება ფლორენციას, შეიძლება პაპი ფიქრობდა ამ რესპუბლიკის ოსმალეთთან მომავალ კომფლიქტებზე, მაგრამ ფლორენციელები, კერძოდ ამ უკანასკნელთა უგვირგვინო მეფეები – მედიჩები, დადებითად იყვნენ განწყობილნი ოსმალეთის მიმართ. ისტორიკოსი მიქაილ აჯიპინარი საკუთარ მონოგრაფიაში აღნიშნავს, რომ 1460 წლისთვის ფლორენციელთა რაოდენობა და საქმიანობა ოსმალეთში საგრძნობლად იყო გაზრდილი. მაგალითად, ამ დროისთვის ფლორენციელმა ვაჭარმზვერავმა ბენედეტო დეიმ (1418-1492) საკმარისი ნდობა მოიპოვა ოსმალეთის ადმინისტრაციასთან და დიდ ვეზირ მაჰმუდ ფაშასთან (1456-1468/1472-1474), მასთან სულთანი აუდიენციასაც მართავდა (ACIPINAR, 2016: 36). ვენეციისა და ფლორენციის გარდა წერილში დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებიც არის მოხსენიებული, მაგრამ პიუსი მათ ძალებს ზედმეტად აბუქებს.

ფაქტია, ყველანაირად ცდილობს პაპი, რომ სულთანს შიში და გამოუვალი მდგომარეობა არ დაანახოს და რამდენჯერმე იმეორებს იტალიის ქალაქ-სახელმწიფოების მიერ ქრისტიანობისადმი დამოკიდებულებას და მათ ბრძოლისუნარიანობას. საინტერესოა წერილში კონსტანტინე I-ის გაქრისტიანების არგუმენტის მოყვანა, რომელიც 337 წელს, იმპერატორის გარდაცვალებამდე შედგა. იმპერატორი კონსტანტინე, მიუხედავად ქრისტიანებისადმი დადებითი დამოკიდებულებისა და რეფორმებისა, სიკვდილის ბოლომდე, სანამ მოინათლებოდა, წარმართი იყო. მაგრამ ბოლოს, როგორც ვახსენეთ, მაინც მოინათლა და აღმოსავლეთსა და დასავლეთში „დიდის“ სახელით მოიხსენიებდნენ. აღმოსავლეთ ქრისტიანულმა ეკლესიამ წმინდანადაც შერაცხა (ხუბაშვილი, 2016:150-151). პიუსი სულთანს აფრთხილებს იმ წინააღმდეგობებზეც, რომლებიც შეიძლება ოსმალეთში მოღვაწე მუსლიმებისგან ან მოქალაქეებისგან შეხვდეს, თუ ის ისლამს დაგმობს და ქრისტიანობას მიიღებს.

**შედეგი**

სამწუხაროა, რომ ჩვენ არ ვიცით და არ გაგვაჩნია იმისი ზუსტი საბუთი, ჩააღწია თუ არა წერილმა სულთნამდე. არც ის ვიცით, თუ ჩააღწია და წაიკითხა ამ უკანასკნელმა, რა პასუხი დაუბრუნა პაპას. მაგრამ, იმ პერიოდის დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მდგომარეობის გათვალისწინებით, ასევე პაპის მდგომარეობიდან გამომდინარე, გამოვიტანეთ შემდეგი დასკვნები. დავიწყოთ იმით, რომ ზემოთ განხილული ისტორიკოსთა აღნიშვნებიდან არ ვიზიარებთ იმ მკვლევართა მოსაზრებებს, რომლებიც წერილ მოიაზრებენ, როგორც მიზეზად ევროპელი მონარქებისა და მოსახლეობის ანტიოსმალურ კოალიციაში ჩაბმისა. როდესაც წერილს ვეცნობოდი, გამიჩნდა გარკვეული კითხვები, რომლებზე პასუხის გაცემაც, ვფიქრობ, შევძელი. თუ პაპი ამ წერილს იმიტომ აქვეყნებდა, რომ ევროპელები მოეტრიალებინა ოსმალთა წინააღმდეგ კოალიციების ჩამოყალიბების სურვილისკენ, რაში დასჭირდა მას იმ ქვეყნების სიძლიერის ჩამოთვლა, რომლებიც იმ დროს დასუსტებული იყვნენ და ეს, თვითონ ევროპელ მმართველებსაც კარგად მოეხსენებოდათ. ასევე, ფაქ-

ტია, რომ პაპმა არ იცის ფლორენციის დამოკიდებულების შესახებ ოსმალეთთან და ყოველგვარი ეჭვის გარეშე იტალიის დამცველად აცხადებს. თანაც, წერილი რელიგიის შეცვლისაკენ მოუწოდებს ქრისტიანებისთვის, იმ დროს, ყველაზე დაუძინებელ მტერს. დასუსტებული ევროპელი მონარქები ანტიოსმალურ კოალიციაში გაერთიანების ნაცვლად, სიამოვნებით დაელოდებოდნენ სულთნის მიერ რელიგიის შეცვლის ამბავს, რაც, რა თქმა უნდა, არასდროს მომხდარა. პირიქით, სულ უფრო მეტად აძლიერებდნენ ისლამის მსოფლიოზე გავრცელების იდეას და 1517 წლიდან, ეგვიპტელი მამლუქების დამორჩილების შემდეგ, ოსმალო სულთნები ხალიფას ტიტულსაც ატარებდნენ.

რაც შეეხება ქრისტიანობის მიღებისკენ მოწოდებებს, იმდენად დიდი სურვილით და მყარი არგუმენტებით ცდილობს პაპი მეჰმედ II-ის დარწმუნებას, რომ შეუძლებლად მიმაჩნია დიპლომატი პიუს II-სგან ამ წერილის მხოლოდ ევროპელი მონარქებისთვის დაწერის მიზანი. დარწმუნებული ვარ, რომ პიუსმაც კარგად იცოდა, თუ რა ძალებს ფლობდნენ ევროპული სახელმწიფოები ასწლიანი ომის შემდეგ. თანაც, დიპლომატი ადამიანისგან, რომელიც გამოუვალ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი მანტუას წარუმატებელი კონგრესის შემდეგ, რა გასაკვირია, რომ სულთანთან ეს წერილი მართლაც გაეგზავნა. დარწმუნებული ვარ, მან წინასწარ იცოდა მეჰემდის პასუხი ამ წერილზე, მაგრამ ეს იყო მისი მხრიდან ბოლო მცდელობა, რომ კონსტანტინოპოლი და აღმოსავლეთის ეკლესია პაპის ძალაუფლებისთვის დაექვემდებარებინა.

წინადებარე სტატიაში, შეძლებისდაგავრად, განხილულია ყველა ის ძირითადი ლიტერატურა და წყარო, რომლებმაც გარკვეულ დასკვნებამდე მიმიყვანა. ეს სტატატია არ აცხადებს პრეტენზიას ტექსტის საბოლოო და ამომწურავ დასკვნაზე. როგორც მეცნიერებში ინტერესის გამომწვევი საკითხი, შესაძლოა მას მომავალშიც მიექცეს ყურადღება და ახალი წყაროებისა და ლიტერატურის გამოჩენის შემდეგ კიდევ უფრო შეივსოს ახალი მასალებით.

**დასკვნის** სახით რამდენიმე შედეგს დავასახელებ, რომელიც რეალურად მიმაჩნია:

1. პიუს II-მ იცოდა, რომ კონსტანტინოპოლის შემდეგ ოსმალთა ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ქალაქი რომი იყო;
2. პაპმა თავისი წერილი გამოუვალი მდგომარეობის და ჩავარდნილი ანტიოსმალური კოალიციის გამო დაწერა, რაც მისი ბოლო დიდი მცდელობა იყო მეჰმედ II-ის იტალიაში ლაშქრობის შესაჩერებლად;
3. წერილი ჩავიდა სტამბოლში და ის სულთანმა წაიკითხა, რის შედეგადაც ოსმალებმა იტალიის დაპყრობისთვის აქტიურად დაიწყეს მზადება. 1463 წელს ვენეციასთან დაიწყო ომი, ხოლო მთლიანი იტალიის დაპყრობის მიზნით ექსპედიცია 1480-1481 წლებში მიმდინარეობდა, რაც, სულთან მეჰმედ II-ის მკვლელობის მიზეზით, წარუმატებლად დასრულდა.

## გამოყენებული ლიტერატურა:


ალასანია, გ. (2014). *საქართველო და პოლონეთი ანტიოსმალურ კოალიციებში.*, აღმოსავლეთმცოდნეობა, აპოლონ სილაგაძის რედაქციით, N3. თბილისი.

კვაჭაძე, ბ. (2019). *ენეა სილვიო პიკოლომინი და ანტიოსმალური რაიხსტაგები (XV ს. 50-იანი წლები),* ელდარ მამისთვალიშვილი - 80, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მახარაძე, მ. (2003). *XV საუკუნის ანტიოსმალური კოალიციები.* ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია.

მახარაძე, მ. (2005). *საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობები XV საუკუნეში.* თბილისი.

მახარაძე, მ., შაშიკაძე, ზ. (2021). *ლალა მუსტაფა ფაშას ვაყუფ-ნამეები საქართველოს შესახებ.* თბილისი.

პაიჭაძე, დ. (1989). *ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო XV საუკუნის 60-იან წლებში.* თბილისი.

სვანიძე, მ (2007). *თურქეთის ისტორია.* თბილისი.
ხუბაშვილი, ი. (2004). *ვენეციისა და ფლორენციის დიპლომატია XIII-XV საუკუნეებში.* თბილისი.
ხუბაშვილი, ი. (2004). *რომის პონტიფიქსები და მათი ეპოქა*, ტ. I. თბილისი.
Babinger, Franz. (1951). *Mehmed II der Eroberer und Italien,* Byzantion, XXI.
Babinger, Franz. (1968). *Pio II e l'Oriente maomettano,* Siena.
Babinger, Franz. (1978). *Mehmed the Conqueror and His Time.* Princeton University Press.
Baca, Albert R. (1990). *Epistola ad Mahomatem II,* ed and trans. A. Baca, New York.
Bisaha, Nancy. (2002). *Pope Pius II's Letter to Sultan Mehmed II: a Reexamination.* Crusades, Volume 1, Edited by Benjamin Z. Kedar and Jonathan S.C. Riley-Smith with Helen J. Nicholson. London.
Bisaha, Nancy. (2013). *Works on Christian-Muslim Relations Letter to Mehmed II*, Christian-Muslim Relations A Bibliographical History, Volume 5 (1350-1500), Edited by David Thomas and Alex Mallett with Juan Pedro Monferrer Sala, Johannes Pahlitzsch, Mark Swanson, Herman Teule, John Tolan. Leiden • Boston.
Epistle to Mohmammed II.(1990). ed and trans. A. Baca, New York.
Epistola ad Mahumetem. (2001). ed. and (German) trans. R. Glei and M. Köhler, Trier.
Franco, Gaeta. (1965). *Sulla «Lettera a Maometto» di Pio II,* Bulletino dell'Istituto storico italiano per il medioevo e archivio muratoriano 77.
Fine, John V. A. (1994). *The Late Medieval Balkans: A Critical Survey from the Late Twelfth Century to the Ottoman Conquest,* University of Michigan Press.
Housley, Norman. (1992). *The Later Crusades 1274-1580,* Oxford University Press.
Histoire Des Papes. (1842). T. VI, Paris.

Hankins, James. (1995). *Renaissance Crusaders: Humanist Crusade Literature in the Age of Mehmed II,* Dumbarton Oaks Papers 49.

İnalcık, Halil. (2019). *Fâtih Sultan Mehemmed Han*, Türkiye İş Bankası Kültür Yayınları, İstanbul.

Kinross, Lord. (1979). *The Ottoman Centuries. The Rise and Fall of the Turkish Empire.* New-York.

Kritovoulos. (2019). *History of Mehmed the Conqueror,* Translated by Charles T. Riggs, Princeton University Press.

Mitchell, R. J. (1962). *The laurels and the tiara. Pope Pius II, 1458-1464,* Harvill Press.

ACIPINAR, Mikail. (2016). *Osmanli Imparatorlugu ve Floransa: Akdeniz'de Diplomasi, Ticaret ve Korsanlik 1453-1599.* Turk Tarih Kurumu Yayinlari, Ankara.

Setton, Kenneth M. (1997). *The Papacy and the Levant (1204-1571), The Fifteenth Century. v. II,* Philadelphia.

Southern, R. W. (1962). *Western Views of Islam in the Middle Ages.* Cambridge.

Tansel, Selahattin. (2014). *Osmanlı Kaynaklarına Göre Fatih Sultan Mehmed'in Siyasi ve Askeri Faaliyeti.* Türk Tarih Kurumu Yayınları.

Izbicki, Thomas M., Christianson, Gerald and Krey, Philip (2006). *Reject Aeneas, Accept Pius. Selected Letters of Aeneas Sylvius Piccolomini (Pope Pius II).* Washington.

Zinkeisen, Johann Wilhelm. (2011). *Osmanlı İmparatorluğu Tarihi (1453-1574),* c. 2., Istanbul.

Фойгт, Г. (1934). *Возрождение классической древности или первый век гуманизма:* Том 1.

# From the History of Diplomatic Relations between Pope Pius II and Mehmed II – "Epistola ad Mahometum" (1461)

**George Akhalkatsishvili**
Historyan / Orientalist, Ivane Javakhishvili
Tbilisi State University, Tbilisi, Ilia Chavchavadze
Avenue №1, 0179, Georgia, +995599872431,
Georgeakhalkatsishvili@yahoo.com
Orcid.org. 0000-0003-4011-0450
DOI:https://doi.org/10.61671/hos.6.2023.7356

**Abstract**

The history of Papal diplomatic engagements with the Ottoman Empire, particularly the efforts of Pope Pius II (born Enea Silvio Piccolomini, (1405-1464) to form anti-Ottoman coalitions and to reclaim Constantinople for the Christian world, is not unfamiliar in Georgian historiography. We possess studies by historians such as I. Khubashvili, M. Makharadze, D. Paichadze, and B. Kvachadze. However, there is still ongoing debate about whether there was a real correspondence between the Pope and Sultan Mehmed II (1444-1446)/(1451-1481) in 1461. There are different opinions among scholars regarding this issue.

Pius II, known in history as the "Diplomat Pope," distinguished himself with efforts to form anti-Ottoman coalitions and to reclaim Constantinople from Ottoman control. Within a year of his papal consecration in 1459, he convened a congress of European rulers in the city of Mantua (Northern Italy) to lay the foundations for a crusade against the Ottomans. This attempt by the Pope ended in failure because the European states, weakened by the Hundred Years' War (1337-1453), were not able to unite against the then formidable

Ottoman army. Since Pius's carefully planned anti-Ottoman campaign did not materialize and all hopes were lost, the last of his diplomatic efforts was to send a letter to Sultan Mehmed II, which we will examine in this work.

My interest in this topic was sparked by the introduction of new European and Middle Eastern sources, which, after analysis, I believe, will allow me to draw certain conclusions regarding the Papal Letter of 1461.

**Keywords:** Ottoman Empire in the 15th century; Pope Pius II; Papal relations with the Ottoman Empire; Sultan Mehmed II; Letter of Pius II.

**Methodology**

The previous article critically analyzed the diplomatic relations between Pope Pius II and Sultan Mehmed II of the Ottoman Empire in the 15th century. The work focuses primarily on the letter from 1461, – Epistola ad Mahumetem, – which was authored by the Pope and addressed to the Sultan.

**Discussion**

In the 14th and 15th centuries, under the directive of the Roman Popes, active efforts were underway to form anti-Ottoman coalitions and to organize united Christian armies against the Ottomans. The capture of Constantinople in 1453 marked the end of Byzantium and the rise of a powerful Ottoman Empire, which firmly established itself on the European continent and posed a threat to the Near East and Christian states, particularly the Catholic world. As historian Norman Housley conveys, the fall of Constantinople was as traumatic for the European countries as the fall of Acre in 1291 and the loss of the Crusader states in the Holy Land (Housley, 1992: 99; Kvachadze, 2019: 404). From this point on, the foreign policy of the Roman Popes took on a new direction with Res Orientalis, – the Eastern Question, around which Europe united.

Even before the fall of Constantinople, the Ottomans' successful expansionist policy in the Balkans and Eastern Europe alarmed Europe. The Popes called for the creation of anti-Ottoman European united forces. In decisive battles near Kosovo in 1389, at Nicopolis in 1396, and at Varna in 1444, the Christian forces were defeated. The Byzantine Empire fell into the hands of the Ottoman domains. At the Council of Ferrara-Florence (1438-1439); (1443-1445), which was also attended by a Georgian delegation, the Byzantine Emperor John VIII (1425-1448) and the Patriarch of Constantinople Joseph II (1416-1439) signed the Union with the hope that the Latin-Christian world would offer them armed support against the Ottomans and they recognized the Pope's primacy. The Emperor's brother Constantine also attended the council, who would later become Emperor Constantine XI (1449-1453). Pope Eugenius IV (1431-1447), among other pressing matters of the day, also set forth the idea of forming an anti-Ottoman coalition and proclaimed a Crusade against the Ottoman Empire. However, this idea did not come to fruition, and on May 29, 1453, with the fall of Byzantium, Europe was faced with a dire reality. After the capture of Constantinople, the Popes primarily called upon European monarchs to join anti-Ottoman coalitions in the desire to reclaim the city for the Christian world, but to no avail. Pope Nicholas V (born Tommaso Parentucelli, (1447-1455) responded quickly and decided to recapture the newly conquered city for Christendom. On September 30, 1453, he declared a Crusade against the Ottomans (Khubashvili, 2004; 128). Silvio Piccolomini, the future Pope Pius II and then Bishop of Siena, wrote to Nicholas V: "To the shame of the poor Christian world, I no longer wish to live; now we see one of the two lungs of Christianity has collapsed. We are the mourners of the fallen Empire of the East (Rome); now that Mohammed reigns within us, the Turks are upon us... The only recourse for us now is to organize a great Crusade, to recover Constantinople" (Setton, 1997:162). Pope Eugenius IV (1431-1447) was instrumental in promoting the idea of an anti-Ottoman coalition alongside other significant matters of his day, calling for a Crusade against the Ottomans. Yet, this initiative was not sustained,

and with the fall of Byzantium on May 29, 1453, Europe faced a grave reality. Following the capture of Constantinople, the Popes, primarily motivated by a desire to reclaim the city's Christian heritage, unsuccessfully urged European monarchs to join anti-Ottoman coalitions. After the death of Eugenius IV, Pope Callixtus III (1455-1458) ascended to the Holy See and was largely preoccupied with anti-Ottoman policies. In 1455, he issued a papal bull and sent his legates throughout Europe (Khubashvili, 2004:129), and envoys were dispatched to Persia and Georgia in 1456. The planned Crusade, launched by sea and land in 1456, did not materialize (Khubashvili, 2004:129). As I have noted, Western European states were reluctant to engage in large-scale campaigns against the Ottomans, as they were economically, agrarianly, and militarily weakened by the Hundred Years' War, particularly the Kingdom of France, which preferred negotiations and alliances with the Sultan, a strategy that would prove successful later in 1536.

Primarily, it was Albania, Wallachia, and Hungary that were on the forefront against the

Ottoman advances. Particularly aggressive Ottoman expansions were taking place on Hungarian territories. The Hungarian regent-governor John Hunyadi (1406-1456) achieved a significant victory against the Ottomans in 1456 at the Siege of Nándorfehérvár (Belgrade), delaying the Ottoman capture of Belgrade's fortress by half a century (Babinger, 1978;139., Alasania, 2014:178).

Pope Callixtus III passed away in 1458, and on August 19 of the same year, the humanist and scholar Pius II (born Enea Silvio Piccolomini, 1458-1464) ascended to the Papal throne, later known in history as "the Diplomat Pope." Pius II was one of the most outspoken crusading Popes of all time. Even before his elevation to the Church’s highest office, he enthusiastically supported the Crusading forces against the Ottomans and authored works on the subject (Bisaha, 2002; 183). Pius II inherited from Callixtus III a fleet of 16 galleys and 115,000 (some sources say 150,000) ducats to be used in the campaign against the Ottomans (Paichadze, 1989: 58., Makharadze, 2005: 32-33).

Like his predecessor, Pius II prioritized the formation of an anti-Ottoman coalition on his daily agenda. However, European countries did not seriously consider the creation of a new united army to confront the Ottomans. Pius II, “among the most committed of crusading Popes,” convened a Congress of European rulers on June 1, 1459, in the city of Mantua (Northern Italy, Lombardy region), to establish an army that would uplift the Cross and challenge the Ottoman half-moon. The Pope arrived in Mantua on May 27, 1460, and opened the Congress (Makharadze, 2005:33). There he addressed the assembled: “Princes, who among you will become the leader of this holy war, to restore Christianity in the East, let him stand up!” (Alasania, 2014: 179). No one responded to his call, to which the Pope replied: “Then all of you are cowards! In that case, I myself will take the lead in the Crusade: I will hold the holy banner in one hand and the Cross of Christ in the other, and I will lead the legions forward. If my frailty does not mar victory, my blood will at least appease God’s wrath against the armies” (Histoire des Papes, 1842:254., Khubashvili, 2004: 134., Alasania, 2014: 180). Pius II’s plans met with failure at the Congress of Mantua. Before leaving Mantua (January 19, 1460), he published the bull – Execrabilis – which condemned all appeals made to the Congress, declaring the process canonically contemptible (Setton, 1997:214). Johann Wilhelm Zinkeisen in his monograph presents us with a report translated from Latin to Turkish by Gobelinus Persona, which Pius had presented during the Congress of Mantua: "We have called upon European monarchs and people to exchange ideas and understand the goals of Christianity. We came here full of hope. But we have seen with sorrow how empty these hopes were. We are ashamed that Christians are so faint-hearted; some are joyful, some are disgusted. Turks are ready to die for their faith which should be condemned; we, on the other hand, cannot bear the slightest expense or insignificant effort for Jesus and the Holy Gospel. If we continue like this, woe unto us; if we do not change, we will soon be destroyed. May God change the mind of Christian kings and enlighten the hearts of the faithful, so that they finally take up arms

and seek revenge for the dishonour Turks bring upon our religion every day" (Zinkeisen, 2011:185).

When Pope Pius II unsuccessfully summoned European monarchs to Mantua for a Crusade to the East, Mehmed II was preoccupied with subduing the entirety of Serbia, particularly with the capture of the well-fortified fortress of Smederevo. By the end of 1459, Smederevo, along with all of Serbia, had fallen into Ottoman hands (Tansel, 2014). Pius II placed great hopes on Holy Roman Emperor Frederick III (1452-1493) and the rulers of the East: the last Emperor of Trebizond, David IV Komnenos (1459-1461), King George VIII of Georgia (1446-1466; King of Kakheti - 1466-1476), and Uzun Hassan of the White Sheep Turkmens (1453-1478). Aware of Pius II's strong desire to include Uzun Hassan and David IV Komnenos (who were related by marriage, as Uzun Hassan's wife was the daughter of the Emperor of Trebizond) in an anti-Ottoman coalition, the Pope sent envoy Ludovico da Bologna to the East, who had been conducting negotiations with Eastern countries since the time of Pope Callixtus III. Ludovico da Bologna was to present European battle plans to the aforementioned Eastern rulers as part of the coalition (Makharadze, Shashikadze, 2021:24). In 1460, Bologna returned to Europe from the East, bringing with him five envoys – two from the Kingdom of Georgia (one from King George VIII, another from the ruler of Samtskhe, Qvarqvare), one from the state of the White Sheep Turkmens, and one from the Empire of Trebizond (Paichadze, 1989: 89). The delegation travelled first through Hungary, then, in October, to the Holy Roman Empire and arrived in Rome on December 20, holding an audience with the Pope on December 26 (Makharadze, Shashikadze, 2021:25). Despite immense efforts and attempts, the initiative to form a coalition once again ended in failure.

During the period when Pius II was engrossed in establishing a coalition against the Ottomans and strengthening ties with the East, Mehmed II's political manoeuvres increasingly thwarted the realization of Christian plans. The Sultan was well aware that the West was placing its greatest hopes on the Empire of Trebizond, which

prompted him to decide on its conquest (Makharadze, 2005:33). In 1461, with a fleet of up to two hundred biremes and triremes [galleys] and ten warships [galleons] (Georgica, Vol.VIII, 1970:29), preparations were initiated in the spring to subjugate Trebizond. Before reaching Trebizond, Mehmed decided to move against the White Sheep Turkmens, a decision that did not result in a favourable outcome for Uzun Hassan, who then prepared his army for defence and appealed to the ruler of the Karamanid beylik, which also did not bear fruit (Makharadze, 2005:33-34). Mehmed II launched an assault on the fortress of Yoros and after three days of siege, it succumbed, leading Uzun Hassan's mother to appear in the Sultan's court with precious gifts, setting conditions that the White Sheep Turkmens would not aid Trebizond (Svanidze, 2007:61-62). The Ottoman military, initially planning to march towards Erzurum, changed its course to Trebizond after the engagement with Uzun Hassan, and on August 15th, Emperor David IV Komnenos personally surrendered the keys of the city to the Sultan, thereby granting the Ottomans full control over Trebizond (Makharadze, 2005:34., Kinross, 1979:129). In 1463, the discredited David, along with his six sons and brother, was executed (Svanidze, 2007:65).

The passive response from the rulers of Western Europe, along with Mehmed II's victories in Serbia, Morea, against the White Sheep Turkmens, and in Trebizond, as well as internal strife within the Kingdom of Georgia, rendered the idea of forming an anti-Ottoman coalition increasingly unrealistic. Pius II, having seen his hopes for a successful coalition dashed, turned to an unusual diplomatic approach, sending an extraordinary letter – Epistola ad Mahomatem – to Sultan Mehmed II. There are two complete translations of the Latin letter, or the original: 1. a German translation by R. Glei and M. Kohler (Epistola ad Mahumetem, 2001); 2. an English translation by Albert R. Baca (Epistle to Mohammed II, 1990).

The letter Pius II penned to Mehmed II in 1461 appeared to be an attempt by the Pope to convert Mehmed to Christianity. In return, Pius offered peace between the Ottomans and Christians, the Pope's

blessing, and support for Mehmed as a legitimate Christian ruler in the eyes of the West, as well as future support in his endeavors. The Pope wrote to the Sultan: "Mehmed, if you were enlightened, we would appeal to your terrible sword and direct it against those who threaten our homeland. Just as our predecessors, Stephen, Adrian, and Leo called upon Pepin (King of the Franks, 751-768) and Charlemagne (King of the Franks and Emperor, 768-814), and granted them the crowns of kings and emperors for destroying the enemies of the Church, we too would act in kind and crown you the greatest king in the world in return for your service" (Histoire Des Papes, 1842:263., Khubashvili, 2004:139).

Nancy Bisaha raises an intriguing question – was the letter sincerely written as an appeal for Mehmed II's conversion to Christianity, or was it a political ploy couched in the language of the day? The letter is quite lengthy, divided into fifty-nine sections, and contains arguments from doctrine, scripture, history, classical literature, and political reasoning (Bisaha, 2002:183). We have translated and presented only a portion of it here. Historians who assert that the letter never reached its intended recipient primarily base their argument on the lack of any record of its delivery to Istanbul, especially any evidence that Mehmed received it. However, the letter did exist, as Christians living in Europe, where it circulated widely, read it. Furthermore, Pope Pius II does not mention the letter reaching its addressee in his other writings (Bisaha, 2002:183). Some scholars believe the letter did reach the Sultan, suggesting a shift by Pius II from a militant stance to one of assuming the role of God's peace broker (Bisaha, 2002:183).

Historian James Hankins views the letter as somewhat unrealistic but acknowledges it as a genuine effort, grounded in “established missionary traditions” (Hankins, 1995:128-130). Richard William Southern referred to the letter as a “moment of vision” and noted that it was inspired more by statecraft and humanism than by religion, resembling the appeals of a pope caught in an impossible situation (Southern, 1962:102). The notion that this letter was the last anti-

Ottoman diplomatic struggle written by a despondent pope was first pointed out in Georgian historiography by D. Paichadze (Paichadze, 1989:74). Franz Babinger suggested that while the letter was indeed written, sending such a document with its content to the Ottoman Empire would have been impractical and overly fantastical for a recipient who flaunted the Islamic sacred standard in conquests immediately upon his accession to the sultanate (Babinger, 1968;6). Babinger bases his opinion on the Sultan's own words, proclaimed after the conquest of Constantinople: "...there should be only one empire, one faith, and one sovereignty in the world. No place in the world is better suited than Istanbul to be the center of this unity. By virtue of this city, I can rule the Christians under my authority..." (Babinger,1951:140., İnalcık,2019:227-228). Therefore, a counterproposal sent to the author of these words would not have been a successful political strategy.

R.J. Mitchell provides a different perspective, describing the work as that of the older, wiser, and more liberal Aeneas [Pius II, n.b]. who now addresses reason and humanist diplomacy rather than military conflicts (Mitchell, 1962:153-154). Kenneth Setton considered the letter to be a "product of inexplicable fantasy," suggesting that Pius II, it seems, thought Sultan Mehmed II would renounce Islam and embrace Christianity if he could be made to understand that Christ was the principal intercessor for sins (Setton, 1997:233). Franco Gaeta, who notes the tensions in the letter and the inconsistencies between it and other letters of Pius II regarding the Ottomans, supports the idea that "for several weeks, it seems, Pius saw Mehmed II in a different light". Also, he refers to the letter as the pope's "cherished dream" (Gaeta, 1965:132., Bisaha, 2002:184).

In contrast to the views of the historians mentioned above, some scholars, such as Georg Voigt and Franco Cardini, assert that this letter was never intended to be sent to Sultan Mehmed II and was instead created for the Christian populace to rally the people and European rulers around the Pope's desire to form an anti-Ottoman coalition (Bisaha, 2002:184; Voigt, 1934:117). Indeed, considering the

power of European states at the time, especially after the Hundred Years' War, any planned anti-Ottoman coalitions would have been truly quixotic actions. At this time, the Ottoman Empire was reaching its zenith militarily and politically. Cardini also speculated that the Pope's calls for a crusade in Europe were attempts to restore the papal hegemony that existed during the 11th to 13th centuries (Bisaha, 2002:184).

These interpretations belong to Western historians. Now, let's consider what Turkish historians think about this matter and then summarize.

Turkish historians pay attention to the letter only briefly. Halil İnalcık notes how the Pope called on Sultan Mehmed II to embrace Christianity - "Pius states that if he [Mehmed II, n.b.] accepts Christianity, he will become the most powerful ruler in the world with the title of canonical Emperor, and [the Pope] will grant him the title of 'Emperor of the Greeks' [of Byzantium]. The East, which he holds by force and unjustly, will become his lawful possession, and all Christians will submit to him. He [the Pope] laid down the condition that by his [the Sultan's] honour, they would recognize him [the Sultan] as arbitrator to end the war, and many would acknowledge, submit to, and direct their power against those who oppose the rights of the Church of Rome" (Kritovoulos, 2019:209., İnalcık, 2019:228). Halil İnalcık, referring to an event mentioned by Kemalpaşazâde, uses it as an argument that even if the letter reached Mehmed, it would not have had an effect - "Mehmed II the Conqueror gathered the respected Patriarch of Constantinople, the Armenian Patriarch, and the Chief Rabbi in Istanbul and as early as the summer of 1456, he ordered them to prepare a world map for an intended conquest. The Conqueror (the title Mehmed II was given after the conquest of Constantinople) considered himself as the sword of Allah and the spreader of faith on earth" (İnalcık, 2019:229., Kemalpaşazâde; 164). İnalcık also notes that Pius II had information about Mehmed's desire to conquer Italy, which he also mentions in his epistles (İnalcık, 2019:510). İnalcık, like that section of scholars, thinks that the reason for writing the letter

was the Pope's desperate situation. Let's present the translation of some parts of the letter:

**Part I**

"We write to you with the purpose of your salvation, on the path of Allah, the Conqueror, for the achievement of your glory and honour, as well as for peace and comfort among nations. We ask you to listen to our words before you make a decision.

If our message is acceptable, we urge you to accept it; if we are incorrect, throw it into the fire and burn it. Do not reject this letter simply because it comes from a Christian, for this letter comes from the head of all Christians... We are not against you, but we are against what you have done. Christianity also seeks salvation for its enemies; it does not differentiate between Greeks, Latins, Jews, and Muslims. Do not close your ears, because the religion of Muhammad also recognizes Jesus as a great prophet. Jesus was born of a virgin [Mary] and was known for his miracles. Turks and Christians have committed all kinds of sins to prevail by the sword. You also desire the submission of the Latins. Your strength is among us. Some might think that because of the differences between us, it will be easy for you to invade these places [Christian territories]. But truly, you do not know our resources and the strength of the Christian nation: perhaps you are unaware of the power of Spain, the warlike spirit of France, the might of the German nation, the valor of Britain, the defiance of Poland, the resilience of Hungary, and the wealth, energy, and war experience of Italy. Only Hungary has troubled you and your predecessors for many years... Only Hungary has stood against you for seventy years; have you ever thought about how you would survive in the face of the great armies and resources of Italy, France, and Germany?

The Emperor Justinian previously sent Belisarius with a small force to Italy and united Rome and Italy to the Alps; you are no less than Justinian. Be cautious, some envoys and many sick people here [in Italy] or abroad might deceive you; because rulers listen to those who speak of greatness... It is true that Justinian ruled over Greece and Asia, but he could not conquer Italy, he only expelled the barbarous

Goths who had invaded. The love for the Roman Empire is still warm in the minds of the Italians, and nobody agrees to be subjugated under the foreign yoke of Belisarius. Belisarius did not restore freedom to the Italians, they secured their own freedom.

Your predecessors neither noticed Italy nor conquered it. You have no right to rule over Italy. If you demand an invasion of Italy with audacity, you will meet people prepared for battle. Today, those who previously ruled cannot subjugate what is there now. Today, all of Italy is full of armoured horsemen and does not lack money... Here the matter is settled by the sword. You will meet robust men, armoured on horseback.

On the other hand, the differences between [Italian] states are advantageous to you. But if you approach the heart of the Christian world, you will find all Christians united before you, ready to unite in case of an invasion, forgetting enmity with one another and uniting against a common enemy [the Ottomans]. It is possible, though difficult, for the entire Christian world to gather to resist your assault.

There are people in your household who have travelled to Italy and have seen our strength. You can ask them and compare your resources to those of Italy. There may also be those who say that our ongoing wars will facilitate your entry into Italy, but here you will not find anyone who wants to be dominated by a non-Christian. Everyone is ready to die for the Christian religion. You will not see here what your predecessors did with the Greeks, where both sides opposed each other for power, the Turks sometimes supporting one, sometimes the other, and finally both were exhausted, and in the end, the Turks seized both sides and brought them under their rule. In Italy, the states are not so, some are monarchies, some are republics. For instance, the Republic of Venice is mentally and financially strong and obeys the Christian religion.

We believe that instead of the enemies of religion [Christianity] entering Italy, they would choose death. Even if the neighbours do not help, only Venice is capable of avoiding this by itself, for it is very strong on the sea and on land. Or do you have any conception of the

greatness, power, wealth, and unity of the Christian religion in Florence? Do you believe that this city can provide a gateway for representatives of another religion to enter Italy?

In this country [Italy], there are other great cities, many notable people, and great leaders. Let's just mention the Kingdom of Sicily, but at present, there are two kings warring there, neither of whom desires to win with your help, in which case they are ready to lose the kingdom. If either of them turns to you, all the rulers of Italy will be outraged. As for the Duke of Milan, his army is remarkable - a match for kings."

**Part II**

"If you believe that because you have already subjected many Christian territories, the rest will also yield and surrender to you, you are mistaken. Those Christians who have submitted to you are truncated from the truth of the Bible. Even the Greeks did not accept, at their time, the decisions of the Council of Florence (1439), and they set themselves on the wrong path. It is possible that some rulers might heedlessly submit to you for the sake of temporary benefits. Strong Christian cities in Italy will never bow their heads before your armies. Didn't a few men with crosses on their chests in Belgrade stand against your forces? (This refers to the Ottoman defeat and the defence of the city of Belgrade in 1456).

Therefore, we come to the main reason that compelled us to write this letter, specifically, how you can ensure your glory and honour and your salvation in the afterlife; For this, please pay attention to the following issues: If you wish to establish your authority over the Christians and make your name as renowned as possible, you do not need money, weapons, armies, or naval forces. A small thing can make you the most powerful and famous person today. It is baptism with a few drops of holy water; this is enough to lead you to Christian prayers and biblical faith. If you accept this, there will be no other ruler in the world who will surpass your honour and authority. We will acknowledge you as the ruler of the Greeks and the

East [Byzantium]. You will justly continue to possess what you currently hold by force and unjustly.

**Part III**

"[...] If you embrace Christianity, all these conflicts will come to an end and a universal peace will be established. Why do you fear it? why do you avoid baptism?

Yes, the Turks in your household may scare you, saying, 'If a Turk abandons his faith, he is no longer a Turk, he loses everything and will be alone.' However, there will be those who will support you, for many Christians will emerge in your service in the future... They [the Sultan's court and the Ottoman population] do not despise Christians; they are personally loyal to you. Consider all this; rally your armies and provincial leaders, and all is ready for making a decision. When the Greek and Armenian subjects see that you have adopted their religion, they will wait with greater hope and will be saved from the taxes and oppressions they encounter daily.

If you become a Christian, following the example of Constantine the Great (Roman Emperor from 306-337), everything grand awaits you ahead. Other Turks will be enlightened by you. This will be a greater deed than any other victory. Nations will always praise you in Greek, Latin, and barbarous tongues. No one dying will have more honour or power over you. Your current power and glory are transient... Everything in this world is transient" (İnalcık, 2019:751-761).

It should be noted that the letter written by the Pope once again confirms that Pius II was a "diplomatic Pope". In a desperate situation, he used all his powers and arguments to try to Christianize Mehmed II. The Pope calls upon the Sultan to embrace Christianity while also fearing the power of Venice and Florence should he overstep in Italy. Venice had previously been at war with the Ottomans (1422 -1430), and accordingly, it would likely come out to defend Italy in the future. As for Florence, it is possible that the Pope considered the future conflicts of this republic with the Ottomans, but the Florentines, especially the ruling Medici – the unofficial dukes – were positively

inclined towards the Ottomans. The historian Michael Ajipinar notes in his monograph that by 1460 the presence and activity of Florentines in the Ottoman Empire had significantly increased. For instance, the Florentine merchant Benedetto Dei (1418-1492) had gained enough trust with the Ottoman administration and with the Grand Vizier Mahmud Pasha (1456-1468 / 1472-1474) to be granted audiences with the Sultan (ACIPINAR, 2016:36).

Apart from Venice and Florence, the letter also refers to other Western European powers, but Pius seems to overestimate their capabilities. The Pope is trying in every way not to show the Sultan any sign of weakness or desperation and repeatedly emphasizes the commitment of the Italian city-states to Christianity and their readiness for battle. Interestingly, the letter brings up the argument of the Christianization of Constantine I, which took place in 337, just before the emperor's death. Despite Constantine's positive disposition and reforms towards Christians, he remained a pagan until the end of his life, finally converting to Christianity on his deathbed and being remembered as "the Great" in both the East and the West. The Eastern Christian Church even sanctified him (Khubashvili, 2016:150-151). Pius warns the Sultan of the potential opposition he might face from Muslims or subjects within the Ottoman Empire if he renounces Islam and accepts Christianity.

**Results**

It is regrettable that we do not possess concrete evidence as to whether the letter reached Sultan Mehmed II, nor do we know if he read it or what response he may have returned to the Pope. However, considering the state of Western European powers at the time, as well as the Pope's own precarious situation following the unsuccessful Congress of Mantua, we can draw certain conclusions. From the historical notes discussed above, we do not share the view of some researchers who consider the letter's writing merely as a means to incite European monarchs and populations into an anti-Ottoman coalition. While examining the letter, I developed certain questions, which I believe I have managed to answer. If the Pope publicized this

letter to rally Europeans against the Ottomans, why did he need to enumerate the strengths of nations that were, at the time, weakened and whose leaders were fully aware of their own limitations? Moreover, the fact that the Pope seemed unaware of Florence's dependency on the Ottomans, unequivocally declaring Italy's defence without any doubt, is significant. Furthermore, the letter calls for a religious conversion that was the most ardent enemy at that time, suggesting that weakened European monarchs, instead of uniting in an anti-Ottoman coalition, were more content to hear news of the Sultan's conversion to Christianity – which, of course, never happened. Instead, they further embraced the spread of Islam across the world, and after the subjugation of the Egyptian Mamluks in 1517, the Ottoman Sultans also carried the title of Caliph.

As for the calls to embrace Christianity, the Pope tries to persuade Mehmed II with such great eagerness and solid arguments that it seems highly unlikely that the letter from diplomat Pius II was meant only for European monarchs. I am confident that Pius was well aware of the strength of European states after a century-long war. And from a diplomat who was in a hopeless situation following the unsuccessful Congress of Mantua, it is not surprising that the letter was indeed sent to the Sultan. I believe he knew in advance what Mehmed's response to the letter might be, but it represented his ultimate attempt to bring Constantinople and the Eastern Church under papal dominion.

In the preliminary article, the main literature and sources were discussed as comprehensively as possible, leading to certain conclusions. The article does not claim to provide the final and exhaustive conclusion to the text. As an engaging topic in academia, it may well attract further attention in the future, and the narrative may be expanded with the discovery of new sources and literature.

In summary, several outcomes seem evident:

1. Pius II knew that after the fall of Constantinople, Rome was one of the next principal targets for the Ottomans.

2. The Pope composed his letter in a desperate situation and as a reaction to the disintegration of an anti-Ottoman coalition, making it his last grand attempt to prevent Mehmed II from launching an invasion into Italy.

3. The letter reached Istanbul and was indeed read by the Sultan, which resulted in the Ottomans actively starting preparations for an invasion of Italy. A war with Venice began in 1463, and a full-scale expedition aiming for the conquest of all of Italy took place between 1480-1481, which, due to Mehmed II's assassination, ended unsuccessfully.

**Referances:**


Alasania, G. (2014). *Georgia and Poland in anti-Ottoman coalitions* (Sakartvelo da P̓oloneti Ant̓iosmalur K̓oalitsiebSi). Oriental Studies, edited by Apollon Silagadze, N3. Tbilisi (in Georgian).

Kvachadze, B. (2019). *Enea Silvio Piccolomini and the Anti-Ottoman Reichstags (50s of the 15th century) (Enea Silvio P̓ik̓olomini da Ant̓iosmaluri Raikhstagebi (XV s. 50-iani Ts̓lebi).* Eldar Mamis-tvalishvili - 80, Gori State University (in Georgian).

Makharadze, M. (2003). *Fifteenth Century Anti-Ottoman Coalitions (XV sauk̓unis Ant̓iosmaluri K̓oalitsiebi).* Dissertation submitted for obtaining the scientific degree of candidate of historical sciences (in Georgian).

Makharadze, M. (2005). *Georgian-Ottoman relations in the 15th century (SakarTvelo-Osmaletis Urtiertobebi XV sauk̓uneshi).* Tbilisi (in Georgian).

Makharadze, M., Shashikadze, Z. (2021). *Lala Mustafa Pasha's Vakif-Names on Georgia (Lala Must̓afa Fashas Vaquf-Nameebi Sakartvelos Shesakheb).* Tbilisi (in Georgian).

Paichadze, D. (1989). *The Anti-Ottoman Coalition of European Countries and Georgia in the 60s of the 15th century (Evrop̓is Kveqnebis Ant̓iosmaluri K̓oalitsia da Sakartvelo XV Sauk̓unis 60-ian Ts̓lebshi).* Tbilisi (in Georgian).

Svanidze, M. (2007). *History of Turkey (Turketis Ist̓oria).* Tbilisi (in Georgian).

Khubashvili, I. (2004). *Diplomacy of Venice and Florence in the XIII-XV centuries. (Venetsiisa da Florentsiis Dip̓lomat̓ia XIII-XV Sauk̓uneebshi).* Tbilisi (in Georgian).

Khubashvili, I. (2004). *The Roman Pontiffs and Their Epoch (Romis P̓ont̓ifiksebi da Mati Ep̓oka).* Vol. I. Tbilisi (in Georgian).

Babinger, Franz (1951). *Mehmed II der Eroberer und Italien,* Byzantion, XXI.

Babinger, Franz (1968). *Pio II e l'Oriente maomettano,* Siena.

Babinger, Franz (1978). *Mehmed the Conqueror and His Time.* Princeton University Press.

Baca, Albert R. (1990). *Epistola ad Mahomatem II,* ed and trans. A. Baca, New York.

Bisaha, Nancy (2002). *Pope Pius II's Letter to Sultan Mehmed II: a Reexamination.* Crusades, Volume 1, Edited by Benjamin Z. Kedar and Jonathan S.C. Riley-Smith with Helen J. Nicholson. London.

Bisaha, Nancy (2013). *Works on Christian-Muslim Relations Letter to Mehmed II,* Christian-Muslim Relations A Bibliographical History, Volume 5 (1350-1500), Edited by David Thomas and Alex Mallett with Juan Pedro Monferrer Sala, Johannes Pahlitzsch, Mark Swanson, Herman Teule, John Tolan. Leiden Boston.

Epistle to Mohmammed II (1990). ed and trans. A. Baca, New York.

Epistola ad Mahumetem (2001), ed. and (German) trans. R. Glei and M. Köhler, Trier.

Franco Gaeta (1965). *Sulla «Lettera a Maometto» di Pio II,* Bulletino dell'Istituto storico italiano per il medioevo e archivio muratoriano 77.

Fine, John V. A. (1994). *The Late Medieval Balkans: A Critical Survey from the Late Twelfth Century to the Ottoman Conquest,* University of Michigan Press.

Housley, Norman (1992). *The Later Crusades 1274-1580,* Oxford University Press.

Histoire Des Papes (1842). T. VI, Paris.

Hankins, James (1995). *Renaissance Crusaders: Humanist Crusade Literature in the Age of Mehmed II,* Dumbarton Oaks Papers 49.

İnalcık, Halil (2019). *Fâtih Sultan Mehemmed Han*, Türkiye İş Bankası Cultural Publications, İstanbul.

Kinross, Lord (1979). *The Ottoman Centuries. The Rise and Fall of the Turkish Empire.* New-York.

Kritovoulos, (2019). *History of Mehmed the Conqueror,* Translated by Charles T. Riggs, Princeton University Press.

Mitchell, R. J. (1962). *The laurels and the tiara. Pope Pius II, 1458-1464,* Harvill Press.

ACIPINAR, Mikail (2016), *The Ottoman Empire and Florence: Diplomacy, Trade and Piracy in the Mediterranean 1453-1599.* Turk Tarih Kurumu Yayinlari, Ankara (In Turkish).

Setton, Kenneth M. (1997). *The Papacy and the Levant (1204-1571), The Fifteenth Century. v. II,* Philadelphia.

Southern, R. W. (1962). *Western Views of Islam in the Middle Ages.* Cambridge.

Tansel, Selahattin (2014). *Political and Military Activities of Sultan Mehmed the Conqueror According to Ottoman Sources.* Türk Tarih Kurumu Publications (in Turkish).

Izbicki, Thomas M., Christianson, Gerald and Krey, Philip (2006). *Reject Aeneas, Accept Pius. Selected Letters of Aeneas Sylvius Piccolomini (Pope Pius II).* Washington.

Zinkeisen, Johann Wilhelm (2011), *History of Ottoman Empire (1453-1574),* vol. 2., Istanbul (in Turkish).

Voigt, G. (1934) *Revival of classical antiquity or the first century of humanism*: Vol. 1. (in Russian).

# ქურთოლოგია: მიღწევები და პრობლემები საქართველოს მაგალითზე

**ბუხუტი სიჭინავა**
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი,
მეცნიერ-მკვლევარი, საერთაშორისო პოლიტიკის
კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი.
ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას I კვტ.
კორპ. N13, 0177, საქართველო. +995599119050.
bukhuti.sitchinava@ciprf.ge
ORCID: 0000-0003-1006-3323
DOI:https://doi.org/10.61671/hos.6.2023.7357

## აბსტრაქტი

ქურთოლოგიას, როგორც დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინას, მრავალწლიანი ისტორია აქვს, რასაც სხვადასხვა პერიოდში მრავალი მეცნიერისა თუ მკვლევრის მიერ შექმნილი არაერთი სამეცნიერო ნაშრომის არსებობა ადასტურებს. ქართული ქურთოლოგია, რომელსაც აგრეთვე მრავალწლიანი ტრადიცია აქვს, სათავეს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდიდან იღებს. სწორედ ამ პერიოდში სხვადასხვა ავტორების მიერ შეიქმნა არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ გამორჩეული ადგილი უჭირავს ალბერტ მენთეშაშვილის შრომებს, რომელმაც ქურთოლოგია ახალ საფეხურზე აიყვანა. მის მიერ შექმნილი მონოგრაფიული გამოკვლევები და ცალკეული სამეცნიერო სტატიები დღემდე იკავებს გამორჩეულ ადგილს ქურთულ კვლევებში.

წინამდებარე სტატია, ერთი მხრივ, წარმოადგენს ერთგვარ მცდელობას წარმოაჩინოს ქურთოლოოგის მიმართულებით დაგროვებული ცოდნა საბჭოთა საქართველოს პერიოდში, ხოლო, მეორე მხრივ, თემატიკით დაინტერესებულ პირებს გააცნოს ქურთების საკითხის შესწავლით დაკავებული მეცნიერ-მკვლე-

ვრები და მათი სამეცნიერო ნაშრომის შედეგები, ასევე თანამე-დროვე საქართველოში ქურთოლოგიის წინაშე არსებული პრო-ბლემები და გამოწვევები. წინამდებარე სტატიის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქარ-თველოში თანამედროვე ქურთული კვლევები არ შემოიფარგ-ლება მხოლოდ ქურთი ხალხის ისტორიის, კულტურის, ენის ან რელიგიის საკითხების შესწავლით, რასაც 2020 და 2023 წელს დაცული დისერტაციები ადასტურებს, სადაც სადისერტაციო ნაშრომის ავტორები ქურთების საკითხს პოლიტიკურ და სამა-რთლებრივ პრიზმაში განიხილავენ. აღნიშნული ფაქტი მიანიშნ-ებს იმაზე, რომ საქართველოში ქურთულმა კვლევებმა ახალი სამეცნიერო არეალის ათვისება დაიწყო და ამით მანამდე არსე-ბული ინტერდისციპლინური მიდგომის მასშტაბი კიდევ უფრო გააფართოვა.

**საძიებო სიტყვები:** ქურთოლოგია; ქურთმცოდენობა; ქურთული კვლევები; ქურთების საკითხი; აღმოსავლეთმცოდნეობა.

**შესავალი**

ქურთოლოგია, იგივე ქურთმცოდენობა (Kurdology, Kurdish Studies), ისევე როგორც თურქოლოგია, არაბისტიკა და ირანი-სტიკა, აღმოსავლეთმცოდნეობის დამოუკიდებელი დარგია და იგი იკვლევს და შეისწავლის ქურთი ხალხის ისტორიას, კულტ-ურას, ენას, პოლიტიკას, საზოგადოებას და მრავალ სხვა მიმართ-ულებას. განსხვავებით ზემოხსენებული აღმოსავლეთმცოდნეო-ბის სხვა დამოუკიდებელი დარგებისგან, უნდა აღინიშნოს, რომ ქურთოლოგია შედარებით ახალი მიმართულებაა. ადრინდელი ცნობები ქურთი ხალხის ისტორიის, კულტურის და მათი სოც-იალური ურთიერთობების შესახებ ძირითადად თურქეთის, ირანის, ერაყის და სირიის შესახებ მიძღვნილ სამეცნიერო შრომებში იყო თავმოყრილი, რადგანაც ქურთების და ქურთი-სტანის მეცნიერული შესწავლა საწყის ეტაპზე დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევით მიმართულებას არ წარმოადგენდა.

ქურთოლოგია, როგორც აკადემიური დისციპლინა, ჩამოყალიბდა რუსეთის იმპერიის ფარგლებში, ხოლო მოგვიანებით საბჭოთა კავშირის პერიოდში მან დიდი განვითარება პოვა. სტატიის ფარგლებში მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ სამეცნიერო და აკადემიური ტრადიცია, რაც ქურთმცოდნეობის ისტორიის ადრეულ წლებში არსებობდა რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირში. კვლევის პროცესში გამოყენებულია ლალი უთარაშვილის სამეცნიერო სტატია, რომელიც ქურთმცოდნეობის განვითარებისა და მისი მიმართულებების შესახებ კვლევას ეძღვნება, სადაც ავტორი მიმოიხილავს იმ წინარე პერიოდს, რამაც საფუძველი ჩაუყარა ქურთული კვლევების ტრადიციას. აგრეთვე სტატიაში იგი განიხილავს საბჭოთა საქართველოში ქურთმცოდნეობის მიმართულებით მოღვაწე მკვლევრებს და მათ მიერ ქურთების პრობლემატიკასთან დაკავშირებულ შექმნილ სამეცნიერო შრომებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანი კონტრიბუცია აღმოჩნდა ხანა ომარხალის (Khanna Omarkhali) და ნოდარ მოსაკის (Nadar Mosaki) ერთობლივი სამეცნიერო სტატია, რომელიც ქურთოლოოგის რუსულ სკოლის ისტორიას ეძღვნება. მათ ნაშრომში მიმოხილულია ქურთული კვლევების მიმართულებების შესახებ, ასევე მეცნიერ-მკვლევართა შექმნილი სამცენიერო შრომების მოკლე ლიტერატურული მიმოხილვა. საინტერესოა აგრეთვე ქურთული კვლევების და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის სპეციალისტის საშა ალსანჯაქლის (Sacha Alsancakli) ავტორობით შექმნილი სტატია, სადაც ავტორი ქურთული კვლევების ადრეული ისტორიის შესახებ სიღრმისეულად მოგვითხრობს.

წინამდებარე სტატიის მიზანია წარმოაჩინოს ქურთოლოგიის მნიშვნელობა და ღირებულება, აგრეთვე წარმოაჩინოს ქართული ქურთმცოდენობის ბოლო პერიოდის მიღწევები და მკითხველს გააცნოს ქურთების თემატიკაზე მომუშავე მეცნიერ-მკვლევართა სამეცნიერო ნაშრომები. სტატია გაცნობითი და ინფორმაციული ხასიათისაა და იგი ერთგვარად აჯამებს ქურთოლოგიის მიმართულებით თანამედროვე პერიოდამდე დაგროვებულ ცოდნას.

**მეთოდი**

წინამდებარე სტატია ეფუძნება სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებში აპრობირებულ კვლევის მეთოდებს. ნაშრომში გამოყენებულია ისეთი მეთოდები, როგორიცაა ისტორიული ანალიზი, შედარებითი ანალიზი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა და დისკურსის ანალიზი. სტატიის ფარგლებში განხორციელდა საბიბლიოთეკო კვლევა-ძიება, რაც მიზნად ისახავდა საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა პერიოდში შექმნილი სამეცნიერო ნაშრომების (მონოგრაფიები, დისერტაციები, სტატიები) ერთიან ველში თავმოყრას. კვლევის პროცესში აგრეთვე გამოყენებულია სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემთა ურთიერთშეჯერების მეთოდიც.

**შედეგები**

1991 წელს „აზიისა და აფრიკის ქვეყნების აქტუალურ პრობლემებში" გამოქვეყნდა ლალი უთარაშვილის სამეცნიერო სტატია სახელწოდებით „ქურთმცოდნეობის განვითარებისა და მიმართულებათა შესახებ", რომლითაც ავტორმა ერთგვარად შეაჯამა ქურთმცოდნეობის შესახებ იმ პერიოდში არსებული მდგომარეობა. მას შემდეგ მსგავსი ტიპის კვლევა ქურთმცოდნეობის შესახებ არ განხორციელებულა. წინამდებარე სტატიის ერთ-ერთი შედეგიც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოაჩენს ბოლო პერიოდში მიღწეულ შედეგებს, ასევე ქურთების საკითხზე მომუშავე მეცნიერ-მკვლევრებს.

სტატიის ფარგლებში განხორციელებული კვლევა ცხადყოფს, რომ საქართველოში ქურთული კვლევების ადრინდელი ტრადიცია კვლავ გრძელდება, ქურთოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი დარგის ინტეგრაცია და ინსტიტუციონალიზაცია უმაღლეს სასწავლებელში დღემდე ვერ ხერხდება.

სხვადასხვა ავტორების მიერ შექმნილი არაერთი სამეცნიერო ნაშრომების შესწავლის და მათზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ შემდეგი ტერმინები, როგორებიცაა ქურთოლოგია, ქურთმცოდნეობა, ქურთული კვლევები, ერთი და იმავე მნიშვნელობით არის გამოყენებული. მსგავსი ტენდენცია შეინიშნება აგრეთვე ისეთ სიტყვებთან, როგორებიცაა ქურთების საკი-

თხი, ქურთული საკითხი, ქურთების პრობლემატიკა და ქურთული პრობლემატიკა. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს არანაირი შეთანხმება და ტერმინების გამოყენება ავტორთა გემოვნებასა და არჩევანზეა დამოკიდებული.

**დისკუსია**

ქურთებს და ქურთისტანს თავისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობით ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, რის გამოც სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის სხვადასხვა პერიოდში არაერთი დაპირისპირება მომხდარა. ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ამ ორი იმპერიის გაბატონების შედეგი იყო ის, რომ ქურთების პრობლემატიკა საუკუნეების განმავლობაში მხოლოდ რეგიონული პოლიტიკის საზღვრებში იყო მოქცეული. თუმცა XIX საუკუნეში ახლო აღმოსავლეთის რეგიონში იმპერიული ძალების გამოჩენამ ქურთების საკითხი რეგიონულიდან გლობალური პოლიტიკის მასშტაბამდე გაზარდა. ერთი მხრივ, ოსმალეთისა და სპარსეთის დასუსტებამ და ქურთული ნაციონალიზმის და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გააქტიურებამ, ხოლო, მეორე მხრივ, რეგიონში ევროპული სახელმწიფოების (ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, რუსეთი) გამოჩენამ, რეგიონში მანამდე არსებული მრავალსაუკუნოვანი ძალთა ბალანსი მკვეთრად შეცვალა. იმპერიული სახელმწიფოებისთვის, რომლებიც რეგიონში თავიანთი გავლენების გაფართოებას ცდილობდნენ, ქურთებთან და სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან დაახლოება მალევე იქცა მათი საგარეო პოლიტიკის ინტერესის მთავარ ობიექტად.

ახლო აღმოსავლეთის XIX საუკუნის გვიანდელი და XX საუკუნის ადრინდელი პერიოდების ისტორიის შესწავლის პროცესში მკვეთრად იკვეთება ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთისა და რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები რეგიონში. იმპერიულ ძალებს შორის განსაკუთრებული ინტერესით გერმანია გამოირჩეოდა, რომელიც ბაღდადის რკინიგზის მშენებლობით ინგლისის აზიურ სამფლობელოებზე თავდასხმისთვის ემზადებოდა. გერმანიის მიერ ოსმალეთის სულთანზე, მინისტრებსა და

გენერალიტეტზე მოპოვებული გავლენა ინგლისის სერიოზულ აღშფოთებას იწვევდა, რომელსაც შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა. ინგლისელების მიერ ქურთების საკითხით დაინტერესება ერაყსა და ირანში თავიანთი შემდგომი ექსპანსიის მიზეზით იყო განპირობებული. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამავე პერიოდში ქურთების და ქურთისტანის მიმართ დაინტერესება ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც გამოხატა, რომელმაც 1895 წელს გახსნა საკონსულო ერზერუმში, მოგვიანებით კი ხარფუთში, მიუხედავად იმისა რომ ოსმალეთმა ამ უკანასკნელზე თავიდანვე უარი განუცხადა (მენთეშაშვილი, 1978:96-97). მას შემდეგ, რაც XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთმა სამხრეთ კავკასიის რეგიონი თავის სამფლობელოს მიუერთა, იგი გახდა პირველი იმპერია, რომელიც ტერიტორიული თვალსაზრისით ყველაზე ახლოს აღმოჩნდა ქურთებთან და ქურთისტანის რეგიონთან.

რუსეთის დაახლოება ქურთებთან XIX საუკუნის ადრეულ წლებიდანვე იწყება, კერძოდ ოსმალეთთან (1806-1812) და სპარსეთთან (1804-1813) ომების პერიოდში. არსებობს წყაროები, რომლის მიხედვითაც რუსეთი ცდილობდა ომების დროს ქურთულ ტომებს ნეიტრალიტეტი შეენარჩუნებინა, რის სანაცვლოდაც ტომის ბელადებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ დივიდენდებს ჰპირდებოდა (მენთეშაშვილი, 1978:62-63). ზემოხსენებულმა ფაქტორებმა მეფის რუსეთში შექმნა აუცილებელი პირობა დაწყებულიყო ქურთების და ქურთისტანის შესწავლა, რაც ადრეულ წლებში, ძირითადად, მოგზაურების და სამხედრო მოხელეების ჩანაწერებზე დაყრდნობით ხდებოდა, როგორც ეს ევროპის სხვა დანარჩენ სახელმწიფოს ახასიათებდა. ამ მხრივ ანალოგიური ვითარება იყო ევროპის ქვეყნებშიც, სადაც ქურთების და ქურთისტანის შესახებ ინფორმაცია ძირითადად მოგზაურებისა და მისიონერების ჩანაწერებით ვრცელდებოდა. დომინიკელთა ორდენის მღვდელმა მაურიციო გარზონიმ (Maurizio Garzoni) ქურთისტანში გატარებული წლების შედეგად, 1787 წელს, ჩამოაყალიბა ქურთული ენის გრამატიკა და ლექსიკა (Grammatica e vocabolario della lingua kurda), მის სახელს უკავშირდება მანამდე არსებული მოსაზრების გაბათილება, რომლის მიხედვითაც ქურთული ენა

სპარსულად მიიჩნეოდა. მისი ცნობებში აგრეთვე ვხვდებით შენიშვნებს ეზიდებზე. აღიარებულია, რომ მაურიციო გარზონი ქურთოლოოგის „მამად“ მიიჩნევა სამეცნიერო საზოგადოებაში (Alsancakli, 2016:56).

ისტორიკოსები და აღმოსავლეთმცოდნეები სამართლიანად შენიშნავენ ფაქტს, რომ ქურთოლოგია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, ჩამოყალიბდა და განვითარდა ჯერ კიდევ მეფის რუსეთში, თუმცა მას იმ დროს არ ჰქონდა რაიმე სახის ინსტიტუციური სახე. იგი თავიდან აღმოსავლეთმცოდნეობის ირანისტიკის მიმართულებას მიეკუთვნებოდა, რომლისგანაც შემდგომ დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბდა. ხანა ომარხალის და ნოდარ მოსაკის ერთობლივ ნაშრომში, რომელიც რუსული ქურთოლოგიის და მის გარშემო არსებული სამეცნიერო ლიტერატურის განხილვას ეძღვნება, შენიშნავენ, რომ რუსეთში ქურთული კვლევები სამხედრო გეოგრაფიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის, კონკრეტულად კი ირანისტიკის, შემადგენელი ნაწილი იყო (Omarkhali, Mossaki, 2014:145). ქურთი ხალხის მეცნიერულად შესწავლა შემდგომ პერიოდში იწყება. რევოლუციამდელი პერიოდის რუსული ქურთოლოგია ძირითადად ორ მიმართულებას წარმოადგენდა. პირველი იკვლევდა ქურთი ხალხის ისტორიას, კულტურას, ენას, ხოლო მეორე მიმართულება უტილიტარული იყო (უთარაშვილი, 1991:339).

ქურთული კვლევების ინსტიტუციური ისტორიის დასაწყისად პირველი მსოფლიო ომის პერიოდი მიიჩნევა, კერძოდ კი 1916 წელი, როდესაც აღმოსავლეთმცოდნე იოსებ ორბელის (Yusuf Orbeli) თაოსნობით სანქტ-პეტერბურგში საფუძველი ჩაეყარა ქურთულ კვლევებს. თუმცა ტერმინი ქურთოლოგია, მოგვიანებით გახდა პოპულარული, მას შემდეგ, რაც 1934 წელს ერევანში პანსაბჭოთა ქურთოლოგიური კონგრესი გაიმართა (Alsancakli, 2016:56). 1959 წელს იოსებ ორბელის ხელმძღვანელობით სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ფარგლებში ქურთული განყოფილება ჩამოყალიბდა (Scalbert-Yücel, Le Ray, 2006:14). აქვე უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის ფარგლებში აქტიური სამეცნიერო კვლევები ქურთების შესახებ, ძირით-

ადად სამ ქალაქში მიმდინარეობდა: მოსკოვი, ლენინგრადი (თანამედროვე სანქტ-პეტერბურგი) და ერევანი.

საქართველოში ქურთმცოდნეობის განვითარების ისტორია პირობითად შესაძლოა ორ პერიოდად დაიყოს: ქურთოლოგია საბჭოთა საქართველოში და ქურთოლოგია პოსტსაბჭოთა საქართველოში.

საქართველოში ქურთმცოდნეობის ისტორიის ადრეულ ეტაპზე სიმონ ესაძის სტატია გვხვდება, სადაც ავტორი საქართველოს სსრ-ის ცენტრარქივის მონაცემების საფუძველზე კავკასიის ფრონტზე იმპერიალისტური ომის პერიოდში ქურთების საკითხს აანალიზებს. საქართველოში ქურთების საკითხის ინტენსიური შესწავლა 1960-იანი წლებიდან იწყება და იგი ისტორიკოსის და აღმოსავლეთმცოდნის ალბერტ მენთეშაშვილის სახელს უკავშირდება, რომელმაც 1963 წელს დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: „ერაყში ქურთების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზოგიერთი საკითხი (1919-1925)“. ქართული ქურთოლოგიის სამეცნიერო სკოლის ჩამოყალიბებისა და მისი შემდგომი განვითარების თვალსაზრისით ალბერტ მენთეშაშვილის ღვაწლი მართლაც რომ გამორჩეულია, რასაც მის მიერ სხვადასხვა პერიოდში ქურთების საკითხზე შექმნილი არაერთი მონოგრაფიული გამოკვლევა და მრავალი სამეცნიერო სტატიაც ადასტურებს. (მონოგრაფიები: ერაყელი ქურთების ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან (1919-1925), 1965; აგრარული ურთიერთობების საკითხები თანამედროვე ქურთისტანში, 1976; ქურთები და ქურთისტანი: სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხები, 1977; ახლო აღმოსავლეთის ქურთების ისტორიის საკითხები (X-XX სს), 1978; ქურთები (რუსულად), 1984). ალბერტ მენთეშაშვილის მიერ შექმნილი ფუნდამენტური გამოკვლევები ქურთების და ქურთისტანის შესახებ დღემდე რჩება უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო ნაშრომებად, რომელიც დიდ დახმარებას უწევს დაინტერესებულ მეცნიერ-მკვლევრებს ქურთული საკითხის შესწავლაში. ბატონი ალბერტი არაერთი სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი გახლდათ, რომელთა შორისაც იყვნენ მურთაზ ტაიარი (თემა: ირან-

თურქეთის სამხედრო კონფლიქტები და ქურთები XIX ს-ის I მეოთხედში - 1986) და დავით სააკაძე (თემა: ირან-ერაყის ურთიერთობა და ქურთები XX საუკუნის 60-იან წლებსა და 80-იანი წლების პირველ ნახევარში - 1988).

ქურთული კვლევების მიმართულების მხრივ გამორჩეული ადგილი უჭირავს საქართველოში მოღვაწე ქურთ-ეზიდ მეცნიერ-მკვლევრებს, რომლებმაც ქურთების ისტორიის, კულტურის და ენის შესწავლას სხვადასხვა პერიოდში მარვალი სამეცნიერო ნაშრომი მიუძღვნეს. ქურთული ენის შესწავლის თვალსაჩინო წარმომადგენელი აღმოსავლეთმცოდნე ქარიმ ანყოსია (1937-2019), რომელმაც საქართველოში მცხოვრები ქურთი-ეზიდი მოსახლეობისთვის და ენით დაინტერესებული პირებისთვის 2019 წელს ქართულ-ქურთული (კურმანჯი) მოკლე ლექსიკონი გამოსცა, ხოლო უფრო ადრე მოკლე ქართულ-ქურთული (სორანი) ლექსიკონი-სასაუბრო (2011); ქერიმ ანყოსს ეკუთვნის აგრეთვე შემდეგი სახელმძღვანელოები: ანბანი ქურთული ენისთვის (კურმანჯის დიალექტზე) ლათინური ანბანის საფუძველზე (2004); ვისწავლოთ წერა-კითხვა ქურთულად (კურმანჯი) (2016); ქურთული ფოლკლორი (თარგამანი, 2007). ქურთი-ეზიდების კულტურის, რელიგიის და ტრადიციების თემატიკაზე არაერთი ნაშრომი შექმნა აღმოსავლეთმცოდნემ, ეთნოლოგმა და ისტორიკოსმა ლამარა ფაშაევამ (1940-2015). დღემდე აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას ეწევიან ქერიმ ამოვეი (აღმოსავლეთმცოდნე, ირანისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი) და დიმიტრი ფირბარი (თეოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე, ეზიდთა სასულიერო პირი).

აქვე აუცილებელია ვახსენოთ აღმოსავლეთმცოდნე და ირანისტი ცაცო (ცაცა) კოტეტიშვილი, რომელმაც სხვადასხვა პერიოდში არაერთი ნაშრომი მიუძღვნა ქურთულ-ეზიდურ თემატიკას. ამ მხრივ აღსანიშნავია მის მიერ შექმნილი სამეცნიერო ნაშრომები ქურთ-ეზიდთა რელიგიურ მრწამსზე, მათ ყოფა ცხოვრებაზე, რელიგიურ წესებსა და ადათებზე, ხალხურ სიმღერებსა და ქურთ-ეზიდთა ფოლკლორზე, ქურთულ სამკაულსა და მორთულობაზე და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში ქურთულ კვლევებში მანამდე არსებული ტრადიცია გაგრძელდა და ამ მიმართულებით საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯებიც კი გადაიდგა. სწორედ ამას მიანიშნებს, 1995 წელს, მადონა პაქსაშვილის სადისერტაციო ნაშრომი სახელწოდებით „ქურთთა ემიგრანტული საზოგადოებები და განმათავისუფლებელი მოძრაობა ახლო აღმოსავლეთში XX საუკუნეში“, სადაც ავტორმა სიღრმისეულად გამოიკვლია ქურთული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი მომენტები. საინტერესოა აგრეთვე ავტორის მიერ ქურთულ საკითხზე შექმნილი სამეცნიერო სტატიები, სადაც იგი ქურთების პრობლემატიკის აქტუალურ საკითხებს მიმოიხილავს (სტატიები: ბრძოლა ირანის ქურთისტანის ავტონომიისათვის 80-იანი წლების დასაწყისში (1994); ერაყის ქურთისტანი: მოგვარების პერსპექტივები (1994); ქურთ ემიგრანტთა მოღვაწეობა და ბრძოლა ავტონომიისათვის ერაყში (1994); ქურთთა ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა ირანში 1945-1946 წლებში (1994); ქურთთა ემიგრანტული ორგანიზაციები და მათი გამათავისუფლებელი მოძრაობა თურქეთში (1994); ქურთთა პრობლემის ინტერნაციონალიზაციის ზოგიერთი საკითხი (1995); ქურთი პოლიტემიგრანტების (თურქეთი) საქმიანობა დასავლეთ ევროპაში 80-იან წლებში (1996)).

სამწუხაროდ, ქურთმცოდნეობის ფარგლებში და ქურთების საკითხზე შექმნილი სადისერტაციო ნაშრომები 2020 წლამდე არ გვხვდება. შავლეგო ტაბატაძის სადისერტაციო ნაშრომი „ქურთების პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოწყობის პრობლემები“ და მის მიერ შექმნილი სამეცნიერო სტატიები მნიშვნელოვანი სამეცნიერო კონტრიბუციაა დარგის განვითარების თვალსაზრისით. თავის სადისერტაციო ნაშრომში ავტორი სიღრმისეულად აანალიზებს ქურთების როლს ახლო აღმოსავლეთის რეგიონულ გეოპოლიტიკაში. აგრეთვე ავტორს ყურადღების მიღმა არ რჩება ქურთული საკითხის დარეგულირების ინიციატივები. დასკვნით ნაწილში ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ქურთების პრობლემა საკმაოდ კომპლექსურ და ურთიერთგად-

აჯაჭვულ საკითხს წარმოადგენს როგორც რეგიონულ, ასევე საერთაშორისო მასშტაბითაც (ტაბატაძე, 2020:159). საინტერესოა აგრეთვე მის მიერ 2019-2020 წლებში შექმნილი სამეცნიერო სტატიები, სადაც ავტორს ფართოდ აქვს შესწავლილი და გაანალიზებული ქურთული პრობლემატიკის აქტუალური საკითხები (სტატიები: ქურთთა სახელმწიფოს საკითხი ისტორიულ, პოლიტიკურ და სამართლებრივ ჭრილში (2019); ქურთთა სახელმწიფოს საკითხი და ქურთების როლი ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში (2019); ქურთები და საერთაშორისო ორგანიზაციები (2019); ქურთისტანის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ძირითადი პრობლემები (2020); ქურთების პრობლემა და ისრაელი (2020)).

ქურთმცოდნეობის მიმართულების განვითარების თვალსაზრისით მოკრძალებული წვლილი შეიტანა ზუხუტი სიჭინავამ, რომელმაც 2023 წელს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი სახელწოდებით „ერთიანი ქურთული სახელმწიფოს შექმნის იდეა: გამოწვევები და პერსპექტივები“. სადისერტაციო ნაშრომის ცალკეულ თავებში ავტორს შესწავლილი აქვს ირანში, სირიაში, თურქეთსა და ერაყში მცხოვრები ქურთების პრობლემატიკა. ნაშრომში გაანალიზებულია ის კომპლექსური და პრობლემატური საკითხები, რომლებიც აბრკოლებენ ქურთების საკითხის გადაწყვეტას რეგიონულ და გლობალურ პოლიტიკაში. სადისერტაციო ნაშრომში აგრეთვე ყურადღება გამახვილებულია ქურთების კონსოლიდაციის დამაბრკოლებელ ფაქტორებსა და ქურთთა საკითხის მოგვარების ხედვებზე (სიჭინავა, 2023). სადისერტაციო ნაშრომის მინიმალური სტანდარტის ფარგლებში გამოქვეყნებულია რამდენიმე სამეცნიერო სტატია, რომელიც ქურთული პრობლემატიკის ზოგიერთ აქტუალურ საკითხს ეხმიანება (სტატიები: ქურთები ირანში (2020); ქურთები სირიის არაბულ რესპუბლიკაში (2021); Water Security in the Middle East on the Example of Iraqi Kurdistan (2021); ქურთების საკითხი თანამედროვე გლობალური პოლიტიკის კონტექსტში (2022).

ქურთთა პრობლემატიკის ზოგიერთი აქტუალური საკითხი გაშუქებულია მამუკა კომახიას, თამარ კუპრეიშვილის, გიორგი ჭიღვარიას, ნათელა დანგაძის, თამთა ბოკუჩავას, მარიამ გურეშიძის, მირანდა ბაშალეიშვილის, თამარ ვახანიას და სხვათა მიერ სხვადასხვა პერიოდში შექმნილ სამეცნიერო სტატიებში (სიჭინავა, 2023:12). ქურთების პრობლემატიკა ფართოდ არის წარმოჩენილი მიხელ სვანიძის, ემზარ მაკარაძის, გიორგი სანიკიძის, რევაზ გაჩეჩილაძის და სხვა ავტორების მიერ შექმნილი მონოგრაფიების თუ სასწავლო სახელმძღვანელოების ცალკეულ თავებში. სამხრეთ კავკასიის რეგიონში მცხოვრები ქურთების ისტორიის შესახებ საინტერესო შრომები ეკუთვნის ბაღჩოე ისკოს და მორო მამედოვს.

ქურთულ-ეზიდური კვლევების განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 2019 წელს, როდესაც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაფუძნდა ეზიდოლოგიის განყოფილება. ამავე ცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, იგი წარმოადგენს მსოფლიოში ეზიდოლოგიის პირველ განყოფილებას, რომელიც აღმოსავლეთმცოდნეობის სამეცნიერო დაწესებულებაში შეიქმნა. განყოფილების თანამშრომლები იკვლევენ ეზიდთა კულტურის, ენის, რელიგიის, ისტორიის და ეთნოლოგიის საკითხებს. განყოფილების თანამშრომლები არიან ეკონომიკის დოქტორი ქერიმ ამოევი და დიმიტრი ფირბარი (განყოფილების ხელმძღვანელი).

**დასკვნა**

მიუხედავად ზემოაღნიშნული კონკრეტული მაგალითებისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო დღემდე ვერ მოხერხდა ქურთოლოგიის ინსტიტუციონალიზაცია. ამ ფაქტზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ საქართველოს არცერთ კერძო თუ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში არ არსებობს არანაირი აკადემიური კურსი, რომელიც სტუდენტებს ქურთმცოდენობას ან ქურთულ ენას შეასწავლიდა. დასკვნის მაგიერ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთს შორის არსებული გეოგრაფი-

ული სიახლოვის და სწრაფად ცვალებადი პოლიტიკური პროცესების გათვალისწინებით მნიშვნელოვანი და აუცილებელია იმის გააზრება, რომ საქართველოში აღნიშნულ მიმართულებას უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს და ამ მხრივ კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგას.

## დამოწმებული ლიტერატურა:


მენთეშაშვილი, ა. (1978). *ახლო აღმოსავლეთის ქურთების ისტორიის საკითხები (X-XX სს).* გამომცემლობა „თბილისის უნივერსიტეტი". თბილისი.

პაქსაშვილი, მ. (1994). *ქურთთა ემიგრანტული საზოგადოებები და გამათავისუფლებელი მოძრაობა ახლო აღმოსავლეთში XX საუკუნეში.* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი.

სიჭინავა, ბ. (2023). *ერთიანი ქურთული პოლიტიკის სახელმწიფოს შექმნის იდეა: გამოწვევები და პერსპექტივები.* დისერტაცია, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. თბილისი.

ტაბატაძე, შ. (2020). *ქურთების პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოწყობის პრობლემები.* დისერტაცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი.

უთარაშვილი, ლ. (1991). *ქურთმცოდნეობის განვითარების ეტაპებისა და მიმართულებათა შესახებ.* აზიისა და აფრიკის ქვეყნების აქტუალური პრობლემები, თბილისი. გვ. 338-348.

Alsancakli, S. (2016). The Early History of Kurdish Studies (1787–1901). *Die Welt des Islams, 56(1),* pp. 55-88.

Clémence Scalbert-Yücel, M. L. (2006). Knowledge, Ideology and Power. *Deconstructing Kurdish Studies. European Journal of Turkish Studies, 5.*

Khanna Omarkhali, N. M. (2014). A History of Russian Kurdology: With a Brief Literature Overview. *Wiener Jahrbuch für Kurdische Studien (Ausgabe 2/2014): Schwerpunkt: Die Geschichte*

*von kurdischen Studien und Kurdologie. Nationale Methodologien und transnationale Verflechtungen,* pp. 140-177.

## REFERENCES:


Menteshashvili, A. (1978). *Akhlo Aghmosavletis Kurtebis Ist'oriis Sak'itkhebi (X-XX ss).* Gamomtsemloba. „Tbilisis Universit'et'i". Tbilisi.

P'aksashvili, M. (1994). *Kurtta Emigrant'uli Sazogadoebebi da Gamatavisuflebeli Modzraoba Akhlo Aghmosavletshi XX Sauk'uneshi.* Disert'atsia, Tbilisis Sakhelmts'ifo Universit'et'i. Tbilisi:

Sich'inava, B. (2023). *Ertiani Kurtuli P'olit'ik'is Sakhelmts'ifos Shekmnis Idea: Gamots'vevebi da P'ersp'ekt'ivebi.* Disert'atsia, K'avk'asiis Saertashoriso Universit'et'i. Tbilisi.

T'abat'adze, Sh. (2020). *Kurtebis P'olit'ik'ur-Sakhelmts'ifoebrivi Mots'qobis P'roblemebi.* Disert'atsia, Sakartvelos T'eknik'uri Universit'et'i. Tbilisi

Utarashvili, l. (1991). *Kurtmtsodneobis Ganvitarebis Et'ap'ebisa da Mimartulebata Shesakheb.* Aziisa da Afrik'is Kveqnebis Akt'ualuri P'roblemebi, Tbilisi. gv. 338-348.

Alsancakli, S. (2016). The Early History of Kurdish Studies (1787–1901). *Die Welt des Islams*, 56(1), pp. 55-88.

Clémence Scalbert-Yücel, M. L. (2006). Knowledge, Ideology and Power. *Deconstructing Kurdish Studies. European Journal of Turkish Studies, 5.*

Khanna Omarkhali, N. M. (2014). A History of Russian Kurdology: With a Brief Literature Overview. *Wiener Jahrbuch für Kurdische Studien (Ausgabe 2/2014): Schwerpunkt: Die Geschichte von kurdischen Studien und Kurdologie. Nationale Methodologien und transnationale Verflechtungen,* pp. 140-177.

# Kurdology: Successes and Challenges on the Example of Georgia

**Bukhuti Sitchinava**
Doctor of Political Science,
Researcher, The Center for International
Politics Research and Forecasting.
Tbilisi, Vazha-Pshavela I Block, BLDG. N13,
0177, Georgia. +995599119050.
bukhuti.sitchinava@ciprf.ge
ORCID: 0000-0003-1006-3323
DOI:https://doi.org/10.61671/hos.6.2023.7357

**Abstract**

Kurdology, as an independent scientific discipline, has a long history, which is confirmed by a large number of scientific works created by various scientists and researchers in different periods. Georgian Kurdology, which also has its' own long-standing tradition, originates from the period of the Soviet Union. It was during this period that many important works were created by different authors. It is noteworthy that the works of Albert Menteshashvili, who took Kurdology to a new level, have a special place in this regard. The monographic studies and separate scientific articles created by him still occupy a prominent place in Kurdish studies.

On the one hand, the present article is an attempt to present the knowledge accumulated in the field of Kurdology during Soviet Georgia, while on the other hand, it aims to provide information about researchers working on Kurdish issues and the results of their scientific works, as well as challenges and problems facing Kurdology in Georgia, to persons interested in the topic. Within the scope of this research, it was outlined that modern Kurdish research in Georgia

covers issues beyond the topics of the history of Kurdish people, culture, language or religion. This is also proven by the dissertations from 2020 and 2023, where the authors of corresponding research analyze the Kurdish issue in the prism of political and legal aspects. This indicates that Kurdish studies in Georgia have started to master a new scientific area and thus further expanded the scope of the interdisciplinary approach that existed before.
**Keywords:** Kurdology; Kurdish Studies; Kurdish Question; Oriental Studies.

## Introduction

Kurdology, or Kurdish studies, as well as Turkology, Arabic Studies and Iranian Studies, is an independent branch of Oriental studies, and it researches and studies the history, culture, language, politics, society and many other areas of the Kurdish people. Unlike the other independent branches of Oriental Studies mentioned above, it should be noted that Kurdology is a relatively new direction. Earlier reports on the history, culture and social relations of the Kurdish people were collected mainly in scientific works solely devoted to Turkey, Iran, Iraq and Syria, because the scientific study of the Kurds and Kurdistan was not an independent scientific research direction at the initial stage.

Kurdology as an academic discipline was formed within the Russian Empire, and later it found great development during the Soviet Union. Within the framework of the article, it is important to review the scientific and academic tradition that existed in the early years of the history of Kurdish studies in the Russian Empire and the Soviet Union. In the research process I have used the scientific article of Lali Utarashvili, which is researching the development of Kurdish studies and its directions, additionally author reviews the previous period, which laid the foundation for the tradition of Kurdish studies. Also, in the article, she investigates researchers whom were working in the field of Kurdish studies in Soviet Georgia and scientific works created by them related to the problem of Kurds. In this regard, the

joint scientific article of Khanna Omarkhali and Nadar Mosaki, which is dedicated to the history of the Russian school of Kurdology, turned out to be an important contribution. In their work, there is an overview of the Kurdish studies, as well as a brief review of scientific works created by scientists and researchers. Also interesting is the article authored by Sacha Alsancakli, a specialist in Kurdish studies and the history of the Middle East, where the author describes in details the early history of Kurdish studies.

The main purpose of presented article is to show the importance and value of Kurdology, as well as to show the achievements of Georgian Kurdish studies of the last period and to introduce to those who are concerned the scientific works of scientists and researchers working on the subject of Kurds. The article is introductory and informative in nature and it somewhat summarizes the accumulates knowledge in the direction of Kurdology up to the modern period.

**Methods**

This article is based on well proven research methods in the social sciences and humanities. The work uses such methods as historical analysis, comparative analysis, determining the cause-and-effect relationship and discourse analysis. There is also library research was carried out within the article, which aimed to collect scientific works (monographs, dissertations, articles) created in different periods across Georgia in a single field. In the research process I have also used the method of mutual comparison of scientific literature data.

**Results**

In 1991, Lali Utarashvili's scientific article by the title "On the Development and Directions of Kurdish Studies" was published in "Actual Problems of Asian and African Countries" journal, in which the author summarized the current situation of Kurdish studies. Since then, a no other similar type of research on Kurdish studies has been carried out. One of the results of this article lies in the fact that it presents the results achieved in the last period, as well as the scientists-researchers working on the Kurdish issue.

The research carried out within the article reveals that the earlier tradition of Kurdish studies continues in Georgia, integration and institutionalization of Kurdology as an independent field in higher education is still not possible.

As a result of studying and observing a number of scientific works created by different authors, it was revealed that the following terms, such as Kurdology and Kurdish studies, are used with the same meaning. A similar trend is also observed with such words as Kurdish issue, Kurdish question and Kurdish problematic. All this indicates that there is no agreement on this issue and the use of terms depends on the taste and choice of the authors.

**Discussion**

Kurds as nation and Kurdistan occupy one of the prominent places in the Middle East region due to its geopolitical importance, which is why there appear to happen many conflicts between the Persian and Ottoman empires in different periods. The result of the dominance of these two empires in the Middle East region was that the Kurdish issue was confined to the borders of regional politics for centuries. However, the emergence of imperial powers in the Middle East region in the 19th century raised the Kurdish question from regional scale to global level politics. On the one hand, the weakening of Ottomans and Persia and the emergence of Kurdish nationalism and the national liberation movement struggle, and on the other hand, the appearance of European states (England, Germany, France, Russia) in the region dramatically changed the centuries-old balance of power in the region. For imperial powers seeking to expand their influence in the region, rapprochement with the Kurds and other ethnic groups soon became a major object of their foreign policy.

In the process of studying the history of the late 19th and early 20th centuries of the Middle East, the geopolitical interests of England, Germany, France and Russia in the region are sharply defined. Among the imperial powers, Germany stood out with a special interest, which was preparing for an attack on England's Asian lands by building the Baghdad railway. The influence Germany gained over the Ottoman

sultan, ministers and generals caused serious indignation in England, which had far-reaching plans. British interest in the Kurdish issue was due to their further expansion in Iraq and Iran. In the same period, the United States of America expressed its interest in the Kurds and Kurdistan and opened a consulate in Erzurum in 1895, and later in Harput, despite the fact that the Ottomans refused from the beginning (Menteshashvili, 1978:96-97). After Russia annexed the South Caucasus region in the beginning of the 19th century, it became the first empire to be so close to the Kurds and the Kurdistan region.

Russia's rapprochement with the Kurds began in the early years of the 19th century, mainly during the wars with the Ottoman Empire (1806-1812) and Persia (1804-1813). There are sources according to which Russia tried to keep the Kurdish tribes neutral during the wars, in exchange for which it promised political and economic support to the tribal leaders (Menteshashvili, 1978:62-63). The above-mentioned factors created a necessary condition in Tsarist Russia to start studying the Kurds and Kurdistan, which in the early years was mainly based on the records of travelers and military officials and other European states had the same approach. In this regard, the situation was similar in European countries, where information about the Kurds and Kurdistan was spread mainly through the records of travelers and missionaries. Dominican priest Maurizio Garzoni (Maurizio Garzoni) as a result of the years spent in Kurdistan, in 1787, established the grammar and vocabulary of the Kurdish language (Gramatica e vocabolario della lingua kurda), his name is associated with the annulment of the previously existing opinion, according to which the Kurdish language was considered Persian. In his reports we also find notes on Yezidis. It is recognized that Maurizio Garzoni is considered the "father" of Kurdology in the scientific community (Alsancakli, 2016:56).

Historians and orientalists rightly note out the fact that Kurdology as a scientific discipline was formed and developed even in Tsarist Russia, although it did not have any institutional form at that time. At first, it belonged to the direction of Iranian studies of Oriental studies, from which it later became an independent scientific

discipline. In the joint work of Khana Omarkhali and Nodar Mossaki, which is dedicated to the discussion of Russian Kurdology and the surrounding scientific literature, it is noted that Kurdish studies in Russia were a constituent part of military geography and Oriental studies, specifically Iranian studies (Omarkhali, Mossaki, 2014:145). The scientific study of the Kurdish people begins later. Russian Kurdology of the pre-revolutionary period mainly represented two directions. First one researched the history, culture, and language of the Kurdish people, while the second direction was more kind of utilitarian (Utarashvili, 1991:339).

The beginning of the institutional history of Kurdish studies is considered to be the period of the First World War in 1916, when the orientalist Yusuf Orbeli founded Kurdish studies in St. Petersburg. However, the term Kurdology became popular later, after the Pan-Soviet Kurdological Congress passed in Yerevan in 1934 (Alsancakli, 2016:56). In 1959, under the leadership of Yusuf Orbeli, the Kurdish department was established within the Institute of Asian People of USSR’s Sciences Academy (Scalbert-Yücel, Le Ray, 2006:14). It should be mentioned here that within the Soviet Union, active scientific research about the Kurds was carried out mainly in three cities: Moscow, Leningrad (modern St. Petersburg) and Yerevan.

Kurdish Studies in Georgia can be conventionally divided into two periods: Kurdology in Soviet Georgia and Kurdology in post-Soviet Georgia.

Simon Esadze's article is found at the early stage of the history of Kurdish studies in Georgia, where the author analyzes the issue of the Kurds during the imperialist war on the Caucasus front based on the data of the Central Archive of the Georgian SSR. The intensive study of the Kurdish issue in Georgia began in the 1960s, and it is connected with the name of the historian and orientalist Albert Menteshashvili, who in 1963 defended his dissertation on the topic: "Some Issues of the Kurdish national Liberation Movement in Iraq (1919-1925)". Albert Menteshashvili's contribution to the formation of the scientific school of Georgian Kurdology and its further

development is truly outstanding, which is confirmed by numerous monographic studies and many scientific articles created by him on the issue of Kurds in different periods. (Monographs: From the History of the National Liberation Movement of Iraqi Kurds (1919-1925), 1965; Problems of Agrarian Relations in Modern Kurdistan, 1976; The Kurds and Kurdistan: Problems of Social-Economic Development, 1977; Problems of the History of the Kurds of the Near East (X-XX Centuries), 1978; Kurds (in Russian language, 1984). Albert Menteshashvili's fundamental studies about the Kurds and Kurdistan remain the most important scientific works, which provide great help for the researchers interested in the study of the Kurdish issue. Mr. Albert was the scientific supervisor on a number of dissertations, among which were Murtaz Tayari (Thesis: Iran-Turkey Military Conflicts and the Kurds in the First Quarter of the 19th century - 1986) and Davit Saakadze (Thesis: Iran-Iraq Relations and the Kurds in the 60s and 80s of the 20th Century -1988).

Kurdish studies, Kurdish-Yezidi scientists and researchers working in Georgia have a significant impact on this scientific topic. A prominent representative of the study of the Kurdish language, an orientalist Karim Ankosi (1937-2019), who published a short Georgian-Kurdish (Kurmanji) dictionary in 2019 for the Kurdish-Yezidi population living in Georgia and people interested in the language, and earlier a short Georgian-Kurdish (Sorani) colloquial dictionary (2011); Karim Ankosi is also author of following textbooks: Alphabet for the Kurdish language (in the Kurmanji dialect) based on the Latin alphabet (2004); Let's Learn to Read and Write in Kurdish (Kurmanji) (2016); Kurdish Folklore (Translation, 2007). Orientalist, ethnologist, and historian Lamara Pashaeva (1940-2015) has created a number of works on the subject of Kurdish-Yezidi culture, religion and traditions. Kerim Amoev (Orientalist, Iranologist, Doctor of Economic Sciences) and Dimitri Firbari (Theologian, Orientalist, Yezidi cleric) are still active in scientific activity.

Here, it is necessary to mention the Orientalist and Iranologist Tsatso (Tsatsa) Kotetishvili, who in different periods dedicated a

Circassians avoid mixed marriages in order to preserve their cultural identity; however, there still are several dozen Circassians' families with Russians, Ukrainians, and Israeli Jews. Much less are Circassian-Arab mixed families (11).

It can be concluded that, notwithstanding some challenges, Muslim communities in Israel, either Arab or non-Arab, do not have problems of co-existence with the local Jewish population and the authorities. What distinguishes them from Palestinian Arabs is that they do not have territorial claims to the State of Israel, and, what is important, none of them is controlled by political and religious organizations, as well as does not have politically motivated allies outside the country. It is true that the question of Palestinian statehood have repeatedly been not only on the agenda of Israel and Palestine but also of the international community, and the problem is point will probably somehow solved, but with respect to the fact that there are a lot of people among residents of Gaza who seek jobs and subsistence in Israel and frequently find them, it may ne stated that problems of inhabitants of Palestine and Gaza can be solved in a more or less peaceful way, provided that these two enclaves will not be used by various extremist groups, funded from outside the country, for their own political and economic aims, specifically, those such as Fatah, as it

was once, and Hamas, as it is in our days.

**References:**


1. The Oslo Accords and the Arab-Israeli Peace Process. Office of the Historian, 1) The Oslo Accords and the Arab-Israeli Peace Process. Office of the Historian, MILESTONES: 1993–2000. https://history.state.gov/milestones/1993-2000/oslo.
2. Comprehensive Listing of Terrorism Victims in Israel (September 1993 - Present). Jewish virtual Library a project of AICE. https://www.jewishvirtuallibrary.org/comprehensive-listing-of-terrorism-victims-in-israel Major Palestinian Terror Attacks Since Oslo. Jewish virtual Library a project of AICE. https://www.jewishvirtuallibrary.org/major-palestinian-terror-attacks-since-oslo [1] Palestinian Politics Timeline: Since the 2006 Election. United States Institute of Peace. Tuesday, June 25, 2019 / BY: Robert Barron. https://www.usip.org/palestinian-politics-timeline-2006-election Hamas celebrates election victory. Simon Jeffery and agencies. Thu 26 Jan 2006 19.40 CET. https://www.theguardian.com/world/2006/jan/26/israel1.
3. Palestinian Politics Timeline: Since the 2006 Election. United States Institute of Peace. Tuesday, June 25, 2019 / BY: Robert Barron. https://www.usip.org/palestinian-politics-timeline-2006-election Hamas celebrates election victory. Simon Jeffery and agencies. Thu 26 Jan 2006 19.40 CET. https://www.Thegua rdian.com/world/2006/jan/26/israel1.
4. Israel-Hamas war: List of key events, day 22. Here is the situation on Saturday, October 28, 2023. https://www.aljazeera.com/ news/2023/10/28/israel-hamas-war-list-of-key-events-day-22.
5. Contrasting Palestinian Arabs and Israeli Arabs. APR 11, 2019, 9:28 PM.https://blogs.timesofisrael.com/contrasting-palestinian-arab s-and-israeli-arabs/.
6. What to Know About the Arab Citizens of Israel. Kali Robinson, Last updated March 9, 2023 12:00 pm. https://www.cfr.org/

backgrounder/what-know-about-arab-citizensisrael#:~:text=Source%3A%20Israeli%20Central%20Bureau%20of,live%20in%20the%20Palestinian%20territories.
7. Cohen Hillel. Good Arabs: The Israeli Security Agencies and the Israeli Arabs, 1948-1967 Translated by Haim Watzman. University of California Press. Berkeley and Los Angeles, California. London, England. 2010 by the Regents of the University of California. P:2.
8. Minority Communities in Israel: The Bedouin, by Dr. Yosef Ben-David. Jewish virtual Library a project of AICE. https://www.jewishvirtuallibrary.org/the-bedouin-in-israel Who are the Bedouin Arabs in the Israeli army? Written by Manraj Grewal Sharma, updated: October 22, 2023 12:54 IST. https://indianexpress.com/article/explained/explained-global/bedouin-arabs-israeli-army-8993875/?fbclid=IwAR0ld_pQk5tcZoT7Evlq36YFqntRGAg1nsr0nYX11kVTkA31k8ju2GoBUO4srael’s Hidden Victims, Arab Bedouins, Were Attacked by Hamas Too. By Adam Goldman and Gal Koplewitz Reporting from Rahat, Israel, Oct. 29, 2023. https://www.nytimes.Com/2023 /10/29/ world/ middleeast/israel-hamas-arab-bedouins.html.
9. 5 facts about Israeli Druze, a unique religious and ethnic group. By Angelina E. Theodorou. March 21, 2016. https://www.pewresearch.org/short-reads/2016/03/21/5-facts-about-israeli-druze-a-unique-religious-andethnicgroup/?fbclid=IwAR0r8LqF2qWR8fJm9f vmpk9tBGIGG4ZCDwMAP_R4DsFv y-XdJb5CCUDdqFI. The Druze in Israel: History & Overview, by Dr. Naim Aridi. Jewish virtual Library a project of AICE. https://www.jewishvirtuallibrary.org/history-and-overview-of-the-israeli druze?fbclid=IwAR0Euwu233OmrysPRfXLnLaQlNGrdzpZlzZ0vFSahQO9Y4Q6qCB01Em22uM The Druze Community in Israel. Reformjudaism.org. https://reformjudaism.org/druze-community-israel?fbclid=IwAR0kFxNmvhlrZIU7R6NuSUdp4g9N-bL2pKsQRsYcd2yzcDQcfuuz SRnqcMw Who are Israel's Druze community? Charlie Hoyle, 18 July, 2017. https://www.

newarab.com/analysis/who-are-israels-druze-community?fbclid=IwAR1isv8UB5vA3RPEkaZm1jdqb0HeM5I2SmhKMXanElZEund5N4CYplAmcsU ld Loyalties, New Opportunities: The Battle for Identity among the Golani Druze. Wilsoncenter.org/ By Ryan Zaitoun on December 22, 2021. https://www.wilsoncenter.org/article/old-loyalties-new-opportunities-battle-identity-among-golanidruze?fbclid=IwAR0aVUyi Fu2Bm53bueNKXTirwiAOskYYX6gr6R wpqnuk3agFd9yoR3t2S_I Israel's Interventions Among the Druze Making Identity Policy. Lisa Hajjar In: 200 (Fall 1996)./merip.orghttps://merip.org/1996/09/israels-interventions-among-the-druze/?fbclid=IwAR2cwq5ruE_nhmJwg0dHiozIW_PRX9Mr7Xv4_P93ibfMyXl8vZgP484yUg.

10. The Georgian Parliament recognized the Circassian genocide. Nino Tarkhnishvili, May 20, 2021.https://www.radiotavisupleba.ge/a/24181508.html

11. Circassian town in northern Israel wins UN recognition as global 'tourist village'. By Danielle Nagler, 20 December 2022, 11:25 pmUpdated: 21 December 2022, 6:06 pm. https:// www. Timesofisrael. com/circassian-town-in-northern-israel-wins-un-recognition-as-global-tourist-village/?fbclid=IwA R3tw yV_szic lWJ0vB3CFc1QxYPm60ewqqdozI4y6OIy8B 4uGD4nvDjpXEM Who are the Circassians of northern Israel?. By Judith Sudilovsky, February 11, 2023 13:54 Updated: FEBRUARY 12, 2023 15:39. https://www.jpost.com/israel-news/article-731 089?Fbclid=IwAR3qejgNgpPrqw INl6BPP_wkoYY h7sZY 5k9uw JzQR7vmoZRed8WvIcsgspE01,2023.https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A9%E 1%83%94%E1% 83%A0%E1%83 /32666159.html The Israeli Circassians: non-Arab Arabs. Eleonore Merza, Traduction de Judith Grumbach. 2012. https://journals.

# ბრძოლა სამეფო ტახტისთვის იმერეთში XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში და ქართლ - კახეთის მეფის ერეკლე II-ის პოლიტიკა

**სულხან კუპრაშვილი**
პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივესიტეტი.
ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა № 59,
4600, საქართველო, +995577131523,
Sulkhan.kuprashvili@atsu.edu.ge
https://orcid.org/: 0000-0003-0294-4956
DOI:https://doi.org/10.61671/hos.6.2023.7360
**გოდერძი ვაჭრიძე**
ასოცირებული პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივესიტეტი.
ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა № 59, 4600, საქართველო
+995577131512, Goderdzi.vatchrifze@atsu.edu.ge
https://orcid./: 0000-0003-8770-4438
DOI:https://doi.org/10.61671/hos.6.2023.7360

**აბსტრაქტი**

წარმოდგენილ ნაშრომში განხილული და გაანალიზებული ბრძოლა სამეფო ტახტისთვის იმერეთში XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში და ერეკლე II-ის პოლიტიკა. აღნიშნულია, რომ სოლომონ I-ის გარდაცვალებას დასავლეთ საქართველოს გავლენიანი ფეოდალების გააქტიურება მოჰყვა. იმერელი თავადების ცალკეულ დაჯგუფებებს ხელსაყრელი ვითარება შეექმნათ თავიანთი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად. ისინი ტახტის ორი პრეტენდენტის - დავით გიორგის ძის და დავით არჩილის ძის გარშემო დაჯგუფდნენ. ეს უკანასკნელი ერეკლე II-

ის შვილიშვილი იყო, რაც მისი მხარდამჭერების პოზიციებს აძლიერებდა. თავადთა ერთი ნაწილის აზრით, დავით არჩილის ძის გამეფებას იმერეთში შედეგად მოყვებოდა ქართლ-კახეთის მეფის გავლენის გაძლიერება დასავლეთ საქართველოში, რაც საბოლოო ჯამში გამოიწვევდა იმერეთის სამეფოს გაუქმებას და ქართლ-კახეთის სამეფოსთან შეერთებას. ამიტომ აღნიშნული დაჯგუფება მხარს უჭერდა იმერეთში გაემეფებინათ სოლომონ I-ის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე, რაც პოლიტიკური ბრძოლის პირველ ეტაპზე წარმატებით მოახერხეს.

1784-1789 წლებში იმერეთს მართავდა დავით გიორგის ძე. მისი ხანმოკლე მეფობის პერიოდში იმერეთში ძალიან რთული ვითარება შეიქმნა. მისი პოლიტიკით უკმაყოფილო დიდი ფეოდ-ალები გააქტიურდნენ და მეფის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეს. ისინი განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდნენ დავით არჩილის ძეზე. იმერეთის გავლენიანი ფეოდალების და ერეკლე II-ის აქტ-იური მხარდაჭერით, ტახტისათვის ბრძოლაში დავით არჩილის ძემ გაიმარჯვა, რომელმაც სოლომონ I-ის პატივსაცემად სახელი შეიცვალა და სოლომონ II დაირქვა. დავით გიორგის ძეს ტახტის დაბრუნებაზე ფიქრი არასდროს შეუწყვეტია და ყოველთვის ცდ-ილობდა სოლომონ II-ის მოწინააღმდეგე ძალებს დაკავშირებ-ოდა. ხელისუფლებისათვის ბრძოლას იმერეთის სამეფოში ფეო-დალური რეაქციის გაძლიერება მოყვა. იმერეთი ანარქიამ მოი-ცვა. სოლომონ II-მ XVIII საუკუნის ბოლოს შეძლო ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება და იმერეთის სამეფო კვლავ ძლი-ერი მმართველის ხელში აღმოჩნდა.

**საძიებო სიტყვები:** ერეკლე II; სოლომონ II; დავით გიორგის ძე; დავით არჩილის ძე; იმერეთის სამეფო; ქართლ - კახეთის სამეფო.

## შესავალი

იმერეთის მეფე სოლომონ I 1784 წლის 23 აპრილს გარდაი-ცვალა. მას პირდაპირი მემკვიდრე არ დარჩა, რადგან სოლომ-ონის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე - ბატონიშვილი ალექს-

ანდრე 1780 წელს გარდაიცვალა. ალექსანდრეს უკანონო ქორწინებიდან ჰყავდა ვაჟი გიორგი, რომელსაც ტახტზე კანონიერი უფლება ვერ ექნებოდა. ამიტომ სოლომონ I-მა მემკვიდრედ გამოაცხადა თავისი ძმისშვილი დავით არჩილის ძე, რომელიც ერეკლე II-ის შვილიშვილი იყო.

ძლიერი მეფის მოულოდნელ გარდაცვალებას დასავლეთ საქართველოს გავლენიანი ფეოდალების გააქტიურება მოჰყვა. იმერელი თავადების ცალკეულ დაჯგუფებებს ხელსაყრელი ვითარება შეექმნათ თავიანთი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად. ტახტის ოფიციალური მემკვიდრე დავით არჩილის ძე, რომელიც ამ ხანებში 12 წლის იყო, კახეთში ცხოვრობდა დედასთან - ელენე ბატონიშვილთან ერთად. სოლომონ მეორე (დავით არჩილის ძე) 1772 წელს დაიბადა. მამამისი - არჩილი სოლომონ I-ის უმცროსი ძმა იყო, ხოლო დედამისი ელენე ერეკლე II-ის ასული. სოლომონ II-ის მშობლების ქორწინება განპირობებული იყო ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების კიდევ უფრო დაახლოებით და მეტი მოკავშირეობის პერსპექტივით. სოლომონ მეორე უკანასკნელი ბაგრატიონი ხელმწიფე აღმოჩნდა საქართველოს ისტორიაში.

სოლომონ მეორის მამა არჩილი, განსხვავებით თავისი უფროსი ძმებისაგან, არ იყო დაინტერესებული პოლიტიკური ცხოვრებით. მას სურვილიც არ ჰქონდა ჩარეულიყო სახელმწიფო საქმეებში. არჩილი მაღალი, წარმოსადეგი და ფიზიკური სიძლიერით გამორჩეული პიროვნება იყო. ძალიან უყვარდა ქართული სუფრის ტრადიციები. მისი სამეგობრო წრეც არჩილის სტილის ადამიანებისაგან შედგებოდა. არჩილი გამოირჩეოდა ჩხუბისთავობითაც. სწორედ ამგვარი ლაღი და თავისუფალი ხასიათის გამო მას „გიჟი“ უწოდეს.

ერთხელ, როდესაც არჩილი სიმამრთან - ერეკლე მეორესთან იმყოფებოდა სტუმრად, მთელი ღამის ნაბახუსევი იმერელი სიძე თბილისში დილით ადრე მოლის ხმამაღალმა ლოცვამ გამოაღვიძა (თბილისი ხომ ყველა ეპოქაში განთქმული იყო თავისი რელიგიური მრავალფეროვნებით და რჯულთშემწყნარებლობით). ადრე გაღვიძებით გაბრაზებულმა არჩილმა მოლაში არა

რელიგიური მოღვაწე, არამედ მისი უდროო დროს გამღვიძებელი დაინახა, თოფი გამოიტანა და მოკლა, რითაც „გიჟმა“ იმერელმა სიძემ ერეკლე მეფის დიდი წყრომა დაიმსახურა.

დავით არჩილის ძე 3 წლის იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა (არჩილი ძმის - იოსებ კათალიკოსის მიერ ანათემას იყო გადაცემული და სამეფო ოჯახის წევრის მსგავსად არ დაუკრძალავთ, გალავანს გარეთ დაკრძალეს). სოლომონის დედა - ელენე მეორედ გათხოვდა ქიზიყის მოურავზე, კახელ თავად ანდრონიკაშვილზე და დავით არჩილის ძე თბილისში, კახეთსა და ქიზიყში იზრდებოდა. სოლომონ მეორის შესახებ საინტერესო ცნობები აქვს მოცემული XIX საუკუნის შუახანებში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს - პეტრე დემიანის ძე გნილოსაროვს. სოლომონ II საშუალო სიმაღლის, სრული აღნაგობის ადამიანი იყო. რუსი ისტორიკოსი ხაზს უსვამს, რომ მას მეტწილად ქართული (ამ შემთხვევაში აღმოსავლეთ ქართული) ტანისამოსი ეცვა, ახალუხის მაგიერ კი იმერული ზოლიანი ფარჩისაგან შეკერილ ზუბუნს ატარებდა, თავზე კი მუდამ ქართული ბოხოხი ეხურა. რადგანაც სოლომონი ქართველთა მეფის - ერეკლეს შვილიშვილი იყო, იმერეთშიც ქართული წესები შემოიტანა. საქართველოს რუსები მხოლოდ ქართლ-კახეთს უწოდებდნენ. საქართველოს დაყოფა ქართველებად, იმერლებად, მეგრელებად და ა.შ. XIX-XX საუკუნის რუსული ისტორიოგრაფიის დამახასიათებელი ნიშანია (კუპრაშვილი, 2019: 98).

**მეთოდი**

ჩვენს მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია ეფუძნება ისტორიოგრაფიაში აპრობირებულ კვლევის აკადემიურ მეთოდებს. კერძოდ თვისობრივი კვლევის მეთოდს, რაც გულისხმობს სიღრმისეულ ანალიზს, აგრეთვე გამოყენებულია შედარება - შეპირისპირებითი ანალიზი ნაშრომში ობიექტური დასკვნების გამოტანის მიზნით.

**შედეგი**

XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში იმერეთის ტახტისათვის ბრძოლა პრაქტიკულად საერთო ქართულ კონფლიქტად გადაიქცა. აღნიშნულმა დაპირისპირებამ დიდი ზიანი მიაყენა იმერ-

ეთის სამეფოს. ქვეყნის არამარტო პოლიტიკური ელიტა, არამედ მოსახლეობაც ორ მტრულ ბანაკად გაიყო და კონფლიქტში ჩართული აღმოჩნდა ოსმალეთის იმპერიაც ახალციხის საფაშოს სახით. დაპირისპირებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა მაშინდელი კავკასიის ყველაზე გავლენიანი მონარქის ერეკლე მე-2-ს აქტიურმა ჩარევამ. მან გამოკვეთილად დაუჭირა მხარი თავის შვილისშვილს, სოლომონ I-ის ძმისშვილს დავით არჩილის ძეს, რომელსაც სოლომონ მე-2-ს სახელით იცნობენ. ერეკლემ თავისი პოლიტიკური გავლენით და სამხედრო ძალით დასავლეთ საქართველოს ფეოდალების ნაწილთან ერთად მოახერხა, რომ დავით გიორგის ძე იმერეთის ტახტს საბოლოოდ ჩამოცილებოდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კონფლიქტი საკმაო ხანს გაგრძელდა და ბევრი ეკონომიკური და ადამიანური რესურსი შეიწირა, სოლომონ მე-II-მ გამეფებიდან ძალიან მალევე მოახერხა უკვე XVIII საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საკმაოდ გავლენიანი მმართველი გამხდარიყო და ნაწილობრივ იმერეთის სამეფოსათვის სოლომონ I-ის დროინდელი ავტორიტეტი დაებრუნებინა. მიუხედავად ამისა მცირე რესურსების მქონე იმერეთის სამეფო XIX საუკუნის დასაწყისში უძლური აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის დამპყრობლური პოლიტიკის წინაშე.

**დისკუსია**

დავით არჩილის ძეს მცირეწლოვნების გამო ქვეყნის მართვა ჯერ არ შეეძლო, მაგრამ მხარს უჭერდა ფეოდალთა გარკვეული ჯგუფი და რაც მთავარია, მისი მხარდამჭერების პოზიციებს აძლიერებდა ერეკლე II-ის ფაქტორი. იმერეთის გავლენიან ფეოდალთა სხვა დაჯგუფების აზრით, დავით არჩილის ძის გამეფებას იმერეთში შედეგად მოყვებოდა ქართლ-კახეთის მეფის გავლენის გაძლიერება დასავლეთ საქართველოში, თავადთა დამოუკიდებელი მმართველობის შეზღუდვა, რაც საბოლოო ჯამში გამოიწვევდა იმერეთის სამეფოს გაუქმებას და ქართლ-კახეთის სამეფოსთან შეერთებას. ამიტომ აღნიშნული დაჯგუფება მხარს უჭერდა იმერეთში გაემეფებინათ სოლომონ I-ის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე, რომელიც სოლომონ I-ის წინააღმდეგ მოწყობილი 1778 წლის შეთქმულების დამარცხების

შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში იყო გადახვეწილი და ერეკლე II-ის კარზე იმყოფებოდა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973: 740). გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, სოლომონ I დავით გიორგის ძეს შეურიგდა, იმერეთში ჩასვლის ნება დართო და მამულებიც დაუბრუნა.

დავით გიორგის ძის მომხრეთა დასს მეთაურობდნენ სარდალ-მოლარეთუხუცესი პაპუნა წერეთელი და ბოქაულთუხუცესი ზერი წულუკიძე. მათ მხარს უჭერდა სამეგრელოს მთავარი კაცია დადიანი (დადიანი, 1962: 181).

1784 წლის 26 აპრილს დავით გიორგის ძემ იმერეთის ფეოდალების წინაშე ფიცი დადო, რომელიც ფაქტობრივად ახალი მეფის და მისი მთავრობის სამოქმედო პროგრამას წარმოადგენდა, შედგენილი იყო დავით გიორგის ძის, დავით არჩილის ძის და გიორგი ალექსანდრეს ძის სახელით. ახალი მეფე ფეოდალებს აღუთქვამდა, რომ დავით არჩილის ძეს და გიორგი ალექსანდრეს ძეს მამულებს ხელუხლებლად დაუტოვებდა (რეხვიაშვილი, 1982: 173). დავით გიორგის ძე პირობას დებდა, რომ განუხრელად და მტკიცედ გააგრძელებდა სოლომონ I-ის მიერ აღებულ კურსს - იბრძოლებდა ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ, ხელს შეუწყობდა ეკლესიის გაძლიერებას და გააგრძელებდა რუსეთთან ურთიერთობას (რეხვიაშვილი, 2000: 178).

ერეკლე II დავით გიორგის ძის გამეფების შესახებ, 1784 წლის 7 მაისს რუსეთის მთავრობის წარმომადგენელს ს. ბურნაშოვს წერდა: „სოლომონ I გარდაიცვალა. იმერეთის მეფის მემკვიდრედ სოლომონის მიერ აყვანილი იყო ჩემი შვილიშვილი დავით არჩილის ძე, მაგრამ აურჩევიათ დავით გიორგის ძე, სოლომონის ბიძაშვილი. პროტესტი არ განვაცხადე, რადგან დავით არჩილის ძე მცირეწლოვანია და სამეფოს გაძღოლა არ შეუძლია“ (მაჭარაძე, 1968: 44). 8 მაისს იგი ამავე საკითხზე პ. პოტიომკინს აცნობებდა: „პროტესტი არ განვაცხადე იმ მოსაზრებითაც, რომ ოსმალეთი არ ჩარეულიყო იმერეთის საქმეებში და ამას რუსეთის უკმაყოფილება არ გამოეწვია. შემდეგ კი, როცა დავით არჩილის ძე სრულწლოვანი გახდება, ისე მოვიქცევი, როგორც რუსეთის მთავრობა გადაწყვეტს“ (მაჭარაძე, 1968: 44). ამიტომ შემთხვევ-

ითი არ არის ისიც, რომ ბაგრატ ბატონიშვილი თავის „ახალ მოთხრობაში“ მიუთითებს - იმერლებმა დავით გიორგის ძე დასვეს „არა მეფედ, არამედ ნაიბად, ვიდრე აღზრდამდე არჩილის ძისა დავითისა“ ( ბატონიშვილი, 1941: 59).

დავით გიორგის ძის ხანმოკლე მეფობის პერიოდში იმერეთში ძალიან რთული ვითარება შეიქმნა. მისი პოლიტიკით უკმაყოფილო მსხვილი ფეოდალები გააქტიურდნენ და მეფის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეს. ქვეყანა ფეოდალურმა შინადაპირისპირებამ მოიცვა. ისინი განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდნენ დავით არჩილის ძეზე. გახშირდა ოსმალების თავდასხმები, რომელსაც დავით მეფე წარმატებით იგერიებდა. რუსეთის მთავრობა დაინტერესებული იყო იმერეთში მშვიდობის შენარჩუნებით და ამიტომ ყველანაირად მხარს უჭერდა დავით მეფეს, რომელიც, რუსეთის მთავრობის აზრით, სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ ერთადერთი ძალა იყო, ვისაც შეეძლო იმერეთის სამეფოში პოლიტიკური წესრიგი დაემყარებია. რუსეთის მთავრობას ასევე აღელვებდა ოსმალეთის ჩარევა იმერეთის საშინაო საქმეებში და გავლენის დამყარება. 1784 წელს პ. პოტიომკინი ბურნაშოვს წერდა: „ძალიან უნდა შეეცადოთ, რომ იმერეთში სიწყნარე იყოს... დაიყოლიეთ დიდებულები და მეფე, რომ თანხმობით იყვნენ, თვალყური ადევნეთ, რათა მათზე გავლენა არ მოიპოვონ თურქებმა“ (რეხვიაშვილი, 1982: 182).

დავით გიორგის ძის დასახმარებლად იმერეთში პეტერბურგიდან გამოგზავნეს პოლკოვნიკი ჟეგულინი, რომელსაც უნდა მოეწოდებინა დავით არჩილის ძისთვის წასულიყო რუსეთში და ეკატერინე II-ის მფარველობა ეთხოვა. მაგრამ მან არ მიიღო რუსეთის მთავრობის წარმომადგენლის რჩევა და ენერგიულად განაგრძო ბრძოლა იმერეთის ტახტის დასაკავებლად.

1788 წელს გარდაიცვალა სამეგრელოს მთავარი კაცია II დადიანი და მთავრის ტახტი დაიკავა მისმა უფროსმა ვაჟმა, 18 წლის გრიგოლმა. როგორც ჩანს, ახალი მთავარი იმერეთის მეფისთვის მისაღები კანდიდატი არ იყო და დავით მეფე სამეგრელოში შეიჭრა.  ნიკო დადიანი წერს: „შემდგომად ორისა თვისა კაცია დადიანის გარდაცვალებისა შეიკრიბნა სპანი იმერეთისანი

დავით მეფემან მოუხდა ოდიშს და მოსწვა და გარდიბირა მრავალნი ოდიშარნი და ძმა გრიგოლ დადიანისა მანუჩარ და სხვანი თავადნი და მრავლითა ტყვითა შოებული წარვიდა კვალად იმერეთს“ ( დადიანი, 1962:184).

გრიგოლ დადიანი ლეჩხუმში გაიქცა. მას მხარი დაუჭირეს ბიძაშვილებმა, ლეჩხუმის სარდალმა ქაიხოსრო გელოვანმა, სამეგრელოს სამთავროს სახლთუხუცესმა გიორგი ჩიქვანმა და სხვა გავლენიანმა ფეოდალებმა. მათ თხოვნით მიმართეს ერეკლე II-ს ლეჩხუმში გამოეგზავნა დავით არჩილის ძე. ერეკლე II ხელსაყრელ მომენტს ეძებდა იმერეთში თავისი შვილიშვილის გასამეფებლად და რასაკვირველია, ოდიშის სამთავროს წარმომადგენელთა ამ თხოვნას მაშინვე დაეთანხმა.

ლეჩხუმში, მურის სასახლეში დავით არჩილის ძე გრიგოლ დადიანის დაზე - მარიამზე დააქორწინეს. 1789 წლის 11 ივლისს გრიგოლ დადიანმა და დავით არჩილის ძემ სამეგრელოს და ქართლ-კახეთის ლაშქრით მათხოჯთან დავით გიორგის ძე დაამარცხეს. მოკავშირეებს დავით მეფის წინააღმდეგ მხარი დაუჭირეს ზურაბ წერეთელმა და იმერეთის სხვა დიდებულებმაც, კერძოდ „ფიცის კაცებმა“, რომლებიც იმერეთში წარმოადგენდნენ სამხედრო არისტოკრატიას ტახტის აზნაურებიდან.

დავით გიორგის ძეს იმერეთის აზნაურების ერთმა ნაწილმა მხარი დაუჭირა. მათზე დაყრდნობით, ყოფილი მეფე იმერეთში ბრძოლას განაგრძობდა, მაგრამ უშედეგოდ. იგი იძულებული გახდა ახალციხეში გაქცეულიყო.

იმერეთში გამეფდა დავით არჩილის ძე, რომელსაც 17 წელი შეუსრულდა. მან სოლომონ I-ის პატივსაცემად სახელი შეიცვალა და სოლომონ II დაირქვა. მას სამაგალითოდ მიაჩნდა იმერეთის დიდი მეფის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საფუძვლები და მთელი მეფობის მანძილზე ურყევად ცდილობდა გაეგრძელებია გამოჩენილი წინამორბედის მიერ აღებული კურსი, რომლის მიზანს ოსმალების საბოლოო განდევნა და დასავლეთ საქართველოს გაერთიანება წარმოადგენდა. ახალი მეფე სოლომონ I-ის სახელს ყოველთვის მოწიწებით ეპყრობოდა, უწოდებდა მას „იმერთა მხსნელად ღვთისგან მოვლენილ“ დიდ და სახელო-

ვან მეფეს, „უშჯულოთა მაჰმადიანთა ძირითურთ აღმომფხვრელსა და ქვეყნისთვის მრავალგზის სისხლ დანთხეულს, იმერთა მეორე აღმაშენებელს“ (კაკაბაძე, 1921: 94-95).

ტახტისათვის ბრძოლის პერიოდის ძალზედ საყურადღებო მომენტია საქართველოს გაერთიანების მცდელობა. როდესაც იმერეთის სამეფოში შინაომები მიმდინარეობდა დავით გიორგის ძესა და დავით არჩილის ძეს შორის, მეტოქეთა გაუთავებელი შუღლი, დაქირავებული სამხედრო ძალის გამოყენება, ხან ერთი და ხან მეორე კუთხის აოხრება აჩანაგებდა ქვეყანას. ყოველივე ამით თავმობეზრებულმა იმერეთის დიდებულებმა გადაწყვიტეს კავკასიის ყველაზე მაღალი რანგის ხელისუფალისათვის - ერეკლე მე-2-სთვის მიემართათ საქართველოს გაერთიანების წინადადებით. 1790 წელს ერეკლე მეფეს ელჩობით ესტუმრნენ დასავლეთ საქართველოს ყველაზე პატივცემული პირები: ევთიმი გელათელი, დოსითეოს ქუთათელი, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, პაატა მიქელაძე, სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, სეხნია წულუკიძე, იოანე აბაშიძე, იოანე აგიაშვილი, ქაიხოსრო ჩიჯავაძე და ფიცისკაცები: ლორთქიფანიძე, იოსელიანი, ავალიანი. აღნიშნული ელჩობა ერეკლეს იმერეთის შეერთებას თხოვდა არამარტო მაღალი სამღვდელოებისა და არისტოკრატიის სახელით, არამედ ამ გაერთიანებით პირველ რიგში დაინტერესებული იყვნენ იმერეთისა და დასავლეთ საქართველოს ძირითადი მოსახლეობა. ამგვარი თხოვნა ერეკლესა და ქართლკახეთის სამეფოს მაღალი ავტორიტეტით იყო განპირობებული. ქართლ-კახეთის სამეფო იმ დროისათვის კავკასიის მასშტაბით ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომლის ვასალურ დამოკიდებულებაში მუსულმანური პოლიტიკური ერთეულებიც კი შედიოდნენ. ერეკლემ ქართლ-კახეთისა და იმერეთის გაერთიანების საკითხის გადაწყვეტა სამეფო დარბაზს მიანდო. სამეფო დარბაზზე გაერთიანების იდეას მომხრეებიც გამოუჩნდნენ და მოწინააღმდეგეებიც. მომხრეთა შორის იყვნენ იყვნენ მდივანი ჭაბუა ორბელიანი, ანტონ კათალიკოსი, დავით ორბელიანი, სოლომონ ლიონიძე და ქართლ-კახეთის ტახტის მემკვიდრე - გიორგი ბატონიშვილი. გაერთიანების წინააღმდეგ გამოვიდნენ

ერეკლეს მეუღლე დარეჯან დადიანი და ერეკლეს სიძე - იოანე მუხრანბატონი. იმერეთის ელჩები ხვდებოდნენ რა, რომ ერთ-ერთი გადამწყვეტი დარეჯან დედოფლის პოზიცია იყო შეხვდ-ნენ ერეკლეს მეუღლეს, თუმცა ვერ შეასმინეს გაერთიანების სიკეთე. როდესაც ჯერი ერეკლე მე-2-ზე მიდგა მან ასე უპასუხა ელჩებს: „მე მთხოვენ შეერთებას იმერეთისას, მაგრამ თხოვნასა ამას ვერ მივიღებ; მტერი მადგას კარსა; ვერ გავიხდი ახალსა მტე-რსა, რომელიც უნდა იყოს შვილის-შვილი ჩემი იმერთა ტახ-ტისათვის განმზადებული".

გაერთიანების იდეა ჩაიშალა. ასეთი შანსი საქართველოს 1490 წლის ავადსახსენებელი სამეფო დარბაზის დადგენილების შემდეგ არ ჰქონია. არადა გიორგი ბატონიშვილის სიტყვებით რომ ითქვას: „შეერთება იმერეთისა ქართლისადმი არის სიმტ-კიცე მეფობისა, ანუ გნებავსთ უძლეველობა ქვეყნისა ჩვენისა მტერთაგან" (კუპრაშვილი, 2016: 38).

ახალციხეში გაქცეული დავით გიორგის ძე ხელისუფლ-ების დასაბრუნებლად დამხმარე ძალებს აგროვებდა, რაც ახალ-ციხის ფაშას ხელსაყრელ საბაბს აძლევდა იმერეთის საშინაო საქმეებში ჩარეულიყო. 1790 წელს დავით გიორგის ძე ოსმალების და ლეკთა ლაშქრით იმერეთში შემოიჭრა. სოლომონ II-მ სასწ-რაფოდ შეკრიბა ჯარი და დავით გიორგის ძეს ბრძოლა გაუმ-ართა, მაგრამ დამარცხდა და იძულებული გახდა საჩხერის სასა-ხლეში პაპუნა და ზურაბ წერეთლებისათვის შეეფარებია თავი. აქედან იგი აღმოსავლეთ საქართველოში გადავიდა და ერეკლე II-ს დახმარება თხოვა. ქართლ-კახეთის მეფემ სოლომონ II-ს იოანე ბატონიშვილის სარდლობით ჯარი გაატანა. სოლომონს მხარი დაუჭირა ასევე სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა. დავით გიორგის ძე დამარცხდა და ახალციხის ფაშას შუამავ-ლობით სოლომონ II-თან მორიგება გადაწყვიტა. 1791 წელს იგი ერეკლე II-ს შეხვდა. ქართლ-კახეთის მეფემ დავითს ანტონ კათ-ალიკოსი გააყოლა და იმერეთში გაგზავნა. სოლომონ II-ს და დავით გიორგის ძეს შორის მიღწეული შეთანხმებით, სოლომო-ნმა ყოფილ მეფეს საბატონიშვილო დაუბრუნა, ხოლო ამ უკანასკ-ნელმა იმერეთის ახალ მეფეს ერთგულება შეფიცა.

თანხმობა მოწინააღმდეგეებს შორის დროებითი აღმოჩნდა. მალე გამომჟღავნდა, რომ დავით გიორგის ძე მოღალატე აბაშიძეებთან ერთად მეფის საწინააღმდეგო შეთქმულებას ამზადებდა და შეთქმულებს სოლომონ II-ის მოკვლა ჰქონდათ განზრახული. მაგრამ მათი გეგმები გამომჟღავნდა და დავით გიორგის ძეს კვლავ მოუხდა ერთგულებაზე დაფიცება. ამჯერად ტახტის მაძიებელი იძულებული გახდა ერთგულების ნიშნად მეფისათვის მძევლად თავისი სამი წლის ვაჟი კონსტანტინე მიეცა. სოლომონმა მძევალი მუხურის ციხეში გამოკეტა.

დავით გიორგის ძეს ტახტის დაბრუნებაზე ფიქრი არასდროს შეუწყვეტია და ყოველთვის ცდილობდა სოლომონ II-ის მოწინააღმდეგე ძალებს დაკავშირებოდა. ამ დროს ურთიერთობა დაიძაბა სამეგრელოს მთავარს და იმერეთის მეფეს შორის. სოლომონ II -ს მხარი დაუჭირეს სამეგრელოს გავლენიან ფეოდალთა ერთმა ნაწილმა (ლეჩხუმის მოურავი ქაიხოსრო გელოვანი, მთავრის ძმა მანუჩარი და სხვ.) და 1792 წელს გრიგოლ დადიანი ტახტიდან ჩამოაგდეს. სამეგრელოს მთავარი გახდა მანუჩარ დადიანი, ხოლო ტახტიდან ჩამოგდებულმა გრიგოლმა სამურზაყანოს შეაფარა თავი.

დავით გიორგის ძე დაუკავშირდა გრიგოლ დადიანს, ასევე იმერეთის ტახტის მაძიებელს ფარული ურთიერთობა ჰქონდა ახალციხის ფაშასთან. ყოველივე ეს ცნობილი გახდა და სოლომონმა დავით გიორგის ძის დასჯა გადაწყვიტა, მაგრამ მან ახალციხეში გაქცევა მოასწრო.

1794 წელს დავით გიორგის ძე ლეკების დახმარებით იმერეთში შემოვიდა. მის დასახმარებლად სამურზაყანოს ლაშქრით გრიგოლ დადიანი გამოემართა და ბანძის მახლობლად დაბანაკდა, რამაც მოკავშირეების - სოლომონ II-ის და მანუჩარ დადიანის პოზიციები შეასუსტა. იმერეთის მეფეს ერთი მხრიდან უტევდა დავით გიორგის ძე ლეკების ჯარით, ხოლო მეორე მხრიდან გრიგოლ დადიანი სამურზაყანოს ლაშქრით. იმერეთის მეფის მომხრეებმა კარგად დაგეგმილი სამხედრო ჩანაფიქრით შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება. ქაიხოსრო გელოვანი და ქაიხოსრო წერეთელი თავს დაესხნენ მარსილში დაბანაკებულ მოწინააღმ-

დეგის ლაშქარს და დაამარცხა იგი. გრიგოლ დადიანი აფხაზეთის სამთავროში გაიქცა. დავით გიორგის ძე, რომელიც ქუთაისზე გალაშქრებას აპირებდა, იძულებული გახდა მათხოჯისკენ დაეხია და იქ დაბანაკებულიყო, ხოლო ლეკთა ჯარი მის მახლობლად დანგრეული ეკლესიის მიდამოებში გამაგრდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, მათხოჯში გრიგოლ დადიანი ჩავიდა და დავით გიორგის ძეს დაპირდა, რომ მის დასახმარებლად აფხაზეთის მთავარს გამოიყვანდა, რაც შეასრულა კიდეც და აფხაზეთის მთავარი დახმარებაზე დაითანხმდა. დავით გიორგის ძის მოკავშირეების ჯარი ხიბულასთან დაბანაკდნენ.

დასავლეთ საქართველოს საქმეებში აქტიურად ჩაერია ერეკლე II. მან ალექსანდრე ბატონიშვილის სარდლობით, იმერეთში გაგზავნა ქართლ-კახეთის ჯარი არტილერიით. სოლომონ მეფე და მისი მოკავშირეები ნახახულევთან დაბანაკდნენ. ბრძოლის დაწყების წინ მეფის მომხრეებმა ლეკთა ჯარის ბელადი მოისყიდეს და მან დავითს უღალატა (დადიანი, 1962: 187). ტახტის მაძიებელი დამარცხდა და დაიხია ხიბულისაკენ. დავითის დამარცხებამ აფხაზეთის მთავარი შეაშინა და სასწრაფოდ უკან დაბრუნდა. დავითი იძულებული გახდა დაბრულებულიყო ახალციხეში, სადაც გარდაიცვალა ყვავილის სენით 1795 წლის 11 იანვარს. მისი ვაჟი - კონსტანტინე ბატონიშვილი სოლომონ II-თან დარჩა მძევლად, ხოლო დედოფალმა ანამ ერეკლე II-ს შეაფარა თავი.

ასე აღესრულა იმერეთის გვირგვინოსნის ტიტულისათვის მებრძოლი კიდევ ერთი ბაგრატიონი და ქუთაისის ტახტს ამჯერად საბოლოოდ და მყარად დაეუფლა სოლომონ II, რომელიც ვერ წარმოიდგენდა, რომ ზუსტად ოცი წლის შემდეგ მის მიერ დამარცხებული და განდევნილი მეტოქის უნუგეშო ბედს გაიზიარებდა (დათუაშვილი, 1993: 43).

მეფის გამარჯვებას იმერეთში დიდი ხნით მშვიდობა არ მოყოლია.

სოლომონ II-ს ახალი მოწინააღმდგე გამოუჩნდა, სოლომონ I-ის ვაჟის უკანონო შვილი - გიორგი ალექსანდრეს ძე. მას ცოლად ჰყავდა გელათელი მიტროპოლიტის ძმისშვილი, გურიის

ერისთავის ასული დარეჯანი. გელათელი მიტროპოლიტი და იმერელი თავადების ერთი ნაწილი დაუკავშირდა ახალციხეში მყოფ გრიგოლ დადიანს. მათი მიზანი იყო სოლომონის ტახტიდან ჩამოგდება და გიორგი ალექსანდრეს მის გამეფება. გრიგოლ დადიანი ჯარით იმერეთისკენ გაიძრა, მაგრამ შეთქმულება მალე გამჟღავნდა. სოლომონ II-მ შეთქმულებაში მონაწილე იმერელი თავადები დააპატიმრა. გრიგოლ დადიანს ცოლშვილი ქუთაისში ჰყავდა და ამიტომ იძულებული გახდა სოლომონ II-ს ხლებოდა. მეფემ ისიც დააპატიმრა, მაგრამ მალე მან მოახერხა ტყვეობიდან თავის დაღწევა, ტახტიდან ჩამოაგდო თავისი ძმა მანუჩარი და მთავრის ტახტი დაიბრუნა. სოლომონ II-მ რამდენჯერმე სცადა მისი გადაყენება, მაგრამ უშედეგოდ.

**დასკვნა**

ხელისუფლებისათვის ბრძოლას იმერეთის სამეფოში ფეოდალური რეაქციის გაძლიერება მოყვა. ფეოდალები ერთმანეთს თავს ესხმოდნენ, დამხმარედ ოსმალეთს და ლეკებს იყენებდნენ, რაც მძიმე მდგომარეობაში აგდებდა ქვეყანას. იმერეთი ანარქიამ მოიცვა. სოლომონ II-მ XVIII საუკუნის ბოლოს შეძლო ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება, მაგრამ ქვეყნის მდგომარეობა რთული იყო.

გამეფებისთანავე სოლომონ  II სახელოვანი ბიძის - სოლომონ I-ლის პოლიტიკური კურსის გაგრძელებას ცდილობდა. მეფე ცდილობდა დაეთრგუნა ურჩი ფეოდალები და ბიძამისის მსგავსად პრეტენზიას მთელი დასავლეთ საქართველოს ლიდერობაზე აცხადებდა. სოლომონმა სამეგრელოს მთავრობიდან გადააყენა მისი ცოლისძმა გრიგოლ დადიანი, თუმცა სამეგრელოს დამორჩილება მეფემ მაინც ვერ მოახერხა და 1803 წლის დეკემბერში სამეგრელოს სამთავრო რუსეთის მფარველობაში შევიდა, რითაც საბოლოოდ უარი ითქვა დასავლეთ საქართველოს ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მიზერულ იდეაზეც კი. სოლომონ II - მ დავით გიორგის მის მიერ სამეგრელოსათვის გადაცემული საჭილაო დაიბრუნა და ჭვიშის ციხესაც დაეპატრონა.

სოლომონი ბაბუას - ერეკლეს ეხმარებოდა კრწანისის ბრძოლაში. ერეკლეს მცირე ჯარის თითქმის ნახევარს იმერეთის მე-

ფის მეომრები შეადგენდნენ. სოლომონ მე-2 ერეკლეს მრავალრიცხოვანი შთამომავლებიდან იმ ერთეულებს ეკუთვნოდა, რომელიც ლეგენდარული მეფის გვერდით აღმოჩნდნენ ცხოვრების ყველაზე გადამწყვეტ ბრძოლაში.

1801 წელს რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა. საქართველოს ისტორიაში ეს ის ხანაა, როდესაც იმერეთის სამეფოს მესვეურთა ერთი ნაწილი ცდილობდა ნაწილობრივ მაინც შეენარჩუნებინა საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობა. საგარეო პოლიტიკური ფონი კი პატარა ქართული სამეფოსათვის მეტად მძიმე გახლდათ. რუსეთის იმპერიის განზრახვას 1801 წლის პოლიტიკური მოვლენების შემდეგ (ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება), დაემორჩილებინა მთელი სამხრეთ კავკასია, სოლომონ მე-2 წინ ნაკლებად აღუდგებოდა იმერეთის სამეფოს მცირე პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო რესურსებით. იმერეთის სამეფო კარი ცდილობდა მარჯვე დიპლომატიური წიაღსვლებით გაენეიტრალებინა რუსული სამხედრო და პოლიტიკური აგრესია (კუპრაშვილი, 2016: 40).

## დამოწმებული ლიტერატურა:


ბატონიშვილი, ბ. (1941). *ახალი მოთხრობა,* თ. ლომოურის რედაქციით, თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.

დადიანი, ნ. (1962). *ქართველთ ცხოვრება,* ტექსტი გამოსცა შ. ბურჯანაძემ, თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისგამომცემლობა“.

კაკაბაძე, ს. (1921). *დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები,* წიგნი მეორე, თბილისი: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

დათუაშვილი, ზ. (1993). *ტრაქტატი მეფე მთავართა - ორასწლოვანი სევდა.* ქუთაისი: გამომცემლობა „სარანგი“.

კუპრაშვილი, ს., სამუშია, ჯ.(2016). *დასავლეთი საქართველო XV – XIX საუკუნეებში.* თბილისი:გამომცემლობა „პალიტრა L“.

კუპრაშვილი, ს. (2019). *სოლომონ I სოლომონ II.* თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“.

მაჭარაძე, ვ. (1968). *ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე,* თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.

რეხვიაშვილი, მ. (1982). *იმერეთის სამეფო XVIII საუკუნეში, ნარკვევები,* თბილისი: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

რეხვიაშვილი,მ., რეხვიაშვილი, ნ. (2000). *საქართველოს ისტორია,* ქუთაისი: საგამომცემლო ცენტრი „სტამბა“.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები. (1973). ტომი IV, *საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე,* რედაქტორი დუმბაძე მ. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

## References:

Bat̓onishvili, B. (1941). *Akhali Motkhroba,* T.Lomouris Redaktsiit, Tbilisi: „Sakartvelos SSR Metsnierebata Ak̓ademiis Gamomtsemloba“.

Dadiani, N. (1962). *Kartvelt Tskhovreba,* T̓ekst̓I Gamostsa Sh. Burjanadzem, Tbilisi: „Sakartvelos SSR Metsnierebata Ak̓ademiis Gamomtsemloba“.

K̓ak̓abadze, S.(1921). *Dasavlet Sakaetvelos Saek̓lesio Sabutebi.* Ts̓igni meore, Tbilisi: „Tbilisis Sakhelmts̓ifo Universit̓et̓is Gamomtsemloba“.

Datunashvili, Z. (1993). *T̓rakt̓at̓I Mefe Mtavarta- Orastsl̓ovani Sevda.* Kutaisi: Gamomtsemloba „Sarangi“.

K̓up̓rashvili, S., Samushia, J. (2016). *Dasavleti Sakartvelo XV – XIX Sauk̓uneebshi.* Tbilisi: Gamomtsemloba „P̓alit̓ra L“.

K̓up̓rashvili, S. (2019). *Solomon I Solomon II.* Tbilisi: Gamomtsemloba „P̓alit̓ra L“.

Mach̓aradze,V.(1968). *Besik̓I Dip̓lomatiur Sarbielze,* Tbilisi: Gamomtsemloba „Merani“.

Rekhviashvili, M.(1982). *Imeretis Samefo XVIII Sauk̓uneshi,* Nark̓vevebi, Tbilisi: „Tbilisis Sakhelmts̓ifo Universit̓et̓is Gamomtsemloba“.

Rekhviashvili, M., Rekhviashvili, N. (2000). *Sakartvelos Ist̓oria,* Kutaisi: Sagamomtsemlo Tsent̓ri „St̓amba“.

Sakartvelos Ist̓oriis Nark̓vevebi. (1973). T̓omi, IV, *Sakartvelo XVI Sauk̓unis Dasatsq̓isidan XIX Sauk̓unis 30-ian Ts̓lebamde,* Redakt̓ori M. Dumbadze. Tbilisi: Gamomtsemloba „Sabch̓ota Sakartvelo“.

# The battle for the royal throne in Imereti in the 80s-90s of the 18th century and the policy of Erekle II, the king of Kartl – Kakheti

**Sulkhan Kuprashvili**
Professor,
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Tamar Mepe Street No. 59, 4600, Georgia,
+995577131523, sulkhan.kuprashvili@atsu.edu.ge
https://orcid.org/:0000-0003-0294-4956
DOI:https://doi.org/10.61671/hos.6.2023.7360
**Goderdzi Vachridze**
Associate Professor,
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Tamar Mepe Street No. 59, 4600, Georgia
+995577131512, goderdzi.vatchrifze@atsu.edu.ge
https://orcid./:0000-0003-8770-4438
DOI:https://doi.org/10.61671/hos.6.2023.7360

**Abstract**

In the presented paper, the struggle for the royal throne in Imereti in the 80s-90s of the 18th century and the policy of Erekle II is discussed and analyzed. It is noted that the death of Solomon I was followed by the activation of the influential feudal lords of Western Georgia. Individual groups of Imereti princes had a favourable situation to realize their political goals. They grouped around the two contenders for the throne - Davit Giorgi's son and Davit Archil's son. The latter was the grandson of Erekle II, which strengthened the position of his supporters. According to one part of the princes, the enthronement of Davit (Archil's son) in Imereti would result in the strengthening of the influence of the king of Kartl-Kakheti in Western

Georgia, which would ultimately lead to the abolition of the kingdom of Imereti and its merger with the kingdom of Kartl-Kakheti. Therefore, the mentioned group supported Davit (Giorgi's son), the cousin of Solomon I, to become king in Imereti, which was successfully achieved in the first stage of the political struggle.

In 1784-1789, Imereti was ruled by Davit (Giorgi's son). During his short reign, a very difficult situation arose in Imereti. Dissatisfied with his policy, the great feudal lords became active and started to fight against the king. They placed special hopes on Davit (Archil's son). With the active support of the influential feudal lords of Imereti and Erekle II, Davit (Archil's son) won the battle for the throne, who changed his name to Solomon II in honour of Solomon I. Davit (Giorgi's son) never stopped thinking about returning the throne and always tried to Solomon.

He would contact the opposing forces of Solomon II. The struggle for power in the kingdom of Imereti was accompanied by the strengthening of the feudal reaction. Anarchy engulfed Imereti. At the end of the 18th century, Solomon II was able to strengthen the central government, and the kingdom of Imereti was once again in the hands of a strong ruler.

**Keywords:** Erekle II; Solomon II; Davit (Giorgi's son); Davit (Archil's son); Kingdom of Imereti; Kingdom of Kartl - Kakheti.

## Introduction

King Solomon I of Imereti died on April 23, 1784. He did not have a direct heir, because the only legal heir of Solomon - Prince Aleksandre died in 1780. Aleksandre had a son Giorgi from an illegal marriage, who would not have a legal right to the throne. Therefore, Solomon I declared his nephew Davit (Archil's son), who was the grandson of Erekle II, as his successor.

The sudden death of the powerful king was followed by the activation of the influential feudal lords of Western Georgia. Individual groups of Imeretian princes had a favourable situation to

realize their political goals. Davit (Archil's son), the official heir to the throne, who was 12 years old at that time, lived in Kakheti with his mother – Princess Elene (Batonishvili). Solomon II (Davit (Archil's son)) was born in 1772. His father, Archil, was the younger brother of Solomon I, and his mother, Elene, was the daughter of Erekle II. The marriage of Solomon II's parents was due to the closer proximity of the kingdoms of Kartl-Kakheti and Imereti and the prospect of more alliances. Solomon II Bagrationi was the last ruler in the history of Georgia.

Solomon II's father Archil, unlike his elder brothers, was not interested in political life. He did not want to interfere in state affairs. Archil was a tall, imposing and physically strong person. He loved Georgian table traditions very much. His circle of friends also consisted of Archil style people. Archil was distinguished by his quarrelsomeness. He was called "Insane" precisely because of such a pleasant and free character.

Once, when Archil was visiting his father-in-law - Erekle II, the Imeretian son-in-law, who had been drinking all night, was woken up by the loud prayer of mullah early in the morning in Tbilisi (Tbilisi was famous for its religious diversity and tolerance in all eras). Enraged by waking up early, Archil saw in mullah not a religious figure, but someone who awakened him in his untimely time, took out a gun and killed him, thus the "Insane" Imeretian son-in-law earned the great mercy of King Erekle.

Davit (Archil's son) was 3 years old when his father died (he was given to anathema by Archil's brother, Joseph the Catholicos, and was not buried like a member of the royal family, but was buried outside the walls). Solomon's mother - Elene married for the second time to Mourav of Kiziki, Kakhetian prince Andronikashvili, and Davit (Archil's son) grew up in Tbilisi, Kakheti and Kiziki. In the middle of the 19th century, the military governor of Kutaisi - Petre Demianovich Gnilosarov, gave interesting information about Solomon II. Solomon II was a man of medium height, of full build. The Russian historian emphasizes that he mostly wore Georgian (in this case, East Georgian)

clothes, and instead of Akhalukhi, he wore a Zubun sewn from Imeretian striped brocade, and he always wore a Georgian Bokhoki on his head. Since Solomon was the grandson of the king of Georgians - Erekle, he brought Georgian rules to Imereti as well. The Russians called Georgia only Kartl-Kakheti. Division of Georgia into Georgians, Imeretians, Mengrelians, etc. is a characteristic feature of Russian historiography of the XIX-XX centuries (Kuprashvili, 2019: 98).

**Methods**

The scientific article presented by us is based on proven academic research methods in historiography. In particular, qualitative research method, which implies in-depth analysis, as well as comparison-contrast analysis is used in the paper in order to draw objective conclusions.

**Result**

In the 80s and 90s of the 18th century, the struggle for the throne of Imereti practically turned into a general Georgian conflict. The mentioned confrontation caused great damage to the kingdom of Imereti. Not only the political elite of the country, but also the population was divided into two hostile camps, and the Ottoman Empire was also involved in the conflict in the form of the Akhaltsikhe Pashate. The active intervention of Erekle II, the most influential monarch of the Caucasus at that time, played a decisive role in the conflict. He strongly supported his grandson, Solomon I's nephew Davit (Archil's son), known as Solomon II. Erekle, with his political influence and military power, together with a part of the feudal lords of Western Georgia, managed to finally remove Davit (Giorgi's son) from the throne of Imereti. Despite the fact that the mentioned conflict lasted for a long time and cost a lot of economic and human resources, Solomon II managed to become a very influential ruler in the early 1890s and partially restore the authority of the time of Solomon I to the kingdom of Imereti. Nevertheless, the kingdom of Imereti, with its small resources, was powerless in the beginning of the 19th century before the conquering policy of the Russian Empire.

## Discussion

Due to his young age, Davit (Archil's son) could not rule the country yet, but he was supported by a certain group of feudal lords, and most importantly, the position of his supporters was strengthened by the factor of Erekle II. Imereti According to other groups of influential feudal lords, the enthronement of Davit Archil's son in Imereti would result in the strengthening of the influence of the king of Kartl-Kakheti in Western Georgia, the limitation of the independent rule of the princes, which would ultimately lead to the abolition of the kingdom of Imereti and its merger with the kingdom of Kartl-Kakheti. Therefore, the said group supported the kingship of Solomon I's cousin Davit (Giorgi's son), who after the defeat of the 1778 conspiracy against Solomon I, moved to Eastern Georgia and was at the court of Erekle II (Essays on the History of Georgia, 1973: 740). Shortly before his death, Solomon I reconciled with Davit (Giorgi's son), allowed him to come to Imereti and returned his estates.

The group of supporters of Davit (Giorgi's son) was commanded by Commander-Treasurer Papuna Tsereteli and Police Chief Beri Tsulukidze. They were supported by the Prince of Samegrelo Katsia Dadiani (Dadiani, 1962: 181).

On April 26, 1784, Davit (Giorgi's son) took an oath before the feudal lords of Imereti, which actually represented the action program of the new king and his government. The new king promised the feudal lords that he would leave the estates of Davit (Archil's son) and Giorgi (Aleksandre's son) intact (Rekhviashvili, 1982: 173). Davit (Giorgi's son) promised that he would steadfastly and firmly continue the course taken by Solomon I - he would fight against the purchase of captives, help strengthen the church and continue relations with Russia (Rekhviashvili, 2000: 178).

On May 7, 1784, on May 7, 1784, Erekle II wrote to S. Burnashov, the representative of the Russian government, about the coronation of Davit (Giorgi's son): "Solomon I passed away. As the successor of the king of Imereti, my grandson Davit (Archil's son) was chosen by Solomon, but they did not choose Davit (Giorgi's son),

Solomon's cousin. I did not protest because Davit (Archil’s son) is young and cannot lead the kingdom" (Macharadze, 1968: 44). On May 8, he informed P. Potemkin about the same issue: "I did not protest even with the opinion that Ottomans would not interfere in the affairs of Imereti and this would not cause Russia's displeasure. And then, when Davit (Archil’s son) comes of age, I will do as the Russian government decides" (Macharadze, 1968: 44). Therefore, it is not a coincidence that Bagrat Batonishvili points out in his "New Story" that the Imeretians made Davit (Giorgi’s son)"not as a king, but as a vicegerent, rather than Davit (Archil's son) before his upbringing" (Batonishvili, 1941: 59).

During the short reign of Davit (Giorgi’s son), a very difficult situation arose in Imereti. Dissatisfied with his policy, the big feudal lords became active and started fighting against the king. The country was engulfed in feudal civil strife. They placed special hopes on Davit (Archil's son). The attacks of the Ottomans became more frequent, which King Davit successfully repulsed. The Russian government was interested in maintaining peace in Imereti and therefore supported King Davit in every possible way, who, according to the Russian government, was the only force capable of establishing political order in the kingdom of Imereti after the death of Solomon I. The Russian government was also worried about Ottoman interference in Imereti's internal affairs and establishing influence. In 1784, P. Potemkin wrote to Burnashov: "You must try very hard to ensure peace in Imereti... Persuade the nobles and the king to agree, watch so that the Turks do not gain influence over them" (Rekhviashvili, 1982: 182).

Colonel Zhegulin was sent from St. Petersburg to Imereti to help the son of Davit (Giorgi’s son), who was supposed to call the son of Davit (Archil’s son) to go to Russia and ask for the patronage of Catherine II. But he did not accept the advice of the representative of the Russian government and energetically continued the struggle to occupy the throne of Imereti.

In 1788, the Prince of Samegrelo, Katsia Dadiani II, died, and his eldest son, 18-year-old Grigol, took the throne. It seems that the new

Prince was not an acceptable candidate for the king of Imereti, and King Davit invaded Samegrelo. Niko Dadiani writes: "Two months after the death of Dadiani, the people of Imereti were gathered, King David attacked Odishi and burned and captured many Odishars and Grigol Dadiani's brother Manuchar and other princes and went to Imereti with many captives" (Dadiani, 1962:184).

Grigol Dadiani fled to Lechkhumi. He was supported by his cousins, Lechkhumi commander Kaikhosro Gelovani, Samegrelo principality chieftain Giorgi Chikvani and other influential feudal lords. They asked Erekle II to send Davit (Archil's son) to Lechkhumi. Erekle II was looking for an opportune moment to crown his grandson in Imereti, and of course, he immediately agreed to this request of the representatives of the Odishi principality.

In Lechkhumi, in Muri Palace, Davit (Archil’s son) was married to Grigol Dadiani's sister - Mariam. On July 11, 1789, Grigol Dadiani and Davit (Archil’s son) defeated Davit (Giorgi’s son) with the army of Samegrelo and Kartl-Kakheti near Matkhoji. The allies against King Davit were supported by Zurab Tsereteli and other nobles of Imereti, in particular "men of the oath", who represented the military aristocracy from the nobility of the throne in Imereti.

Davit (Giorgi’s son) was supported by a part of the nobility of Imereti. Based on them, the former king continued to fight in Imereti, but to no avail. He was forced to flee to Akhaltsikhe.

Davit (Archil's son), who turned 17, became king in Imereti. He changed his name to Solomon II in honour of Solomon I. He considered the foundations of the domestic and foreign policy of the Great King of Imereti to be exemplary, and throughout his reign he unwaveringly tried to continue the course taken by his outstanding predecessor, the goal of which was the final expulsion of the Ottomans and the unification of Western Georgia. The new king always treated the name of Solomon I with awe, calling him the great and famous king "given by God as the saviour of the country", "the fundamental exterminator of the unrighteous Muslims and the one who shed blood

many times for the country, the second Builder of the country" (Kakabadze, 1921: 94-95).

A very noteworthy moment of the period of the struggle for the throne is the attempt to unify Georgia. When the internal wars between Davit (Giorgi’s son) and Davit (Archil’s son) were going on in the kingdom of Imereti, the endless feud of the rivals, the use of mercenary military force, sometimes the conquest of one and sometimes the other corner, shook the country. Tired of all this, the nobles of Imereti decided to appeal to the highest-ranking ruler of the Caucasus - Erekle II, with a proposal for the unification of Georgia. In 1790, King Erekle was visited by an embassy of the most respected people of Western Georgia: Euthymi Gelateli, Dositheos of Kutateli, Commander Kaikhosro Tsereteli, Paata Mikeladze, Zurab Tsereteli, the head of the palace, Sekhnia Tsulukidze, Ioane Abashidze, Ioane Agiashvili, Kaikhosro Chijavadze and the oath takers: Lortkipanidze, Ioseliani, Avaliani. The aforementioned embassy asked Erekle to join Imereti not only on behalf of the high clergy and aristocracy, but the main population of Imereti and Western Georgia were primarily interested in this union. This kind of request was due to the high authority of Erekle and Kartl-Kakheti kingdom. At that time, the Kingdom of Kartl-Kakheti represented a powerful state across the Caucasus, whose vassal status included even Muslim political units. Erekle entrusted the resolution of the issue of the unification of Kartl-Kakheti and Imereti to the Royal Hall. There were supporters and opponents of the idea of reunification at the Royal Hall. Among the supporters were Secretary Chabua Orbeliani, Anton Catholicos, Davit Orbeliani, Solomon Lionidze and the heir to the throne of Kartl-Kakheti - Giorgi Batonishvili. Erekle's wife Darejan Dadiani and Erekle's son-in-law - Ioane Mukhranbatoni came out against the union. The ambassadors of Imereti understood that one of the decisive positions of queen Darejan was to meet Erekle's wife, but they could not hear the goodness of the union. When Erekle took his turn on the 2nd, he answered the ambassadors like this: "I am asked to join Imereti, but I cannot accept this request; I have an enemy standing at

my door; I cannot become an enemy of my grandson, who is being prepared for the throne of my ancestors.".

The idea of a union failed. Georgia did not have such a chance after the infamous Royal Hall decree of 1490. However, in the words of Giorgi Batonishvili: "Joining Imereti to Kartli is the strength of the reign, that is, you want the invincibility of the country against our enemies" (Kuprashvili, 2016: 38).

Davit (Giorgi's son), who escaped to Akhaltsikhe, was gathering support forces to return the government, which gave the Pasha of Akhaltsikhe a convenient excuse to interfere in the domestic affairs of Imereti. In 1790 Davit (Giorgi's son) invaded Imereti with the army of Ottomans and Lekis (from Dagestan). Solomon II quickly gathered an army and fought Davit (Giorgi's son), but was defeated and had to take refuge in the palace of Papuna and Zurab Tsereteli. From here he moved to Eastern Georgia and asked Erekle II for help. The king of Kartl-Kakheti led Solomon II's army under the command of Ioane Batonishvili. Solomon was also supported by the head of Samegrelo, Grigol Dadiani. Davit (Giorgi's son) was defeated and decided to reconcile with Solomon II through the mediation of Akhaltsikhe Pasha. In 1791, he met Erekle II. The king of Kartl-Kakheti accompanied Anton Catholicos to Davit and sent him to Imereti. According to the agreement reached between Solomon II and Davit (Giorgi's son), Solomon returned princedom estate to the former king, and the latter swore allegiance to the new king of Imereti.

The agreement between the adversaries turned out to be temporary. Soon it was revealed to me that Davit Giorgi's son was preparing a conspiracy against the king together with the traitorous Abashidzes, and the conspirators intended to kill Solomon II. But their plans were revealed and Davit Giorgi's son had to swear loyalty again. This time, the seeker of the throne was forced to give his three-year-old son Konstantin as a hostage to the king as a sign of loyalty. Solomon locked the hostage in Mukhuri prison.

Davit (Giorgi's son) never stopped thinking about returning the throne and always tried to connect with the opposing forces of

Solomon II. At that time, the relationship between the chief of Samegrelo and the king of Imereti became strained. Solomon II was supported by a part of the influential feudal lords of Samegrelo (Lechkhumi Moravian Kaikhosro Gelovani, the prince's brother Manuchar, etc.) and in 1792 Grigol Dadiani was deposed from the throne. Manuchar Dadiani became the head of Samegrelo, and Grigol, who was deposed from the throne, took refuge in Samurzakhano.

Davit (Giorgi’s son) got in touch with Grigol Dadiani, also the seeker of the throne of Imereti had a secret relationship with Pasha of Akhaltsikhe. All this became known and Solomon decided to punish Davit (Giorgi's son), but he managed to escape to Akhaltsikhe.

In 1794, Davit (Giorgi’s son) entered Imereti with the help of the Lekis. To help him, Grigol Dadiani went with the Samurzakhano army and camped near Bandzi, which weakened the positions of the allies - Solomon II and Manuchar Dadiani. The king of Imereti was attacked from one side by Davit (Giorgi’s son) with Leki's army, and from the other side, Grigol Dadiani with Samurzakhano's army. The supporters of the king of Imereti were able to correct the situation with a well-planned military plan. Kaikhosro Gelovani and Kaikhosro Tsereteli attacked the opponent's army camped in Marseille and defeated it. Grigil Dadiani fled to Abkhazia. Davit (Giorgi’s son), who was going to march on Kutaisi, was forced to retreat to Matkhoji and camp there, while the army of the Lekis fortified itself in the vicinity of the ruined church.

After some time, Grigol Dadiani arrived in Matkhodi and promised Davit (Giorgi’s son) that he would bring the chief of Abkhazia to help him, which he did and agreed to help the chief of Abkhazia. The army of Davit Giorgi's son's allies camped near Khibula.

Erekle II actively intervened in the affairs of Western Georgia. He sent the Kartl-Kakheti army with artillery to Imereti under the command of Aleksandre Batonishvili. King Solomon and his allies camped near Nakhakhulevi. Before the start of the battle, the king's supporters bribed the leader of the Lek army and he betrayed Davit (Dadiani, 1962: 187). The seeker of the throne was defeated and

retreated to Khibul. Davit's defeat frightened the chief of Abkhazia and immediately returned. Davit was forced to return to Akhaltsikhe, where he died of smallpox on January 11, 1795. His son - Konstantine Batonishvili remained a hostage with Solomon II, and Queen Anna took refuge with Erekle II.

This is how another Bagrationi, fighting for the title of Imereti's crown prince, succeeded, and this time the throne of Kutaisi was finally and firmly occupied by Solomon II, who could not imagine that exactly twenty years later he would share the inconsolable fate of his defeated and expelled rival (Datuashvili, 1993: 43).

The king's victory did not bring peace to Imereti for a long time.

A new successor appeared to Solomon II, the illegitimate son of the son of Solomon I - Giorgi (Aleksandre's son). He was married to Darejan, the nephew of the Gelati Metropolitan, the daughter of Eristavi of Guria. Metropolitan of Gelati and a part of princes from Imereti contacted Grigol Dadiani in Akhaltsikhe. Their goal was to overthrow Solomon from the throne and make Giorgi (Aleksandre's son) king. Grigol Dadiani marched towards Imereti with his army, but the conspiracy was soon revealed. Solomon II imprisoned the Imeretian princes involved in the conspiracy. Grigol Dadiani had a daughter-in-law in Kutaisi, and therefore he was forced to live with Solomon II. The king also imprisoned him, but soon he managed to escape from captivity, deposed his brother Manuchar and regained the throne of the prince. Solomon II tried several times to depose him, but to no avail.

## Conclusion

The struggle for power in the kingdom of Imereti was accompanied by the strengthening of the feudal reaction. The feudal lords attacked each other, using Ottomans and Leks as helpers, which put the country in a difficult situation. Anarchy engulfed Imereti. Solomon II was able to strengthen the central government at the end of the 18th century, but the country's situation was difficult.

Upon becoming king, Solomon II tried to continue the political course of his famous uncle - Solomon I. The king tried to suppress the

disobedient feudal lords and, like his uncle, claimed the leadership of all Western Georgia. Solomon dismissed his brother-in-law Grigol Dadiani from the government of Samegrelo, but the king still failed to subjugate Samegrelo, and in December 1803, the principality of Samegrelo came under the protection of Russia, thus finally rejecting even the meager idea of forming Western Georgia into a single state. Solomon II took back Sachilao given to Samegrelo by Davit (Giorgi's son) and took control of Chvishi Castle.

Solomon helped his grandfather - Erekle in the battle of Krtsanisi. Almost half of Erekle's small army consisted of the warriors of the King of Imereti. Among the numerous descendants of Solomon II Erekle belonged to those units who found themselves at the side of the legendary king in the most decisive battle of his life.

In 1801, Russia abolished the Kingdom of Kartl-Kakheti. This is the period in the history of Georgia, when a part of the representatives of the Kingdom of Imereti tried to at least partially preserve the independence of their country. The foreign political background was very difficult for the small Georgian kingdom. After the political events of 1801 (abolition of the Kingdom of Kartl-Kakheti), Solomon II was less able to resist the intention of the Russian Empire to subjugate the entire South Caucasus with the small political, economic and military resources of the Kingdom of Imereti. The royal court of Imereti tried to neutralize the Russian military and political aggression with right diplomatic efforts (Kuprashvili, 2016: 40).

## References:

Batonishvili, B. (1941). *New story, T. Edited by Lomouri,* Tbilisi: „Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR" (in Georgian).

Dadiani, N. (1962). *Living with Georgians,* the text was published by Sh. Burjanadze, Tbilisi: „Publishing House of the Academy of Sciences of the USSR of Georgia" (in Georgian).

Kakabadze, S. (1921). *Church Documents of Western Georgia*, Book Two, Tbilisi: „Tbilisi State University Publishing House“(in Georgian).
Datuashvili, Z. (1993). *Treatise King of the Chiefs - Bicentennial Sadness*. Kutaisi: „Sarang Publishing House“ (in Georgian).
Kuprashvili, S., Samushia, J. (2016). *Western Georgia in the XV-XIX centuries.* Tbilisi: Publishing house „Palitra L“ (in Georgian).
Kuprashvili, S. (2019). *Solomon I Solomon II.* Tbilisi: Publishing house „Palitra L“ (in Georgian).
Macharadze, V. (1968). *Basic on the Diplomatic Run,* Tbilisi: „Merani Publishing House“(in Georgian).
Rekhviashvili, M. (1982). *Kingdom of Imereti in the 18th century,* essays, Tbilisi: „Tbilisi State University Publishing House“ (in Georgian).
Rekhviashvili, M., Rekhviashvili, N. (2000). *History of Georgia,* Kutaisi: Publishing Center "Stamba" (in Georgian).
*Essays on the history of Georgia.* (1973). Volume IV, Georgia from the beginning of the 16th century to the 1830s, edited by Dumbadze M. Tbilisi: „Publishing House of Soviet Georgia“(in Georgian).

# ბათუმი XV საუკუნის ევროპულ წყაროებში

**ირაკლი ბარამიძე**
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
საქართველო, 6010. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35.
+995 577 30 40 20. irakli.baramidze@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0001-7540-7006
DOI:https://doi.org/10.61671/hos.6.2023.7361

**აბსტრაქტი**

ნაშრომში განხილულია ევროპელ მოგზაურთა ცნობები გვიანი შუა საუკუნეების ბათუმის შესახებ. XV საუკუნის 20-იანი წლების ბათუმზე მოგვითხრობს გერმანელი (ბავარიელი) მეომარი და მოგზაური იოჰან (ჰანს) შილტბერგერი, რომელიც ბათუმს სამეგრელოს დედაქალაქს უწოდებს.

საინტერესო ფაქტია 1445 წელს ბათუმზე 200 ბურგუნდიელი მეკობრის თავდასხმა ჰერცოგ ფილიპე III-ის (1419-1467) ნათესავის, ცნობილი რაინდის ჟოფრუა ტუაზის მეთაურობით. საძარცვავად მისულ ევროპელებს აქ დახვდა გურიელი 600-კაციანი რაზმით. დატყვევებული ტუაზი გაათავისუფლეს მხოლოდ ტრაპიზონის იმპერატორის თხოვნით.

XV საუკუნის 70-იან წლებში ვენეციელი ვაჭარი და დიპლომატი იოსაფატ ბარბარო და ვენეციის ელჩი უზუნ ჰასანის კარზე – ამბროზიო კონტარინი ბათუმს სამეგრელოს ნაწილად მოიხსენიებს, თუმცა პირველი სამეგრელოს მთავარს „ბენდიანს“ უწოდებს. მეორე – „გორბოლას“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ XV საუკუნის დასაწყისისთვის ბათუმი ემორჩილება სამეგრელოს მთავარს, 40-იანი წლების შუა ხანებში ბურგუნდიელ მეკობრეებს ბათუმში იგერიებს გურიელი, რაც მის გარკვეულ უფლებრივ მდგომარეობაზე მიუთითებს. 50-იანი წლების ბოლოს ბათუმი

სამცხის შემადგენლობაშია, 70-იან წლებში კი უკვე საბედიანოს ნაწილია, რომელსაც ბედიანი, იგივე დადიან-გურიელი განაგებდა.

**საკვანძო სიტყვები:** ბათუმი; ახალციხე; გურიელი; სამეგრელო; XV საუკუნე; ევროპელი მოგზაურები

**შესავალი**

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ბათუმს, როგორც საზღვაო ქალაქს, თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, არასოდეს დაუკარგავს მნიშვნელობა. აქედან იწყებოდა აღმოსავლეთ საქართველოსაკენ მიმავალი გზები, რომლის ნათელი დასტურია აჭარისა და ჭოროხის ხეობებში გამავალ სავაჭრო გზებზე ქვის თაღოვანი ხიდებისა და სათვალთვალო ციხე-კოშკების სიმრავლე. ეს გზები ახალციხეში ერთიანდებოდა და შემდეგ თბილისისაკენ გრძელდებოდა, საიდანაც მიემართებოდა კასპიისპირეთისა და ირანისაკენ, აქედან კი უფრო შორს ინდოეთისა და ჩინეთისაკენ (ბერაძე, 1981: 167; უზუნაძე, 2013:15).

ისტორიულად საქართველოს ყველაზე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიასთან, როგორც ხმელეთით, ისე ზღვით. გარე სამყაროსთან სავაჭრო ურთიერთობებში ჩართული იყო არა მარტო აჭარის ზღვისპირა, არამედ მთის ზოლის მოსახლეობაც. ეს კარგად ჩანს ამ ეპოქის ნუმიზმატიკური მასალებით. მას შემდეგ, რაც XI საუკუნეში წინა აზიაში გაბატონდნენ თურქ-სელჩუკები, რომლებმაც მთლიანად გადაკეტეს ბიზანტიაში მიმავალი სახმელეთო გზები, კიდევ უფრო ინტენსიური გახდა საზღვაო ურთიერთობა ბიზანტიასა და საქართველოს შორის. როგორც ჩანს, ამას ბათუმის შემდგომი დაწინაურება მოჰყვა, რადგან ამ ურთიერთობებში, ბუნებრივია, ერთ-ერთი წამყვანი ადგილი სწორედ მას ეჭირა. ალბათ, ამ შესამჩნევ ცვლილებას გულისხმობდა პლ. იოსელიანი, რომელიც ჩვენთვის უცნობ წყაროზე დაყრდნობით, ბათუმთან დაკავშირებით წერდა, რომ „ბერძნებთან და მცირე აზიელ ვაჭრებთან სავაჭრო ურთიერთობამ უბიძგა საქარ-

თველოს მეფე ბაგრატ IV-ს შეექმნა აქ ქალაქი XI საუკუნის დასაწყისში“ (Иоселиани, 1850:31-32).

**მეთოდები**

კვლევა, შესწავლილი პერიოდის წყაროებს გარდა, ეფუძნება სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებს. ნაშრომში გამოყენებულია წყაროების კრიტიკული ანალიზის (მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ძიების), ისტორიულ-შედარებითი და სინთეზური მეთოდები.

**დისკუსია**

გვიანი შუა საუკუნეების ბათუმის შესახებ ძალიან მწირი, მაგრამ საინტერესო ცნობებია დაცული ევროპელ მოგზაურთა ჩანაწერებში.

XV საუკუნის 20-იანი წლების ბათუმზე მოგვითხრობს გერმანელი (ბავარიელი) მეომარი და მოგზაური იოჰან (ჰანს) შილტბერგერი, რომელმაც 30 წელი ჯერ ოსმალთა, შემდეგ მონღოლთა ტყვეობაში გაატარა. ევროპულ და რუსულ ისტორიოგრაფიაში მისადმი დამოკიდებულება ძალიან კრიტიკულია და ზოგიერთი ისტორიკოსი მის ცნობებს დიდი ნდობით არც ეკიდება, მაგრამ, ვფიქრობთ, მაინც საინტერესოა, მით უმეტეს, რომ მას ციტირებს დიდი ივანე ჯავახიშვილი: „ჰანს შილტბერგერი ერთად-ერთ სამეფოდ (Königreich) საქართველოს (Gursy) ასახელებს. თუმცა ის აფხაზეთსა და სამეგრელოსაც იხსენიებს, მაგრამ მათ მხოლოდ ქვეყანას (Land) უწოდებს, ე. ი. თემად სთვლის და მათ პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე არაფერი აქვს ნათქვამი. ცხადია, რომ დასავლეთ საქართველო („აფხაზეთი“ და „სამეგრელო“) პოლიტიკურად წინანდებულად ამერეთთანვე ყოფილა დაკავშირებული“ (ჯავახიშვილი, III, 2012: 261).

ჩვენთვის საინტერესო აქ უფრო ისაა, რომ გერმანელი მოგზაური სამეგრელოს დედაქალაქად ასახელებს ბათუმს, რომლის მცხოვრებნიც ბერძნულ სარწმუნოებას მისდევენ (Путешествие, 1867:45-46, 123). მკვლევარი ს. გოგიტიძე გარკვეულად მიყვება პროფ. თ. ბრუნის (რომელმაც 1867 წელს ოდესაში გამოსცა შილტბერგერის ნაშრომი კომენტარებით) მოსაზრებას და თვლის, რომ „ბათუმი იმ პერიოდში ეკუთვნოდა არა სამეგრელოს ან

გურიას, როგორც მკვლევართა გარკვეული ნაწილი ვარაუდობს, არამედ სამცხე-საათაბაგოს, მაშასადამე, ამ სამთავროში შემავალ აჭარის საერისთავოს“ (გოგიტიძე, IV, 2013:10).

XV საუკუნის 40-იან წლებში ბათუმის მეპატრონედ გურიელი ჩანს. 1442 წელს ბურგუნდიის ჰერცოგმა ფილიპე III კეთილმა (1419-1467) რამდენიმე გემისგან შემდგარი ფლოტით ბიზანტიელთა დასახმარებლად კონსტანტინოპოლს გაგზავნა ცნობილი რაინდი და მისივე ნათესავი ჟოფრუა ტუაზი. 1445 წლის გაზაფხულზე ხომალდების ერთი ნაწილი ტრაპიზონისკენ გაემართა. აქედან, ერთი ქრონიკის მიხედვით, ბურგუნდიელთა ერთი კატარღა (გალერა) ტუაზის მეთაურობით, ტრაპიზონის იმპერატორის სამარცხვინოდ, საქართველოს ნაპირისკენ გაემართა, რადგან მან გაიგო, რომ იქ ძვირფასი საქონლით დატვირთული დიდი ხომალდი იდგა... მაგრამ ტრაპიზონელმა ბერძნებმა ეს აცნობეს ადგილობრივებს (იგულისხმება ქართველებს), რომლებიც შეიარაღდნენ, ჩაუსაფრდნენ მომხდურთ და როდესაც ჟოფრე მიუახლოვდა ჩასაფრებულებს, დაესხნენ თავს, მისი მრავალი თანამებრძოლი დახოცეს, თვითონ კი ტყვედ ჩაიგდეს. მეორე ევროპულ ქრონიკაში ამასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ, როდესაც ბურგუნდიელები ბათუმს თავს დაესხნენ, იქ მოვიდა „პატონი“ გურიელი 600-კაციანი რაზმით... ჟოფრე დე ტუაზი ტყვედ ჩავარდა და ტყვეობაში ერთი თვე გაატარა. ამავე ქრონიკის მიხედვით, ბურგუნდიელი მეკობრე ქართველებმა ტრაპიზონის იმპერატორის შუამდგომლობით გაათავისუფლეს იმ პირობით, რომ ბურგუნდიელთა გალერები არ დაუწყებენ ბრძოლას აღნიშნულ ქვეყანას (ბერაძე, 1983: 8; ბერაძე, 2009:20).

ი. ჯავახიშვილის შეფასებით, „ჯერ კიდევ XV საუკუნის პირველ წლებში აფხაზეთი და სამეგრელოც ერთ სამთავროდ არ იყო ქცეული, არამედ აფხაზეთი და სამეგრელო ცალ-ცალკე საგამგეო ერთეულებს წარმოადგენდნენ. აფხაზეთის მთავარ ქალაქად მაშინ ცხუმი ითვლებოდა, სამეგრელოს მთავარი ქალაქი კი ბათომი იყო და ეს გარემოება ცხადყოფს, რომ სამეგრელოს მთავარს მაშინ გურია და აჭარაც სჭერია. მას შემდგომ ცვლილება მომხდარა: 1459 წლისათვის გურია სამეგრელოს ჩამოშორებია.

ის ცალკე სამთავროს წარმოადგენდა. აფხაზეთი და სამეგრელო კი ერთ სამთავროდ ქცეულა და მისი მართვა-გამგეობა ბედიანს ჩაუგდია ხელში“ (ჯავახიშვილი, IV, 2012:204). რაც შეეხება ბათუმს, ამ დროისთვის იგი სამცხის შემადგენლობაშია. მ. ბროსეს მიხედვით, ბურგუნდიის ჰერცოგისადმი წერილი, ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობის შესახებ, სამცხის მთავარ ყვარყვარეს ბათუმიდან გაუგზავნია (Brosset, 1851:409).

თუმცა, XV საუკუნის 70-იან წლებში ბათუმი ისევ სამეგრელოს შემადგენლობაში ჩანს. იმ დროს საქართველოში მყოფი ვენეციელი ვაჭარი და დიპლომატი იოსაფატ ბარბარო, სამეგრელოს აღწერისას შენიშნავს: „ამ ქვეყნის მმართველს ჰქვია ბენდიანი. მას ხსენებულ ზღვასთან აქვს ორი ციხე-სიმაგრე, ერთს ჰქვია ვატი და მეორეს – სევასტოპოლი“ (მამისთვალიშვილი, 1981: 55). ამ წყაროს პირველ გამომცემელს, ისევე, როგორც მეცნიერთა უმრავლესობას, ვატი (Vathi) ბათუმად აქვს მიჩნეული (ჭყონია, 1894:45). „ეს ქვეყანა სულ კლდოვანი და მწირია. აქ ბლომად იზრდება ბზა, რის გამოც აქაური თაფლი მწარეა. გარდა ღომისა აქ სხვა ჭირნახული არ მოჰყავთ. მარილი მოაქვთ კაფიდან, ქსოვენ მცირეოდნად ტილოს კანაფისა ან ჭინჭრისას, მაგრამ დაბალი ხარისხისას“ (იქვე). ი. ბარბარომ ბათუმშიც გაისეირნა თანმხლებ გენუელთან ერთად, რომელიც ძალიან თავაშვებულად იქცეოდა, მაგრამ რატომღაც მისი „მოქმედება არავის სწყინდა და არც არავინ არას ეუბნებოდა“. მისი მონათხრობიდან ჩანს, რომ იტალიელები აქ თავს შინაურად გრძნობდნენ, რაც მათთან მჭიდრო ურთიერთობაზე მიუთითებს. ირკვევა, რომ ისინი მრავლად ყოფილან ბათუმში. ჭარბობდნენ განსაკუთრებით გენუელები, რომლებიც ეწეოდნენ ვაჭრობას (უზუნაძე, 2013: 28), თუმცა, აქ მათ საკუთრი თვითმმართველობა არ გააჩნდათ.

პარალელურად, გაიზარდა ბათუმის ცნობადობა ევროპაში, რაც აისახა ოფიციალურ დოკუმენტებში, მოგზაურთა ჩანაწერებსა თუ იმ პერიოდის რუკებზე სხვადასხვა ფორმით: ვატი, ვათანი, ბოთანი და სხვა.

1474 წელს ბათუმში იმყოფებოდა ვენეციის ელჩი უზუნ ჰასანის კარზე – ამბროზიო კონტარინი, რომელმაც ასევე დაგვი-

ტოვა ცნობები საქართველოს, მათ შორის ბათუმის შესახებ: „ბათომი ციხეა და მცირე ქალაქი სამეგრელოს მთავრისა, რომელსაც სახელად ჰქვიან გორბოლა (Gorbola). ამ მთავარს კიდევ აქვს მეორე პატარა ქალაქი შავი ზღვის პირად, სახელდობრ კალთიხეა (Caltichea), სადაც ჰყიდიან აბრეშუმს, მომხო ტილოს და მცირეოდენ თაფლსაც“ (ჭყონია, 1894:49). საინტერესოა, რომ კონტარინი ბათუმში შეხვედრია კათოლიკე ბერნარდინელ ბერს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შესაძლოა ბათუმელ იტალიელებს და აქ მცხოვრებ თუ მოღვაწე ევროპელ კათოლიკე მორწმუნეებს თავიანთ საცხოვრებელ კვარტალში ჰქონდათ ღვთისმსახურების სახლი, ანაც ეკლესია (უზუნაძე, 2013: 28).

როგორც ჩანს, აღნიშნული ცნობების გათვალისწინებით, ი. ჯავახიშვილი საქართველოს მეფე ბაგრატ VI-ის (1466-1478) საბრძანებლის ფართობსა და საზღვრებზე საუბრისას წერს: „შავი ზღვის სანაპიროდან მოყოლებული მდინარე ცხენისწყალამდე სწორედ ბედიანის საგამგეოს შეადგენდა. ამ საგამგეოში, ან სამთავროში აფხაზეთი, სამეგრელო, გურია და აჭარა შედიოდა. ჩრდილოეთით მას კავკასიონის ქედი საზღვრავდა, სამხრეთით მდინარე ჭოროხი... ბათომი, იმ დროს პატარა ციხე-ქალაქი, საბედიანოს ეკუთვნოდა (ჯავახიშვილი, IV, 2012:214).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ პერიოდის ბათუმის სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში ყოფნის საკითხი ბოლომდე გადაჭრილად არ გვეჩვენება. იგივე კონტარინი, თავრიზიდან უკან მობრუნებული, ახსენებს ახალციხის (Calcican) მთავრის ყვარყვარეს (Gorgora) საბრძანებელს და ბათუმის მხარეს. სახელების – Gorbola//Gorgora-ს მსგავსება აშკარაა და თვალში საცემი. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ ეს სახელი ქართული ყვარყვარეს შესატყვისია, ჩნდება ეჭვი, რომ იტალიელ მოგზაურებს აერიათ სამცხე და სამეგრელო, რის გამოც ბათუმი ამ უკანასკნელს მიაწერეს. ჯერ კიდევ პლატონ იოსელიანი შენიშნავდა, რომ „მოგზაურები ღრმად ცდებოდნენ, როცა ბათუმს სამეგრელოს ქალაქად, მის მფლობელად კი გორბოლას აცხადებდნენ. ისტორიიდან ცნობილია, რომ ამ დროს ბათუმს ფლობდა ახალციხის ათაბაგი ყუარყუარე, რომლის სახელიც იტალიელების

მიერ დამახინჯებულია გორბოლა//გორგორად“(Иоселиани, 1850: 32). ამ მოსაზრებას იზიარებენ სხვა ავტორებიც (გოგიტიძე, III, 2013:9-10). რა თქმა უნდა, ამაში არის ლოგიკა, მითუმეტეს, აღნიშნულ პერიოდში სამცხის ათაბაგი არის სწორედ ყვარყვარე II (1451-1498). მაგრამ, ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ სამცხის მთავრის ხელისუფლება ვრცელდებოდა კონტარინის „კალთიხეაზეც“ (Caltichea),[34] რაც ძნელი დასაჯერებელია. უნდა შევნიშნოთ, რომ სახელი „Caltichea“ დაახლოებით ისეთივე მსგავსებას ამჟღავნებს „Caltacha“-სთან, როგორც „Calcican“-თან. ამდენად არ არის გამორიცხული, რომ კონტარინი ორივე შემთხვევაში ახალციხეს გულისხმობდა. თუმცა, არის ერთი წინააღმდეგობა, რომელიც ამ ვარაუდს გამორიცხავს: კონტარინის „Caltichea“ შავიზღვისპირა ქალაქია. ერთი შეხედვით, თითქოს ესეც მარტივად ახსნადია: კონტარინი არ ყოფილა ამ ქალაქში, მას სმენოდა, რომ ყვარყვარე ახალციხის პატრონია და ჩათვალა, რომ ისიც, ბათუმის მსგავსად, შავ ზღვაზე უნდა ყოფილიყო. მაგრამ რა ვუყოთ ფაქტს, რომ იტალიელ მოგზაურთა საქართველოში მოსვლამდე რამდენიმე წლით ადრე, 1463 წელს, სამცხის მთავარმა ყვარყვარემ აჭარა გურიელს გადასცა? ამ „რებუსიდან“ საინტერესო გამოსავალს გვთავაზობს ნ. ბერძენიშვილი. იგი ფიქრობს, რომ სიტყვა „Gorbola“ „გურიელის“ ტრანსკრიბციაა, „Caltichea“ კი დამახინჯებული „ქაჯთციხეა“. მეცნიერის აზრით: „მაშინდელი სამეგრელოს მთავარი შამადავლა გურიასაც ჰფლობდა, ე.ი. გურიელიც იყო. ამიტომ უწოდებს ის თავის თავს „დადიან-გურიელს“. თუ სამეგრელოში მას დადიანს ან ბედიანს უწოდებენ, გურიაში მისი სახელი გურიელი იყო“ (ბერძენიშვილი, V, 1971: 113). ნ. ბერძენიშვილმა ყურადღება მიაქცია ი. ბარბაროს ცნობასაც, სადაც სამეგრელოს სამხრეთ საზღვრად ფაზისია (რიონი) დასახელებული, სამეგრელოს მთავრად კი მოხსენიებულია ბათუმისა და სებასტოპოლის მქონე ბედიელი. „მაშ როგორღაა ფაზისი სამეგრელოს სამზღვარი?“ - კითხულობს განსვენებული მეცნიერი და

[34] ჯაკომო გასტალდის 1561 და ჯაკომო კანტელის 1689 წლების რუკებზე, სამეგრელოს სამთავროს ტერიტორიაზე, სოხუმის ჩრდილოეთით, მდ. მოქვისწყლის შესართავთან აღნიშნულია პუნქტი „Caltacha“ (ჩიქობავა, 2006:153-154).

თავადვე პასუხობს: „იოსაფა ბარბარომ იცის, რომ საკუთრივ სამეგრელო ან საბედიანო ერთია და მისი დროის პოლიტიკური სადადიან-გურიელო მეორე“ (ბერძენიშვილი, V, 1971:114).

**დასკვნა**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წყაროთა შეჯერების საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ გარკვეული დასკვნები: XV საუკუნის დასაწყისისთვის ბათუმი ემორჩილება სამეგრელოს მთავარს, 40-იანი წლების შუა ხანებში ბურგუნდიელ მეკობრეებს ბათუმში იგერიებს გურიელი, რაც მის გარკვეულ უფლებრივ მდგომარეობაზე მიუთითებს. 50-იანი წლების ბოლოს ბათუმი სამცხის შემადგენლობაშია, 70-იან წლებში კი უკვე საბედიანოს ნაწილია, რომელსაც ბედიანი, იგივე დადიან-გურიელი განაგებდა.

## წყაროები და ლიტერატურა:


ბერაძე, თამაზი. (1981). *ზღვაოსნობა ძველ საქართველოში,* გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი.

ბერაძე, თამაზი. (1983). *ერთი უცნაური ფაქტი,* ჟურნ. „ლიტერატურული საქართველო“, №33.

ბერაძე, თამაზი. (2009). XIII-XV *საუკუნეების ბათუმის საკითხი ევროპულ ისტორიოგრაფიაში,* ბათუმი. წარსული და თანამედროვეობა, I, ბათუმი.

ბერძენიშვილი, ნიკოლოზი. (1971). *საქართველოს ისტორიის საკითხები,* V, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

გოგიტიძე, სიმონი. (2013). *XV საუკუნის იტალიელი მწერლები ბათუმის შესახებ,* ბათუმი. წარსული და თანამედროვეობა, III, ბათუმი.

გოგიტიძე, სიმონი. (IV, 2013). *შილტბერგერის ცნობები ბათუმის შესახებ,* ბათუმი. წარსული და თანამედროვეობა, IV, ბათუმი.

უზუნაძე, რევაზი., სურმანიძე რამაზი., ზოსიძე ნუგზარი. (2013). *ბათუმი (ისტორია და თანამედროვეობა),* გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი.
ჩიქობავა, არნოლდი. (2006). *ოდიშ-აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიის რამდენიმე საკითხი ჯაკომო კანტელის 1689 წ. იტალიური რუკის მიხედვით,* საისტორიო ძიებანი, VIII-IX, წელიწდეული, თბილისი.
ჭყონია, ალექსანდრე. (1894). *იტალიელი მოგზაურები საქართველოში XV საუკუნეში,* „მოამბე“, №11.
ჯავახიშვილი, ივანე. (2012). *ქართველი ერის ისტორია,* ტომი III, გამომცემლობა „პალიტრა L”, თბილისი.
ჯავახიშვილი, ივანე. (2012). *ქართველი ერის ისტორია,* ტომი IV, გამომცემლობა „პალიტრა L”, თბილისი.
Brosset, Marie-Félicité. (1851). Additions Et Éclaircissements à l'Histoire de la Géorgie: Depuis l'Antiquité Jusqu'en 1469 de J.-C, St.-Pétersbourg.
Иоселиани, Платон. (1850). Города, существовавшие и существующие в Грузии, типография Канцелярии Наместника Кавказского, Тифлисъ.
Путешествие (1867) Ивана Шильтбергера по Европе, Азии и Африке с 1394 по 1427 г., пер. с нем. и примеч. Ф. К. Бруна, Записки императорского Новороссийского университета, том 1, Одесса.

## References:

Beradze, Tamazi. (1981). *Zghvaosnoba Dzvel Sakartveloshi (Seafaring in Ancient Georgia),* Gamomtsemloba „Nak'a-duli“, Tbilisi.
Beradze, Tamazi. (1983). *Erti Utsnauri Fakt'i (One Strange Fact),* „Lit'erat'uruli Sakartvelo“, №33.
Beradze, Tamazi. (2009). *XIII-XV Sauk'uneebis Batumis Sak'itkhi Evrop'ul Ist'o-riografiashi (The issue of Batumi in the 13th-15th centuries in European historiography),* Batumi. Ts'arsuli da Tanamedroveoba, I, Batumi.

Berdzenishvili, Nik'olozi. (1971). *Sakartvelos Ist'oriis Sak'itkhebi (Issues of Georgian History),* V, Gamomtsemloba „Metsniereba“, Tbilisi.

Gogit'idze, Simoni. (2013). *XV Sauk'unis It'alieli Mts'erlebi Batumis Shesakheb (XV Century Italian Writers About Batumi),* Batumi. Ts'arsuli da Tanamedroveoba, III, Batumi.

Gogit'idze, Simoni. (2013). *Shilt'bergeris Tsnobebi Batumis Shesakheb (Schiltberger's Information About Batumi),* Batumi. Ts'arsuli da Tanamedroveoba, IV, Batumi.

Uzunadze, Revazi., Surmanidze Ramazi., Zosidze Nugzari. (2013). *Batumi (Ist'oria da Tanamedroveoba). (Batumi (History and Modernity)),* Gamomtsemloba „Iverioni“, tbilisi.

Chikobava, Arnoldi. (2006). *Odish-Afkhazetis Ist'oriuli Geografiis Ramdenime Sak'itkhi Jak'omo K'ant'elis 1689 ts'. It'aliuri Ruk'is Mikhedvit (Some Questions of The Historical Geography of Odisha-Abkhazia According to the Italian Map of Giacomo Cantelli of 1689),* Saist'orio Dziebani, VIII-IX, Ts'elits'deuli, Tbilisi.

Ch'qonia, Aleksandre. (1894). *It'alieli Mogzaurebi Sakartveloshi XV Sauk'uneshi (Italian travelers in Georgia in the 15th century),* „Moambe“, №11.

Javakhishvili, Ivane. (2012). *Kartveli Eris Ist'oria (History of the Georgian Nation),* T'omi III, Gamomtsemloba „P'alit'ra L”, Tbilisi.

Javakhishvili, Ivane. (2012). *Kartveli Eris Ist'oria (History of the Georgian Nation),* T'omi IV, Gamomtsemloba „P'alit'ra L”, Tbilisi.

Brosset, Marie-Félicité. (1851). *Additions Et Éclaircissements à l'Histoire de la Géorgie: Depuis l'Antiquité Jusqu'en 1469 de* J.-C, St.-Pétersbourg.

Ioseliani, Platon. (1850). *Goroda. Sushestvovavshie i Sushestbuyushie v Gruzii,* Tipografiya Kancelyarii Namestnika Kavkazskogo. Tiflis#.

*Puteshestvie.* (1867). Ivana Shil#tbergera po Evrope, Azii I Afrike s 1394 po 1427 g., per. S.nem.i primech. F.K. Bruna, Zapiski Imperatopskogo Novopossijskogo Universiteta. Tom1, Odessa.

# Batumi in European Sources of the 15th Century

**Irakli Baramidze**
Doctor of History, Associate Professor
of Batumi Shota Rustaveli State University
Georgia, 6010. Batumi, Ninoshvili Str. 32/35
+995 577 30 40 20. irakli.baramidze@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0001-7540-7006
DOI:https://doi.org/10.61671/hos.6.2023.7361

**Abstract**

The article discusses the reports of European travelers about Batumi in the late Middle Ages. German (Bavarian) warrior and traveler Johann (Hans) Schiltberger tells about Batumi in the 20s of the 15th century, who calls Batumi the capital of Samegrelo.

An interesting fact is the attack of 200 Burgundian pirates on Batumi in 1445 under the command of the famous knight Geoffrey Toyse, a relative of Duke Philip III (1419-1467). The Europeans who came to loot were met here by Gurieli with a detachment of 600 people. The captured Toyse was released only at the request of the Emperor of Trebizond.

In the 70s of the 15th century, the Venetian merchant and Diplomat Giosafat Barbaro and the Venetian ambassador to the court of Uzun Hassan - Ambrogio Contarini attributed Batumi to a part of Samegrelo, however, the first one called the head of Samegrelo “Bendiani”, the second – “Gorbola”.

Based on the above-mentioned, we think that at the beginning of the 15th century, Batumi was subordinate to the leader of Samegrelo, in the middle of the 40s, Gurieli repulsed the Burgundian pirates in Batumi, which indicates his certain legal status. In the late

1450s, Batumi was part of the Principality of Samtskhe (South Georgia), and in the 1470s it was already part of Sabediano, which was ruled by Bediani, also known as Dadian-Gurieli

**Keywords:** Batumi; Akhaltsikhe; Gurieli; Samegrelo; XV century; European travelers.

## Introduction

As a maritime city, Batumi has never lost its importance throughout centuries of history due to its geostrategic location. The roads leading to eastern Georgia started from here, which is clearly evidenced by the abundance of stone arch bridges and watchtowers on the trade routes passing through the valleys of Adjara and Chorokhi. - This road converged in Akhaltsikhe and then continued to Tbilisi, where it went to the Caspian Sea and Iran, and from here further to India and China (Beradze, 1981:167; Uzunadze, 2013:15).

Historically, Georgia had the closest relationship with Byzantium, both by land and by sea. Not only the coastal population of Adjara, but also the population of the mountain zone was involved in the trade exchange with the outside world. This is clearly seen in the numismatic materials of this era. After the Turks-Seljuks came to power in Eastern Asia in the 11th century, they completely blocked the land routes leading to Byzantium, and the maritime relationship between Byzantium and Georgia became even more intense. It seems that this was followed by the further rise of Batumi, because in these relations, naturally, one of the leading places was held by him. Probably, this noticeable change was meant by Pl. Ioseliani, who, based on a source unknown to us, wrote about Batumi that “trade relations with the Greeks and Anatolian merchants pushed the King of Georgia, Bagrat IV, to create a city here in the 11th century” (Ioseliani, 1850:31- 32).

## Methods

The research, in addition to the sources of the studied period, is based on the data of special scientific literature. Critical analysis of

sources (searching for cause-and-effect ties), historical-comparative - and synthetic methods are used in the work.

**Discussion**

Very scarce, but interesting information about Batumi of the late Middle Ages is preserved in the records of European travelers.

Johann (Hans) Schiltberger, German (Bavarian) warrior and traveler, who spent 30 years in captivity first by the Ottomans and then by the Mongols, tells about Batumi in the 20s of the 15th century. In European and Russian historiography, the attitude towards him is very critical, and some historians do not trust his information, but we think it is still interesting, especially since he is quoted by the great Georgian historian Ivane Javakhishvili: "Hans Schiltberger names Georgia (Gursy) as the only kingdom (Königreich). Although he also mentions Apkhazeti and Samegrelo, he only calls them Land, e.g. he considers it a community and has nothing to say about their political independence. It is clear that Western Georgia ("Apkhazeti" and "Samegrelo") was politically connected with Eastern Georgia as before (Javakhishvili, III, 2012: 261).

What is more interesting for us here is that the German traveler names Batumi as the capital of Samegrelo, whose inhabitants follow the Greek religion (Путешествие, 1867:45-46, 123). Researcher S. Gogitidze follows Prof. T. Bruny (who published Schiltberger's work with comments in Odessa in 1867) and believes that "Batumi at that time did not belong to Samegrelo or Guria, as some researchers claim, but to Principality of Samtskhe (South Georgia), therefore, to Adjara duches, included in this principality" (Gogitidze, IV, 2013:10).

In the 40s of the 15th century, Guriel appears as the owner of Batumi. In 1442, Philip III the Good (1419-1467), duke of Burgundy, sent a fleet of several ships to Constantinople under the command of the Knight and his own Relative Geoffrey Toyse to help the Byzantines. In the spring of 1445, a part of the ships went to Trabzon. From here, according to one chronicle, a ship (galley) of the Burgundians under the command of Toyse, to the shame of the Emperor of Trebizond, went to the shore of Georgia, because he heard

that there was a large ship loaded with valuable goods... But the Greeks of Trebizond informed the locals (meaning (Georgians), who armed themselves, ambushed the attackers and when Geoffrey approached the ambushers, they attacked, killed many of his comrades, and he himself was taken prisoner. In this regard, the second European chronicle mentions that when the Burgundians attacked Batumi, "Patron" Guriel came there with a 600-man squad... Geoffrey de Toyse was captured and spent a month in captivity. According to the same chronicle, the Burgundian pirate was released by the Georgians at the request of the Emperor of Trebizond under the condition that the Burgundian galleys would not declare war on the mentioned country (Beradze, 1983:8; Beradze, 2009:20).

According to I. Javakhishvili, "even in the first years of the 15th century, Apkhazeti and Samegrelo did not become one principality, but Apkhazeti and Samegrelo were separate administrative units. Tskhumi (Sokhumi) was considered the main city of Apkhazeti at that time, while the main city of Samegrelo was Batumi, and this circumstance makes it clear that the chief of Samegrelo at that time was the head of Guria and Adjara. After that, a change took place: by 1459, Guria was removed from Samegrelo and formed a separate principality, while Apkhazeti and Samegrelo became one principality and its administration passed to Bediani" (Javakhishvili, IV, 2012:204). As for Batumi, at the moment it is part of Samtskhe (South Georgia). According to M. Brosset, the letter to the Duke of Burgundy about his participation in the anti-Ottoman coalition by the chief of Samtskhe – Kvarkvare was sent from Batumi (Brosset, 1851:409).

However, in the 70s of the 15th century, Batumi appears again as part of Samegrelo. Giosafat Barbaro, a Venetian merchant and diplomat who was in Georgia at that time, while describing Samegrelo, notes: "The ruler of this country is called Bendiani. He has two fortresses near the mentioned sea, one is called Vati and the other is called Sevastopoli" (Mamistvalishvili, 1981: 55). The first publisher of this source, as well as the majority of scholars, considered Vathi to be Batumi (Chkonia, 1894:45). "This country is all rocky and scanty. The

boxwood grows here in abundance, which is why the honey here is bitter. Apart from ghomi (Setaria italica), they do not grow any other agricultural plants here. Salt is brought from Kafi, they weave a little canvas of hemp or nettle, but of inferior quality" (ibid.). I. Barbaro also went for a walk in Batumi with his Genoese companion, who behaved very recklessly, but for some reason, "no one was offended by his action, and no one said no to him." From his narration, it can be seen that the Italians felt at home here, which indicates a close bond with them. It turns out that there were many of them in Batumi, prevailed especially the Genoese, who were engaged in trade (Uzunadze, 2013: 28), however, they did not have their own self-government here.

At the same time, the fame of Batumi in Europe increased, which was reflected in official documents, travelers' notes and maps of that period with various forms: Vathi, Vatani, Bothan, and others.

In 1474, the Venetian ambassador at the court of Uzun Hassan - Ambrogio Contarini, was in Batumi, who also left us information about Georgia, including Batumi: "Batoum is a fortress and a small town of the prince of Samegrelo, whose name is Gorbola". This chief also has another small town near the Black Sea, named Caltichea, where they sell silk, canvas and a little honey" (Chkonia, 1894:49). It is interesting that Contarini met a Catholic Bernardine monk in Batumi. The opinion has been expressed that maybe Italians from Batumi and European Catholics living or working here had a house of God's service, or a church, in their neighborhood (Uzunadze, 2013: 28).

It seems that, taking into account the mentioned references, I. Javakhishvili, speaking about the area and boundaries of the territory of Bagrat VI (1466-1478), King of Georgia, writes: "the territory from the Black Sea coast to the Tsshnitskali River was under the rule of Bediani and included Apkhazeti, Minrelia, Guria and Adjara. To the north it was bordered by the Caucasus mountain ridge, to the south by the Chorokhi river... Batoumi, at that time a small fortress-city, belonged to Sabediano (Javakhishvili, IV, 2012:214).

It should be noted here that the question of whether Batumi of this period was part of the Principality of Samegrelo does not seem to

be fully resolved. Contarini, turning back from Tabriz, mentions the dominion of Gorgora, the prince of Akhaltsikhe (Calcican) and the Batumi side. The similarity of the names – Gerbola // Gorgora is obvious. Accordingly, considering that this name corresponds to the Georgian Kvarkvare, there is a doubt that the Italian travelers confused Samtskhe and Samegrelo, which is why Batumi was attributed to the - latter. Even Platon Yoseliani noted that "travelers are deeply mistaken when they consider Batumi to be the city of Samegrelo and Gorbola to be its owner. It is known from the history that at that time Batumi was owned by Kvarkvare – Atabeg of Akhaltsikhe, whose name was - distorted by the Italians to Gorbola // Gorgora" (Ioseliani, 1850:32). Other authors share this opinion (Gogitidze, III, 2013:9-10). Of course, there is logic in this, especially since in the mentioned period, the Atabeg of Samtskhe is Kvarkvare II (1451-1498). But, in such a case, it turns out that the power of the prince of Samtskhe extended to "Caltichea" of Contarini as well[35], which is hard to believe. It should be noted that the name "Caltichea" bears almost as much resemblance to "Caltacha" as it does to "Calcican". Thus, it is not excluded that Contarini meant Akhaltsikhe in both cases. However, there is one contradiction that also rules out this assumption: "Caltichea" of Contarini is a city on the Black Sea. At a glance, it seems that this is also easily explained: Contarini has not been to this city, he heard that Kvarkvare is the owner of Akhaltsikhe, and he thought that, like Batumi, it must be on the Black Sea. But what should we do with the fact that a few years before the arrival of the Italian travelers to Georgia, in 1463, the chief of Samtskhe, Kvarkvare, handed over Adjara to Gurieli? N. Berdzenishvili offers us an interesting solution here. He thinks that the word "Gorbola" is a transcription of "Gurieli", and "Caltichea" is a distorted "Kajttsikhe" (Castle of the devil). In the scientist's opinion: "The head of Samegrelo of that period – Shamadavala also owned Guria, i.e. was also Gurieli. That's why he

[35] On the maps of 1561 by Giacomo Gastaldi and 1689 by Giacomo Cantelli, in the area of Samegrelo principality, north of Sokhumi, the point "Caltacha" is mentioned near the mouth of riv. Mokvistskali (Chikobava, 2006:153-154).

calls himself "Dadian-Gurieli". If in Samegrelo he is called Dadiani or Bediani, in Guria his name was Gurieli" (Berdzenishvili, V, 1971:113). N. Berdzenishvili paid attention also to I. Barbaro's report, where the southern border of Samegrelo is the Phasis (riv. Rioni), and Bedieli, - who owns Batumi and Sebastopoli, is mentioned as the prince of Samegrelo. "Then how will the riv. Phasis be the border of Samegrelo?" – asks the scientist and answers himself: Giosafat Barbaro knows that Samegrelo or Sabediano is one thing and the Dadian-Gurieli's land of his period is another"(Berdzenishvili, V, 1971:114).

**Conclusion**

Based on all of the above, on the comparison of sources we can make certain conclusions: at the beginning of the 15th century, Batumi obeys the ruler of Samegrelo, in the mid-40s, Burgundian pirates in Batumi repels Gurieli, which indicates his certain legal status. In the late 1450s, Batumi was part of Samtskhe, and in the 1470s, it was already part of Sabediano, which was ruled by Bediani, also known as Dadian-Gurieli.

**References:**


Beradze, Tamazi. (1981). *Zghvaosnoba Dzvel Sakartveloshi (Seafaring in Ancient Georgia),* gamomtsemloba „nak'aduli", Tbilisi. (in Georgian).

Beradze, Tamazi. (1983). *Erti Utsnauri Fakt'i (One Strange Fact),* „Lit'erat'uruli Sakartvelo", №33. (in Georgian)

Beradze, Tamazi. (2009). *XIII-XV Sauk'uneebis Batumis Sak'itkhi Evrop'ul Ist'oriograpiashi (The issue of Batumi in the 13th-15th centuries in European historiography),* Batumi. Ts'arsuli da Tanamedroveoba, I, Batumi. (in Georgian).

Berdzenishvili, Nik'olozi. (1971). Sakartvelos Ist'oriis Sak'itkhebi (Issues of Georgian history), V, Gamomtsemloba „Metsniereba", Tbilisi. (in Georgian).

Gogit'idze, Simoni. (2013). *XV Sauk'unis It'alieli Mts'erlebi Batumis Shesakheb (XV century Italian Writers About Batumi),* Batumi. Ts'arsuli da Tanamedroveoba, III, Batumi. (in Georgian).

Gogit'idze, Simoni. (2013). *Shilt'bergeris Tsnobebi Batumis Shesakheb (Schiltberger's Information About Batumi),* Batumi. Ts'arsuli da Tanamedroveoba, IV, Batumi. (in Georgian)

Uzunadze, Revazi., Surmanidze Ramazi., Zosidze Nugzari. (2013). *Batumi (Ist'oria da Tanamedroveoba) (Batumi (History and Modernity)),* Gamomtsemloba „Iverioni", Tbilisi. (in Georgian)

Chikobava, Arnoldi. (2006). *Odish–Apkhazetis Ist'oriuli Geograpiis Ramdenime Sak'itkhi Jak'omo K'ant'elis 1689 ts'. It'aliuri Ruk'is Mikhedvit (Some Questions of the Historical Geography of Odisha-Abkhazia According to the Italian Map of Giacomo Cantelli of 1689),* Saist'orio Dziebani, VIII-IX, Ts'elits'deuli, Tbilisi. (in Georgian).

Ch'qonia, Aleksandre. (1894). *It'alieli Mogzaurebi Sakartveloshi XV Sauk'uneshi (Italian Travelers in Georgia in the 15th century),* „Moambe", №11. (in Georgian).

Javakhishvili, Ivane. (2012). *Kartveli Eris Ist'oria (History of the Georgian Nation),* T'omi III, Gamomtsemloba „P'alit'ra L", Tbilisi. (in Georgian).

Javakhishvili, Ivane. (2012). *Kartveli Eris Ist'oria (History of the Georgian Nation),* T'omi IV, Gamomtsemloba „P'alit'ra L", Tbilisi. (in Georgian).

Brosset, Marie-Félicité. (1851). Additions Et Éclaircissements à l'Histoire de la Géorgie: Depuis l'Antiquité Jusqu'en 1469 de J.-C, St.-Pétersbourg.

Ioseliani, Platon. (1850). Goroda, Sushhestvovavshie i Sushhestvujushhie v Gruzii (Cities that existed and exist in Georgia), tipografija Kanceljarii Namestnika Kavkazskogo, Tiflis. (in Russian)

Puteshestvie. (1867). Ivana Shil'tbergera po Evrope, Azii i Afrike s 1394 po 1427 g. (Travel of Ivan Schiltberger through Europe, Asia, and Africa from 1394 to 1427), per. s nem. i primech. F. K. Bruna, Zapiski imperatorskogo Novorossijskogo universiteta, tom 1, Odessa. (in Russian).

# სეიდაბადში ნაპოვნი ჰიჯრის I საუკუნით დათარიღებული მანძილის აღმნიშვნელი ქვის წარწერა [36]

**ეთერ ღვინიაშვილი**
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილების მკვლევარი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველო 0162. თბილისი, გიორგი წერეთელის ქ.3
+995599171215. eter.ghviniashvili@iliauni.edu.ge
ORCID: 0009-0007-1070-7690
DOI:https://doi.org/10.61671/hos.6.2023.7362
**გიორგი ნარიმანიშვილი**
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო 0131. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი 240.
+995577962009. g.narimanishvili@freeuni.edu.ge
ORCID: 0009-0004-1921-4081
DOI:https://doi.org/10.61671/hos.6.2023.7362

**აბსტრაქტი**

წინამდებარე ნაშრომის ამოცანა არის სეიდაბადში ნაპოვნი ჰიჯრის I საუკუნის მანძილის აღმნიშვნელი ქვის წარწერის კვლევა, რომელიც პროფ. ც. კახიანის არქივში არსებულ მასალასა და ახლო აღმოსავლეთში აღმოჩენილ მილის ქვების ანალიზს ეფუძნება.

[36] სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გაცემული ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის (FR - 21-670) ფარგლებში. ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას მოვახსენებთ პოექტის კოორდინატორს, პროფ. მურმან ქუთელიას.

აღსანიშნავია, რომ ეს ძეგლი საქართველოს არაბულენოვან წარწერათაგან ერთ-ერთი უძველესია. მის შესახებ პროფ. ც. კახიანის არქივში რამდენიმე ჩანაწერია.

როგორც ცნობილია, მილის ქვების აღმართვა და გზების მშენებლობა დაკავშირებული იყო ფოსტის ორგანიზებულ დაგეგმარებასთან, რაც ემსახურებოდა სახალიფოს მმართველობის ინტერესებს.

ვ. კრაჩკოვსკაიას მიხედვით, თბილისში ნაპოვნი მანძილის აღმნიშვნელი ქვის წარწერა ხელწერისა და შინაარსიის მიხედვით შესაძლებელია დათარიღდეს 100/718-719 წ., შეიძლება პირველი საუკუნის ოთხმოციანი წლებითაც და ის უთუოდ არის ერთ-ერთი ყველაზე ძველი სამხრეთ კავკასიაში ჩვენამდე მოღწეულ არაბულენოვან წარწერებს შორის.

ხსენებულ პერიოდში თბილისის მიმდებარედ მანძილის ქვის აღმოჩენა უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ქართლის დედაქალაქი ჩართული იყო სახალიფოს სავაჭრო ქსელში და მდებარეობდა მნიშვნელოვან მაგისტრალზე.

**საძიებო სიტყვები:** პროფ. ც. კახიანი; თბილისი; მილის ქვა; არაბულენოვანი წარწერები.

**შესავალი**

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - „თბილისის არაბულენოვანი ეპიგრაფიკული ძეგლების“ (FR-21-670) მიზანია პროფ. ც. კახიანის საარქივო მასალების დახმარებით თბილისის არაბულენოვანი ეპიგრაფიკული ძეგლებისა და, ამასთან, ახლად აღმოჩენილი წარწერების კვლევა.

წინამდებარე ნაშრომის ამოცანა არის სედაბადში ნაპოვნი ჰიჯრის I საუკუნის მანძილის აღმნიშვნელი ქვის წარწერის შესწავლა.

**მეთოდები**

ჩვენი კვლევა ეფუძნება პროფ. ც. კახიანის არქივში არსებულ მასალასა და ახლო აღმოსავლეთში აღმოჩენილ სხვა მილის

ქვების ანალიზს. კვლევაში გამოყენებულია კონტენტ ანალიზისა და შედარებითი ანალიზის მეთოდი. გაკეთებულია წარწერის პალეოგრაფიული ანალიზი და შედარებულია იმავე პერიოდის მსგავს წარწერებთან. ამასთან, ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარე გაანალიზებულია წარწერის მნიშვნელობა როგორც ზოგადად სამხრეთ კავკასიის რეგიონის, ასევე კონკრეტულად თბილისის ისტორიისთვის.

**შედეგები**

მანძილის აღმნიშვნელი ქვის შესახებ პროფ.ც.კახიანის არქივში რამდენიმე ჩანაწერია. #2 მცირე საქაღალდეში არის მანძილის აღმნიშვნელი ქვის წარწერის ფოტო (იხ. დანართი #1) და ერთი გვერდი, ფანქრით ნაწერი, სამუშაო ვერსია (იხ. დანართი # 2).

პროფ ც. კახიანი წერს: *„მილის ქვა თბილისიდან. სამი სტრიქონი ექვსი სიტყვით, უთარიღოდ. 699 წ.-ით შემთხვევით ნაპოვნი კიკნაძის მიერ ქალაქის უძველეს რაიონში - სეიდაბადში. 31 X45 სმ. ქუფური ხელი, სწორხაზოვანი, კუთხოვანი, კითხვის ნიშნების გარეშე.*

بسم الله ثلاثة اميال من تفليس

შინაარსი. *ბასმალა, განსაზღვრა დასახლებული პუნქტიდან. ტექსტი მილის ქვებთან შედარებით ლაკონურია 86/705წ. იწყება ბასმალით, მოიცავს ორ სიტყვას ალაჰის ეპითეტების გარეშე. მითითებულია მანძილი გამგზავრების პუნქტიდან* من تفليس *- არაბული სახელწოდება თბილისისა. არ არის მითითებული მიღწევის პუნქტამდე, რომელიც არის 'აბდ ალ-მალიქის სახელწოდებამდე.*

الي هاذا الميل *-ამ მილამდე.*

*„სამი მილი თბილისიდან, რომელიც უდრის ექვს კილომეტრს".*

მეორე ჩანაწერში ვკითხულობთ: *„მანძილის აღმნიშვნელი ქვა (ზომა 31X45) ამჟამად აკად. ს. ჯანაშიას სახ. თბილისის სახელმწიფო მუზეუმში ინახება. წარწერა შესწავლილი აქვს ვ. კრაჩკოვსკაიას, ათარიღებს ჰიჯრის პირველი საუკუნის 80-100 წ. (ჩვ.წ. 699-719), თვლის 'აბდ ალ-მალიქის მეფობის დროინდელად და ხელს მიიჩნევს ქუფურად. ე. კრაჩკოვსკის აზრით ეს ძეგლი ნივ-*

*თიერი დამამტკიცებელი საბუთია არაბთა ბატონობისა საქართველოში VII-ის ბოლოსა და VIII საუკუნის დასაწყისში“.*

პროფ. ც. კახიანი 1984 წლით დათარიღებულ საქართველოს არაბულენოვანი წარწერების გამოუცემელ ნაშრომში მანძილის აღმნიშვნელ ქვას უფრო ვრცლად განიხილავს: *„სამსტრიქონიანი რელიეფური წარწერა, ჩაღრმავებული, ასოები საშუალო ზომისა, კუთხოვანი, ამოკვეთილია მილის ქვაზე (ზომა 31 X45), რომელიც დაზიანებულია, ნაპოვნია ძველ თბილისში, სეიდაბადში.*

*პირველ სტრიქონში შემორჩენილია ოთხი მოკლე პერპენდიკულარული ხაზი, რომლებიც ეყრდნობიან ჰორიზონტალურ ხაზს. აქ შეიძლება ეწერა ن, ت , ب და ش ,س ასოები. მომდევნო ასოები არ ჩანს. მათი კვალიც კი გამქრალა, რომელთა მიხედვით შესაძლებელი იყოს ასოების აღდგენა. იკითხება მხოლოდ ا და ل. მეორე და მესამე სტრიქონები გაშიფრულია აკად. გ. წერეთლის მიერ.*

*ثلاث اميال من تفليس*

*„სამი მილი თბილისიდან“*

*პალეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე გ. წერეთელი წარწერას ათარიღებს ჰიჯრის I საუკუნის ბოლოთი, ე. ი. ჩვ. წ. VIII ს.“*

მანძილის აღმნიშვნელი ქვის შესახებ აკად. გ. წერეთელი აღნიშნავს: *„თბილისში მოიპოვება ადგილობრივ შექმნილი არაბული ძეგლები ჰიჯრის პირველი საუკუნეებისა. ასეთია მაგალთად, ძველ თბილიში, სეიდაბადში მოპოვებული წარწერა ჰიჯრის პირველი საუკუნისა მანძილის აღმნიშვნელ ქვაზე, რომელიც ჰიჯრის I საუკუნის ბოლოს ეკუთვნის ثلاثة اميال من تفليس - „სამი მილი ... თბილისიდან“* (წერეთელი, 1947: 46).

თბილისში ნაპოვნი მილის ქვის შესახებ ვ. კრაჩკოვსკაია წერს: *„თბილისში შემთხვევით ნაპოვნი მცირე ზომის არაბულწარწერიანი ქვის ფილა აღსანიშნავია, როგორც დაწერილობის ხასიათით, ასევე შინაარსით. ფილა დიდი არაა 31X45სმ. მისი ზედაპირი უსწორმასწოროა, კიდეები - არათანაბარი. მცირე ზომის წარწერა შედგება სამ სტრიქონზე განლაგებული ექვსი სიტყვისაგან, თითოეულზე - ორი სიტყვა. წარწერაში მნიშვნელოვანი*

*ადგილი უკავია ჰორიზონტალურ, ძლიან გაჭიმულ ლიგატურებს. წარწერის ხელი არის მკაცრად ქუფური, სწორხაზოვანი და კუთხოვანი, პუნკტუაციის გარეშე. წარწერა შედგება ორი ნაწილისგან: მოკლე საწყისი ფორმულა „ბასმალა“ პირველ სტრიქონზე და მანძილის მითითება მილებში გარკვეული პუნქტიდან - მეორე და მესამე სტრიქონზე.*

بسم الله / ثلثة اميال / من تفليس

*თარგმანი: „სახელითა ალაჰისა, სამი მილი თბილისიდან“.*

ნაშრომში ვ. კრაჩკოვსკაია ასევე გვთავაზობს წარწერის ვრცელ პალეოგრაფიულ ანალიზს (Крачковская,1952: 88-89).

**დისკუსია**

ინგლისური ენის ყველაზე მოთხოვნად ენად აღიარება მსჯელობის საგანს აღარ წარმოადგენს და დღეს, მუდმივად მზარდ საერთაშორისო ვაჭრობისა თუ ტურიზმის სფეროში, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობას ზრდის ფონზე, დამეთანხმებით რამდენად აუცილებელი და წარმატების მომტანია ინგლისურის გარდა სხვა ენების ფლობა. საქართველო-თურქეთის ორმხრივი ურთიერთობების სტრატეგიულმა ზრდამ, რომელიც აბსოლუტურად ყველა სფეროს შეეხო, ძალიან ბევრი ახალგაზრდას მისცა ბიძგი თურქულის მეორე უცხო ენად არჩევის აუცილებლობისკენ.

ენის შესწავლა ურთულესი და მრავალმხრივი პროცესია და ეს პროცესი შემსწავლელისგან უდიდეს ნებისყოფასა და შრომას მოითხოვს. ცნებები ენის დაუფლება და ენის სწავლა ხშირად სინონიმებად მოიაზრება, თუმცა ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან. როდესაც ლაპარაკია ენის დაუფლებაზე, იგულისხმება მისი უნებლიე, არაცნობიერი ათვისება, მაშინ, როდესაც ენის სწავლისას იგულისხმება გაცნობიერებული, ნებაზე დაფუძნებული ენის ათვისების პროცესები (შავერდაშვილი, ფიცხელაური, რამიშვილი, გვასალია, 2014:21).

პირველ შემთხვევა, როცა გაუაზრებლად ხდება მეორე ენის შესწავლა, მაგალითად სხვა ქვეყანაში გადასვლის საფუძველზე, ბავშვის მიერ თანატოლთა წრეში კომუნიკაციის სახით ენის უნებლიე დაუფლება, რომელიც შედარებით მარტივ და „უმტკივნეულო“ პროცესს წარმოადგენს, ხოლო მეორე შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს შემსწავლელის მიერ გააზრებულად, გარკვეული მიზნის ფეხდაფეხ, დროის კონკრეტულ მონაკვეთებში გაკვეთილის სახით განათლების მიღების პროცესს, ეს პროცესი თავისთავად ცხადია, დიდ ძალისხმევას მოითხოვს და პროცესის მიმდინარეობა გარდა ზოგადი სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორებისა, დამოკიდებულია ერის ცნობიერებაში ღრმად ჩაბეჭდილი დომინანტი მშობლიური ენის ლინგვისტურ სტრუქტურებზე, ანუ ენის შესწავლის ეროვნულ ფაქტორებზე.

უკვე აღარავინ დაობს იმაზე, რომ პოზიტიურ გარემოს, აქტივობებს, სახალისო თამაშებს, მოსწავლეზე მორგებულ სილაბუსებს, აუდიო მასალებს, ზეპირ კომუნიკაციებს და სწავლებისადმი თანამდროვე მიდგომებს, სერიოზული მუხტი შემოაქვთ სწავლების პროცესში და ენისადმი ძველებური გრამატიკულ-მთარგმნელობითი მიდგომის სერიოზულ ალტერნატივას წარმოადგენს. სწორედ ასეთი მიდგომის გამოძახილია თანამედროვე სახელმძღვანელოები, სადაც გრამატიკა, ცალკე თემად აღარ გვევლინება, უფრო მეტიც, სახელმძღვანელოს თავი სოციუმში არსებული თემების უცხო ენაში ასახვას ემსახურება და გრამატიკა „შეპარვით“ არის წარდგენილი. უმეტესწილად სავარჯიშოები მოცემული ტექსტების განხილვას წარმოადგენს და გრამატიკა

მხოლოდ სინტაქსურ-მორფოლოგიურ კონსტრუქციების სახით არის წარმოდგენილი.

მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა - ენის შესწავლის გზით 4 უნარის განვითარება ერთ საერთო მიმართულებას ემსახურება, ესაა კომუნიკაციისადმი მიმავალი გზა, რომელიც ადამიანის კარიერული წინსვლის წინაპირობას წარმოადგენს. სოციუმში დამკვიდრება, ნებისმიერი სფეროსადმი ლტოლვა, მიზნის მისაღწევად განხორციელებული ნებისმიერი ღონისძიება პირდაპირპროპორციულია კომუნიკაციური უნარების განვითარებასთან. განსაკუთრებით ურთულეს ამოცანას კი წარმოადგენს უცხო ენაზე კომუნიკაცია, რომელიც ეფუძნება შინაგანი არსის სხვა ენაზე გამოხატვისა და ინტერპეტაციის უნარს. უცხო ენაზე ინტერპრეტაციის უნარის შემუშავების წინაპირობას კი ენის შესწავლის ურთულესი გზა წარმოადგენს, რომელსაც შემსწავლელი, საკუთარი და შესასწავლი ენისა და კულტურის შეპირისპირება-შესწავლის საფუძველზე გადის.

შეცდომათა დაშვება ენის სწავლების გარდაუვალ ნაწილად გვევლინება. როგორც შეცდომის გამომწვევი მიზეზები, ასევე შეცდომის ტიპები შეიძლება იყოს მრავალი სახის. შეცდომა შეიძლება იყოს გამოწვეული როგორც მშობლიური ენის ან ნებისმიერი უცხო ენის გავლენით, ასევე სასწავლო პროცესის არასწორი წარმართვით. გარდა ამისა, აუცილებელია ენის შემსწავლელმა იცოდეს, რომ მასწავლებელი და სახელმძღვანელო, მხოლოდ სასწავლო პროცესის მიმართულებას, ანუ საწყისს წარმოდგენს და აუცილებელია, რომ ენის შემსწავლელი მხოლოდ გაკვეთილით არ შემოიფარგლოს და დაეწაფოს ამ ენაზე ლიტერატურას, მუსიკას, ფილმებს, ტელეგადაცემებს.

ენათმეცნიერების მიხედვით, ენობრივი შეცდომები ორ ჯგუფად იყოფა: ინტრალინგვური (შიდაენობრივი) და ინტერლინგვური (ენათაშორისი). ენათშორისი შეცდომები ხორციელდება მოსწავლის მიერ მშობლიურ ენაში არსებული წესების სამიზნე ენაში გამოხატვის შედეგად. შიდაენობრივი შეცდომები კი გამოწვეულია ენის სტრუქტურული თავისებურებების: მორფოლოგიური, ფონემური, სინტაქსური, ლექსიკური და სემანტიკ-

ური ასპექტების შესახებ მოსწავლის ცოდნის ნაკლებობით (Gökçebağ, 2018:5).

მორფოლოგიურ შეცდომებს, რომლებიც დაკავშირებულია ენის სტრუქტურულ თავისებურებებთან: კონსტრუქციულ აფიქსებთან, ფლექსიურ აფიქსებთან, ბრუნვის ნიშნებთან, ხმოვანთანხმოვანთა ჰარმონიასთან, „კარგ შეცდომებს“ უწოდებენ, რადგან პირდაპირ გავლენას არ ახდენენ კომუნიკაციაზე. ასეთი შეცდომები სასწავლო პროცესის განუყრელი ნაწილია და მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ სტუდენტები ჯერ კიდევ სწავლის პროცესში არიან და ცოდნის მიღება ჯერ არ დაუსრულებიათ.

სინტაქსურ-სემანტიკური შეცდომები კი, თავის მხრივ, არის შეცდომები, რომლებიც დაკავშირებულია ენის სინტაქსურ და სემანტიკურ სტრუქტურასთან. სინტაქსური და სემანტიკური შეცდომების გარდა ამ ჯგუფში შედის ლექსიკური შეცდომებიც. ასეთი ტიპის შეცდომები, დიდი ალბათობით წინადადების არსს ზიანს აყენებენ, რაც კომუნიკაციის განვითარების შეფერხებას იწვევს. ამ მხრივ, ენობრივი კომუნიკაციის თვალსაზრისით, ამ ჯგუფში შემავალი შეცდომები კლასიფიცირდება როგორც „ცუდი შეცდომები“ (Gökçebağ, 2018:7).

როგორც ვხედავთ, უცხო ენის შესწავლა ურთულეს პროცესს წარმოადგენს და ამ პროცესის დროს რომ მრავალ სირთულეს შეიძლება წააწყდეს ენის შემსწავლელი, საკამათო თემას არ წამოადგენს. ამ პრობლემების სათავეს შესასწავლი ენის სირთულეები, მშობლიური ენის, გარემოს, სასწავლო პროცესის ზემოქმედება წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ენის შესწავლის პროცესის გამარტივებასთან დაკავშირებით ბევრი ნაშრომი დაიწერა, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა მეთოდი და ტექნიკა იქნა გამოყენებული, ენის შესწავლაში პრობლემები მაინც იჩენს თავს. თუმცა ამ პრობლემების თავშივე განსაზღვრა და შესაბამისი მეთოდებისა და ტექნიკის გამოყენება თან სწავლის პროცესს და შემსწავლელის საქმეს გაამარტივებს. ამიტომ პირველ რიგში საჭიროა პრობლემების დაფიქსირება, მიზეზების ძიება და აღმომფხვრელი ღონისძიებების გატარება.

ჩემი განხილვის თემას მეორე უცხო ენის არჩევის საფუძველზე, თურქული ენის შემსწავლელ ქართველთა მიერ დაშვებულ შეცდომებზე ორიენტირება, ყველაზე ხშირად დაშვებულ საერთო შეცდომათა შესაძლო მიზეზების პოვნა და აღმოფხვრელ ღონისძიებებზე მუშაობა წარმოადგენს.

ამ საკითხზე ჩემი ინტერესი წლების განმავლობაში უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა მიერ, არჩევითი თურქული ენის შესწავლის პროცესში, ტესტური გამოცდის დროს დაშვებულ  საერთო შეცდომებზე დაკვირვებამ განაპირობა. არსებულ ყველაზე ხშირ და საერთო სახის შეცდომათა თვალსაჩინოებისა და დაფიქსირების უზრუნველყოფა  ანკეტური კვლევის საფუძველზე განხორციელდა.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 26 სტუდენტმა, რომელთა სპეციალობას თურქული ენა არ წარმოადგენს და სავალდებულო ინგლისურის შემდგომ, არჩევით საგნად, მეორე უცხო ენად თურქული აირჩიეს; სამიზნე დონედ კი არჩეული იქნა A2. ასეთი არჩევანი განაპირობა: 1. იმ ფაქტმა, რომ ორიენტს წარმოადგენს მხოლოდ  ის ენის  შემსწავლელები, რომელთა ენის შესწავლის პროცესი კვირაში შეზღუდული სახით, მხოლოდ 3-4 საათით შემოიფარგლება, 2. არჩევითი ენის შესწავლა 4 სემესტრს მოიცავს და ა2 საბაზისო დონეს გადის ყველა ენის ამომრჩეველი.

აქვე კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ გამოკითხვაში მონაწილეობას არ ღებულობენ თურქული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტები, რომლებისთვისაც თურქული ენა ძირითად სპეციალობას წარმოადგენს და შესაბამისად, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე თურქულ ენის სწავლებას სხვადასხვა საგნებით და ყოველდღიურად დატვირთული გრაფიკით გადიან.

შესაბამისად, მათი გამოკითხვა წარმოგვიდგენს მეორე უცხო ენად თურქული ენის ამომრჩეველთა მიერ, პროგრამით გათვალისწინებული განათლების შედეგს, გვაძლევს საშუალებას ვიმსჯელოთ ხშირად დაშვებულ, საერთო შეცდომებზე, არსებული შეცდომების არსსა და მისი შესაძლო აღმოფხვრის გზებზე.

**კვლევის მიზანია**

1. თურქული ენის საბაზო საფეხურზე მყოფი ქართველი სტუდენტებისა და მსმენელების ყველაზე ხშირად დაშვებულ მართლწერით და საერთო მორფოლოგიურ-სინტაქსურ შეცდომებზე ფოკუსირება-დადგენა;
2. არსებული შეცდომების მიზეზებზე მსჯელობა;
3. შეცდომების აღმომფხვრელ გზებსა და ღონისძიებებზე მსჯელობა.

**მეთოდი**

წერილობითი, ანკეტური კვლევა. ანკეტაში მოცემულია:

1. ჩასასმელი წინადადებები, ა1-ა2 დონის გრამატიკული მასალიდან, რომელიც ენის შემსწავლელის მიერ დაშვებული გრამატიკული შეცდომების დაფიქსირების საშუალებას იძლევა;
2. პატარა თემები, რითაც ენის შემსწავლელთა მიერ უცხო ენაზე აზრის ჩამოყალიბების, წერითი უნარების შესაძლებლობების შეფაების საშუალება გვეძლევა.

| N | შეავსეთ გამოტოვებული ადგილები | შეადგინეთ მცირე ზომის ტექსტები |
|---|---|---|
| 1. | 1. Ben okulda degil... | hobim |
| 2. | Siz kaç kişi……? | |
| 3. | Senin kaç kardeş...... .........? | |
| 4. | Sizin telefon....... ..... mu? | |
| 5. | Eviniz .......... katta? | |
| 6. | ...... yaşındasın? | |
| 7. | O benim çocukluk arkadaş.... | |
| 8. | Onun hala.... İstanbulda yaşıyor. | |

| | | |
|---|---|---|
| 9. | Senin dolap...... ne var? | |
| 10. | Ablam bir klinikte veteriner… yapıyor. | |
| 11. | Şehrinizde kira.... ev arıyorum | |
| 12. | Ben her sabah okula git........ | |
| 13. | Dersin ne zaman başla.........? | |
| 14. | En çok kim….. özlüyorsun? | |
| 15. | kendi araba... binip yola çıktı | Gelecek planlarınız ne? |
| 16. | Balkon………….. çiçekler çok güzel. | |
| 17. | Bu sınıf………… öğrenciler farklı ülkelerden geliyor | |
| 18. | Televizyon kumanda.... bozuk. | |
| 19. | Biz arkadaşım……… ev……… gidiyoruz | |
| 20. | Seza kardeş........ oda....... girdi. | |
| 21. | Arkadaşım... hiç akrabaları .......... | |
| 22. | (siz) Arkadaşlarınızla kavga et...............! | |
| 23. | (Biz) Haydi, hep birlikte bir dünya turuna çık……. | |
| 24. | Lütfen, odamızı temiz tut..... | |
| 25. | Geçen hafta sinemaya git...........mi? | |
| 26. | Dün hava soğuk ...............? | |

| | | |
|---|---|---|
| 27. | Dün hava soğuk ...............? | |
| 28. | Haberlerde duydum, dün Türkiyede deprem ol.......... | Hayatınızdaki en önemli gün |
| 29. | Gelecek yil yeni ev al…… | |
| 30. | Ben akşamları hiç dışarı çık....... | |
| 31. | Ahmet asla sigara iç.......... | |
| 32. | Uyu….. önce mutlaka kitap okuyorum | |
| 33. | biraz televizyon izle…… sonra uyudum. | |
| 34. | Ayşe çok çalıştı ama sınavı geç........... | |
| 35. | Hasta olduğum için gel........... | |
| 36. | Çok sıcak, pencere aç............. misiniz? | |
| 37. | Size nasıl yardımcı ...............? | |
| 38. | Ablam hemşire ol........ çalışıyor | |
| 39. | Şapkasını çıkar....... masanın üzerine koydu. | |
| 40. | Yarın yurt dışına git........ için çok heyecanlıyım | |
| 41. | Üniversiteye ilk gel..... gün onu bahçede görmüştüm | |
| 42. | Doğ...... ve büyü....... ülke Gürcistandır. | |

**შედეგი**

1. ქართველების ყველაზე სუსტ წერტილად ბრუნვის ნიშანი დაფიქსირდა. როგორც ვიცით, ქართულ ენაში მიმართულება და ადგილზე ყოფნა „-ში“ ან „-ზე“ ნაწილაკებით გამოიხატება, რისი გავლენაც საკმაოდ მკაფიოდ აისახა ანკეტურ ნაშრომებში. მონაწილეთა დიდი უმრავლესობა საკუთარი ენის გავლენით უშვებს ისეთ შეცდომებს, როგორიცაა: „kendi arabasın-da binip yola çıktı“, მაშინ როცა, „da" ნაწილაკი თურქულ ენაში მხოლოდ ადგილზე ყოფნის გამომხატველი ბრუნვის ნიშანია. მიმართულების აღსანიშნავად კი თურქები იყენებენ -a ბრუნვის ნიშანს, მაგ: „kendi arabasın-a binip yola çıktı“. ქართველები კი, როგორც ანკეტური მონაცემები გვიჩვენებს, საკუთარ ენობრივ კონსტრუქციებზე დაყრდნობით, მიმართულებითი ნაწილაკის ნაცვლად ადგილობითი ბრუნვის ნიშანს იყენებენ. ანკეტური მონაცემების მიხედვით, ქართველებში გაუგებრობას იწვევს კუთვნილებისა და ბრუნვის ნიშნის ერთად გამოყენებაც: ნაცვლად araba-sı-na, სადაც -sı მესამე პირის კუთვნილების ნიშანს წარმოადგენს, ქართველების საკმაო რაოდენობას ეწერა შემდეგნაირად: kendi arabada binip...... შეცდომა ისევ მშობლიურ გრამატიკულ კონსტრუქციებს უკავშირდება, ქართულში კუთვნილებითი ნაწილაკის არარსებობა, ანკეტის მონაწილეთა საკმაო დიდ რაოდენობის მიერ დაწერილ წინადადებებშიც აისახა.

იგივე სახის შეცდომა ფიქსირდება შემდეგ წინადადებაშიც: „Biz arkadaşımızın evin-de gidiyoruz“, აქაც საკუთარი ენის გავლენა უდაოა.

2. ანკეტური მონაცემების მიხედვით სირთულეს წარმოადგენს ქართველებისთვის იზაფეთის წარმოებისას მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობაც, მაგალითად, ნაცვლად სწორი ვარიანტისა Seza kardeşinin odasına girdi, ანკეტურ მონაცემებში შემდეგი შეცდომები დაფიქსირდა: Seza kardeşin odada girdi., ფიქსირდება ისევ ქართულის გავლენა, ქართული ნათესაობითი ბრუნვის -ის თურქული ადეკვატი გამოყენებული იქნა, თუმცა არ იქნა გამოყენებული კუთვნილების აღმნიშვნელი ნაწილაკი არც მსაზღვრელსა და არც საზღვრულზე, ამასთანავე არასწორად იქნა

შერჩეული ბრუნვის ნიშანიც. ასევე ხშირად დაფიქსირდა კუთვნილებითი ნაწილაკის არგამოყენებაც: Senin dolapta ne var?. ამ შეცდომებსაც იგივე ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ, ქართული ენაში მართალია ნათესაობითი ბრუნვა არსებობს, თუმცა კუთვნილებაში მყოფ ობიექტს კუთვნილების აღმნიშვნელი ნაწილაკი არ ემატება.

3. ანკეტურმა მონაცემებმა ფართე დროის (geniş zaman) აღქმა-გამოყენების საკითხშიც არსებული სირთულეების წინაშე დაგვაყენა. მართალია გაკვეთილის პროცესში ფართე დროის გამოყენების არეალი (ყოველდღიური საქმიანობა, ზრდილობიანი ფორმა), რომლის ქართული ადეკვატი მხოლოდ ახლანდელი დროა, ენის შემსწავლელთათვის თითქოს გასაგებია, თუმცა ანკეტურ ნაშრომებში, მხოლოდ ერთეულების მიერ იქნა გამოყენებული ეს დრო. ანკეტის მონაწილეთა უდიდესი ნაწილი, ფართე დროის ნაცვლად ახლანდელი დროის გამოყენებას ამჯობინებს როგორც გრამატიკული ტესტების შევსებისას, ასევე თავისუფალი თემებში წერილობით თხრობის დროს.

4. საერთო შეცდომებს შორის განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა -dik, -acak კუთვნილებითსუფიქსიანი მასდარის შეცდომით გამოყენებამ, უფრო ხშირ შემთხვევაში კი გამოუყენებლობის ფაქტმა. ანკეტის მონაწილეების უდიდესმა ნაწილმა ზემოაღნიშნული საკითხი ან არასწორად, ან საერთოდ ვერ გამოიყენა ვერც ჩასასმელ მაგალითებში და ვერც წერილობით თხრობაში. როგორც ენის მცოდნეები დამეთანხმებიან, dik, -acak კუთვნილებითსუფიქსიანი მასდარი ქართული კავშირების: რომ, რათა, ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, სადაც, საიდანაც, საითკენაც, როდესაც და ა.შ. თურქულ ადეკვატს წარმოადგენს. ქართული ენის რთულ ქვეწყობილ წინადადებებში, დამოკიდებული წინადადება მთავარის განმსაზღვრელს წარმოადგენს და ხშირ შემთხვევაში აზრი კავშირების საშუალებით ორი წინადადებითაა გამოხატული, თურქულ ვერსიაში კი ხშირ შემთხვევაში ერთი წინადადებაა წარმოდგენილი, სადაც მსაზღვრელს კუთვნილებითსუფიქსიანი DIK და ACAK მასდარი წარმოადგენს. მაგალითად, განვიხილოთ გამოტოვებული ადგილების შევსების საფუძვ-

ელზე, ანკეტის მონაწილეთა მიერ აგებული თურქული წინადად-ებები და ვიმსჯელოთ არსებული შეცდომების წარმოშობის სავარაუდო მიზეზებზე:

1. გამოტოვებული ადგილების შევსების საფუძველზე სწორი წინადადების: „DOĞDUĞUM VE BÜYÜDÜĞÜM ÜLKE GÜRCISTANDIR“(ქვეყანა, სადაც დავიბადე და გავიზარდე, საქართველოა) შედგენა მონაწილეთა ძალიან მცირე ნაწილმა მოახერხა, დიდი უმრავლესობის მიერ შედგენილი წინადადებები შემდეგნაირად გამოიყურება:

   „ÜLKE, NEREDE DOĞDUM VE BÜYÜDÜM GÜRCISTANDIR“. თურქული ენის მცოდნე ქართველები დამერწმუნებიან, რომ თურქული წინადადება აგებულია ქართული წინადადების სტრუქტურის ზუსტი კოპირების საფუძველზე;

2. სწორი ვერსია: „YARIN YURT DIŞINA GIDECEĞIM IÇIN ÇOK HEYECANLIYIM“ (აღელვებული ვარ, რადგან ხვალ საზღვარგარეთ მივდივარ) ასევე ძალიან მცირე ნაწილის მიერ იქნა წარმოდგენილი. ანკეტის მონაწილეთა დიდი უმრავლესობის მიერ შედგენილი წინადადებები შემდეგნაირია:

   a. YARIN YURT DIŞINA GIDIYORUM IÇIN ÇOK HEYECANLIYIM - არ იქნა გამოყენებული მასდარის ფორმა, ამასთანავე კავშირი და წინადადებათა ბმულობა არასწორად იქნა განხორციელებული.
   b. YARIN YURT DIŞINA GIDIYORUM VE ÇOK HEYECANLIYIM.
   c. YARIN YURT DIŞINA GIDIYORUM, ONUN IÇIN ÇOK HEYECANLIYIM.

როგორც ვხედავთ, ხშირ შემთხვევაში ქართველები ისევ საკუთარი ენის გავლენით მასდარის ფორმის გამოყენებას, კავშირების გამოყენების საფუძველზე, რთული ქვეწყობილი წინადადებების შედგენას ამჯობინებენ.

მსგავსი პრობლემა ფიქსირდება შემდეგ წინადადებაშიც: „Televizyon izledikten sonra uyudum“ (ცოტა ხანი ტელევიზორს ვუყურე, შემდეგ დავიძინე) სადაც კავშირს ბრუნვის ნიშანდართული dık მასდარი ანაცვლებს. ანკეტის მონაწილეთა დიდი უმრავლესობა ამ წინადადებას შემდეგნაირად წარმოგვიდგენს: biraz televizyon izledim, sonra uyudum.

მართალია, ეს წინადადება არ შეიძლება შეცდომად ჩაითვალოს, თუმცა სახეზეა ქართული ენის გავლენით ისევ კავშირიანი წინადადების შედგენა, თურქული წინადადების კონსტრუქციის, ანუ dık მასდარის წარმოება მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილმა შეძლო.

5. შედარებით ნაკლებად, თუმცა მაინც საერთო სახე მიიღო აბსტრაქტული სახელების მაწარმოებელი „lik“ სუფიქსის გამოუყენებლობამ: წინადადების „Ablam bir klinikte veterinerlik yapıyor“ (ჩემი და კლინიკაში ვეტერინარად მუშაობს), მეტად მცდარი თურქული ვერსიები იქნა წარმოდგენილი, მაგალითად: „Ablam bir klinikte veterinerden yapıyor; Ablam bir klinikte veteriner yapıyor“ და ა.შ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგივე გრამატიკული დატვირთვის წინადადება: „şehrinizde kiralık ev arıyorum“ (თქვენს ქალაქში საქირავებელ სახლს ვეძებ) რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, აბსოლუტური უმრავლესობის მიერ სწორად იქნა დაწერელი, მხოლოდ რამდენიმე შეცდომას ჰქონდა ადგილი, რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ ძალიან ბევრ სახლზე გვხვდება მსგავსი შინაარსის აბრა, როგორც ქართულად და ინგლისურად, ასევე თურქულადაც, რამაც მოხსიერებაში აღბეჭდვის საფუძველზე, ანკეტის მონაწილეთა მიერ ზემოხსენებული ნაწილაკის სწორად გამოყენება განაპირობა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი რესპოდენტების მიერ ნაკლებად იქნა გამოყენებული ნამყო შედეგობითი დროის ნაწილაკი miş.

„Haberlerde duydum, dün Türkiyede deprem olmuş“ (ინფორმაციებში მოვისმინე, გუშინ თურქეთში მიწისძვრა ყოფილა) ანკეტაში არსებული წინადადება, ბევრი მონაწილის მიერ შემდეგნაირად იქნა შევსებული: „Haberlerde duydum, dün Türkiyede

deprem oldu“ (ინფორმაციებში მოვისმინე, გუშინ თურქეთში მიწისძვრა იყო). Miş ფორმა, რომელიც სხვა პირების მიერ ნანახი მოვლენის გადმოცემას, ანუ დასწრების გარეშე ვითარების ასახვას აღნიშნავს, როგორც ჩანს ქართველებში გაუგებრობას იწვევს. ეს ფაქტი შეიძლება სასწავლო პროცესში არსებულ ხარვეზს, თემის არასაკმარის განხილვას, ან სახელმძღვანელოში გამოყენების მაგალითების სიმცირეს შეიძლება უკავშირდებოდეს.

შედარებით ნაკლები მასშტაბით, თუმცა საერთო პრობლემას წარმოადგენს აბსოლუტივების გამოყენებასაც: მონაწილეთა ერთი ნაწილისთვის გაუგებარია „ip“ ვითარების აბსოლუტივის გამოყენება, რომლის ქართულ ადეკვატს „და“ კავშირი წარმოადგენს:

სწორი ფორმის: „Şapkasını çıkarıp masanın üzerine koydu“ (ქუდი მოიხადა და მაგიდაზე დადო) ანკეტისეულ ვარიანტებში ასეთი ვერსია დაწინაურდა: „Şapkasını çıkardı, masanın üzerine koydu“.

როგორც ვხედავთ, აქაც სინტაქსური პრობლემა იჩენს თავს. ზმნის ფუძეზე „ip“ ნაწილაკის დართვით „ve“ კავშირის ჩანაცვლება, ქართველ მონაწილეთა ერთი ნაწილისთვის ან გაუგებარ თემას წარმოადგენს, ან კიდევ მეხსიერებაში მშობლიური გრამატიკის დომინირების საფუძველზე, საკითხის დავიწყებას ან ზედაპირულად ცოდნას აქვს ადგილი.

რაც შეეხება თემების სახით მოცემულ ლექსიკურ ნაწილს, ოთხივე სახის ენობრივ შეცდომებს ვაწყდებით: ორთოგრაფიულს, სინტაქსურს, მორფოლოგიურს და სტილისტურსაც:

ორთოგრაფიული შეცდომებიდან: Arkadaşim, kardeşım, yürüyorüm, kırtasıe და ა.შ. მრავლად დაშვებული შეცდომები დაფიქსირდა. როგორც ვხედავთ, აბსოლუტურად დარღვეულია თურქულ ხმოვანთა ჰარმონიის წესები (ბოლო მარცვალში არსებული ხმოვნის მიხედვით სუფიქსის შერჩევა). ქართულში, ინგლისურსა და სხვა ენებში თურქულში არსებული ზოგიერთი ხმოვანის არარსებობის გავლენით, ქართველი ენის შემსწავლელის მიერ თურქულად წერის დროს ხშირად ფიქსირდება ამ ხმოვნების უგულებელყოფის ფაქტები.

ლექსიკურ-მორფოლოგიური შეცდომებიდან: ..... Hobim şarkıyı söylemek = ბრუნვის ნიშნის უადგილო გამოყენება;

.... bol bol gülüyoruz, tatlı tatlı konuşuyoruz, bayramını çok seviyorum = კუთვნილების ნაწილაკის უადგილო გამოყენება, წინადადება სინტაქსურად და სტილისტურად გაუმართავია;

.......iyi bir öğretmen olacağım düşünüyorum - dık მასდარის ფორმაზე ბრუნვის ნიშნის გამოუყენებლობა;

her hafta sonu arkadaşça topluyoruz (ნაცვლად სიტყვისა: toplanıyoruz - ვიკრიბებით); topluyoruz - ვკრებთ, სიტყვის არასწორი მნიშნელობით გამოყენება წინადადების უშინაარსობას განაპირობებს;

değiştik yemekler yapıyoruz - არცოდნის საფუძველზე სიტყვის დამახინჯებული გამოყენება;

fotoğraf çekiliyorum ve müzik dinleniyorum - ნაცვლად სიტყვებისა „çekiyorum“ ve „dinleniyorum“ და მრავალი სხვა, რაც როგორც ვთქვით, წინადადების შინაარსის გაურკვევლობას განაპირობებს.

სინტაქსური შეცდომებიდან: ... „önceden kitap çok okudum, şimdi başka şeyleri ilgileneceğim“. ადგილი აქვს, როგორც ორი წინადადების დაკავშირებისას დროების შეუსაბამობას, ანუ დროების არასწორად გამოყენებას, გარდა ამისა მეორე წინადადებაში ilgilenmek ზმნასთან არასწორი ბრუნვის ნიშნის გამოყენებას;

„benim en mutlu günüm üniversite sınavını kazandığımı öğrendiğim gün, çünkü hem kendimin hemde anne-babamın hayalını gerçekleştirecektim“. ზმნის არასწორი გამოყენება, რაც წინადებათა წყობის ჰარმონიულობის დარღვევას განაპირობებს, კუთვნილებისა და იზაფეთის გადაჭარბებით გამოყენება.

მსგავსი შეცდომები, როგორც ზევით ავღნიშნეთ, ენის სწავლების პროცესის თანმდევია და პროცესის დაუსრულებლობას აღნიშნავს, თუმცა შეცდომათა ასეთი სიჭარბე ზომების მიღების აუცილებლობაზე მიგვითითებს. ასევე აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ A2 დონე სოციუმში არსებულ თითქმის ყველა სფეროს ასახავს და შესაბამისად საკმაოდ ფართე ლექსიკურ მარაგს მოიცავს, მონაწილეთა თემები ძირითა-

დად მეტად მწირე, შეიძლება ითქვას ა1 დონის ლექსიკით შემოიფარგლა, გარდა ლექსიკის სიმწირისა, დაფიქსირდა სიტყვების არასწორი მნიშვნელობით გამოყენება, ხშირ შეცდომებში განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა ბრუნვის ნიშნებმა, კუთვნილებითი ნაწილაკების არასწორმა გამოყენებამ, აზრის გრამატიკული და შინაარსობრივი კუთხით არასწორმა ჩამოყალიბებამ და ა.შ.

**დასკვნა**

ჩემს მიერ განხორციელებულმა ანკეტურმა კვლევებმა შემდეგი ამოცანის წინაშე დაგვაყენა: კვლევამ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ბ1 დონის საწყის ეტაპზე მყოფმა 6 სტუდენტმა და ა2 დონის კურსდამთავრებულმა 20 სტუდენტმა, რომლებისთვისაც თურქული ენა არჩევით საგანს წარმოადგენს, შემდეგი რეალობის წინაშე დაგვაყენა: ენის შემსწავლელთა ყველაზე ხშირ საერთო შეცდომებს წარმოადგენს:

1. ბრუნვის ნიშნების არასწორი და უადგილი გამოყენება. ანკეტური კვლევების მონაწილეთა დიდი უმრავლესობის მიერ თურქულ წინადადებში გამოყენებული ბრუნვის ნიშნებზე აშკარად იგრძნობა მშობლიური ენის ბრუნვათა გავლენა: მიმართულებით-მიცემითი ბრუნვის ნაცვლად ძალიან ხშირად გამოყენებული იქნა ის ბრუნვის ნიშანი, რომელსაც ანკეტის მონაწილე მსგავსი შინაარსის ქართული წინადადების აგებისას გამოიყენებდა;
2. ხშირად დაშვებულ შეცდომებში დიდი ადგილი უჭირავს კუთვნილებითი ნაწილაკის არასწორ გამოყენებას ამ გამოუყენებლობას. იგივე შეიძლება თქვას იზაფეთის წარმოებაზეც, აქაც აშკარად იგრძნობა ქართულის გავლენა. ქართული ენის ნათესაობით ბრუნვას თურქული ადეკვატი მოეძებნება (-ის ქართ; -in თურქული), ამიტომაც დიდი უმრავლესობის მიერ იზაფეთის წარმოება წარმატებით განხორციელდა, ხოლო ქართულში სახელებზე კუთვნილებითი სუფიქსების არარსებობამ, ანკეტის მონაწილეთა მიერ დაწერილ თურქულ წინადადებებშიც იჩინა სახე;

3. ყოველდღიურობის ამსახველ წინადადებაში, რომელიც აშკარად ფართე დროის (geniz zaman) გამოყენების აუცილებლობას ითხოვს, მონაწილეთა ასევე ძალიან დიდი უმრავლესობა როგორც ჩანს, ისევ ქართული ენის გავლენით ახლანდელი დროის გამოყენებას ამჯობინებს;
4. ქართული ენა კავშირების ენაა, რთული ქვეწყობილი წინადადების აგება ქართულ ენაში წარმოუდგენელია კავშირების გარეშე. ქართული წინადადების სტრუქტურული აგებულება ნათლად აისახა ანკეტის როგორც გრამატიკულ, ასევე ლექსიკურ ნაწილში. მონაწილეთა დიდი ნაწილი, ნაცვლად dık acak მასდარისა, რომელიც ქართული კავშირების თურქულ ადეკვატს წარმოადგენს, წინადებების ბმულობას ისევ კავშირების გზით ამჯობინებს.

**დისკუსია**

როგორც ცნობილია, ა2 დონე, რომელიც ენის შესწავლის ელემენტარულ საფეხურს წარმოადგენს, გვაძლევს სოციუმში არსებულ სფეროებთან დაკავშირებული ლექსიკის საკმაო მარაგს, შესწავლილი გრამატიკული მასალა კი, არსებული ლექსიკის პრაქტიკაში გამოყენების, საყოფაცხოვრებო თემებზე აზრის თავისუფლად ჩამოყალიბების საშუალებას. მიუხედავად ამისა, ანკეტის მონაწილეთა დიდი ნაწილის მიერ წარმოდგენილი თემები მწირი გრამატიკული ფორმებითა და ლექსიკით შემოიფარგლება.

წინადადებებში აზრი ჩამოყალიბებულია მართალია გასაგებად, მაგრამ შეზღუდული გრამატიკული ფორმებით, რაც გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ნასწავლი მასალა პასიურ მდგომარეობაში რჩება და მისი პრაქტიკაში რეალიზება პრობლემას წარმოადგენს.

როგორც ვხედავთ, ანკეტურმა მონაცემების მიერ ნათლად დახატული სურათი, რომელიც არცთუ ისე სახარბიელოა, სერიოზული დაფიქრების, გადაჭრის გზების პოვნასა და აუცილებელი ღონისძიებების დასახვა-გატარების აუცილებლობის წინაშე გვაყენებს.

**რეკომენდაციები**

ანკეტურმა კვლევამ ნათლად დაგვანახა ენის შესწავლის პროცესში შემსწავლელის მეხსიერებაში ღრმად ჩაბეჭდილი დომინანტი მშობლიური ენის სტრუქტურული თავისებურებების როლი და მისი გავლენა შესასწავლი ენის რეალიზაციის საკითხში. როგორც კვლევის გრამატიკულმა, ასევე ლექსიკურმა ნაწილმა ნათლად ასახა, რომ თურქული ენის, როგორც არჩევითი, მეორე ენის შესწავლის პროცესი, რომლის პროგრამით გათვალისწინებული მიმდინარეობა კვირაში რამდენიმე საათით შემოიფარგლება, დონის შესაბამისად ენის ფლობას ვერ უზრუნველყოფს, აღნიშნული ფაქტი კი შემდეგი ღონისძიებების გატარების აუცილებლობის წინაშე გვაყენებს:

- 1. სწავლის პროცესში გრამატიკული თემების სწავლება, საკითხთან დაკავშირებული ფართედ განხილული გამოყენების მაგალითების მიწოდება შესასწავლი ენისა და მშობლიური ენის შეპირისპირების საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს; სასურველია ხაზგასმით იქნეს აღნიშნული და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქართულ-თურქულ ენობრივ თავისებურებათა აღწერას, მსგავსება-განსხვავებულობაზე მსჯელობის საფუძველზე ამა თუ იმ საკითხის სწავლების განხორციელებას;

- 2. გარდა სწავლების პროცესში ზემოთაღნიშნულ საკითხებზე ყურადღების გამახვილებისა, სასურველია შემუშავდეს თურქული ენის სახელმძღვანელო, რომლის მიზანი იქნება:

2.1. ქართველთა მიერ დაშვებულ საერთო შეცდომათა აღმოფხვრის გზებზე ორიენტირება: როგორც ანკეტამ დააფიქსირა, საერთო შეცდომების დიდი ნაწილი მშობლიური ენის ლინგვისტური სტრუქტურის გავლენას უკავშირდება, შესაბამისად, წიგნის მიზანი ამ პრობლემის გადაჭრას უნდა ემსახურებოდეს;

2.2. უნდა უზრუნველყოს პრობლემური თემის ირგვლივ გამოყენების მზა მაგალითებისა და დაკავშირებული ტექსტების ვრცლად მიწოდება და ასევე გაუგებრობების გაქარწყლების მიზნით, ქართულ ენასთან შეპირისპირებითი მაგალითების შემსწავლელზე მიწოდება.

წიგნი ღირებული იქნება ნებისმიერი ენის შემსწავლელისთვის, თუმცა ორიენტირს განსაკუთრებით უნდა წარმოადგენდეს სტუდენტები, რომლებისთვისაც თურქული ენა სპეციალობას არ წარმოადგენს და შესაბამისად მათი სასწავლო პროცესი, როგორც არჩევითი საგნის შესწავლა კვირაში რამდენიმე საათით შემოიფარგლება. განსაკუთრებულად ღირებული იქნება მათთვისაც, ვინც თურქულ ენას დამოუკიდებლად, სასწავლებლის გარეთ და მასწავლებლის გარეშე ეუფლება.

ნებისმიერი სწავლის მიზანი ნაყოფიერი შედეგია. იმედი მაქვს, რომ ეს ნაშრომი, რომლის მიზანსაც ქართველთა მიერ დაშვებულ საერთო შეცდომებზე ორიენტირება და ხარვეზების აღმოფხვრის გზებზე მუშაობა წარმოადგენს, სწავლების პროცესში მოსალოდნელ შეცდომათა თავიდან აცილებისა და შედეგად სასწავლო პროცესის გამარტივების უზრუნველყოფის საკითხში გარკვეულ წვლილს შეიტანს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

შავერდაშვილი, ე., ფიცხელაური, ნ., რამიშვილი, ფ., გვასალია, მ. (2014). *უცხოური ენების სწავლების საფუძვლები.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Gökçebağ, D. (2018). *Yabancı Dil Olarak Türkçe Öğrenen Yunanlıların Yaptıkları Dilbilgisel Hataların İncelenmesi.* İnternational journal of teaching turkish as a foreign language.

## REFERENCES:

Shaverdashvili, E., Fitskhelauri, N., Ramishvili, F., Gvasalia, M. (2014). *Utskhouri Enebis Sts'avlebis Safudzvlebi.* Tbilisi: ilias Sakhelmts'ifo Universit'et'i.

Gökçebağ, D. (2018). *Yabancı Dil Olarak Türkçe Öğrenen Yunanlıların Yaptıkları Dilbilgisel Hataların İncelenmesi.* İnternational journal of teaching turkish as a foreign language.

# Common mistakes made by Georgians when learningTurkish as a second foreign language, and ways to eliminate them

**Zeinab Akhvlediani**
Assistant Professor,
Batumi Shota Rustaveli State University
Georgia, 6010. Batumi, Ninoshvili st. 32/35
+995555007746. zeinab.akhvlediani@bsu.edu.ge
ORCID 0000-0002-1099-0955
DOI:https://doi.org/10.61671/hos.6.2023.7363

## Abstract

Following English as the first foreign language among optional subjects, the study of a second foreign language has become more common. If until now, when choosing a second foreign language, preference was given to European languages, then in recent years, based on the established relations between Turkey and Georgia, the choice of Turkish as a second language has taken a priority place.

Learning a language is a complex and multifaceted process. Making mistakes in language learning is an integral and natural part of this process. The reasons for the errors may vary; this can be caused by the influence of the native or any foreign language, as well as the wrong direction of the learning process. As the survey has shown, despite the modern possibilities of learning a language, which is a serious alternative to the old grammatical-translational approach to language learning, a number of problems remain unresolved, which seem to be an obstacle to communication in a foreign language.

The subject of the research is a discussion of the most common mistakes made by Georgians when learning Turkish as a second language among optional subjects, and focusing on possible ways to

eliminate them based on a questionnaire, in the light of modern opportunities for learning the language and the practical application of the acquired knowledge. A2, i.e. elementary level, has been chosen as the target level of the study, and it involved 26 university students, who do not specialize in Turkish language and literature, but study Turkish as a second language in optional subjects. A clear picture of common mistakes revealed by a questionnaire survey poses the following task for us: when learning a language, first of all, along with other environmental learning factors, it is necessary to oppose and contrast native and foreign languages. Language learning should take place on the basis of a comparison between the native and target languages, with special attention and emphasis on grammatical and lexical factors and expected errors, which are associated with the influence of the native language, deeply imprinted in the mind.

**Keywords:** Learning a second language; common mistakes; influence of other languages; factors hindering communication; contrastive learning.

## Introduction

The recognition of English as the most in-demand language is no longer a subject of debate, and today, in the field of ever-growing international trade and tourism, against the backdrop of increasing competition in the labor market, it is becoming increasingly necessary and important to know languages other than English. The strategic growth of bilateral relations between Georgia and Turkey, which affected absolutely all areas, gave many young people the impetus to choose Turkish as a second foreign language.

Learning a language is a complex and multifaceted process, and this process requires great willpower and hard work from the learner. The concepts of language "acquisition" and language "learning" are often considered synonymous, but they differ from each other. When we talk about language acquisition, we mean its involuntary, unconscious acquisition, and learning a language implies conscious,

volitional processes of language acquisition (Shaverdashvili, Fitzkhelauri, Ramishvili, Gvasalia, 2014:21).

In the first case, learning a second language is carried out without understanding it, for example, due to moving to another country, a child involuntarily masters the language in the form of communication with peers, which is a relatively simple and "painless" process. In the second case, when we are dealing with the process of receiving education in the form of a lesson at certain intervals of time, as the student understands, in accordance with a specific goal, this process itself is self-evident, it requires great effort, and the course of the process, in addition to general social and psychological factors depends on the linguistic structures of the dominant native language, deeply imprinted in the consciousness of the nation, that is, on the national factors of language learning.

There is no longer any dispute that positive environments, activities, fun games, student-tailored curricula, audio materials, oral communication and modern approaches to teaching add serious energy to the learning process and represent a serious alternative to the old grammar-translation approach to language. An echo of this approach is precisely modern textbooks, where grammar no longer appears as a separate topic; moreover, the chapters of the textbook serve to reflect topics happening in society in a foreign language, and grammar is presented "disguisedly". For the most part, the exercises are a discussion of given texts, and grammar is presented only in the form of syntactic-morphological structures.

Listening, speaking, reading, writing - the development of these four skills through language learning serves one general direction, this is the path to communication, which is a necessary condition for a person's career advancement. Establishing oneself in society, striving for any field, any measures taken to achieve a goal are directly proportional to the development of communication skills. A particularly difficult task is communication in a foreign language, based on the ability to express and interpret the "inner essence" in another language. A prerequisite for the development of the ability to

interpret in a foreign language is the most difficult path of language learning, which a student goes through based on a comparison of his own and the target language and culture.

Mistakes are an inevitable part of learning a language. Both the causes and types of errors can vary in different ways. The error can be caused by the influence of the mother tongue or any foreign language, as well as the wrong direction of the learning process. In addition, the language learner needs to know that the teacher and the textbook represent only the direction of the learning process, i.e. beginning, and it is necessary that the language learner not limit himself to the lesson taught, but study literature, music, films, and television programs in this language as well.

According to linguistics, language errors are divided into two groups: intralingual and interlingual. Cross-language errors occur when the learner transfers rules used in the native language to the target language. Intralingual errors are caused by the student's lack of knowledge about the structural features of the language: morphological, phonemic, syntactic, lexical and semantic aspects (Gökçebağ, 2018:5).

Morphological errors, related to the structural features of the language along with constructional affixes, inflectional affixes, case marks, vowel-consonant harmonies, are called "good errors" because they do not directly affect communication. Such errors are an integral part of the learning process and indicate that students are still in the learning process and have not yet completed acquiring knowledge. Syntactic-semantic errors, on the other hand, are the ones related to the syntactic and semantic structure of the language. In addition to syntactic and semantic errors, this group also includes lexical errors. Errors of this type most often violate the essence of the sentence, which impedes the development of communication. Therefore, from the point of view of linguistic communication, errors included in this group are classified as "bad errors" (Gökçebağ, 2018:7).

As we can see, learning a foreign language is a complex process and the fact that a language learner may face many difficulties during

this process is not a controversial topic. The roots of these problems are the difficulties of the language being studied, the influence of the native language, the environment and the educational process. Despite the fact that to simplify the process of learning a language, many works have been written to describe and suggest the use of various methods and techniques, problems in learning a language still arise. However, identifying these problems and using appropriate methods and techniques will make the learning process and the student's efforts easier. Therefore, first of all, it is necessary to identify problems, find causes and take corrective measures.

The given article deals with the discussion and analysis of mistakes made by Georgians when learning Turkish as a second foreign language, searching for possible causes of the most common mistakes and working on measures to eliminate them. Our interest in this issue was sparked by observing common mistakes made by Georgian university students in a test exam while studying a facultative (optional) Turkish language. Ensuring visibility and recording the most frequent and widespread types of errors was carried out on the basis of a questionnaire survey.

The study involved 26 students of Shota Rustaveli State University, whose specialty is not Turkish and, after compulsory English, they chose Turkish as a second foreign language as a facultative subject; A2 was chosen as the target level. This choice was due to: 1. the fact that the focus is only on those language students whose language learning process is limited to 3-4 hours a week, 2. elective language study covers 4 semesters and all language students take the basic A2 level.

It should be emphasized that the survey does not include students of Turkish Language and Literature, for whom Turkish is their main language and, therefore, they study Turkish in various subjects and with a busy daily schedule.

Accordingly, the survey presents the learning outcomes of students who chose Turkish as a second foreign language within the program, and allows to analyze and discuss frequently made, common

errors, the essence of existing errors and possible ways to eliminate them.

**Purpose of the study**

1. Focusing on the most common spelling, morphological and syntactic errors made by Georgian students at the basic level of the Turkish language;
2. Discussion of the causes of existing errors;
3. Discussion of ways and measures to eliminate errors.

**Method**

Written, questionnaire survey. The questionnaire contains:

1. inserting sentences (from grammatical material of levels A1-A2), allowing to correct grammatical errors made by language learners;
2. small topics that allow language learners to formulate thoughts in a foreign language and evaluate the capabilities of writing skills; filling in the blanks; composing a short text.

| N | **Fill in the gaps** | **Write a short text** |
|---|---|---|
| 1. | 1. Ben okulda degil... | hobim |
| 2. | Siz kaç kişi……? | |
| 3. | Senin kaç kardeş...... .........? | |
| 4. | Sizin telefon....... ..... mu? | |
| 5. | Eviniz .......... katta? | |
| 6. | ...... yaşındasın? | |
| 7. | O benim çocukluk arkadaş.... | |

| | | |
|---|---|---|
| 8. | Onun hala.... İstanbulda yaşıyor. | |
| 9. | Senin dolap...... ne var? | |
| 10. | Ablam bir klinikte veteriner… yapıyor. | |
| 11. | Şehrinizde kira.... ev arıyorum | |
| 12. | Ben her sabah okula git........ | |
| 13. | Dersin ne zaman başla.........? | |
| 14. | En çok kim….. özlüyorsun? | |
| 15. | kendi araba... binip yola çıktı | Gelecek planlarınız ne? |
| 16. | Balkon………….. çiçekler çok güzel. | |
| 17. | Bu sınıf…………. öğrenciler farklı ülkelerden geliyor | |
| 18. | Televizyon kumanda.... bozuk. | |
| 19. | Biz arkadaşım……… ev……… gidiyoruz | |
| 20. | Seza kardeş........ oda....... girdi. | |
| 21. | Arkadaşım... hiç akrabaları .......... | |
| 22. | (siz) Arkadaşlarınızla kavga et..............! | |
| 23. | (Biz) Haydi, hep birlikte bir dünya turuna çık……. | |
| 24. | Lütfen, odamızı temiz tut..... | |

| | | |
|---|---|---|
| 25. | Geçen hafta sinemaya git...........mi? | |
| 26. | Dün hava soğuk ...............? | |
| 27. | Dün hava soğuk ...............? | |
| 28. | Haberlerde duydum, dün Türkiyede deprem ol.......... | Hayatınızdaki en önemli gün |
| 29. | Gelecek yil yeni ev al…… | |
| 30. | Ben akşamları hiç dışarı çık....... | |
| 31. | Ahmet asla sigara iç.......... | |
| 32. | Uyu….. önce mutlaka kitap okuyorum | |
| 33. | biraz televizyon izle…… sonra uyudum. | |
| 34. | Ayşe çok çalıştı ama sınavı geç........... | |
| 35. | Hasta olduğum için gel........... | |
| 36. | Çok sıcak, pencere aç............. misiniz? | |
| 37. | Size nasıl yardımcı ...............? | |
| 38. | Ablam hemşire ol........ çalışıyor | |
| 39. | Şapkasını çıkar....... masanın üzerine koydu. | |
| 40. | Yarın yurt dışına git........ için çok heyecanlıyım | |
| 41. | Üniversiteye ilk gel..... gün onu bahçede görmüştüm | |

| | | |
|---|---|---|
| 42. | Doğ...... ve büyü....... ülke Gürcistandır. | |

**Result**

1. The weakest point of Georgian students was case endings. As we know, in the Georgian language direction and location are expressed by the particles "-ში" and "-ზე" (in or on), the influence of which was clearly reflected in the questionnaires. The vast majority of participants, under the influence of their own language, made errors such as: "**kendi arabasın-da binip yola kızık**", while the particle "da" in Turkish is only a case ending expressing location. To indicate direction, in Turkish they use the case ending "-a", for example: "**kendi arabasın-a binip yola çıştı**". Georgians, as survey data has shown, based on their own linguistic constructions, use the case ending of location instead of a direction particle. According to the survey, the simultaneous use of possessive particle and case ending causes confusion among Georgian students: instead of **araba-sı-na**, where **-sı** represents the third person possessive ending, a significant number of students wrote as follows: **kendi arabada binip**... The error is again related to native grammatical constructions; the absence of a possessive particle in the Georgian language was also reflected in the sentences written by a large number of survey participants.

The same kind of error was observed in the following sentence: "**Biz arkadasımızın evin-de gidiyoruz**", and here the influence of native language is undeniable.

2. According to the questionnaire, for Georgian students it is also difficult to understand the concept of the connection between the determinant and the determined in the formation of izafets. For example, instead of the correct option **Seza kardeşinin odasına girdi,** the following errors are observed in the questionnaire data: **Seza kardeşin odada girdi**. The influence of the Georgian language was again recorded, the Turkish equivalent of the Georgian ending -ის (-is) of the genitive case was used, while a possessive particle was not used for either the determinant and the determined. The case sign was also

chosen incorrectly. The lack of use of the possessive particle was also often observed: **Senin dolapta ne var?** The same explanation can be found for these errors, although in the Georgian language there is a genitive case, but a particle denoting belonging is not added to the object.

3. The survey data also showed existing difficulties in the issue of perception and use of **geniş zaman**. Obviously, language learners seem to understand the area of use of “extensive tense” during the lesson (everyday activities, polite form), the Georgian equivalent of which is only the present tense, but in the questionnaires this tense was used only by few students. Most survey participants preferred to use the present tense instead of the "extensive" one both when filling out grammar tests and when writing narratives on free topics.

4. Among the common errors, a special place was occupied by the erroneous use of the suffixal form (category of names of actions (masdars)) -dik, -acak, and in more frequent cases - the fact of its non-use. Most survey participants either used the question incorrectly or were unable to use it at all, either in the inserted examples or in the written narrative. The suffixes -dik, -acak are suffixal masdars expressing belonging to Georgian unions: რომ, რათა, ვინც, რაც, რომელიც, რო გორიც, სადაც, საიდანაც (who, what, which, how, whence, whence, whither, when), etc., which are appropriate equivalents for the Turkish language. In Georgian complex sentences, the subordinate clause is the main determiner, and in many cases the idea is expressed in two sentences by means of conjunctions, whereas in the Turkish variant, in many cases it is represented by one sentence, where masdars are the possessive suffixes dik and -acak. As an example, let's look at the Turkish sentences constructed by the survey participants based on filling in the missing gaps, and discuss the probable reasons for the existing errors:

1. Based on filling in the blanks, a very small number of participants managed to create the correct sentence: **„DOĞDUĞUM VE BÜYÜDÜĞÜM ÜLKE GÜRCISTANDIR“** (The country where I was born and raised is Georgia). Only a

very small number of participants wrote it correctly. The sentences compiled by the vast majority are as follows:

**ÜLKE, NEREDE DOĞDUM VE BÜYÜDÜM GÜRCISTANDIR.** Georgians who know Turkish will assure me that the Turkish sentence is built on the basis of an exact copy of the structure of the Georgian sentence;

2. The correct version: **YARIN YURT DIŞINA GIDECEĞIM IÇIN ÇOK HEYECANLIYIM"** (I'm excited because I'm going abroad tomorrow) was also written without mistakes by a very small number of people. The suggestions made by the vast majority of the survey participants are as follows:
   a. **YARIN YURT DIŞINA GIDIYORUM IÇIN ÇOK HEYECANLIYIM** - the masdar form was not used, and the connection and linkage of sentences were carried out incorrectly;
   b. **YARIN YURT DIŞINA GIDIYORUM VE ÇOK HEYECANLIYIM**
   c. **YARIN YURT DIŞINA GIDIYORUM, ONUN IÇIN ÇOK H EYECANLIYIM.**

As we see, in most cases, Georgians still prefer to use the masdar form, influenced by their own language, to compose complex sentences based on the use of conjunctions.

A similar problem is observed in the following sentence: "**Televizyon izledikten sonra uyudum** (I watched TV for a while and then went to bed), where is the conjunction replaced by the masdar suffix -dık-. The vast majority of survey participants represented this sentence as follows: **Biraz televizyon izledim, sonra uyudum.**

In fact, this sentence cannot be considered erroneous, but again, under the influence of the Georgian language, the composition of the sentence with the conjunction takes place. Only a very small part of the students was able to correctly construct the Turkish construction, that is, use masdar -dık-.

5. Comparatively less, but still common, is the non-use of the suffix -lik, which forms abstract nouns: in the sentence **"Ablam bir klinikte veterinerlik yapıyor"** (My sister works as a veterinarian in a clinic) very erroneous Turkish variants were presented, for example,**"Ablam bir klinikte veterinerden yapıyor; Ablam bir klinikte veteriner yapıyor"**, etc. However, it should be noted here, that the sentence with the same grammatical load **"şehrinizde kiralık ev arıyorum"** (I am looking for a house for rent in your city), surprisingly, the vast majority wrote correctly, there were only a few errors, which can be explained by the fact that many houses have signs with similar content, both in Georgian and Turkish, which led to the correct use of the above-mentioned particle by the participants in the questionnaire, based on the imprinting in memory.

It should also be noted that the particle of the past resultative tense **-miş** was rarely used by Georgian respondents.

**"Haberlerde duydum, dün Türkiyede deprem olmuş"** (I heard on the news that there was an earthquake in Turkey yesterday) - this sentence in the questionnaire was filled out by many participants as follows:

**"Haberlerde duydum, dün Türkiyede deprem oldu"** (I heard on the news that there was an earthquake in Turkey yesterday). A form of -miş that refers to the narration of an event seen by other people, i.e. it is used to reflect the situation without being attended seems to cause misunderstanding among Georgians. This fact may be due to a gap in the educational process, insufficient coverage of the topic, or a lack of examples of use in the textbook.

To a lesser extent, however, the use of absolutives is also a common problem: one part of the participants does not understand the use of the situational absolutive "**ip**", the Georgian equivalent of which is the conjunction "და" (and).

The correct form is: **"Şapkasını çıkarıp masanın üzerine koydu"** (He took off his hat and put it on the table) in the survey options the following version was promoted: "**Şapkasını çıkardı, masanın üzerine koydu."**

As we can see, a syntactic problem also arises here. Replacing the conjunction ''ve'' by adding the particle "ip" to the base of the verb is either an incomprehensible topic for some of the Georgian participants, or based on the dominance of native grammar in memory, there is a place for oblivion or superficial knowledge of the issue.

As for the lexical part, presented in the form of topics, we encounter all four types of language errors: spelling, syntactic, morphological and stylistic.

Among the spelling errors, there were recorded a lot of mistakes: **arkadaşim, kardeşım, yürüyorüm, kırtasıe**, etc. As we see, the rules of harmony of Turkish vowels (selection of a suffix according to the vowel in the last syllable) are absolutely violated. Due to their absence in Georgian, English and other languages, the existence of some vowels peculiar only to the Turkish language, a Georgian student when writing in Turkish often ignores these vowels.

From lexical-morphological errors: **..... Hobim şarkıyı söylemek** - there is an inappropriate use of case ending;

**.... bol bol gülüyoruz, tatlı tatlı konuşuyoruz, bayramını çok seviyorum** - nappropriate use of the particle of belonging, such a sentence is syntactically and stylistically incorrect;

.......**iyi bir öğretmen olacağım düşünüyorum** - the case ending for the masdar form -dık is not used**;**

**her hafta sonu arkadaşça topluyoruz** (instead of the word: **toplanıyoruz** - we are gathering); **topluyoruz** - we are collecting; using a word with the wrong meaning results in an absurd sentence;

**Değiştik yemekler yapıyoruz** - distorted use of the word based on ignorance;

**fotoğraf çekiliyorum ve müzik dinleniyorum** – instead of the correct using of the words "çekiyorum" ve ''dinleniyorum'' and many others, which, as we said, lead to uncertainty in the content of the sentence.

Among the syntactic errors - ... „**önceden kitap çok okudum, şimdi başka şeyleri ilgileneceğim**" - there is a mismatch of tenses when connecting two sentences, i.e. incorrect use of tenses; In addition, in

the second sentence the case ending of the verb **ilgilenmek** is used incorrectly

**"Benim en mutlu günüm üniversite sınavını kazandığımı öğrendiğim gün, çünkü hem kendimin hemde anne-babamın hayalını gerçekleştirecektim.** Incorrect use of the verb leads to a violation of the harmony of the sentence structure, excessive use of accessories and izafets.

The above examined errors are a consequence of the language learning process and indicate the incompleteness of the process, however, such an excess of errors indicates the need to take action. It should also be noted that although level A2 reflects almost all spheres of social life and therefore includes a fairly wide vocabulary, the topics of the participants in general are very meager, we can say that they are limited to the vocabulary of level A1. In addition to the paucity of vocabulary, there was the use of words with the wrong meaning, often a special place in errors was occupied by case endings, incorrect use of possessive particles, incorrect formulation of opinions in terms of grammar and content, etc.

**Conclusion**

The questionnaire research conducted confronted us with the following tasks: a study in which 6 students of the initial stage of level B1 and 20 students who completed level A2, for whom Turkish is an optional subject, took part, presented us with the following reality - the most common mistakes of language learners are:

1. Incorrect and inappropriate use of case endings. The influence of the cases of the native language is clearly felt in the case endings used by the majority of survey participants in the Turkish sentence: instead of the indicative-dative case, that the survey participants used the case ending similar to the content of a Georgian sentence;
2. Among the frequently made mistakes, a large place in this shortcoming is occupied by the incorrect use of the possessive particle. The same can be said about the formation of izafets; here, the influence of the Georgian language is clearly felt as

well. The Turkish equivalent of the Georgian genitive case ending -ის is -in in Turkish, so most students formed izafets correctly, but the absence of suffixes indicating ownership in Georgian, was observed in the Turkish sentences written by the participants in the questionnaire;

3. In a sentence depicting everyday life that explicitly requires the use of extended tense (geniz zaman), the vast majority of participants also seem to prefer to use the present tense, influenced by Georgian;

4. The Georgian language is a language of conjunctions; the construction of a complex sentence in the Georgian language is unthinkable without conjunctions. The structure of the Georgian sentence was clearly reflected in both the grammatical and lexical parts of the questionnaire. Most of the participants, instead of masdar -dık, -acak, which in Turkish correspond to Georgian conjunctions, prefer to connect clauses through conjunctions.

**Discussion**

As it is known, level A2, which is the elementary level of language learning, provides language learners with a sufficient supply of vocabulary related to areas of social life, and the grammatical material being studied allows us to use the existing vocabulary in practice and freely form opinions on everyday topics. However, the topics represented by a significant portion of the survey participants are characterized by limited use of grammatical forms and vocabulary. In sentences, the idea is formulated in an understandable but limited grammatical form, which gives grounds to conclude that the acquired material remains in a passive state and its implementation in practice is a problem.

As we can see, the picture clearly drawn by the survey data is not so favorable; it confronts us with the need for serious reflection, searching for solutions and taking the necessary measures.

**Recommendations**

The questionnaire study has clearly shown us the role of the structural features of the dominant native language, deeply imprinted in the student's memory, in the process of language learning and their influence on the implementation of the target language. Both the grammatical and lexical parts of the study showed that the process of learning Turkish as an optional second language, the course of which is limited to a few hours a week, cannot ensure language proficiency in accordance with the level, and this fact confronts us with the need to carry out the following activities:

- 1. In the learning process, the teaching of grammatical topics, the provision of widely discussed examples of use related to this issue, should be carried out on the basis of a comparison of the target language and the native language. It is advisable to emphasize and pay special attention to the description of the features of the Georgian and Turkish languages, the implementation of teaching a particular topic based on a discussion of similarities and differences;

- 2. In addition to focusing on the above issues in the educational process, it is desirable to develop a textbook on the Turkish language, the purpose of which will be:

2.1. the emphasis on ways to eliminate common mistakes made by Georgians: as research has shown, most of the common mistakes are related to the influence of the linguistic structure of the native language, so the purpose of the book should be to solve this problem;

2.2. The textbook should provide an extensive supply of ready-made examples of use and accompanying texts on a problematic topic, and also, to avoid misunderstandings, provide the student with contrasting examples in both Turkish and Georgian.

The book will be valuable for any language learner, but it should especially serve as a reference for students for whom Turkish is not their primary language and therefore their study time as an elective subject is limited to a few hours per week. It will be especially valuable for those who study Turkish on their own, outside of school and without a teacher.

Any learning goal is a productive result. We hope that this article, the purpose of which is to focus on typical mistakes made by Georgians and work out ways to eliminate them, will make some contribution to the issue of preventing expected mistakes in the learning process and, as a result, simplifying the educational process.

## REFERENCES:


Shaverdashvili, E., Pitskhelauri, N., Ramishvili, F., Gvasalia, M. (2014). *Fundamentals of teaching foreign languages.* Tbilisi: Ilya Chavchavadze State University (in Georgian).

Gökçebağ, D. (2018). *Yabancı Dil Olarak Türkçe Öğrenen Yunanlıların Yaptıkları Dilbilgisel Hataların İncelenmesi.* İnternational journal of teaching turkish as a foreign language.

# საფრთხის ქვეშ მყოფი ენების იუნესკოს ატლასი და აჭარის საზღვრისპირა სოფლების მეტყველების ანალიზი

**ნათია აბაშიძე**
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის ასისტ. პროფესორი, საქართველო, 6010. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35
+995593456595. natia.abashidze@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0002-2495-260X
DOI:https://doi.org/10.61671/hos.6.2023.7365
**შოთა როდინაძე**
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპეისტიკის დეპარტამენტის ასისტ. პროფესორი, საქართველო, 6010. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35
+995591414168. shota.rodinadze@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0003-3209-2360
DOI:https://doi.org/10.61671/hos.6.2023.7365

**აბსტრაქტი**

წარმოდგენილ ნაშრომში გთავაზობთ საქართველო-თურქეთის საზღვრისპირა სოფლების საფრთხის ქვეშ მყოფი მეტყველების ანალიზს, უფრო სწორედ, ლექსიკურ ნიშნებს, რომლებიც მოიცავს ძირითადად ზემო აჭარის მთიან ტერიტორიას (ქედა, შუახევის რაიონები და ნაწილობრივ ხელვაჩაური). აქვე საუბარია ენის სიცოცხლისუნარიანობის შეფასების სისტემისა და კრიტერიუმების განსაზღვრის შესახებ და ხაზგასმულია ენათა დოკუმენტირების და ახალი ენობრივი პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა.

აღსანიშნავია, რომ კვლევაში გაშუქებულია პროექტ LaDyCa-ს (ენის დინამიკა კავკასიაში) საველე სამუშაოების დროს შეგროვებული მონაცემები, ასევე არსებული წყაროები და სამეცნიერო კვლევები, რომლებიც შემუშავებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (BSU) კვლევითი ცენტრის მიერ. ჩვენ ვაჩვენებთ, რომ ქართული დიასისტემის ეს სექტორი, ჯერ კიდევ არასაკმარისად შესწავლილი, მდიდარია ლინგვისტური ფაქტებით და შეიძლება განისაზღვროს, როგორც ფანჯარა კულტურული აკულტურაციის პროცესებისკენ. კვლევაში ასევე იქნება მოკლე მიმოხილვა აჭარის რეგიონის საზღვართან მდებარე თურქულ სოფლებში შემონახული ქართული დიალექტის შესახებ.

**საკვანძო სიტყვები:** მეტყველება; დიალექტი; საზღვარი; ენა; საფრთხე.

**შესავალი**

ენობრივი მრავალფეროვნება კულტურული მემკვიდრეობის ქვაკუთხედს წარმოადგენს. კომუნიკაციური ფუნქციის გარდა, ენა კაცობრიობის საგანძურს მოიცავს, მას შესწევს უნარი აღბეჭდოს ღირებულებები, მსოფლხედველობა, ინახავს კულტურულ კოდს და იდენტობას. როდესაც ენა ქრება, მასთან ერთად იკარგება ის ფასეულობები და ღრმა ცოდნა, რაც ამ ენაშია დავანებული. მსოფლიოში არსებული თითოეული ენა ხალხთა კულტურის უნიკალურობის დასტურია. თუმცა, იუნესკოს (UNE SCO) მონაცემებით, მსოფლიოში არსებულ ენათაგან ბევრს გაქრობა ემუქრება. ყოველ ორ კვირაში ერთი ენა ქრება[40]. აუცილებელია ენათა დოკუმენტირება და ახალი ენობრივი პოლიტიკის შემუშავება.

მსოფლიო ენების მიმართ ინტენსიური კვლევების საწყისად შეგვიძლია მივიჩნიოთ 1997 წელი როცა პარიზში იუნესკოს წარმომადგენლობით გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც მიზნად ისახავდა მსოფლიოში არსებული ენების მდგომარეობისა და

---

[40] https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000189451/PDF/189451fre.pdf.multi

პრობლემების შესწავლასა და კვლევითი პროექტების განხორციელებას, მსოფლიოს ენობრივი მემკვიდრეობის შენარჩუნების მნიშვნელობის გაცნობიერებას. მსოფლიო ენების აღწერა მოითხოვდა პირველადი მონაცემების შეგროვებას რეალური ენობრივი სიტუაციის დასადგენად. შეიქმნა 40 კითხვიანი (ღია და დახურული კითხვა) სპეციალური კითხვარი, რომელიც შედგენილი იყო სოციოლინგვისტიკის კლასიკური კრიტერიუმების მიხედვით (Haugen, 1972), თუმცა ენების გავრცელებისა და პრობლემების შესწავლა **სტეფან ვურმის**[41] ხელმძღვანელობით საკმაოდ ადრე დაიწყო. იუნესკოს ექსპერტთა ჯგუფი ბოლო ოცი წელია ისევ აქტიურად აგრძელებს უმცირესობების ენების კვლევებს.

ეინარ ჰაუგენმა შემოგვთავაზა ენის შესწავლის ახალი კონცეფცია და მას „ენის ეკოლოგია" უწოდა. „ენის ეკოლოგია" განისაზღვრება, როგორც „მოცემული ენისა და გარემოს ურთიერთქმედების შესწავლა". ის მოიცავს შემდეგ დებულებებს:

- ენის ბუნებრივ გარემოს ქმნის ის საზოგადოება, რომელიც იყენებს მას როგორც ერთ-ერთ კოდს;
- ენა არსებობს იმ მოსაუბრეთა გონებაში, რომლებიც ამ ენაზე საუბრობენ და ამ გზით ფუნქციონირებს სოციალურ თუ ბუნებრივ გარემოში;
- ენის ეკოლოგიის ნაწილი ფსიქოლოგიურია: ურთიერთქმედებს სხვა ენებთან ორენოვან ან მრავალენოვან მოსაუბრეთა გონებაში;
- ეკოლოგიის კიდევ ერთი ნაწილი სოციოლოგიურია: ურთიერთქმედებს საზოგადოებასთან, რომელშიც ის ფუნქციონირებს როგორც საკომუნიკაციო საშუალება;

ენის ეკოლოგიას, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავენ ადამიანები, რომლებიც ამ ენას სწავლობენ, იყენებენ და გადასცემენ სხვებს.

2001 წლიდან იუნესკოს ექსპერტთა ჯგუფი მუშაობს ერთიანი მექანიზმის შექმნაზე, ენის სიცოცხლისუნარიანობის შეფასების სისტემისა და კრიტერიუმების განსასაზღვრად. რა ფაქტორები განაპირობებს საფრთხის დონეებს? საენათმეცნიერო წრე-

[41] https://muse.jhu.edu/article/25449/pdf#info_wrap

ებში აზრთა სხვადასხვაობაა რისკების შემცველი ფაქტორების დასადგენად, თუმცა თანხმდებიან მოსაზრებაზე, რომ ენის თაობათაშორის გადაცემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. კრიტერიუმები ერთდროულად მოიცავს რამდენიმე ფაქტორს, რომელთაგანაც აღსანიშნავია:

- დემოგრაფიული ფაქტორი (მოსაუბრეთა რაოდენობა; პროპორცია მთლიან მოსახლეობასთან მიმართებაში);
- პოლიტიკური ფაქტორი (ენობრივი პოლიტიკა; საგანმანათლებლო მასალის არსებობა);
- სოციოლოგიური ფაქტორი (დამოკიდებულება ენის მიმართ; ცვლილებები, ენის გამოყენების სფეროები; თაობათაშორის გადაცემა);
- ლინგვისტური ფაქტორი (ენობრივი დოკუმენტაციის არსებობა) (Moseley, 2012:5).

მრავალი კომპლექსური საკითხია ჩართული საფრთხის დონეების მექანიზმში. საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს გთავაზობთ:

1. როცა ენა გამოიყენება ოჯახში, მაგრამ არ ისწავლება სკოლაში - ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ საქმე გვაქვს ენასთან, რომლის გადაცემა/შენარჩუნება მხოლოდ ვერბალური გზით ხდება. ამის ნათელი მაგალითია საქართველო-თურქეთის სასაზღვრო ზონა, სადაც ლაზური ენა მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია, მაგრამ ვინაიდან მას არ აქვს საგანმანათლებლო დატვირთვა, ლიმიტირებულია მისი გამოყენების სფეროები.

2. მიგრაციული პროცესები - განსხვავებულ ენობრივ სოციუმში მყოფი ინდივიდი ვეღარ იყენებს საკუთარ ენას ყოველდღიურ კომუნიკაციაში.

გარემოებები, ცხადია, განსხვავდება და კომპლექსურ ანალიზს საჭიროებს, მაგრამ ერთი რამ ნათელია, საფრთხის ქვეშ მყოფ ენას არ აქვს გავრცელების და განვითარების პერსპექტივა.

იუნესკოს ატლასის ბოლო, მესამე გამოცემა[42] საფრთხის დონეების განხილვისას ძირითადად ეყრდნობა ენათა სიცოცხლისუნარიანობისა და საფრთხის ასახვის 5 კრიტერიუმს: დაუცველი, საფრთხეში მყოფი, აშკარა საფრთხის ქვეშ მყოფი, კრიტიკული სიტუაციის მქონე და მკვდარი ენები.




**მსოფლიოს ენები სიცოცხლისუნარიანობის დონეების მიხედვით, მსოფლიოს საფრთხეში მყოფი ენების ატლასი, 2010. © UNESCO**

ზოგადად საფრთხის ორი განზომილება არსებობს, 1. ენის მატარებელთა რაოდენობა, რომლებიც იდენტიფიცირდებიან კონკრეტულ ენასთან და 2. ენის გამოყენების ფუნქციები/სფეროები, რაც თავის მხრივ ენის შესუსტების თანმხლები მოვლენაა.




დიაგრამაში[43] წარმოდგენილია იუნესკოს ატლასის მსოფლიოს ენები სიცოცხლისუნარიანობის დონეების მიხედვით:

მსოფლიო ენების კვლევების სტატისტიკური მონაცემებით თუ ვიხელმძღვანელებთ, დღეს მსოფლიოში

[42] მსოფლიოს საფრთხის ქვეშ მყოფი ენების ატლასი, მე-3 გამოცემა, ესპანეთი, 2010. გვ. 12.

[43] https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000189451/PDF/189451fre.pdf.multi

ექვსიდან შვიდი ათასამდე ენაზე საუბრობენ[44] (Ethnologue), თუმცა მსოფლიოს მოსახლეობის 97% საუბრობს ენების დაახლოებით 4%-ზე და, შესაბამისად, მოსახლეობის მხოლოდ 3% საუბრობს მსოფლიოს ენების 96%-ზე (Bernard 1996). დღესდღეობით ევროკავშირში 128 ენა საფრთხეში მყოფ ენად ითვლება.

ენის რევიტალიზაცია და შენარჩუნება პრაქტიკულ თუ ემოციურ დონეზე, მარტივი არ არის. როდესაც ენა ეშვება უსარგებლობის უფსკრულში, როცა ჩნდება განცდა, რომ ენას არ აქვს სტატუსი საზოგადოებაში თუ რეგიონში ინტეგრირებისთვის, რომ მას აქვს მცირე სოციალური ან ეკონომიკური ღირებულება, იზღუდება გამოყენების სფეროები, წყდება მისი განვითარება, ის აღარ გადაეცემა თაობებს.

აღნიშნული საკითხით 2017 წლიდან დავინტერესდით, როცა შევუერთდით LaDyCa – Language Dynamics in Caucasus – პარიზის სორბონის უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტს, რომლის მიზანი კავკასიური ენების (ძირითადად, ქართველური ენების) კვანტიტატიური დიალექტოლოგიის, სოციო-ფონეტიკური და ეკო-ლინგვისტური მეთოდებით დამუშავება იყო.

**მეთოდები**

ენის დინამიკის კვლევისთვის ჩვენ მივმართეთ ჟან-ლეო ლეონარდის მიერ შემუშავებულ მეთოდებს, რომელიც მომზადდა მეზოამერიკული ენებისათვის[45] მაღალმთიანი დიალექტური ვარიანტების შესასწავლად.

მიმდინარე კვლევაში გამოყენებლია დიალექტომეტრიის მეთოდი Gabmap ალგორითმების დახმარებით. Gabmap პროგრამული უზრუნველყოფა ზომავს დიალექტებს შორის მანძილს ლევინშტეინის ალგორითმის გამოყენებით. შესაბამისად, გვეძლევა შესაძლებლობა, გამოვავლინოთ დიალექტური სფეროები. Gabmap საშუალებას გვაძლევს ასევე ვიზუალურად გამოვსახოთ ის ადგილები, სადაც საუბრობენ ენის დიალექტებზე. ეს შეი-

[44] https://www.ethnologue.com/

[45] http://jll.smallcodes.com/home.page

ძლება დაეხმაროს მკვლევრებს დიალექტებს შორის საზღვრების იდენტიფიცირებასა და მათ შორის განსხვავებების დადგენაში, გამოკვეთონ თითოეული დიალექტის მახასიათებლები და შეადარონ ისინი. აქედან გამომდინარე, Gabmap-ის დიალექტოლოგიური ანალიზი გამოიყენება ენის ვარიაციების შესასწავლად.

პროექტის ფარგლებში მოვინახულეთ მაღალმთიანი აჭარის 15 სოფელი. მოვახდინეთ თითოეული ვიდეო ფაილის არქივაცია. რუკის მიხედვით  ვარჩევდით თითოეული რაიონის სამ სოფელს, რომელთაგან ერთი მაღალმთიან ზონაში მდებარეობდა, მეორე - შუა ზოლს ეკუთვნოდა, ხოლო მესამე, ვერტიკალურობის თვალსაზრისით, შედარებით დაბალი მდებარეობა ქონდა. მათ შორის მანძილი არ უნდა ყოფილიყო  13 კილომეტრზე ნაკლები. საველე სამუშაოების ამგვარი დაგეგმვა ემსახურებოდა იმ მიზანს, რომ დაგვედგინა თუ რამდენად განსხვავდებოდა დიალექტი უშუალოდ რეგიონის სოფლებს შორის.

ნარატივები მოიცავს შემდეგ თემებს: თქმულება, პარანორმალური მოვლენები, რეგიონში მომხდარი მნიშვნელოვანი ამბავი, კოლმეურნეობა, მიგრაციები, ტრადიციები, ქორწილი, კულინარია, სოფლის თავისებურება და ა.შ. შეიქმნა ბაზა, რაც საინტერესოა არამხოლოდ ლინგვისტური თვალსაზრისით, არამედ ისტორიული, ლიტერატურული, ფოლკლორული თვალსაზრისითაც.

**შედეგები**

პროექტი LaDyCa **საფრთხის  ქვეშ  მყოფი ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების დოკუმენტირებას მოიცავდა** იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ვერტიკალურობით ხასიათდებიან. პროექტი LaDyCa მჭიდრო კავშირშია *ალპური ენათმეცნიერების* პარადიგმასთან. ტერმინი **„ალპური ენათმეცნიერება“** ჯოანა ნიკოლსს ეკუთვნის და ის სხვადასხვა ასპექტს აერთიანებს: ეთნიკურ გეოგრაფიას, ეთნო-ისტორიას, საკონტაქტო ენებსა და ეკოლოგიურ გარემოს შორის რთულ ურთიერთობებს, რაც ხასიათდება ვერტიკალურობითა და საზოგადოებრივი ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულების ეკოლოგიური შრეებით (ე.ი. ლინგვისტური საზოგადოებები). **ენის დინამიკა** პროექტ LaDyCa-ს ძირ-

ითადი საკვლევი თემაა. ის იკვლევს ენის შესწავლისას წარმოდგენილ კლასიკურ პრობლემებს თანამედროვე მიდგომებით, რომლებიც განვითარების პროცესს დროსა და სივრცეში აღწერენ. ფაქტია, რომ ლინგვისტური თვისებები შეიძლება ჩაითვალოს კულტურულ მახასიათებლებად და მათი გავრცელება შესაძლებელია მოდელირებული იყოს კულტურის გავრცელებისა და ენის დინამიკის პროცესების მსგავსად.

ენა იცვლება დროსა და სივრცეში. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ენის ისტორიასთან (დიაქრონია), მეორე შემთხვევაში კი დიატოპიურ მრავალფეროვნებასთან. მიუხედავად ამისა, ეს განზომილებები, მუდმივი ურთიერთქმედებისას, შედარებით ავტონომიური რჩება. თანამედროვე ქართული ენა მდიდარია ეთნიკურ-ტერიტორიული დიალექტებით. თუმცა ეს განსხვავებები არ არის გამოხატული ისეთ სფეროებში, როგორიცაა მაგალითად, რომანულ-იტალიური, ან სხვა მკვეთრად დიფერენცირებული ევროპული დიალექტური ქსელები. ეს დაბალი ინტენსივობის ცვალებადობა განპირობებულია განსაკუთრებით სალიტერატურო ენის ძლიერი გავლენით, ძველი ქართულიდან (V ს.) თანამედროვე ქართულამდე (მე-18 საუკუნიდან) არსებული ხანგრძლივი ტრადიციით. ამიტომ, დიალექტებს შორის გამიჯვნა მეტ-ნაკლებად პირობითია ადგილობრივი და რეგიონული ერთეულებისთვის. მისი დაყოფა ადვილი არ არის: ერთი და იგივე ენობრივი ვარიაცია შეიძლება სხვადასხვაგვარად იყოს კვალიფიცირებული სხვადასხვა ავტორის მიერ – როგორც დიალექტები, კილო-კავები. ქვემოთ მოცემული რუკა და დენდროგრამა ცხადყოფს ცენტრალური ტერიტორიის მნიშვნელობას (მწვანე ფერი), რომელიც დაკავშირებულია ქართლთან და სტანდარტულ ქართულ ენასთან, განსხვავებით ჩრდილო-დასავლეთის ტერიტორიისგან (იმერული და გურული, ლეჩხუმური) ლურჯ ფერში.

რუკა 1. *დიალექტური უბნები, უორდის მანძილი, Gabmap ინტერვალი 5.*

დენდროგრამა 1. *A 5 ქართული დიალექტების კლასობრივი ტაქსონომია (Gabmap)*[46].




აჭარული, იმერხეული, და ზოგადად დასავლური (ვარდისფერში), სტრუქტურულად ცენტრალურ დიალექტთან ჯგუფდება. თუშური ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (ღია ლურჯში) და ინგილოური (დიასპორული ენობრივი ნაირსახეობა, რომელზეც საუბრობენ ირანში, მუქ მწვანეში) ამ მონაცემების მიხედვით შეიძლება მივიჩნიოთ როგორც ცალკეულ ვარიანტებად, ანუ დიასისტემის ბირთვის გარეთ მყოფ ენობრივ ნაირსახეობებად. თუმცა, როგორც წესი, ქართული დიალექტების სურათი უფრო ჭრელია, გეოგრაფიული კოორდინატებიდან გამომდინარე.

აჭარული დიალექტი იყოფა ზემო აჭარულ და ქვემო აჭარულ ვარიანტებად. თუმცა სამეცნიერო წრეებში აჭარული ქვედიალექტების დიფერენცირების შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ერთი თვალსაზრისით, ზემო აჭარული მოიცავს ხულოსა და შუახევის დიალექტებს, ქვემო აჭარული კი - ქედის, ხელვაჩაურის და ქობულეთის რეგიონებს (ფაღავა, ცეცხლაძე 2017: 40). ჩვენი კვლევა Gabmap ტესტის საფუძველზე (იხ. დენდ-

[46] გვსურს მადლობა გადავუხადოთ ელენ ჟერარდენს მონაცემთა ბაზისა და 200-ზე მეტი მონათესავე სიტყვის სიისთვის, ჟან ლეო ლეონარდსა და იდიან შეს Gabmap-ის მეთოდით (რუკა და დენდროგრამა) მონაცემთა დამუშავებისთვის. ასევე იხილეთ Léonard (2017 და 2022, დეტალური დიალექტომეტრიული კვლევისთვის და აზრევიატურებისთვის).

როგრამა 2, ქვემოთ)[47] მიზნად ისახავდა ქართული დიალექტური ქსელის ამ სეგმენტის მხოლოდ ფონოლოგიურ კომპონენტზე დაკვირვებას. კვლევები გვიჩვენებს, რომ ხულო და ქედა მიდრეკილია ლიტერატურული ენის კლასტერისკენ, როგორც გარკვეულწილად ასიმილირებული განშტოებისკენ, ხოლო ხელვაჩაური და ქობულეთი მოიაზრებიან შუახევთან კლასტერში. ეს კონფიგურაცია გამოწვევის წინაშე აყენებს ზემო და ქვემო აჭარას შორის არსებულ კანონიკურ ქვედანაყოფებს. ჩნდება ენობრივი მრავალფეროვნებები და არა ქვედიალექტები, რაც ეწინააღმდეგება ადგილობრივი ტაქსონომიის კანონიკურ ჩარჩოს.

**დენდროგრამა 2.** ***ვორდის მეთოდი, 3 კლასები/ინტერვალები: აჭარულის ხუთი ენოვრივი ნაირსახეობა vs სტანდარტული ქართული, 27 ფონოლოგიური წყარო***




ცხრილში 1 მოცემულია შემოწმებული სიტყვების ჩამონათვალის 27 ერთეულიდან 7: მათ შორის, საწყისი მარცვლის დაკარგვა (პუნქტები 1, 3), პალატალური საწყისი დორსალური და არსებითი სახელის ხმოვანთა ლაბიალიზაციასთან საპირისპიროდ

| ქართული | 1. კბილი | 2. კამეჩი | 3. ქვა | 4. მხარი | 5. მგელი | 6. მზე | 7. რკინა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შუახევი | *კიბილი* | *ჯამუში* | *კლდე* | *ფხარი* | *გელი* | *მზე* | *რკინა* |
| ქედა | *კიბილი* | *კამეჩი* | *კლდე* | *ფხარი* | *მგელი* | *მზე* | *კინა* |
| ხულო | *კიბილი* | *კამეჩი* | *კლდე* | *ხარი* | *მგელი* | *მზე* | *რკინა* |
| ხელვაჩაური | *კბილი* | *კამბეჩი* | *კილდე* | *მხარი* | *მგელი* | *ზე* | *რკინა* |
| ქობულეთი | *კბილი* | *კამეჩი* | *კილდე* | *ფხარი* | *გელი* | *ბზე* | *რკინა* |

[47] დენდროგრამა დამუშავებულია მონპელიეს უნივერსიტეტის ლაბორატორიაში. აღებულია ჩვენივე კვლევიდან: Lexical Features of Upper Adjarian Dialect and Creative Thinking Preserved in the Collective Memory.

(პუნქტი 2), სონანტი პრეფიქსის კონსონანტიზაცია (პუნქტები 4,6) ან ვარდნა (პუნქტი 5), არსებითი სახელის პრეფიქსი.

მიუხედავად ამისა, აჭარულ დიალექტში, ზემოხსენებული ფონოლოგიური იზოგლოსების გარდა, განსაკუთრებით გამოვყოფთ უცხო ენიდან ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებს, კერძოდ თურქულსა და არაბულს. ამ ფენომენს შეუწყო ხელი აღნიშნული ტერიტორიის ისტორიამ: უცხოურმა ჰეგემონიამ გავლენა მოახდინა რეგიონში სალაპარაკო ქართულის ლექსიკაზე. აჭარულ *ქვედიალექტში* უცხოური ენებიდან ბევრი ნასესხობა შევიდა, რამაც არ შეცვალა აჭარულის მთლიანი ლექსიკური სტრუქტურა. დიალექტის ლექსიკური მასალა ძირითადად უცვლელი რჩებოდა, თუმცა ფონოლოგიურ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი, როგორც ეს ილუსტრირებულია ზემოთ ცხრილში 1.

ზემო აჭარულს ქვემო აჭარულისგან განასხვავებს ინტონაციაც. აჭარულში შემონახულია დაღმავალი დიფთონგი: **ფთაჲ, დროჲ, დღეჲ...** სწორედ ჲ ქმნის დამავალ დიფთონგს (მ. ფაღავა).

აჭარული მეტყველებისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური თავისებურებებია: **ასიმილაცია, დისიმილაცია, ელიზია, მეტათეზისი, იოტიზაცია, ხმოვნის გარდაქმნა.** ზოგადად, აჭარულის თავისებურებები უკავშირდება გურულ და მესხურ კილოებთან მეზობლობას, აჭარული დიალექტის ლექსიკაზე გარკვეული გავლენა იქონია თურქულმა ენამაც..(ფაღავა, 2013:136).

ხატოვანი გამოთქმები: ლექსიკის ეს სექტორი მოითხოვს სასაუბრო მეტყველების ხანგრძლივ და სისტემატურ დაკვირვებას. ლექსიკური მონაცემების შეგროვებისას საჭიროა ყურადღება მივაქციოთ დიალექტში ხატოვან სიტყვებს. ბევრი სიტყვა და გამოთქმა თანდათან კარგავს თავის ფუნქციას და ხდება ისტორიის საკუთრება და არა მოსაუბრეთა რეპერტუარის ფუნქციური ელემენტები.

ხატოვანი გამოთქმები გამოიყოფა სხვადასხვა დარგის ლექსიკაში. ამ გზით წარმოშობილი სიტყვები ან გამოთქმები აზრს მეტაფორულად და ლაკონურად გადმოსცემენ. მსგავსი ლექსიკური ნიმუშები „ენის სამკაულია“, გარდა ლიტერატურული ფასეულობებისა, აღსანიშნავია, რომ ისინი მეტყველებას განსა-

კუთრებულ ხიბლს მატებენ და აზრობრივ ნიუანსებს სიზუსტით გადმოსცემენ.

ზემო აჭარულ მეტყველებაში გავრცელებული ხატოვანი გამონათქვამები ასახავს აჭარელი ხალხის ისტორიულ და სულიერ ცხოვრებისეულ გამოცდილებას.

ამრიგად, ზემო აჭარული ხასიათდება განსაკუთრებით მდიდარი ხატოვანი გამონათქვამებით. ცხადია, რომ ეს ენობრივი ნაირსახეობები სალიტერატურო ქართული ენისგან განსხვავდებიან როგორც სინტაქსური, ისე სემანტიკური სტრუქტურით, რაც ცალკე შესწავლის თემაა.

**მსჯელობა**

XVI საუკუნიდან საქართველოს სამხრეთ პროვინციები ოსმალებმა დაიპყრეს, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის იძულებით გამაჰმადიანება და თურქული ენის ჭარბი გამოყენება გამოიწვია. თუმცა გადარჩა ზოგიერთი ენობრივი პრაქტიკა, რომლის ანალიზიც საშუალებას მოგვცემს აღვადგინოთ რეგიონის ისტორიული და ენობრივი პროფილი. აღნიშნულ პროვინციებში მოსაუბრეებმა მოახერხეს ქართული ენისა და ქართული (ქართველური) თვითშემეცნების შენარჩუნება. ზოგიერთი მათგანი დღემდე საუბრობს მშობლიურ ენაზე, თუმცა ახალგაზრდა თაობის დიდმა ნაწილმა ქართული ენა არათუ კარგად, არამედ საერთოდ არ იცის. არსებობს რეალური საშიშროება, რომ ზოგიერთი ქართული ქვედიალექტი საერთოდ გაქრეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია ენობრივ აკულტურაციად არის აღწერილი - მსგავსი პროცესი ლაზურმა ენამაც განიცადა, რომელიც დღეს საფრთხის ქვეშ მყოფი ენაა.

ამჟამად სამხრეთ საქართველოში ოთხი დიალექტური ქვეერთეულის გამოყოფა შესაძლებელია, ესენია: აჭარული (მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებასთან ერთად), შავშური (მაჭახლური და იმერხევული მეტყველებები), კლარჯული და ტაოური.

სპეციალური ლიტერატურა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ აჭარული არის ერთ-ერთი იმ დიალექტთაგანი, რომლის შესწავლა დაკავშირებულია ქართული ისტორიული დიალექტოლო-

გიის საკვანძო საკითხებთან, იმდენად, რამდენადაც ამ უკანასკნელმა ხელი შეუწყო დამწერლობის ჩამოყალიბებას (ნიჟარაძე, 1975: 9).

„აჭარულმა დიალექტმა შემოინახა მრავალი არქაული სიტყვა იმ მნიშვნელობით, რაც ძველ ქართულში ჰქონდათ. იგი ქართული ენის ერთ-ერთი უძველესი და უაღრესად მნიშვნელოვანი, ენობრივი თვალსაზრისით მეტად მრავალფეროვანი დიალექტია, რომელმაც ქართული ენის სხვა დიალექტებთან ერთად ხელი შეუწყო ქართული სალიტერატურო ენის განვითარებასა და სრულყოფას“ (გიგინეიშვილი, 1961:391).

დღეს ტაოს, ისევე როგორც შავშეთ-იმერხევის ყველა ქართულ სოფელს ოფიციალური თურქული სახელწოდება აქვს. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი მოსახლეობა (როგორც ქართველები, ისე თურქები) სოფლებსა თუ მათ ცალკეულ ადგილებს ყოველდღიურ ურთიერთობაში კვლავ ძველი ქართული სახელებით მოიხსენიებენ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მუჰაჯირმა აჭარელებმა (ათასობით მუსლიმი წავიდა რეგიონიდან თავშესაფრის საძიებლად თურქეთში, იმიგრაციაში), შავშებმა და კლარჯებმა შექმნეს სოფლები თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა პროვინციაში და დღემდე შეინარჩუნეს წინაპრების ენა, ფოლკლორი და ცხოვრება. მუჰაჯირთა დასახლებებთან ერთად ფართოვდება სამხრეთის ქვედიალექტების გავრცელების არეალი (ფაღავა, ცეცხლაძე, 2017:10).

აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ სოციოლინგვისტურ ტერმინებზე: „შიდა დიალექტი“ და „გარე დიალექტი“. ტაოურმა, შავშურმა და კლარჯულმა დატოვეს ქართული ენობრივი სისტემა და დამოუკიდებლად განაგრძეს განვითარება უცხოენოვან გარემოში, ამიტომ ისინი ენის გარეგანი დიალექტებია, აჭარული კი შიდა დიალექტია. ამ ორი ტიპის დიალექტს შორის არის შემდეგი განსხვავება: თითოეული მათგანი, მიუხედავად იმისა, რომ ენობრივად ქართული სისტემის ნაწილია, სრულიად განსხვავებულია ქართულ ენასთან სოციოლინგვისტური დამოკიდებულებით. ერთი მხრივ, შიდა დიალექტი განიცდის ქართული სალიტერატურო ენის გავლენას, მეორე მხრივ, აქტიურად

მოქმედებს სალიტერატურო ენაზე და გარკვეული თვალსაზრისით წარმოადგენს მისი განვითარების შიდა რესურსს. ლექსიკური თვალსაზრისით, სამხრეთ ქვედიალექტებში არის თურქულიდან შემოსული სიტყვები, რომლებმაც განიცადეს ლექსიკალიზაცია და დამკვიდრდნენ აღნიშნულ დიალექტებში.

**დასკვნები**

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ პროექტ LaDyCa-ს სოციოფონეტიკური კომპონენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ემპირიული საფუძვლის გაძლიერების საკითხში, ვინაიდან სიტყვათა ჩამონათვალის მეორადი მონაცემები ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს უახლეს და მიმდინარე მონაცემებს, რათა ცვლილებათა შიდა ფაქტორები უკეთ იქნას აღქმული. თანამედროვე მეთოდოლოგიაზე დაფუძნებულ ჩვენს მიერ გაანალიზებულ მასალაში დადასტურებული ზოგიერთი სიტყვაფორმა და შესიტყვება ან საერთოდ არ გვხვდება, ან აჭარის საზღვრისპირა სოფლებისთვის დამახასიათებელი გადატანითი თუ ფიგურალური მნიშვნელობით არ არის არც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში და არც დიალექტურ კორპუსში. აღნიშნული სოფლების მკვიდრთა მეტყველებაში ფიქსირდება როგორც უძველესი ხანის, ასევე, მხოლოდ ამ კუთხისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები; მათგან ბევრი ისეთი სიტყვატერმინიც, რომლებიც ნაკლებადაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ რეგიონისათვის დამახასიათებელ ლექსიკურ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვთ მთლიანად აჭარული დიალექტის ლექსიკური თავისებურებების დასადგენად.

## გამოყენებული ლიტერატურა:

გიგინეიშვილი, ი., თოფურია, ვ., ქავთარაძე, ი. (1961). *ქართული დიალექტოლოგია* I. თბილისი.

ნიჟარაძე, შ. (1961). *ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი,* ბათუმი.

ფაღავა, მ. (2013). *მუჰაჯირთა მეტყველება და აჭარულის კილოკაური შედგენილობის საკითხი.* იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. მასალები, გორი.

ფაღავა, მ. (2013) *ქობულეთურის ზოგიერთი თავისებურება მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით.* კრებული, № 7. ბათუმი.

ფაღავა, მ. ცეცხლაძე, ნ, (2017) *სამხრული კილოები - ბრუნებისა და ულლების ძირითადი პარადიგმები.* გამომცემლობა „ივერიონი“ თბილისი.

Abashidze, N. Rodinadze Sh. Turmanidze, N. (2022). *Lexical Features of Upper Adjarian Dialect and Creative Thinking Preserved in the Collective Memory.* Vitalite sociolinguistique des langues des massifs montagneux, Alpes et Caucase. Rome p.359.

Barreña, A. Idiazabal, I. Juaristi, P. (2006). „*World Languages Review: Some Data". Language Diversity in the Pacific: Endangerment and Survival*, edited by Denis Cunningham, David E. Ingram and Kenneth Sumbuk, Bristol, Blue Ridge Summit: Multilingual Matters, pp. 15-23. https://doi.org/10.21832/9781853598685-005.

Eliasson, S. (2015). *The birth of language ecology: interdisciplinary influences in Einar Haugen's "The ecology of language".* https://doi.org/10.1016/j.langsci.2015.03.007.

Haugen, E. (1972). *The Ecology of Language.* Standford, CA: Standford University Press.

Moseley, C. (2009), *Atlas of the Worlds Languages in Danger,* UNESCO, Paris.

Meirion, P. J. (2013). *Endangered Languages and linguistic diversity in the European Union.* © European Union.

Wurm, S. A. (1991). *Language Death and Disappearance:* Causes and Circumstances. Diogenes, 39(153), 1–18. https://doi. org/10. 1177/039219219103915302.

## REFERENCES:


Gigineishvili, I., Tofuria, V., Kavtaradze, I.(1961). *Kartuli Dialek-t̓ologia, I. (Georgian dialectology).* Tbilisi.

Nizharadze, Sh. (1961). *Kartuli Enis Zemoacha̓ruli dialeqtI̓ (Upper Adjarian dialect of the Georgian language,).* Batumi.

Faghava, M. (2013). *Muhajirta Metq̓veleba da Acha̓rulis Ki̓loka̓uri Shedgenilobis Saki̓tkhi ( Speech of Muhajirs and the issues of composition of Adjarian subdialects).* Iako̓b Gogebashvilisadmi Midzghvnili Saertashoriso Sametsniero K̓onferentsia. Masalebi. Gori.

Faghava, M. (2013). *Kobuleturis Zogierti Tavisebureba Muhajirta Shtamomavlebis Metq̓velebis Mikhedvit (Some features of Kobuleturi according to the speech of descendants of Muhajirs).* K̓rebuli, № 7. Batumi.

Faghava, M. Tsetskhladze, N. (2017). *Samkhruli Ki̓loebi – Brunebisa da Ughlebis Dziritadi P̓aradigmebi (Southern subdialects - basic paradigms of declension and conjugation).* Gamomdzemloba, „Iverioni“, Tbilisi.

Abashidze, N. Rodinadze Sh. Turmanidze, N. (2022). *Lexical Features of Upper Adjarian Dialect and Creative Thinking Preserved in the Collective Memory.* Vitalite sociolinguistique des langues des massifs montagneux, Alpes et Caucase. Rome p.359.

Barreña, A. Idiazabal, I. Juaristi, P. (2006). „*World Languages Review: Some Data". Language Diversity in the Pacific: Endangerment and Survival*, edited by Denis Cunningham, David E. Ingram and Kenneth Sumbuk, Bristol, Blue Ridge Summit: Multilingual Matters, pp. 15-23. https://doi.org/10.21832/9781853598685-005.

Eliasson, S. (2015). *The birth of language ecology: interdisciplinary influences in Einar Haugen's "The ecology of language".* https://doi.org/10.1016/j.langsci.2015.03.007.

Haugen, E. (1972). *The Ecology of Language.* Standford, CA: Standford University Press.

Moseley, C. (2009), *Atlas of the Worlds Languages in Danger,* UNESCO, Paris.

Meirion, P. J. (2013). *Endangered Languages and linguistic diversity in the European Union.* © European Union.

Wurm, S. A. (1991). *Language Death and Disappearance:* Causes and Circumstances. Diogenes, 39(153), 1–18. https://doi.org/10.1177/039219219103915302.

# UNESCO Atlas of Endangered Languages and analysis of the speech of Adjara border villages

**Natia Abashidze**
Batumi Shota Rustaveli State University
Center for Languages and Information Technologies
Asst. Professor, Georgia, 6010. Batumi, Ninoshvili st. 32/35
+995593456595. natia.abashidze@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0002-2495-260X
DOI:https://doi.org/10.61671/hos.6.2023.7365
**Shota Rodinadze**
Batumi Shota Rustaveli State University
Department of European Studies
Asst. Professor, Georgia, 6010. Batumi, Ninoshvili st. 32/35
+995591414168. shota.rodinadze@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0003-3209-2360
DOI:https://doi.org/10.61671/hos.6.2023.7365

**Abstract**

In the presented work, we offer an analysis of the endangered speech of Georgia-Turkey border villages of Adjara, more precisely, lexical signs, which mainly cover the mountainous area of Upper Adjara (Keda, Shuakhevi districts and partially Khelvachauri). There is also a discussion about the definition of language vitality assessment system and criteria, and the necessity of documenting languages and developing a new language policy is emphasized. It is worth noting that the research covers the data collected during the fieldwork of the project LaDyCa (Language dynamics in the Caucasus), as well as existing sources and scientific studies developed by the research center of Batumi Shota Rustaveli State University (BSU).

We show that this sector of the Georgian diasystem, still understudied, is rich in linguistic facts and can be defined as a window

to the processes of cultural acculturation. The research will also include a brief overview of the Georgian dialect preserved in the Turkish villages near the border of the Adjara region.

**Keywords:** Speech; Dialect; Border; Language; Endangered.

## Introduction

Linguistic diversity stands as a foundational pillar of our cultural heritage. Beyond its role in communication, language embodies the very essence of humanity's collective wisdom, capturing values, worldviews, and safeguarding cultural identities. The extinction of a language results in the irrevocable loss of not only its linguistic nuances but also the profound knowledge enshrined within it. Each language spoken across the globe serves as a testament to the rich tapestry of human cultures. Nevertheless, UNESCO warns that a considerable number of the world's languages are perilously close to vanishing forever, with one language disappearing approximately every two weeks[48]. In light of this urgent challenge, the imperative emerges to meticulously document endangered languages and formulate a robust language preservation policy for the future.

The genesis of extensive global language research can be traced back to 1997, a pivotal year marked by the signing of a memorandum in Paris on behalf of UNESCO. This momentous event marked the commencement of concerted efforts aimed at examining the status and challenges confronting languages worldwide, alongside the implem-entation of research initiatives geared towards recognizing the imperative of safeguarding our global linguistic heritage.

Central to this undertaking was the imperative to conduct a comprehensive census of the world's languages. The accomplishment of this ambitious task hinged on the meticulous collection of primary data, which in turn would unveil the authentic state of linguistic diversity across the globe. To facilitate this endeavor, a specialized questionnaire consisting of 40 questions, encompassing both open-

[48]https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000189451/PDF/189451fre.pdf.multi

ended and closed-ended formats, was meticulously formulated. These questions were meticulously crafted following the time-honored criteria of sociolinguistics, as elucidated by Haugen in 1972. It is pertinent to acknowledge that the exploration of language distribution and associated challenges had commenced well before, under the astute guidance of Stefan Wurm[49].

For the past two decades, UNESCO's cohort of experts has exhibited unwavering dedication to the ongoing scrutiny of minority languages.

Einar Haugen introduced a novel paradigm for the examination of languages, which he termed "Language Ecology." This ground-breaking concept revolves around investigating the intricate interplay between a specific language and its surrounding environment. In essence, "language ecology" delves into the dynamic relationship and mutual influence between a language and its contextual surroundings. This approach encompasses the following key principles:

- The linguistic milieu is formed by the community employing the language as one of its communicative tools.

- The language finds its existence within the cognition of its speakers, thereby operating within the societal or natural context.

- A facet of the language's ecological dynamics pertains to the psychological realm: it engages with other languages in the minds of individuals proficient in multiple languages.

- Another facet of this ecological balance is sociological: the language interacts with the society wherein it serves as a medium of interaction.

The vitality of a language hinges predominantly upon the individuals who acquire, employ, and pass on the language to fellow members of the community.

Commencing in 2001, UNESCO's panel of experts has been diligently crafting a cohesive framework to establish a system for gauging language viability, along with associated criteria. A spectrum of elements shapes the degrees of endangerment. While the linguistic

---

[49] https://muse.jhu.edu/article/25449/pdf#info_wrap

community diverges in viewpoints regarding the identification of risk factors, consensus centers around the pivotal role of intergenerational language transmission. The criteria encompass a multitude of factors, among which the following merit emphasis:

- Demographic factor (speaker count; ratio relative to overall population).
- Political factor (language policies; availability of educational resources).
- Sociological factor (language perception; alterations, usage domains; generational passage).
- Linguistic factor (existence of language documentation) (Moseley, 2012:5).

The evaluation of hazard levels is entwined with multifaceted intricacies.

Here are a few examples that serve as illustrations:

1. Language usage within the family but excluded from school curriculum: in situations where a language is spoken within a family context but isn't formally taught in schools, the language is likely being transmitted and maintained solely through oral means. An apt instance of this phenomenon can be observed in the vicinity of the Georgia-Turkey border. Here, the Laz language is relatively well-preserved within the community; however, due to its absence from educational settings, its practical applications remain constrained.
2. Impact of migration processes: when an individual resides within a society that predominantly employs a language different from their own, their ability to utilize their native language for daily communication diminishes. It's important to acknowledge that the specifics of each circumstance vary and necessitate in-depth analysis. However, a common thread emerges: an endangered language faces bleak prospects for expansion and evolution under such conditions.

In its most recent edition[50], the UNESCO Atlas, now in its third iteration, employs a comprehensive framework for evaluating the vitality and vulnerability of languages. This framework relies on five primary criteria to gauge the extent of threat posed to a language: Vulnerable, Endangered, Clearly Endangered, Critical Situation, and Extinct Languages.




**Languages of the World by Level of Vitality, Atlas of the World's Languages in Danger, 2010. © UNESCO**

In a broader context, two primary dimensions of language threat can be identified:

1. Number of speakers who associate themselves with a particular language.

2. Functions and domains of language use: the second dimension revolves around the practical functions and domains in which a language is utilized. This aspect is inherently linked to the gradual weakening of a language's influence.

---

[50] Atlas of the World's Endangered Languages, 3rd edition, Spain, 2010. p. 12 https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000189451/PDF/189451fre.pdf.multi

The accompanying diagram visually represents the world's languages categorized by their vitality levels as outlined in the UNESCO Atlas.




Taking guidance from the statistical insights derived from global language studies, contemporary estimates suggest the existence of around six to seven thousand languages worldwide[51] (according to Ethnologue). However, a striking statistic reveals that approximately 97% of the global population employs only about 4% of these languages. Conversely, a mere 3% of the populace communicates in as many as 96% of the world's languages (Bernard, 1996). Presently, within the European Union, the spotlight is on 128 languages that face varying degrees of endangerment.

Revitalizing and preserving a language, whether on a practical or emotional level, presents a formidable challenge. As a language descends into the depths of obsolescence, a pervasive sense emerges – a sentiment that this language lacks the standing required for integration within the broader society or regional context. Consequently, it loses its limited socio-economic significance and its utilization becomes confined. This stunted trajectory leads to an impasse in its development and a consequential halt in the intergenerational transfer of linguistic knowledge.

Our engagement with this pressing issue traces back to 2017, coinciding with our participation in LaDyCa (Language Dynamics in Caucasus). LaDyCa constitutes a collaborative initiative involving Paris Sorbonne University and Ilia State University. The primary objective of this undertaking centered around the comprehensive exploration of Caucasian languages, with a primary focus on the Kartvelian languages. This endeavor hinged on the application of quantitative

[51] https://www.ethnologue.com/

dialectology, socio-phonetic analysis, and eco-linguistic methodologies.

**Methodology**

In the investigation of language dynamics, we employed the techniques pioneered by Jean-Leo Leonard, specifically tailored for examining highland dialect variations within Mesoamerican languages[52].

In this current study, the Dialectometry method, augmented by the Gabmap algorithms, serves as our primary tool. The Gabmap software assesses dialectal dissimilarity through the application of the Levenshtein algorithm. This innovative approach empowers us to discern distinct dialectic regions. Moreover, the Gabmap platform provides a visual representation of locales where these language variants are in use. This feature significantly aids researchers in delineating dialectal borders, discerning differentiating factors among them, and accentuating the unique attributes of each individual dialect, facilitating comparative analysis.

Hence, the dialectological analysis facilitated by Gabmap proves invaluable in scrutinizing and comprehending language variations.

As part of the project's scope, we conducted visits to 15 highland villages within the Adjara region. A comprehensive collection of video files was meticulously curated for documentation purposes. In alignment with the geographical layout, our strategy entailed the deliberate selection of three villages from each district. Among these choices, one village was positioned in the highlands, a second inhabited the middle terrain, and a third, in terms of elevation, occupied a relatively lower position. To maintain a robust analysis, a minimum distance of 13 kilometers was ensured between these chosen villages. This systematic approach to fieldwork was designed with the primary objective of gauging the extent of dialectal divergence across the region's villages.

The narratives encompass a diverse range of subjects, encompassing legends, paranormal occurrences, pivotal regional stories, the

---

[52] http://jll.smallcodes.com/home.page

collective farming experience, migratory accounts, traditions, wedding customs, culinary practices, rural peculiarities, and more. Through this comprehensive compilation, a foundational repository has been established. This repository holds significance not only from a linguistic vantage point but also within the realms of history, literature, and folklore appreciation.

**Results**

The LaDyCa project was dedicated to the preservation of endangered linguistic diversity in the Georgian regions marked by vertical landscapes. This initiative, closely aligned with the Alpine Linguistics paradigm, sought inspiration from Joanna Nicholls' conceptual framework. The term "Alpine Linguistics," coined by Nicholls, seamlessly integrates diverse elements: ethnic geography, ethno-history, intricate interactions between contact languages, and the intricate ecological tapestry characterized by vertical terrain and the interwoven layers of societal interdependence among linguistic communities.

Central to the LaDyCa project is the investigation of language dynamics. This endeavor delves into quintessential inquiries of linguistic evolution through a contemporary lens that delineates the developmental trajectory across temporal and spatial dimensions. Remarkably, linguistic attributes can be perceived as cultural markers, and their dissemination can be akin to the propagation of cultural phenomena and the dynamics of language evolution.

Language undergoes transformation across both time and space. In the former scenario, we engage with the historical evolution of language (diachrony), while in the latter, we encounter geographical variations (diatopic diversity). Despite their continuous interplay, these dimensions sustain a degree of autonomy. The contemporary Georgian language exhibits a diverse array of ethnic-territorial dialects. Nonetheless, these distinctions lack the pronounced disparities observed in regions such as the Romance-Italic or other distinctly differentiated European dialect networks. This subtle variance can be attributed to the formidable impact of the literary language, a legacy

that has endured from ancient Georgian (5th century) to modern Georgian (18th century).

Consequently, the demarcation between dialects appears somewhat conditional for localized and regional entities. Dividing this spectrum presents challenges, as the same linguistic nuances might be categorized diversely by disparate scholars—ranging from dialects to sub-dialects. The accompanying map and dendrogram spotlight the centrality of the Kartli region and its association with the standardized Georgian language (depicted in green), juxtaposed against the northwestern expanse (embracing Imeruli, Guruli, and Lechkhumuri dialects) denoted in blue.

***Map 1. Dialect areas, Ward distance, Gabmap interval 5.***

***Dendrogram 1. Class taxonomy of A 5 Georgian dialects (Gabmap).***[53]




Adjarian, Imerkheuli, and Western dialects (highlighted in pink) are structurally affiliated with the central dialect of Georgian. Based on this data, Tushuri, located in the northeastern region (shown in light blue), and Ingilouri (a diasporic language variant spoken in Iran, indicated in dark green) can be identified as distinct variants—language varieties that lie beyond the central core of the diasystem.

[53] Our heartfelt gratitude extends to Ellen Gérardin for providing the invaluable database and an extensive list of over 200 cognate words. We extend our appreciation to Jean Leo Leonard and Idian She for their dedicated efforts in employing the Gabmap method to process the data, thereby producing the informative map and dendrogram visualizations. For an in-depth exploration of dialectometric analyses and abbreviations, we direct attention to Léonard's comprehensive studies in 2017 and 2022.

Nonetheless, the landscape of Georgian dialects is typically more intricate, exhibiting a diverse array of hues contingent on geographical coordinates.

The Adjarian dialect exhibits a subdivision into Upper Adjarian and Lower Adjarian variants. Nevertheless, there exists varying viewpoints within the academic realm regarding the categorization of Adjarian sub-dialects. One perspective posits that Upper Adjarian encompasses the Khulo and Shuakhevi dialects, while Lower Adjarian encompasses the Keda, Khelvachauri, and Kobuleti regions (Pagava, Tshetskhladze 2017: 40).

In our study, which relies on the Gabmap test (refer to Dendrogram 2 below)[54], our objective was to exclusively investigate the phonological aspect within this sector of the Georgian dialect network. Research demonstrates that Khulo and Keda lean towards the literary language cluster, representing a somewhat assimilated branch. Conversely, Khelvachauri and Kobuleti are believed to share affinities with Shuakhevi. This arrangement challenges the traditional demarcation between Upper and Lower Adjara. Instead of neatly defined subdialects, linguistic variations emerge, thereby contesting the established framework of local classification.

***Dendrogram 2. Ward's method, 3 classes/intervals:***
***Five linguistic varieties of Adjarian vs standard Georgian, 27 phonological sources***




[54] The dendrogram was processed in the laboratory of the University of Montpellier. Taken from our own research: "Lexical Features of Upper Adjarian Dialect and Creative Thinking Preserved in the Collective Memory".

Table 1 displays a subset of 7 items from the comprehensive list of 27 tested words. This subset includes instances such as the deletion of the initial syllable (items 1, 3), the transformation of the noun vowel from palatal initial dorsal to the opposite and non-labialized form (item 2), the consonantization of the sonant prefix (items 4, 6), or its omission (item 5), along with the noun prefix.

| Georgian | 1. კბილი [kbili] /tooth | 2. კამეჩი [kamechi ] /buffalo | 3. ქვა [qva] /stone | 4. მხარი [mkhari] /shoulder | 5. მგელი [mgeli] /wolf | 6. მზე [mze] /sun | 7. რკინა [rkina] /iron |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **Shuakhevi** | *kibili* | *jamushi* | *klde* | *pkhari* | *geli* | *mze* | *rkina* |
| **Keda** | *kibili* | *kamechi* | *klde* | *pkhari* | *mgeli* | *mze* | *kina* |
| **Khulo** | *kibili* | *kamechi* | *klde* | *khari* | *mgeli* | *mze* | *rkina* |
| **Khelvachauri** | *kbili* | *kambechi* | *kilde* | *mkhari* | *mgeli* | *ze* | *rkina* |
| **Kobuleti** | *kbili* | *kamechi* | *kilde* | *pkhari* | *geli* | *bze* | *rkina* |

However, within the context of the Adjarian dialect, apart from the phonological isoglosses highlighted earlier, we notably identify a collection of lexical elements originating from foreign languages, specifically Turkish and Arabic. This phenomenon is rooted in the historical narrative of the region: external dominion exerted an impact on the vocabulary integrated into the local Georgian speech. Numerous borrowings from foreign languages permeated the fabric of the Adjarian sub-dialect, yet without significantly altering its overarching lexical composition. While phonological shifts, as demonstrated in Table 1 above, did transpire, the fundamental lexical content of the dialect predominantly remained unaltered.

The distinction between Upper Adjarian and Lower Adjarian is also discernible through intonation patterns. In Adjara, a descending

diphthong has endured in words like **ფთაჲ, ღროჲ, ღღეჲ...** It is ჲ that creates the descending diphthong (M. Pagava).

Phonetic attributes distinctive to Adjarian speech encompass assimilation, dissimilation, elision, metathesis, iotization, and vowel transformation. On a broader scale, the idiosyncrasies of the Adjarian dialect can be attributed to its proximity to Gurian and Meskhetian accents. Additionally, the Turkish language has exerted a certain influence on the vocabulary within the Adjarian dialect (Pagava, 2013:136).

Figurative expressions constitute a segment of vocabulary that necessitates comprehensive and methodical scrutiny of everyday discourse. During the process of assembling lexical information, it is imperative to direct our focus towards figurative terms present within the dialect. Numerous words and phrases tend to evolve over time, eventually relinquishing their original functionality to become relics of history rather than active constituents within the linguistic toolkit of contemporary speakers.

Figurative expressions manifest across diverse domains of vocabulary, where words or phrases crafted in this manner convey ideas metaphorically and succinctly. These linguistic constructs stand as "language gems," encapsulating not only literary significance but also imparting a distinct allure to communication, effectively conveying nuanced meanings.

Within Upper Adjarian speech, commonplace figurative expressions encapsulate the historical and spiritual life experiences of the Adjarian populace. Consequently, Upper Adjarian dialect stands out for its remarkably abundant assortment of figurative expressions. It's evident that these linguistic nuances diverge from the syntax and semantics of the literary Georgian language, a facet warranting dedicated investigation in its own right.

**Discussion**

Since the 16th century, the southern provinces of Georgia underwent Ottoman conquest, resulting in the coerced conversion of the local populace to Islam and widespread adoption of the Turkish

language. Despite this, a number of linguistic practices have endured. Analyzing these remnants offers insights into the historical and linguistic fabric of the region.

Within these provinces, inhabitants successfully retained the Georgian language along with their inherent Georgian identity. While some individuals continue to use their native tongue, a significant portion of the younger generation struggles with their grasp of the Georgian language or lacks proficiency altogether. Consequently, there exists a tangible risk of certain Georgian sub-dialects vanishing entirely. Essentially, the narrative of southwestern Georgia's history depicts a phenomenon of linguistic acculturation, a process akin to the trajectory experienced by the Laz language, which now stands as an endangered linguistic entity.

Currently, South Georgia showcases four discernible dialectal sub-divisions: Adjarian (inclusive of the speech of Muhajir descendants), Shavshuri (encompassing Machakhluri and Imerkhevuli speeches), Klarjuli, and Taouri.

Noteworthy within scholarly discourse is the significance of the Adjarian dialect. Its study is intricately tied to pivotal themes in Georgian historical dialectology, so much so that this dialect played a role in the development of written Georgian (Nizharadze 1975: 9).

"The Adjara dialect has conserved numerous archaic words in their original meanings from ancient Georgian. It stands as one of the oldest and linguistically diverse essential dialects within the Georgian language. Alongside other dialects of Georgian, it played a pivotal role in the evolution and refinement of the Georgian literary language" (Gigineishvili et al. 1961: 391).

In the present day, Tao, much like other Georgian villages in the Shavsheti-Imerkhevi region, bears an official Turkish designation. Nonetheless, the local populace, encompassing both Georgians and Turks, persists in using the traditional Georgian names for the villages and their distinct locales during their day-to-day interactions.

It's important to highlight that the Muhajir Adjarians—thousands of Muslims who departed the region and sought refuge in

Turkey through immigration—alongside the Shavshes and Klarjes, established villages in various provinces within the Republic of Turkey. Remarkably, these communities have managed to uphold the language, folklore, and way of life of their forebears right up to the present day. The geographic expanse of the southern sub-dialects is widening in tandem with the expansion of these emigrant settlements (Pagava, Tshekladze 2017: 10).

It's essential to delve into sociolinguistic terms such as "internal dialect" and "external dialect." Taouri, Shavshuri, and Klarjuli detached from the Georgian language system and evolved autonomously within a foreign linguistic environment. As a result, they can be classified as external dialects of the language. In contrast, Adjarian constitutes an internal dialect.

A fundamental distinction surfaces between these two dialect categories: despite each of them being linguistically intertwined with the Georgian system, they diverge significantly in their sociolinguistic relationship with the Georgian language. The internal dialect is shaped by the influence of the Georgian literary language, while simultaneously wielding an active impact on the literary language itself, essentially serving as an internal resource for its evolution.

Regarding vocabulary, the southern sub-dialects feature words that have been borrowed from Turkish, subsequently undergoing lexicalization and becoming ingrained within these dialects.

**Conclusions**

To conclude, it is vital to underscore the significance of the sociophonetic dimension within the LaDyCa project, as it serves as a cornerstone for bolstering the empirical foundation. This ensures that the secondary data within the word list remains in alignment with the latest and most current information, enabling a deeper comprehension of the internal forces driving changes.

Employing contemporary methodology, we've observed that certain word forms and expressions verified within our analysis material either lack presence altogether or carry a metaphorical significance, a trait common to the border villages of Adjara. These

items don't appear in either the Georgian language dictionary or the dialect corpus. The speech of the residents from these villages showcases lexical elements dating back to ancient times, alongside descriptors unique to this particular region. Among these, many encompass words and terms that enjoy limited recognition within scholarly literature. The lexical data distinctive to this area significantly contribute to identifying the lexical attributes of the Adjarian dialect as a whole.

## REFERANCES:


Gigineishvili, I. Topuria, V. Kavtaradze, I. (1961). *Georgian Dialectology I.* Tbilisi (in Georgian).

Nizharadze, Sh. (1961). *Upper Adjarian dialect of the Georgian language,* Batumi (in Georgian).

Pagava, M. (2013). *Speech of Muhajirs and the issues of composition of Adjarian subdialects.* International scientific conference dedicated to Jacob Gogebashvili. Materials, Gori, p. 136-141. (in Georgian).

Pagava, M. (2013). *Some features of Kobuleturi according to the speech of descendants of Muhajirs.* Collection, 7, p. 13-22. (in Georgian).

Pagava, M, Tsetskhladze N. (2017). *Southern subdialects - basic paradigms of declension and conjugation.* „Iverioni“ publishing house, Tbilisi. (in Georgian).

Abashidze, N. Rodinadze Sh. Turmanidze, N. (2022) *Lexical Features of Upper Adjarian Dialect and Creative Thinking Preserved in the Collective Memory.* Vitalite sociolinguistique des langues des massifs montagneux, Alpes et Caucase. Rome p.359. (in Georgian).

Barreña, A. Idiazabal, I. Juaristi, P. (2006). *„World Languages Review: Some Data". Language Diversity in the Pacific: Endangerment and Survival*, edited by Denis Cunningham, David E. Ingram and Kenneth Sumbuk, Bristol, Blue Ridge Summit: Multilingual

Matters, pp. 15-23. https://doi.org/10.21832/9781853598685-005.

Eliasson, S. (2015). *The birth of language ecology: interdisciplinary influences in Einar Haugen's "The ecology of language".* https://doi.org/10.1016/j.langsci.2015.03.007.

Haugen, E. (1972). *The Ecology of Language.* Standford, CA: Standford University Press.

Moseley, C. (2009), *Atlas of the Worlds Languages in Danger,* UNESCO, Paris.

Meirion, P. J. (2013). *Endangered Languages and linguistic diversity in the European Union.* © European Union.

Wurm, S. A. (1991). *Language Death and Disappearance:* Causes and Circumstances. Diogenes, 39(153), 1–18. https://doi.org/10.1177/039219219103915302.

# აუცილებლობის სემანტიკის გადმოცემის თავისებურებანი ქართულ-თურქული მასალის მიხედვით

**ჰარუნ ჩიმქე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის
ასოცირებული ასოცირებული. საქართველო,
ქუთაისი, თამარ მეფის #59. 4600,
+ (995) 593 555000, harun.cimke@atsu.edu.ge
https:/orcid.org/0000-0002-2790-1146
DOI:https://doi.org/10.61671/hos.6.2023.7367

**აბსტრაქტი**

ზმნის კილოს გადმოცემის სისტემა თითქმის ყველა ენაში განსხვავებულია. სტატია ეხება ზმნის აუცილებლობის სემანტიკის გამოხატვის თავისებურებანს ქართულ-თურქული მასალის მიხედვით, კერძოდ, იმის გარკვევას, თუ რა გრამატიკული საშუალებები არსებობს ქართულის აუცილებლობის სემანტიკის გადმოსაცემად თურქულში.

ზოგადად, ქართულში კილოს კატეგორია ერთ-ერთი ყველაზე რთული და სადავო საკითხია. კილოს რაოდენობასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგი მეცნიერის მიხედვით კილო სამია, ზოგის მიხედვით – ოთხი, ზოგი ხუთსაც ასახელებს, საბოლოო ჯამში კი შვიდამდე კილო იყრის თავს. თანამედროვე ქართული ენის გრამატიკებში გამოიყოფა სამი კილო: თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი. დანარჩენები, რომლებმაც ადგილი ვერ დაიმკვიდრეს ენაში, ასეთია: თხოვნითი, აკრძალვითი, პირობითი და შედეგობითი.

კილოს კატეგორიასთან დაკავშირებით საინტერესოდ გვესახება ქართულ-თურქული მონაცემების განხილვა. ამჯერად შევეხებით აუცილებლობის სემანტიკის გადმოცემის საშუალებებს ორივე ენაში.

თურქულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ზმნის კილოს რაოდენობა ხუთია. ესენია: თხრობითი, ბრძანებითი, აუცილებლობითი, ნატვრითი და თხოვნით-პირობითი. ქართულში ზმნის კილო გაფორმებული არ არის გრამატიკული ნიშნით, ანუ კილოს არ გააჩნია ნიშანი. იგი მწკრივის ერთ-ერთი ელემენტია და გამოიხატება რომელიმე მწკრივის ფორმით, იგი უმეტესად მიჩნეულია სემანტიკურ კატეგორიად. თურქულში კი ყველა გრამატიკული კილო მარკირებულია.

ქართულის აუცილებლობის სემანტიკის გადმოცემისას თურქულში საკმაოდ საინტერესო სურათი იქმნება. კერძოდ, წინადადებაში – „თავადს – თავადობა უნდა ეტყობოდეს და გლეხს – გლეხობა“ = თურქ. „Beyin bey olduğu, köylünün de köylü olduğu anlaşılmalı“. უნდა ნაწილაკის გამო ორივე ენაში გამოხატულია ვალდებულება. „ეს ამბავი რაღაცას უნდა ნიშნავდეს, ისე კი ძალიან ლამაზი თვალები უნდა ჰქონდეს“ = თურქ. „Bu haberin bir anlamı olmalı, normalde çok güzel gözleri olmalı“. პირველი წინადადება ეჭვის მატარებელია, ხოლო მეორე – ვარაუდისა. ორივე შემთხვევაში თურქულიც იმავე მნიშვნელობას ატარებს, რაც ქართულშია.„რისი უნდა მეშინოდეს; რა უნდა მრცხვენოდეს; რა უნდა მინდოდეს...!“ = თურქ. „Neden korkmalıyım; neden utanmalıyım; ne isteyebilirim?“ ქართული უნდა ნაწილაკიანი აწმყოს კავშირებითის ფორმების თურქულში გადატანისას გვხვდება საინტერესო სურათი, კერძოდ, პირველი ორი წინადადება ზუსტად გამოხატავს აუცილებლობას „Korkmalıyım, utanmalıyım“, ხოლო ბოლო წინადადებით კი გადმოცემულია შესაძლებლობის მნიშვნელობა „isteyebilirim“, რაც აწმყოსკავშირებითიანი უნდა ნაწილაკის ერთ-ერთი ფუნქციაა. „ასე არ უნდა წაიკითხო!“ = თურქ. “Böyle okumamalısın!” – უნდა ნაწილაკიანი II კავშირებითი თურქულშიც აუცილებლად შესასრულებელ მოქმედ-

ებას გადმოსცემს აუცილებლობითი კილოს ნიშნების (-MALI, -MELİ) მეშვეობით.

ქართულ-თურქული ზმნის კილოების ფორმათა შედარებ-ითი ანალიზის შედეგად კარგად ჩანს სტრუქტურულად განსხ-ვავებულ ორ ენას შორის როგორც საერთო, ისე განსხვავებული მხარეები. მსგავსება და განსხვავება ეხება სემანტიკური, გრამა-ტიკული და ლექსიკური საშუალებების შესაბამისობას.

**საკვანძო სიტყვები:** აუცილებლობა; სემანტიკა; შედარებითი ანალიზი; ქართულ-თურქული; თავისებურებები.

**შესავალი**

სხვადასხვა აგებულების მქონე ენებთან ქართული ენის შედარება ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული. შეიძლება ითქვას, რომ ენებს შორის სტილისტიკური თუ გრამატიკული განსხვავებები, რომლებიც აუცილებლობის სემანტიკასთან დაკა-ვშირებით ხშირად იჩენს თავს, უმეტეს წილად ქართული ზმნის თავისებურებათა შედეგია.

ქართული ზმნა გამორჩეული თავისი მრავალფეროვნებ-ითა და სირთულეებით. ეს ეხება ქართული და თურქული მას-ალის მიხედვით აუცილებლობის სემანტიკის გადმოცემასაც, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ენობრივი ურთიერთობების ნებისმიერ საფეხურზე.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ქართულ ენაში აუცილებლობის სემანტიკას გამოხატავს უნდა + აწმყოს კავშირებითის, უნდა + II კავშირებითისა და უნდა + II შედეგობ-ითის ფორმები, რომელიც ხშირად გარკვეულ პრობლემებს ქმნის. ეს განსაკუთრებით ეხება ირიბ კილოებს. ძველ ქართულთან შედარებით თანამედროვე ქართულში ირიბ ირეალურ კილოთა რაოდენობა შემცირებულია და შესაბამისად ფართოვდება თხრო-ბითი კილოს ფორმებით არათხრობითი შინაარსით გამოყენების სფერო.

**მეთოდი**

იმ კანონზომიერების დასადგენად, თუ როგორ ხდება აუცილებლობის სემანტიკის გადმოცემის თავისებურებანი ქართულ-თურქული მასალის მიხედვით. გამოვიყენეთ როგორც დაკვირვევის, ასევე და მონაცემთა ანალიზის მეთოდები. აღნიშნული კვლევის მეთოდების საშუალებით შესაძლებელი იქნა მოძიებული მაგალითებზე დაკვირვების შედეგად გამოგვევლინა და გაგვეანალიზებინა

**მსჯელობა და შედეგები**

აუცილებლობის სემანტიკის ქართულთან ურთიერთმიმართების კვლევისას შევეცდებით, დავადგინოთ თურქული ერთეულების ქართული შესატყვისები, რომელიც იქნება მისაღები და ღირებული.

ზმნის კილოთა რაოდენობა ყველა ენაში მეტ-ნაკლებად განსხვავებულია. ასეა ქართულსა და თურქულშიც.

ქართული ენის გრამატიკაში კილო ზმნის ერთ-ერთი კატეგორიაა. ქართულში კილო ძირითადად სამია: თხრობითი, კავშირებითი, ბრძანებითი (შანიძე, 1980:107; კვაჭაძე, 1993:236), თუმცა კილოს რაოდენობასთან დაკავშირებით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთი მეცნიერი დამოუკიდებელ კილოდ მიიჩნევს ნატვრითსა და პირობით კილოს (ჩიქობავა, 1952:48); გ. გოგოლაშვილი ათამადე კილოს ასახელებს. სხვათაგან განსხვავებით იგი დამატებით გამოყოფს კილოს ისეთ სახეებს, როგორიცაა: თხოვნითი, აკრძალვითი, შედეგობითი, რეალური და ირეალური (გოგოლაშვილი, 2010: 116).

განსაკუთრებული თავისებურებებით გამოირჩევა ქართულში კავშირებითი კილო. როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, კავშირებითი კილო ისეთ მოქმედებას გამოხატავს, რომელიც არ არის ფაქტი, მაგრამ შეიძლება ხდებოდეს ახლა, მოხდეს მომავალში ან მომხდარიყოს წარსულში: წერდეს, დაწეროს, დაეწეროს...

მეცნიერთა შორის სადავოდ არის ქცეული ქართულში კავშირებითი კილოს რაოდენობის საკითხიც. იგი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ განსაზღვრული.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში კავშირებითი კილო გრამატიკულად გამოხატული ზმნური კატეგორიაა: იგი მორფოლოგიურად განსხვავებულია თხრობითი კილოს ფორმებისაგან (შანიძე,1980: 204; კვაჭაძე, 1993:210-211), თუმცა ეს მოსაზრება საყოველთაოდ აღიარებული არ არის. სრულიად განსხვავებული შეხედულება აქვთ მეცნიერებს: ზ. ჯორბენაძეს, გ. გოგოლაშვილს, ა. არაბულს, ა. პაპიძს. ა. პაპიძე აღნიშნულ მოსაზრებასთან დაკავშირებით საუბრობს იმ წინააღმდეგობაზე, რაც ახლავს კავშირებითი კილოს, როგორც კატეგორიის, გაგებას. მისი აზრით: კავშირებითი კილოს ფორმასა და შინაარსს შორის არსებული შეუსაბამობა, რაც ზოგჯერ აძნელებს კილოური სემანტიკის დადგენას, აშკარად მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში კილოს, და, კერძოდ, კავშირებითი კილოს, მორფოლოგიური კატეგორია დარღვეულია (პაპიძე, 1987:59-62).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში კავშირებითი კილო გადმოიცემა სამი მწკრივის საშუალებით. ესენია: I კავშირებითი ანუ აწმყოს კავშირებითი, II კავშირებითი და III კავშირებითი (პაპიძე, 1988:74).

შინაარსით კავშირებითი კილო გამოხატავს ირეალურ მოქმედებას და წარმოგვიდგენს მას, როგორც შესაძლებელს, სავარაუდოს, სასურველს და ა.შ. შესაბამისი მოდალური შინაარსის გამოსახატავად გამოყენებულია საკუთრივ კავშირებითი კილოს ფორმები როგორც დამოუკიდებლად, ისე (უმრავლეს შემთხვევაში) კავშირებთან, მოდალურ ზმნებთან და ნაწილაკებთან ერთად. ქართულში კავშირებითის შინაარსს გამოხატავს, აგრეთვე, არამოდალურ კილოთა ფორმებიც, გარკვეული მოდალური სიტყვებისა და ნაწილაკების დახმარებით. მიუხედავად ამისა, მოდალური სემანტიკის აღნიშვნაში კავშირებითი კილო უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს და გარკვეულ შემთხვევაში იფართოებს თავის სფეროს (შდრ. II თურმეობითი) (ზერსენაძე-კაციტაძე, 2006:24).

ქართულში დადასტურებულია პროცესი, როცა თხრობითი კილოს ფორმა კავშირებითის ფუნქციას იძენს, როგორც ეს მოხდა

II თურმეობითის შემთხვევაში, თუმცა ქართულშივე შეინიშნება საპირისპირო ტენდენციაც – კავშირებითის ფორმათა გამოყენების სფეროს მნიშვნელოვანი შევიწროება. მაგალითად, III კავშირებითის ფორმები ზოგჯერ ჩანაცვლებულია II თურმეობითის ფორმებით (პაპიძე, 1988: 83-84).

შეიძლება ითქვას, რომ კილოს გამოხატვის ფორმები ენების მიხედვით ძირითადად განსხვავებულია. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესო შემთხვევები იჩენს თავს ქართულის კავშირებითი კილოს ფორმების თურქულად გადმოცემისას. ქართულის კავშირებითი კილოს ფორმები თურქულად შეიძლება ნატვრითის, პირობითის, სურვილობითის, აუცილებლობითისა და ზმნის დროის ფორმების ფუნქციებით გამოიყენებოდეს.

ქართულისაგან განსხვავებით თურქულში კილოს რაოდენობა ხუთია. ესენია: თხრობითი, პირობითი, ბრძანებითი, ნატვრითი, აუცილებლობითი (Zeynep Korkmaz, 2017: 569; Muharrem Ergin, 2009: 289). ორივე ენისთვის საერთოა: თხრობითი, პირობითი (აგრეთვე ნატვრითი–არნ. ჩიქობავა) და ბრძანებითი. თურქულში განსხვავებულია აუცილებლობითი კილო, თუმცა აღნიშნული კილო ქართულად „უნდა“ მოდალური ზმნისა და აწმყოს კავშირებითის, II კავშირებითისა და II შედეგობითის მწკრივის ფორმის მეშვეობით იწარმოება.

სალიტერატურო თურქულში თხრობითი კილო განიხილება ცალკე, დანარჩენი ოთხი კილო კი – სხვა ჯგუფში. ორივე ენაში თხრობითი კილო ზმნის დროის ფორმებით გამოიხატება. რაც შეეხება დანარჩენებს, ქართულისაგან განსხვავებით თურქულში ყველა კილოს თავ-თავისი ნიშანი აქვს: პირობით-სურვილობითის ნიშანია **-sa / -se** (Günay Karaağaç, 2011: 126). როცა ეს ნიშანი პირდაპირ ზმნის ფუძეს ერთვის, მაშინ სურვილს გამოხატავს, ხოლო, როცა რომელიმე დროის ფორმას ერთვის, გამოხატავს პირობას. მაგალითად: Keşke Ayşe bize gelse - ნეტავ აიშე ჩვენთან მოდიოდეს... წინადადებაში პირობით-სურვილობითის ნიშანია -se გამოხატავს სურვილს, ოღონდ Bugün gelirsem yarın daha gelemem - თუ დღეს მოვედი, ხვალ ველარ მოვალ... წინადადებაში კი -se გამოხატავს პირობას.

ნატვრითი კილოს ნიშანია **-a / -e** (Tahsin Banguoğlu, 2000: 468); აუცილებლობითისა – **-malı / -meli** (Nurettin Demir, Emine Yılmaz, 2010:214); ბრძანებითის ნიშნებია მხოლობითი რიცხვის II პირში ზმნის საწყისი ფორმის ფუძე, მხოლობითის III პირში – **-sın / -sin, -sun, -sün;** მრავლობითის II პირში – **-ın / -in, -un, -ün;** მრავლობითის III პირში კი ზმნას **-sınlar / -sinler, -sunlar, -sünler** დაერთვის (Günay Karaağaç, 2011:121).

ქართულის აუცილებლობის სემანტიკის გადმოცემისას თურქულში საკმაოდ საინტერესო სურათი იქმნება.

როგორც აღვნიშნეთ, ვალდებულება/აუცილებლობის შინაარსს თურქულში გამოხატავს: მორფოლოგიური ნიშანი **-malı/ -meli** და აგრეთვე ზმნის ფუძესთან ერთად გამოყენებული მოდალური სიტყვა **საჭირო**-ს შესატყვისი **Gerek/Lazım.**

აუცილებლობის სემანტიკა ენებში შეიძლება სხვადასხვა ნიუანსით იყოს წარმოდგენილი: იძულება, ვალდებულება, აუცილებლობა, ბრძანება, სურვილი, თხოვნა, მოთხოვნა, შესაძლებლობა, პირობა, ყოყმანი, გაფრთხილება, გაოცება, დაბნეულობა, გაბრაზება, ემფატიკური რჩევა, აკრძალვა, გაძლიერება, მოწვევა; რაღაცის ლოგიკური ახსნა, ვარაუდი, დარწმუნებულობა.

ნ. შარაშენიძე **უნდა** მოდალობის ფორმის გაანალიზებისას წერს, რომ **უნდა** მოდალური ფორმა ლოგიკურ აუცილებლობას გამოხატავს. მაგრამ ეს არაა ერთადერთი სემანტიკა, რომელიც ამ მოდალური ფორმით გადმოიცემა. დიდი მნიშვნელობა აქვს ზმნის ფორმას - კილოსა და მწკრივს. სხვადასხვა კომბინაციაში კონსტრუქციას განსხვავებული სემანტიკა ენიჭება. მათი განსხვავებული შინაარსი გამოწვეულია ზმნის ფორმით. ამდენად, ეს საკითხი ენის სწავლების პროცესში გასათვალისწინებელია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი სემანტიკური ნიუანსების ანალიზი მხოლოდ ენის ფლობის მაღალ დონეზე შეიძლება მოხდეს (შარაშენიძე, 2014:84).

როგორც უკვე აღვნიშნეთ **უნდა** ნაწილაკი კავშირებითის ნაკვთთან ერთად გამოხატავს კატეგორიულობას, ვალდებულებასა და აუცილებლობას. თანამედროვე ქართულში **უნდა** ნაწ-

ილაკი გამოიყენება სამ მწკრივთან: აწმყოს კავშირებითთან, II კავშირებითთან და II შედეგობითთან.

**ა. აწმყოს კავშირებითი.**

როგორც ცნობილია, აწმყოს კავშირებითი ცალკე მწკრივად ჩამოყალიბდა მას შემდეგ, რაც I კავშირებითის დაშლის შედეგად ჩამოყალიბდა აწმყოს კავშირებითი და მყოფადის კავშირებითი (პაპიძე, 1984:81). აწმყოს კავშირებითი თანამედროვე ქართულში გამოიყენება სხვადასხვა ფუნქციით.

კერძოდ, წინადადებაში – „თავადს – თავადობა უნდა ეტყ-ობოდეს და გლეხს – გლეხობა“ = თურქ. „Beyin bey olduğu, köyl-ünün de köylü olduğu anlaşılmalı“. უნდა ნაწილაკის გამო ორივე ენაში გამოხატულია ვალდებულება. „ეს ამბავი რაღაცას უნდა ნიშნავდეს, ისე კი ძალიან ლამაზი თვალები უნდა ჰქონდეს“ = თურქ. „Bu haberin bir anlamı olmalı, normalde çok güzel gözleri olmalı“. პირველი წინადადება ეჭვის მატარებელია, ხოლო მეორე – ვარაუდისა. ორივე შემთხვევაში თურქულიც იმავე მნი-შვნელობას ატარებს, რაც ქართულშია. „რისი უნდა მეშინოდეს; რა უნდა მრცხვენოდეს; რა უნდა მინდოდეს...!“ = თურქ. „Neden korkmalıyım; neden utanmalıyım; ne isteyebilirim?“ ქართული უნდა ნაწილაკიანი აწმყოს კავშირებითის ფორმების თურქულში გადა-ტანისას გვხვდება საინტერესო სურათი, კერძოდ, პირველი ორი წინადადება ზუსტად გამოხატავს აუცილებლობას „Korkmalıyım, utanmalıyım“, ხოლო ბოლო წინადადებით კი გადმოცემულია შესაძლებლობის მნიშვნელობა „isteyebilirim“, რაც აწმყოსკავშირ-ებითიანი უნდა ნაწილაკის ერთ-ერთი ფუნქციაა.

**აწმყოს კავშირებითი რთულ ქვეყობილ წინადადებასთან ხშირად გამოხატავს პირობითობას.** აღნიშნულთან დაკავშირ-ებით პაპიძე აღნიშნავს, რომ აწმყოს კავშირებითის პირობითო მოდალობა შეიძლება დავადასტუროთ დროის გარემოებითი და-მოუკიდებელი წინადადების, მიზეზის, მიზნის... და სხვა დამო-უკიდებელ წინადადებათა შემცვლელ რთულ დაქვემდებარე-ბულ წინადადებებში (პაპიძე, 1984:94): მაგიდის მეორე მხარეს

რომ ვისხდეთ, უფრო გამიიოლდებოდა მდგომარეობა - Masanın diğer tarafına otursak durumumuz daha kolaylaşırdı.

ქართულ სალიტერატურო ენაში აწმყოს კავშირებითის ასეთი კონსტრუქციები გამოიყენება კითხვა-მიგების დიალოგებშიც: ორი ამდენი რომ გყავდეს, რას იზამ? – Bundan iki kat fazla olsa ne yaparsın?

**ნატვრითი შინაარსის გამოხატვა აწმყოს კავშირებითი კილოს ერთ-ერთი გამოკვეთილი და დამახასიათებელი ფუნქციაა.** ნეტავ ყველაფერი ვიცოდე - Keşke her şeyi bilsem. **ნეტავ** ნაწილაკიანი მეორე კავშირებითი „**ნატვრითობის**“ შინაარსს გადმოსცემს ქართულშიც და თურქულშიც.

აწმყოს კავშირებითით გადმოიცემა ძირითადად ბრძანებითი კილოს მუქარისა და მოწოდების შინაარსის მქონე კონსტრუქციები. იცოდეთ, აწი ასე ვერ მოიქცევით! – Bir daha böyle davranmamanız gerektiğini iyi bilin!

აწმყოს კავშირებითთან ყველაზე მეტად გამოიყენება **უნდა** და **თითქოს** ნაწილაკები: შენ ისე ლაპარაკობ, **თითქოს** ჯარში **მივდიოდეთ**! – Sen öyle konuşuyorsun ki sanki askere gidiyoruz. აღნიშნული წინადადება თურქულად აწმყოს კავშირებითიანი ზმნური ფორმით ითარგმნება.

ძალზე საინტერესოა უნდა ნაწილაკიანი აწმყოს კავშირებითის გამოყენება, რომელიც ძირითადად სამი ფუნქციით გამოიყენება:

**1. აწმყოს კავშირებითი, II კავშირებითის მსგავსად ვალდებულებისა და აუცილებლობის მოდალურ შინაარს გადმოსცემს** და II კავშირებითის შემცვლელ კონსტრუქციისაგან ძირითადად ასპექტისა და დროული განზოგადების მიხედვით განსხვავდება. როდესაც II კავშირებითიანი ფორმები მომავალში შესასრულებელ მოქმედებას აღნიშნავს, აწმყოს კავშირებითის ფორმები კი დროულად განუსაზღვრელია, ზოგადია: მე ამას უნდა ვაკეთებდე – Benim bunu yapıyor olmam gerekiyor. როგორც ვხედავთ მოცემულ წინადადებაში დრო არ არის არ არის განსაზღვრული.

2. **უნდა ნაწილაკიანმა აწმყოს კავშირებითმა შეიძლება გამოხატოს ეჭვის, ვარაუდის, მიზეზის, შესაძლებლობების...** შინა-

არსებიც: ეს ამბავი რაღაცას უნდა ნიშნავდეს - Bu olay bize bir şey işaret ediyor olmalı! აქ გადმოცემულია მოუბრის ვარაუდი და მისი თვალსაზრისი.

3. უნდა ნაწილაკიანი აწმყოს კავშირებითი ხშირად გამოიყენება რიტორიკულ წინადადებებში, დიალოგებში, სადაც კითხვაზე კითხვით არის გაცემული პასუხი (პაპიძე, 1984:101-103): არ მიდიხარ? - რატომ უნდა მივდიოდე, როცა აქ უმრავი საქმე მაქვს - Gitmiyor musun? – Burada işim varken neden gidiyor olmalıyım?

აღსანიშნავია, ისიც რომ აწმყოს კავშირებითი სხვა კავშირებითებისაგან ხშირად გამოიყენება ნაწილაკის გარეშე, რაც საერთოდ ხელს არ უშლის გამოიხატოს სასურველი შინაარსი: ვერ ვიტყვი, რომ მესმოდეს ყველაფერი - Her şeyi anlıyor olduğumu söyleyemem. ამ შემთხვევაში თითქოს ნაწილაკის შინაარსია გამოხატული.

**ბ. II კავშირებითი**

რაც შეეხება აუცილებლობით კილოს, ამის მისაღებად **II კავშირებითის** წინ იწერება მოდალური ზმნა „უნდა“. მაგალითად: ხვალ აუცილებელი საქმე მაქვს, ადრე უნდა დავიძინო – Yarın önemli işim var erken uyumalıyım. აღნიშნულ წინადადებაში -malı არის აუცილებლობითი კილოს ნიშანი და ყოველთვის გამოხატავს აუცილებლობას.

თანამედროვე ქართულში **უნდა** ნაწილაკისა და მოდალური სიტყვა **საჭიროა**-ს საშუალებით **II კავშირებითმა** შეიძლება გამოხატოს მომავალში მოქმედების აუცილებელი შესრულება. მაგალითად, წინადადებაში – „ასე არ უნდა წაიკითხო!“ = თურქ. “Böyle okumamalısın!” – **უნდა** ნაწილაკიანი II კავშირებითი თურქულშიც აუცილებლად შესასრულებელ მოქმედებას გადმოსცემს აუცილებლობითი კილოს ნიშნების (-Malı, -Meli) მეშვეობით: მე ვფიქრობ, ხელოვანი ქალი არ უნდა გათხოვდეს - Sanatçı kadının evlenmemesi gerektiğini düşünüyorum. Sanatçı kadın evlenmemeli!

ქართულისაგან განსხვავებით სიტყვა **საჭიროს** თურქული ვარიანტი **Gerek** სხვადასხვა მწკრივისა და კილოს ფორმით გვხვდება: **ზმნის ფუძე+პირის ნიშნის სახით კუთვნილებითი ნაცვალსახელის ნიშანი + Gerek + მწკრივის ნიშანი:**

საინტერესოა ერთი ფაქტიც, რომ თურქული **საჭიროს** (Ger

| | |
|---|---|
| Yapmam gerekiyor | (რაღაცის) გაკეთება მჭირდება |
| Yapmam gerekiyordu | (რაღაცის) გაკეთება მჭირდებოდა |
| Yapmam gerekecek | (რაღაცის) გაკეთება დამჭირდება |
| Yapmam gerekecekti | (რაღაცის) გაკეთება დამჭირდებოდა |
| Yapmam gerekti | (რაღაცის) გაკეთება დამჭირდა |
| Yapmam gerekmiş | (რაღაცის) გაკეთება დამჭირვებია |
| Yapmam gerekmişti | (რაღაცის) გაკეთება დამჭირვებოდა |
| Yapmam gerekse | (რაღაცის) გაკეთება რომ დამჭირდეს |
| Yapmam gerekebilir | (რაღაცის) გაკეთება შეიძლება დამჭირდეს |

ek) სინონიმი **Lazım-ს** არ ერთვის მწკრივის ნიშნები, სამაგიეროდ გამოიყენება მეშველი ზმნის ფორმებთან ერთად: Yapmam lazım (= ჩემი გაკეთებაა საჭირო), Yapmam lazımdı (= ჩემი გაკეთება იყო საჭირო), Yapmam lazımmış (= ჩემი გაკეთება ყოფილა საჭირო), Yapmam lazımsa (=ჩემი გაკეთება რომ იყოს საჭირო).

აუცილებლობითი სემანტიკის ფორმებზე მუშაობისას წავაწყდით ერთ საინტერესო შემთხვევას, რომლის მიხედვითაც მომავალი დროის მიმღეობრივი ფორმები თურქულად გადმოიცემა აუცილებლობითი კილოს სემანტიკით. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ინტონაციაც: გასაკეთებელი მაქვს (=უნდა გავაკეთო - Yapmalıyım / Yapmam lazım), წასასვლელი ვარ (=უნდა წავიდე - Gitmeliyim / Gitmem lazım), მოსატანი მაქვს (=უნდა მოვიტანო - Getirmeliyim / Getirmem lazım), მისახედი მაქვს (=უნდა მივხედო - Bakmalıyım / Bakmam lazım), დასაბრუნებელი ვარ

(=უნდა დავბრუნდე - Dönmeliyim / Dönmem lazım), მოსაყოლი მაქვს (=უნდა მოვუყვე - Anlatmalıyım / Anlatmam lazım) და ა. შ.

თანამედროვე ქართულში **II კავშირებითია,** აგრეთვე, რაც (არ) უნდა თქვას, გააკეთოს, იფიქროს... ტიპის ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში. მაგალითად, წინადადებაში – „რაც არ უნდა იჩქაროს, მაინც დაგვიანებულია“ = თურქ. “Ne kadar acele ederse etsin, yinede geç kalınmış” – (რაც არ უნდა) თურქულად პირობითი კილოს ნიშნით (-sa/-se), ხოლო (იჩქაროს) მიმღეობითი ფორმითაა (geç kalınmış) გამოხატული.

ბრძანება/თხოვნა/მოთხოვნა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სემანტიკური მნიშვნელობებია. ნიუანსები კარგად ჩანს ზეპირ მეტყველებაში, სადაც ამის დადგენა ინტონაციის საშუალებითაც შეიძლება. მათი ზუსტი გამიჯვნა წერილობით ტექსტებში, უმეტეს შემთხვევაში, ფართო კონტექსტის საშუალებით ხდება შესაძლებელი.

„ფრთხილად უნდა იყო, ძალიან ფრთხილად - Dikkatli, hem de çok dikkatli olmalısın“. **უნდა** კავშირიანი მეორე კავშირებითი „**გაფრთხილების**“ შინაარსს გადმოსცემს ქართულშიც და თურქულშიც.

აუცილებლობის სემანტიკა ქართულში გამოიყენება კითხვით და უარყოფით ფორმებშიც. ამ შემთხვევაში ძირითადად გამოხატავს აუცილებლობისა და ვალდებულების არარსებობას. მომავლის მნიშვნელობის გამოხატვის დროს **უნდა + II კავშირებითი** ზოგჯერ ნაწილაკ **უნდა-ს** გარეშე გამოიყენება. მაგალითად: „მას გადაწყვეტილი ჰქონდა აღარ ეფიქრა ამაზე - O kararını vermişti. Artık bunu düşünmemesi gerekiyordu; ჩვენ არ უნდა წავიდეთ? – Biz gitmemeli miyiz?“ პირველი წინადადების თურქულად გადმოცემისას თურქულში აუცილებლობითი კილოს ნიშანი ან სიტყვა საჭიროს გამოყენება აუცილებელია. მის გარეშე აუცილებლობის სემანტიკის გამოხატვა შეუძლებელია.

აუცილებლობის სემანტიკა მესამე პირის ფორმებში განსხვავებულად წარმოჩინდება ნაცვალსახელის გარეშე და იგი კონტ-

ექსტის მიხედვით განისაზღვრება: უნდა წავიდეს კონსტრუქცია გამოხატავს ერთდროულად სურვილსაც და აუცილებლობასაც. ქართული ენით დაინტერესებულისთვის რთულად ამოსაცნობია, რომელი მნიშვნელობითაა გამოყენებული. ეს საკითხი თურქულში განსხვავებული გრამატიკული ნიშნებითაა წარმოდგენილი და მარტივია მისი გაგება: უნდა წავიდეს - gitmek istiyor გამოხატავს სურვილს და gitmeli კი გამოხატავს აუცილებლობას, ვალდებულებას. ქართულში კი კონტექსტის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია დადგენა, თუ რომელი გამოხატავს სურვილს და რომელი აუცილებლობას.

### გ. II შედეგობითი

თანამედროვე ქართულში **II შედეგობითით** გადმოიცემა წარსული (იშვიათად მომავალი) დრო, თხრობითი ან კავშირებით-პირობითი კილო, ზოგჯერ - უნახაობის სემანტიკაც.

ქართული **უნდა + II შედეგობითის** ფორმები გადმოსცემენ წარსულის ვალდებულების/აუცილებლობის, შესაძლებლობის, ალბათობის შინაარსს. ხშირად ამ მნიშვნელობებს კონტექსტიც აზუსტებს. მაგალითად, ხშირი შეხვედრები მოსაბეზრებელი ხდებოდა; ამიერიდან უფრო იშვიათად უნდა ენახათ ერთმანეთი - Sık görüşmeler sıkıcı bir hal almıştı, bundan sonra birbirlerini daha az görmeleri gerekiyordu.", მე გუშინ უნდა მოვსულიყავი, მაგრამ ვერაფრით ვერ მოვახერხე - Dün gelmeliydim ama bir türlü gelemedim…

**უნდა** ნაწილაკიანი **II შედეგობითი** აგრეთვე გამოხატავს აუცილებლობას წარსულში; დარწმუნებულობას; ლოგიკური დასკვნით მიღწეულ დარწმუნებულობას, ეჭვს, ვარაუდს: იმ კაცს რაიმე მიზეზი უნდა ჰქონოდა - O adamın elle tutulur bir sebebi olmalıydı; ეს უნდა ეთქვა ერთ-ერთი მათგანს, ვინც იმ საღამოს ჩვენთან იყო - Bunu, o akşam bizde olanlardan biri söylemiş olmalı…

ქარფთულ ენაში ხანდახან თხოვნა, იძულება, აუცილებლობა, ვარაუდი, ეჭვი გადმოიცემა როგორც II კავშირებითის, ისე II შედეგობითის შემცველი კონსტრუქციებით: ვიცოდი, რომ

ძველი მეგობრები ხართ და შარშან უნდა დასწრებოდით წვეულებას - Eski dostlar olduğunuzu ve bu davete geçen sene de katılmanız gerektiğini biliyordum; თუ  ია უარს იტყოდა, მთელი ქონება შორენას უნდა გადასცემოდა - İa'nın olumsuz cevap vermesi durumunda bütün malvarlığının Şorena'ya verilmesi gerekiyordu…

ქართულში **უნდა + II შედეგობითის** ფორმებით ხშირად მომავლის გაგება გამოიხატება: „მადლობელი იყო იმის გამო, რომ ახალი გეგმა აღარ უნდა შეედგინა - Yeni plan hazırlamayacağı için müteşekkir olmalıydı." მოცემულ წინადადებაში აღარ უნდა გულისხმობს უკვე მომხდარის გამეორების არააუცილებლობას მომავალში.

**უნდა + II შედეგობითის** ფორმები ქართულში სემანტიკური მნიშვნელობით შეესაბამება ვალდებულება /აუცილებლობას (რომელიც მოხდა ლაპარაკის მომენტამდე): „აქ ერთმანეთს ებრძოდნენ გარკვეული ინტერესები, გარკვეული ჯგუფები. ლეილას აუცილებლად უნდა ეშოვნა მფარველი - Burada belli başlı çıkarlar ve düşünceler birbirleri ile çatışıyorlardı. Bundan dolayı Leyla kesinlikle kendisini koruyacak birisini bulmalıydı."

**უნდა + II შედეგობითი** ან მხოლოდ **II შედეგობითის** ფორმა ქართულში გადმოსცემს კითხვის, ვარაუდის, ეჭვის, შეშფოთების, რჩევისა და თხოვნის შინაარს: „ჩემი ძვირფასი მეგობარი ილია ისე კეთილი ადამიანია, რომ ჩემები მისი მადლობელია. იმ უცხო ქალაქში რა უნდა ექნათ მის გარეშე, არ ვიცი - Benim değerli dostum İlia o kadar iyi bir insan ki bizimkiler ondan çok memnunlar. O olmasaydı ne yapabilirlerdi bilemiyorum."

ზოგჯერ „შეძლებას" ინფინიტიურ კონსტრუქციაში ენაცვლება მოდალური ნაწილაკი **უნდა,** რომელსაც კითხვით ფორმაში კატეგორიული აუცილებლობის სემანტიკა რამდენადმე შესუსტებული აქვს: „ეს არ ყოფილა თვითმკვლელობა. დარწმუნებული ვარ, რომ არ ყოფილა, მაგრამ როგორ უნდა მომხდარიყო მკვლელობა? – Bu bir cinayet değilmiş. Cinayet olmadığından eminim ama bu nasıl bir cinayet olabilirdi ki?" თურქულ თარგმანშიც, მისი შინაარსიდან გამომდინარე, გამოყენებულია შეძლების სემანტიკა.

**უნდა + II შედეგობითის** ფორმები ზოგჯერ ვალდებულება /აუცილებლობასთან ერთად ერთგვარი საყვედურის სემამტიკასაც გადმოსცემენ: „მას უნდა გაეძლო ამ შემოტევისთვის. ყველაფრისთვის უნდა მიეფურთხებინა და უგზოუკვლოდ გადაკარგულიყო - O, bütün bu saldırılara göğüs germeli, her şeyi elinin tersiyle itip arkasında iz bırakmadan ortalıktan kaybolmalıydı.“

ქართულში სურვილის გამომხატველი კონტრუქცია **მინდა + II კავშირებითის** მესამე პირი და აუცილებლობითის კონტრუქციის მესემა პირი გამოიყენება ერთნაირად, ანუ პირველ შემთხვევაში უნდა დამოუკიდებელი ზმნის ფუნქციითაა და იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით, ხოლო მეორე შემთხვევაში იგი მოდალური ზმნის ფუნქციითაა და არ იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით.

| | |
|---|---|
| მე მინდა მოვამზადო | მე უნდა მოვამზადო |
| შენ გინდა მოამზადო | შენ უნდა მოამზადო |
| მას უნდა მოამზადოს | მან უნდა მოამზადოს |
| ჩვენ გვინდა მოვამზადოთ | ჩვენ უნდა მოვამზადოთ |
| თქვენ გინდათ მოამზადოთ | თქვენ უნდა მოამზადოთ |
| მათ უნდათ მოამზადონ | მათ უნდა მოამზადონ |

აღნიშნული თავისებურება გარკვეულ წილად იწვევს გაუგებრობას და ქმნის მნიშვნელოვან პრობლემას ენის სწავლების პროცესში. ამიტომ აუცილებელია მისი გათვალისწინება. სემანტიკის გარეშე არ გვეცოდინეა რომელი ატარებს აცილებლობის შინაარსსა და რომელი სურვილს? მაგალითად, „უნდა წავიდეს“ ფორმას შეიძლება აუცილებლობის შინაარსიც ჰქოდეს და ასევე სურვილიც. თურქულში კი სულ სხვა სურათი იქმნება: უნდა წავიდეს (= თურქ. Gitmeli.); უნდა წავიდეს (= თურქ. Gitmek istiyor). ორივე კილო თავთავისი ნიშნებითაა გამოყენებული და ამიტომ საერთოდ არ ხდება შინაარსობრივი აღრევა. ქართულით დაინტერესებული პირი აღნიშნული გაეგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა დააკვირდეს სემანტიკურ მხარეს.

ჩვენ მიერ ჩატარარებული ანალიზის შედეგად ჩანს, რომ ძირითად გრამატიკულ შესატყვისობას ქმნის II კავშირებითისა

და II შედეგობითის ფორმები. კავშირებითის ფორმები უმეტ-ესწილად გამოიყენება მოდალურ სიტყვებთან და მოდალურ ნაწილაკებთან ერთად, დამოუკიდებლად და ასევე მათ გარეშეც.

ქართულ-თურქული ზმნის აუცილებლობითი სემანტიკის ფორმათა შედარებითი ანალიზის შედეგად კარგად ჩანს სტრუ-ქტურულად განსხვავებულ ორ ენას შორის როგორც საერთო, ისე განსხვავებული მხარეები. მსგავსება და განსხვავება ეხება სემან-ტიკური, გრამატიკული და ლექსიკური საშუალებების შესაბ-ამისობას.

## გამოყენებული ლიტერატურა:


Banguoğlu, Tahsin. (2000). *Türkçenin Grameri.* Ankara: Türk Dili Kurumu Yayınları, 528.

ბერსენაძე-კაციტაძე, მარინე. (2006). *„მოდალობა ქართულსა და ინგლისურში“,* საკანდ. დისერტაცია. არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

გოგოლაშვილი, გოგი. (2010). *ქართული ზმნა: ფორმაწარმოების საკითხები.* თბილისი: გამომცემლო „მერიდიანი“.

Demir, Nurettin., Yılmaz, Emine. (2010). *Türk Dili El Kitabı.* Ankara: Grafiker Yayınları.

Ergin,Muharrem. (2009).*Türk Dil Bilgisi.* İstanbul: Bayrak Basım/ Yayım/Tanıtım.

კვაჭაძე, ლეო. (1993). *ქართული ენა.* თბილისი: გამომცემლობა „რუბიკონი“.

Korkmaz, Zeynep. (2017). *Türkiye Türkçesi Grameri Şekil Bilgisi,* Ankara: Türk Dili Kurumu Yayınları.

პაპიძე, ასმათ. (1984). *აწმყოს კავშირებითის ფუნქციებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.* თბილისი. გამომცემლობა: „მეცნიერება“.

პაპიძე, ასმათ. (1987). *„კილოს კატეგორია და კავშირებითის ნაკვთთა ფუნქციები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“,* საკანდ. დისერტაცია. არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

პაპიძე, ასმათ. (1988). *მყოფადის ხოლმეობითი თანამედროვე ქართულში.* ქართული სიტყვის კულტურის საკითხები. წიგნ. VIII. თბილისი.

შანიძე, აკაკი. (1980). *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები.* თხზულებანი ტ. III. თბილისი: „თსუ“. გამომცემლობა.

შარაშენიძე, ნინო. (2014). *მოდალობის კატეგორია ქართულში: მისი სწავლების მეთოდები და სტრატეგიები უცხოელთათვის.* საერთაშორისო ჟურნალი მულტილინგვური განათლებისთვის # 3.

ჩიქობავა, არნ. (1952). *ენათმეცნიერების შესავალი.* თბილისი: „თსუ“. გამომცემლობა.

Karaağaç, Günay. (2013). *Türkçenin Dilbilgisi.* İstanbul Akçay Yayınları.

# PECULIARITIES OF CONVEYING THE SEMANTICS OF NECESSITY ACCORDING TO THE GEORGIAN-TURKISH MATERIAL

**Harun Cimke**
Doctor of Philology, Asoc. Professor of
Kutaisi Akaki Tsereteli State University,
Georgia, Kutaisi, Tamar Mepe St #59 postal code 4600
+ (995) 593 555000, harun.cimke@atsu.edu.ge
(https://orcid.org/0000-0002-2790-1146)
DOI:https://doi.org/10.61671/hos.6.2023.7367

## Abstract

The verb mood conveyance system is different in almost all languages. The article deals with the peculiarity of expressing the semantics of the necessity of a verb according to the Georgian-Turkish material, in particular, to find out what grammatical means exist to convey the semantics of the necessity of Georgian in Turkish.

In general, the category of mood in Georgian is one of the most difficult and controversial issues. There is a difference of opinion in the scientific literature regarding the number of moods. According to some scientists, a mood is three, according to some - four, some even name five, and in the end up to seven moods. In the grammars of the modern Georgian language, three moods are distinguished: narrative, connective and imperative. The others that could not take place in the language are as follows: demand, prohibition, conditional and consequential.

It is interesting to discuss the Georgian-Turkish data regarding the mood category. This time we will talk about the means of conveying the semantics of necessity in both languages.

The number of moods of a verb in Turkish linguistic literature is five. These are: narrative, imperative, obligative, narrative, and request-conditional. In Georgian, the verb kilo is not decorated with a grammatical sign, ie kilo has no sign. It is one of the elements of a sequence and is expressed in the form of any sequence, it is mostly considered as a semantic category. In Turkish, all grammatical moods are marked.

When conveying the semantics of Georgian necessity, a rather interesting picture is created in Turkish. In particular, in the sentence - "himself - should be considered nobility and the peasant - peasantry" = Turkish. "Beyn bey olduğu, köylünün de köylü olduğu anlaşılmalı". Due to the particle the obligation is expressed in both languages. "This story must mean something, so it must have very beautiful eyes" = Turk. „Bu haberin bir anlamı olmalı, normalde çok güzel gözleri olmalı". The first proposition is doubtful and the second is speculative. In both cases, Turkish has the same meaning as in Georgian. "What should I be afraid of; What to be ashamed of; What should I want ...! "= Turk. „Neden korkmalıyım; neden utanmalıyım; ne isteyebilirim?" Georgian must present an interesting picture when translating the present participle forms into Turkish. "„Korkmalıyım, utanmalıyım"," = Turk. "You can read like that!" - Must also convey the action to be performed even in the particle II conjunction Turkish by means of the necessary mood signs (-MALI, -MELİ).

Comparative analysis of the forms of Georgian-Turkish verb moods clearly shows the common and different sides between the two structurally different languages. Similarities and differences relate to the relevance of semantic, grammatical and lexical means.

**Keywords:** Necessity; semantics; comparative analysis; Georgian-Turkish; peculiarities.

## Introduction

Comparing the Georgian language with languages with different structures is associated with many difficulties. It can be said that the

stylistic or grammatical differences between the languages, which often appear in relation to the semantics of necessity, are mostly the result of the peculiarities of the Georgian verb.

The Georgian verb is distinguished by its diversity and complexity. This applies to conveying the semantics of necessity according to the Georgian and Turkish material, which becomes especially visible at any level of language relations.

From the scientific literature it is known that the semantics of necessity in the Georgian language is expressed by the forms of should/must + present conjunctive, should/must + II conjunctive and should + II consequential, which often creates certain problems. This is especially true for indirect moods. Compared to ancient Georgian, the number of indirect and unrealistic moods in modern Georgian is reduced, and accordingly, the scope of using narrative moods with non-narrative content is expanding.

**Method**

In order to determine the regularity of expressing the semantics of necessity according to Georgian-Turkish material. We used both observation and data analysis methods. By means of utilising mentioned research methods, it was possible to identify and analyse the searched examples as the result of the observation.

**Reasoning and Results**

While researching the relation between the semantics of necessity and the Georgian language, we will try to determine the Georgian correspondences of the Turkish units, which will be acceptable and valuable.

The number of moods of the verb is more or less different in all languages. It is the same in Georgian and Turkish.

In the grammar of the Georgian language, mood is one of the categories of the verb. There are basically three moods in the Georgian language: narrative, conjunctive, imperative (Shanidze, 1980:107; Kvachadze, 1993:236), although there are differences of opinions in Georgian scientific literature regarding the number of moods. Some scientists consider subjunctive and conditional mood as independent

moods (Chikobava, 1952:48); G. Gogolashvili names about ten moods. Unlike others, he additionally separates such types of moods as: request, prohibitive, consequential, real and unreal (Gogolashvili, 2010: 116).

The conjunction mood in Georgian is distinguished by its special features. As is known from the linguistic literature, the conjunction mood expresses an action that is not a fact, but can happen now, happen in the future or happened in the past: to be writing, to write, to have written...

The issue of the number of connective moods in Georgian has also become controversial among scientists. It is not yet defined.

According to the scientific literature, the conjunction mood in modern literary Georgian is a grammatically expressed verb category: it is morphologically different from the narrative mood forms (Shanidze,1980:204; L. Kvachadze,1993:210-211), although this opinion is not universally recognized. Scientists, who have a completely different view are: B. Jorbenadze, G. Gogolashvili, A. Arabuli, A. Papidze. Regarding this opinion, A. Papidze talks about the contradiction that accompanies the understanding of the conjunction mood as a category. In his opinion: the inconsistency between the form and content of the conjunction mood, which sometimes makes it difficult to determine the semantics of mood, clearly points to the fact that in modern literary Georgian, the morphological category of mood, and in particular, the conjunction mood, is broken (Papidze, 1987: 59-62).

In modern literary Georgian, the connective mood is conveyed by means of three screeves. These are: I conjunctive or present conjunctive, II conjunctive and III conjunctive (Papidze, 1988:74).

With its content, the connective mood expresses an unreal action and presents it as possible, likely, desirable, etc. To express the relevant modal content, proper conjunctive mood forms are used both independently and (in most cases) together with conjunctions, modal verbs and particles. In Georgian, the content of the conjunction is also expressed by the forms of non-modal moods, with the help of certain modal words and particles. Nevertheless, in the designation of modal

semantics, the conjunctive mood plays an important role and in certain cases expands its scope (comp. II pluperfect).

In Georgian, a process is established, when the form of the narrative mood acquires the function of the conjunctive, as it happened in the case of the second pluperfect, although the opposite trend is also observed in Georgian - a significant narrowing of the scope of the use of conjunctive forms. For example, the forms of the III conjugation are sometimes replaced by the forms of the II derivation (A. Papidze, 1984:83-84).

It can be said that the forms of expression of mood are usually different depending on the language. From this point of view, very interesting cases appear when the Georgian conjunctive mood forms are translated into Turkish. Georgian conjunctive mood forms can be used in Turkish with the functions of subjunctive, conditional, optional, imperative and verb tenses.

Unlike Georgian, the number of moods in Turkish is five. These are: narrative, conditional, imperative, subjunctive and necessitative (Zeynep Korkmaz, 2017:569; Muharrem Ergin, 2009:289). Narrative, conditional (also subjunctive - Arn. Chikobava) and imperative are common to both languages. In Turkish, the necessitative mood is different, although the said mood is produced in Georgian through the modal verb "should" and the present subjunctive, II subjunctive and II conditional form.

In literary Turkish, the narrative mood is considered separately, and the other four moods are in another group. In both languages, the narrative mood is expressed by the tense forms of the verb. As for the rest, unlike Georgian, in Turkish all moods have their own sign: the conditional-subjunctive sign is **-sa / -se** (Günay Karaağaç, 2011:126). When this sign is attached directly to the stem of the verb, it expresses a wish, and when it is attached to a tense, it expresses a condition. For example: Keşke Ayşe bize gelse - I wish Ayşe would come to us... In the sentence, the conditional-optional sign -se expresses a wish, but Bugün gelirsem yarın daha gelemem - If I came today, I won't be able to come tomorrow... In the sentence -se expresses a condition.

The subjunctive sign is **-a / -e** (Tahsin Banguoğlu, 2000:468); necessitative – **-malı / -meli** (Nurettin Demir, Emine Yılmaz, 2010**:** 214)**;** The signs of the imperative are the stem of the initial form of the verb in the second person singular, in the third person singular – **-sın / -sin, -sun, -sün;** In the second person plural – **-ın / -in, -un, -ün;** In the third person plural **-sınlar / -sinler, -sunlar, -sünler** will be added to the verb (Günay Karaağaç, 2011:121).

When conveying the semantics of necessity in Georgian, a very interesting picture is created in Turkish.

As we mentioned, the content of obligation / necessity in Turkish is expressed by the morphological sign **-malı / -meli** and also the modal word **Gerek/Lazım**, used with the verb stem, corresponding to **necessary.**

The semantics of necessity in languages can be presented in different nuances: compulsion, obligation, necessity, command, wish, request, demand, opportunity, condition, hesitation, warning, surprise, confusion, anger, emphatic advice, prohibition, reinforcement, invitation; Logical explanation of something, assumption, certainty.

N. Sharashenidze, while analyzing the modal form of **should/must**, writes that the modal form of **should/must** expresses logical necessity. But this is not the only semantics that is conveyed in this modal form. The form of the verb - mood and screeve - is of great importance. In different combinations, the construction is assigned different semantics. Their different content is due to the form of the verb. Thus, this issue should be taken into account in the process of language teaching, although it should be noted that the analysis of such semantic nuances can only be done at a high level of language proficiency (Sharashenidze, 2014:84).

As we have already mentioned, the particle **should/must** together with the conjunction expresses categorical demand, obligation and necessity. In modern Georgian, the participle **should/must** is used with three screeves: the present participle, the second participle and the second participle.

## A. Present Subjunctive

As is known, the present subjunctive was formed as a separate screeve after the disintegration of the first subjunctive resulted in the formation of the present subjunctive and the present participle (Papidze, 1984:81). The present subjunctive is used with different functions in modern Georgian.

In particular, in the sentence - "Nobility should act like nobility, and peasants like peasants." = Turk. „Beyin bey olduğu, köylünün de köylü olduğu anlaşılmalı". Due to the particle **should/must** in both languages, obligation is expressed. "This story should mean something, and he should have very beautiful eyes." = Turk. „Bu haberin bir anlamı olmalı, normalde çok güzel gözleri olmalı". The first sentence is doubtful, and the second one is conjectural. In both cases, Turkish has the same meaning as in Georgian. "What should I fear; What should I be ashamed of? What should I want...!" = Turk. „Neden korkmalıyım; neden utanmalıyım; ne isteyebilirim?" When transferring the present conjunctive forms of the Georgian should/must participle into Turkish, an interesting picture is found, in particular, the first two sentences accurately express necessity „Korkmalıyım, utanmalıyım", And the last sentence conveys the meaning of opportunity „isteyebilirim", Which is one of the functions of the present participle should.

**The present subjunctive with a complex subordinate clause often expresses conditionality.** In connection with this, Papidze notes that the conditional modality of the present subjunctive can be confirmed in complex subordinate clauses replacing time-circu-mstantial independent clauses, cause, purpose... and other independent clauses (Papidze, 1984:94): if we were sitting on the other side of the table, my situation would be easier - Masanın diğer tarafına otursak durumumuz daha kolaylaşırdı.

In the Georgian literary language, such constructions of the present tense are also used in question-and-answer dialogues: if you had twice as many, what would you do? – Bundan iki kat fazla olsa ne yaparsın?

**Expressing the subjunctive content of the verb is one of the distinct and characteristic functions of the present conjunctive mood.** I wish I knew everything - Keşke her şeyi bilsem. The second conjunctive with "**I wish**" participle conveys the content of "**wishing**" in both Georgian and Turkish.

Present subjunctive mainly conveys constructions with the content of threats and appeals of the imperative mood. Be aware, you can't do that any more! – Bir daha böyle davranmamanız gerektiğini iyi bilin!

The particles **should** and **as if** are most used with the present tense: You are talking **as if we were going** to the army! – Sen öyle konuşuyorsun ki sanki askere gidiyoruz. The mentioned sentence is translated into Turkish in the present conjunctive verb form.

It is very interesting to use the present participle conjunctive, which is mainly employed for three functions:

1. **The present subjunctive, like the II subjunctive, conveys the modal content of obligation and necessity** and differs from the construction replacing the II subjunctive mainly in terms of aspect and temporal generalization. When II subjunctive forms denote an action to be performed in the future, and present subjunctive forms are indefinite in time, they are general: I should be doing this – Benim bunu yapıyor olmam gerekiyor. As we can see in the given sentence, the time is not defined.

2. **The should participle of the present subjunctive can also express the contents of doubt, assumption, reason, possibility...**: This should mean something - Bu olay bize bir şey işaret ediyor olmalı! This sentence conveys the speaker's assumption and his point of view.

3. The should participle present subjunctive is often used in rhetorical sentences, dialogues, where a question is answered by a question. (Papidze, 1984:101-103): Aren't you going - Why should I go when I have a lot to do here?- Gitmiyor musun? – Burada işim varken neden gidiyor olmalıyım?

It should also be noted that the present tense is often used without a particle, which does not prevent the desired content from

being expressed: I can't say that I understand everything - Her şeyi anlıyor olduğumu söyleyemem. In this case, the content of the "as if" particle is expressed.

**B. II Conjunctive**

As for the formation of the necessity mood, the modal verb "should" is written before the second subjunctive. For example: I have important work tomorrow, I should go to bed early – Yarın önemli işim var erken uyumalıyım. In this sentence -malı is sign of necessity.

In modern Georgian, the second subjunctive can express the necessary performance of an action in the future by means of the particle should and the modal word "necessary". For example, in the sentence – „You should not read like this!" = თუროქ. "Böyle okumamalısın!" – **should** in the second participle conjunctive in Turkish also conveys an action that must be performed through the necessitative mood signs (-Malı, -Meli): I think that the female artists should not get married - Sanatçı kadının evlenmemesi gerektiğini düşünüyorum. Sanatçı kadın evlenmemeli!

Unlike Georgian, the Turkish variant of the word **necessary** - **Gerek** is encountered with forms of different screeves and moods: **Verb stem + possessive pronoun sign + Gerek + screeve sign:**

| | |
|---|---|
| Yapmam gerekiyor | I need to do (something) |
| Yapmam gerekiyordu | I needed to do (something) |
| Yapmam gerekecek | I will need to do (something) |
| Yapmam gerekecekti | I would have needed to do (something) |
| Yapmam gerekti | I had to do (something) |
| Yapmam gerekmiş | I have needed to do (something) |
| Yapmam gerekmişti | If I needed to do (something) |
| Yapmam gerekse | If I need to do (something) |

| | |
|---|---|
| Yapmam gerekebilir | I might need to do (something) |

It is also interesting to note that the Turkish word **need** (Gerek) synonym **Lazım** doesn't have screeve signs, instead it is used with auxiliary verb forms: Yapmam lazım (= I need to do it), Yapmam lazımdı (= I needed to do it), Yapmam lazımmış (= my doing was necessary), Yapmam lazımsa (=if it was necessary for me to do). While working on the forms of semantics of necessity, we came across an interesting case, according to which future tense receptive forms are rendered in Turkish necessitative mood semantics. In this case, intonation should also be taken into consideration: I have to do it (=should do it - Yapmalıyım / Yapmam lazım), I have to go (=should go- Gitmeliyim / Gitmem lazım), I have to bring it (=should bring - Getirmeliyim / Getirmem lazım), I need to take care of it (=should take care of it - Bakmalıyım / Bakmam lazım), I need to return (=should return - Dönmeliyim / Dönmem lazım), I have to tell (=should tell - Anlatmalıyım / Anlatmam lazım) etc.

In modern Georgian, in phraseological expressions **II conjunctive** is used – no matter what he says, does, thinks… For example, in the sentence – "No matter how he hurries, it's still late." = Turk. "Ne kadar acele ederse etsin, yinede geç kalınmış" – (No matter how) in Turkish is expressed with conditional mood sign (-sa/-se), as for (hurries), it's expressed in receptive form (geç kalınmış).

Command/request/demand are closely related semantic meanings. Nuances are well visible in oral speech, where it can also be determined by intonation. Their exact separation in written texts is, in most cases, made possible by the wider context.

„You must be careful, really careful - Dikkatli, hem de çok dikkatli olmalısın". The second conjunctive with conjunction **must** conveys the content of **"warning"** both in Georgian and Turkish.

The semantics of necessity in Georgian is used in interrogative and negative forms as well. In this case, it mainly expresses the absence of necessity and obligation. When expressing the meaning of

the future must + II conjunctive sometimes the particle without must is used. For example: „He had decided not to think about it any more- O kararını vermişti. Artık bunu düşünmemesi gerekiyordu; Shouldn't we go? – Biz gitmemeli miyiz?". When expressing the first sentence into Turkish, it is necessary to use the necessitative mood sign or the word necessary in Turkish. Without it, the semantics of necessity cannot be expressed.

The semantics of necessity in the third person forms appears differently without a pronoun and it is determined according to the context: the construction "must go" expresses both desire and necessity at the same time. For those interested in the Georgian language, it is difficult to recognize which meaning it is used in. This issue is presented in Turkish with different grammatical signs and is easy to understand: He must go - gitmek istiyor expresses desire and gitmeli expresses necessity, obligation. In Georgian, without context it is impossible to determine which expresses wish and which – neccessity.

**C. II Consequential**

In modern Georgian, the second conveys past (sometimes future) time, narrative or conjunctive-conditional mood, sometimes - the semantics of unseen.

Georgian **should + II consequential** forms convey the content of past obligation/necessity, possibility, probability. Often these meanings are clarified by the context. For example, frequent meetings became boring; From now on, they should see each other less often. - Sık görüşmeler sıkıcı bir hal almıştı, bundan sonra birbirlerini daha az görmeleri gerekiyordu.", I was supposed to come yesterday, but I couldn't make it. - Dün gelmeliydim ama bir türlü gelemedim…

**II consequential** with the participle **must** also expresses necessity in the past; certainty; doubt, the assumption reached by logical conclusion: That man must have had some reason- O adamın elle tutulur bir sebebi olmalıydı; This should have been said by one of those who were with us that evening - Bunu, o akşam bizde olanlardan biri söylemiş olmalı…

Sometimes in the Georgian language, request, compulsion, necessity, assumption, doubt are conveyed by constructions containing both the II conjunctive and the II consequential: I knew that you are old friends and you were supposed to attend the party last year - Eski dostlar olduğunuzu ve bu davete geçen sene de katılmanız gerektiğini biliyordum; If Ia refused, all the property was to be transferred to Shorena - İa'nın olumsuz cevap vermesi durumunda bütün malvarlığının Şorena'ya verilmesi gerekiyordu…

Frequently, in Georgian **must + II consequential** forms are used to display future: „He was thanful that he didn't have to come up with another plan - Yeni plan hazırlamayacağı için müteşekkir olmalıydı." In this sentence, didn't have to expresses repeating what has already been done in the future.

**Must + II consequential** forms in Georgian semantically correspond to obligation/necessity (which happened before the moment of speaking): "Certain interests, certain groups were fighting each other here. Leila must have found a protector." - Burada belli başlı çıkarlar ve düşünceler birbirleri ile çatışıyorlardı. Bundan dolayı Leyla kesinlikle kendisini koruyacak birisini bulmalıydı."

**Must + II consequential** or only **II consequential** form in Georgian conveys the content of question, assumption, doubt, concern, advice and request: "My dear friend Ilia is such a kind person, that my family is grateful to him. I don't know what they would have done without him in that foreign city - Benim değerli dostum İlia o kadar iyi bir insan ki bizimkiler ondan çok memnunlar. O olmasaydı ne yapabilirlerdi bilemiyorum."

Sometimes "**can**" in the infinitive construction is replaced by the modal particle must, which has the semantics of categorical necessity somewhat weakened in the interrogative form: "It was not a suicide. I'm sure there wasn't, but how was the murder supposed to happen? – Bu bir cinayet değilmiş. Cinayet olmadığından eminim ama bu nasıl bir cinayet olabilirdi ki?" In the Turkish translation as well, depending on its content, the semantics of possibility is used.

**Must + II consequential** forms sometimes convey the semantics of a kind of reproach along with obligation / necessity: "He had to endure this attack. He had to spit on everything and disappear without a trace"- O, bütün bu saldırılara göğüs germeli, her şeyi elinin tersiyle itip arkasında iz bırakmadan ortalıktan kaybolmalıydı.“

In Georgian, the construction expressing desire, I want + the third person of II subjunctive and the third person of neccessitative construction are used in the same way, so in the first case, must has the function of an independent verb and changes according to person and number, and in the second case, it has the function of a modal verb and does not change according to person and number.

| | |
|---|---|
| I want to prepare | I should prepare |
| You want to prepare | You should prepare |
| He / She wants to prepare | He / She should prepare |
| We want to prepare | We should prepare |
| You want to prepare | You should prepare |
| They want to prepare | They should prepare |

The mentioned peculiarity to a certain extent causes misunderstanding and creates an important problem in the language teaching process. Therefore, it is necessary to take it into account. Without semantics, we will not know which carries the content of necessity and which of desire? For example, the form "should go (wants to go)" can have the content of necessity as well as desire. In Turkish, a completely different picture is created: he must go (= Turk. Gitmeli.); he wants to go (= Turk. Gitmek istiyor). Both moods are used with their own signs and therefore there is no content confusion at all. A person interested in Georgian should pay attention to the semantic side in order to avoid the mentioned misunderstanding.

As a result of our analysis, it can be seen that the main grammatical correspondence is established by the forms of II

subjunctive and II consequential. Conjunctive forms are mostly used with modal words and modal particles, independently and also without them.

As a result of the comparative analysis of the forms of semantics of necessity of the Georgian-Turkish verb, both common and different aspects between the two structurally different languages are clearly visible. Similarity and difference refer to the correspondence of semantic, grammatical and lexical means.

## REFERANCES:


Banguoğlu, Tahsin. (2000). *Grammar of Turkish*. Ankara: Turkish Language Association Publications, 528. (in Turkish).

Bersenadze-Katsitadze, Marine. (2006). *"Modality in Georgian and English",* Cand. thesis. Arnold Chikobava Institute of Linguistics. (in Georgian).

Gogolashvili, Gogi. (2010). *Georgian Verb:* Issues of Form Production. Tbilisi: publishing house Meridiani. (in Georgian).

Demir, Nurettin., Yılmaz, Emine. (2010). *Turkish Language Handbook.* Ankara: Grafiker Publications. (in Turkish).

Ergin,Muharrem. (2009). *Grammar of Turkish.* Istanbul: Bayrak Printing / Publishing / Introduction. (in Turkish).

Kvachadze, Leo. (1993). *Georgian Language.* Tbilisi: publishing house Rubikoni. (in Georgian).

Korkmaz, Zeynep. (2017). Turkey Turkish Grammar Morphology, Ankara: Turkish Language Association Publications. (in Turkish).

Papidze, Asmat. (1984). *Some Issues Related to the Functions of the Present Subjunctive.* Tbilisi. Publisher: Metsniereba. (in Georgian).

Papidze, Asmat. (1987). *"Mood Category and Functions of Conjunctions in Modern Literary Georgian",* Cand. thesis. Arnold Chikobava Institute of Linguistics. (in Georgian).

Papidze, Asmat. (1988). Present Subjunctive in Modern Georgian: The Issue of Georgian Speech Culture. Book VIII. Tbilisi.

Shanidze, Akaki. (1980). *Basics of Georgian Grammar*. Essays Vol. III. Tbilisi: TSU. publishing. (in Georgian).

Sharashenidze, Nino. (2014). *Modality Category in Georgian: Teaching Methods and Strategies for Foreigners.* International Journal of Multilingual Education #3. (in Georgian).

Chikobava, Arn. (1952*). Introduction to Linguistics*. Tbilisi: TSU. publishing. (in Georgian).

Karaağaç, Günay. (2013). *Grammar of Turkish.* Istanbul Akçay Publications. (in Turkish).

# კავკასია და ახლო აღმოსავლეთი ადრე ჰოლოცენის ხანაში[55] (უახლესი არქეოლოგიური კვლევა-ძიების მიხედვით)

**გურამ ჩხატარაშვილი**
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი. საქართველო, 6010. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35.
+995577 550930. guramchkhatarashvili@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0002-0568-979X

**ვალერი მანკო**
უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი. უკრაინა, 04210. კიევი, ვოლოდიმირ ივასიუკის 12.
+995557 378870. valery_manko@yahoo.com
ORCID: 0000-0002-2990-723X

**მერაბ ხალვაში**
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი. საქართველო, 6010. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35.
+995577 171755. m.khalvashi@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0004-5570-231X
DOI:https://doi.org/10.61671/hos.6.2023.7369

## აბსტრაქტი

სტატიაში ვრცლად არის განხილული აჭარის ტერიტორიაზე არსებული პრეისტორიული ეპოქის ორი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი - სოფ. ქობულეთი და ხუცუბანი. მოცემულია მათი შესწავლის ისტორია, თანამედროვე კვლევები და აღმოჩე-

[55] კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტის № CS-I-23-027).

ნები. ავტორები მიუთითებენ, რომ ქვის ხანის არქეოლოგიურ ძეგლთა გათხრების დროს, ნიადაგის თავისებურების გამო არ დაფიქსირებულა ძვლის ნაშთები, რაც მოგვცემდა ინფორმაციას იმდროინდელ სამონადირეო გარემოზე. ქვის არტეფაქტები - ესაა ერთადერთი ნივთიერი მტკიცებულება, რაც წარმოდგენას გვიქმნის ჩვენს რეგიონში მცხოვრები უძველეს მონადირე-შემგროვებელთა მიმართ. ამიტომ, ქვის ინდუსტრიის კომპლექსურ კვლევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ამ უკანასკნელის გაანალიზებით და სხვ. მონაცემების საფუძველზე ავტორები მეტად საინტერესო მოსაზრებას ანვითარებენ დასავლეთ ამიერკავკასიის ქვის ინდუსტრიის წარმომავლობის საკითხის შესახებ. მათი აზრით, ადრე ჰოლოცენის ხანაში ზემოთხსენებულ რეგიონში ჩნდება ქვის დამუშავების სრულიად ახალი ტექნიკა და იარაღთა ახალი სახეები, რომელიც თავდაპირველად თანამედროვე ირანისა და ერაყის ტერიტორიაზე ყალიბდება. ესაა ე.წ. მლეფაატური კულტურა, რომელიც თავის თავში აერთიანებს რამდენიმე მნიშვნელოვან ძეგლს. ქვის კომპლექსის ტექნო-ტიპოლოგიური ანალიზის შედეგად, გამოთქმულია მოსაზრება, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქვის დამუშავების ხელისწნევითი ტექნიკა, გვერდდაბლაგვებული მიკროლამელები, კაშკაშოკის ტიპის იარაღები, ე.წ. ღარიანი ქვები და სხვ. ჩნდება იმ დიდი მიგრაციული პროცესების შედეგად, რომელიც დაახლ. ძვ.წ. X ათასწლეულის დასაწყისში ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიიდან დაიწყო. აღნიშნულ მოსაზრებას ასევე ამყარებს ჩვენს ხელთ არსებული აბსოლუტური თარიღების მთელი სერია, რომელიც კარგად ასახავს უძველეს მიგრანტთა გადაადგილების მარშრუტებსა და დროს. ბუნებრივია, ამ მიმართულებით მომავალში განხორციელებული სიღრმისეული კვლევები კიდევ უფრო საინტერესო საკითხებს მოჰფენს ნათელს.

**საკვანძო სიტყვები:** კავკასია; ახლო აღმოსავლეთი; ადრე ჰოლოცენი; ქვის ინდუსტრია; მიგრაცია.

**შესავალი**

აჭარის ტერიტორია, საქართველოს სხვა მხარეების მსგავსად, ათვისებული ჩანს კაცობრიობის ისტორიის ყველაზე ადრეული პერიოდიდან - ქვის ხანიდან. XX საუკუნის 60-იან წლებში ჩვენს რეგიონში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად ქვის ხანით დათარიღებული მეტად მნიშვნელოვანი ნამოსახლარები აღმოჩნდა. ესენია: ხუცუბანი, კვირიკე, სოფ. ქობულეთი, ჯიხანჯური, მახვილაური და სხვ. (ბერძენიშვილი, ნებიერიძე, 1964: 7-16; გოგიტიძე 1978, 2008). აღნიშნული ძეგლები წარმოადგენენ „ღია ტიპის" ნამოსახლარებს, რომლებიც მდინარეებთან არსებულ ბუნებრივ ბორცვებზე მდებარეობენ. ამჟამად, არქეოლოგიური ძეგლები კერძო მესაკუთრეთა საკარმიდამო ნაკვეთშია მოქცეული, სადაც ყოველწლიური მიწის დამუშავების დროს შემთხვევით ფიქსირდება ქვის საინტერესო არტეფაქტები. სწორედ მსგავსმა შემთხვევითმა აღმოჩენებმა დაუდო სათავე აჭარის ტერიტორიაზე ქვის ხანის ძეგლების აღმოჩენას და მის მეცნიერულ კვლევა-ძიებას.

1961 წ. აჭარის შავიზღვისპირა ზოლში სადაზვერვო არქეოლოგიურ სამუშაოებს იწყებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის ქვის ხანის შემსწავლელი ჯგუფი (ნ. ბერძენიშვილი, ლ. ნებიერიძე, გ. გრიგოლია და სხვ.). მდ. კინტრიშის ხეობაში ექსპედიციამ მიაკვლია სოფ. ქობულეთისა და ხუცუბნის ნამოსახლარებს, სადაც ზედაპირული დათვალიერებისა და დაზვერვითი სამუშაოების შედეგად 5 ასეულზე მეტი არტეფაქტი შეგროვდა; 1973-1986 წწ. სოფ. ქობულეთში ნაყოფიერი საველე სამუშაოები აწარმოა არქეოლოგმა სერგო გოგიტიძემ, რომლის შედეგადაც კაჟისა და ობსიდიანის არაერთი არტეფაქტი, ე.წ. სამეურნეო ორმოები და სხვ. არქეოლოგიური ობიექტები აღმოაჩინა. პარალელურად, სამუშაოები მიმდინარეობდა ხუცუბანსა და ახლადაღმოჩენილ კვირიკეს ნამოსახლარზეც. არქეოლოგიური კამპანიების შედეგად აღმოჩნდა დიდძალი არქეოლოგიური მასალა (დაახლ. 30 000-ზე მეტი), რამაც საქართველოს პრეისტორიულ რუკაზე აჭარას მნიშვნელოვანი ადგილი მიუჩინა.

ახალი ეტაპი ქვის ხანის ძეგლთა შესწავლის საქმეში დაიწყო 2019 წ., როდესაც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფინანსებით ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ქვის ხანის შემსწავლელმა ექსპედიციამ (ექსპედიციის ხელმძღვანელი: გურამ ჩხატარაშვილი) გააგრძელა საველე არქეოლოგიური გათხრები სოფ. ქობულეთის ნამოსახლარზე. უკანასკნელ პერიოდში, საველე კვლევითი სამუშაოების არეალმა მოიცვა ხუცუბნის ნამოსახლარიც, სადაც ექსპედიციის ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყო ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ. აღსანიშნავია, რომ არქეოლოგიური კვლევები ატარებდა ინტერდისციპლინურ ხასიათს, ე.ი. ექსპედიციაში არქეოლოგების გარდა ჩართული იყვნენ საბუნებისმეტყველო დარგის სხვადასხვა სპეციალისტები - გეოლოგი, გეოქიმიკოსი, გეოფიზიკოსი, პალინოლოგი და სხვ.

არქეოლოგიური მასალის დეტალურმა ტექნო-ტიპოლოგიურმა ანალიზმა და, ასევე, ლაბორატორიული კვლევების შედეგებმა მოგვცა უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია მდ. კინტრიშის ხეობაში დაახლ. 11 000 წლის წინ მცხოვრებ მონადირე-შემგროვებელთა შესახებ. წარმოდგენილ ნაშრომში ვრცლად განვიხილავთ სოფ. ქობულეთსა და ხუცუბანში გათხრების შედეგად აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალას. გამოვყოფთ არტეფაქტთა რამდენიმე მნიშვნელოვან ჯგუფს, რომელიც ახლო აღმოსავლეთთან კავშირ-ურთიერთობების შესახებ გვაძლევს მეტად საინტერესო ინფორმაციას.

**გეოგრაფიული მდებარეობა.** სოფ. ქობულეთის და ხუცუბნის ნამოსახლარები მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, ქობულეთიდან 10-12 კმ-ის მანძილზე მდ. კინტრიშის ხეობაში არსებულ ამავე დასახელების სოფლებში. ტერიტორიულად ძეგლები მოქცეულია კოლხეთის დაბლობში, სადაც გეოგრაფიულად გავრცელებულია სუბტროპიკული კლიმატი. აღნიშნულ ზონაში წარმოდგენილია ამ კლიმატისთვის დამახასიათებელი მცენარეები, რაც დასტურდება კიდეც 2019-2022 წწ. საველე გათხრების დროს სოფ. ქობულეთსა და ხუცუბანში აღებულ პალინოლოგიურ ნიმუშებში. კერძოდ, ძვ.წ. IX-VIII ათასწლეულებით

დათარიღებულ კულტურულ ფენებში ჩანს მცენარეთა ის სახეობები, რომლებიც თბილ კლიმატსა და ტენიან ნიადაგში ხარობს. ესენია: რცხილა (Corpinus betulus), ცაცხვი (Tilia), ნეკერჩხალი (Acer), კაკალი (Juglans regia), თხილი (Corylus), ძელქვა (Zelkova) (Chkhatarashvili et. al., 2020: 224) და სხვ. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, იგი წარმოადგენს მესამეულ რელიქტს, რომელიც დღესაც კი ხარობს საქართველოში (ალაზნის ხეობა, კოლხეთის სანაპირო) თბილ ადგილებსა და დაბალ სიმაღლეზე (Kvavadze, Conor, 2005). მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ასეთივე კლიმატი უნდა ყოფილიყო ქობულეთის სხვა ტერიტორიაზეც.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც. იმის გამო, რომ ნიადაგი ნესტიანია, ქვის ხანის ნამოსახლარების გათხრების დროს არასდროს აღმოჩენილა ორგანული მასალა. ამდენად, ჩვენ არ ვიცით ცხოველთა რომელ სახეობებზე ნადირობდა იმდროინდელი ადამიანი. ამიტომ იძულებული ვართ შემოვიფარგლოთ იმ მონაცემებით, რაც ადრეჰოლოცენის ხანის ფაუნისტურ სიაში გვაქვს.

**მეთოდები**

ნაშრომზე მუშაობის დროს გამოყენებული იყო არქეოლოგიის როგორც ტრადიციული, ისე თანამედროვე მეთოდები, რამაც საშუალება მოგვცა სიღრმისეულად შეგვესწავლა მოცემული საკითხი.

- სოფ. ქობულეთის და ხუცუბნის ნამოსახლარებზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ქვის ინვენტარის შესწავლა მოხდა ფორმალურ-ტიპოლოგიური მეთოდის გამოყენებით, რომელიც განხორციელდა ჟ. ტიქსიეს (Tixie, 1974) და ხ. ამირხანოვის (Амирханов, 1987) ჰოლოცენის პერიოდის ტიპოლოგიური სქემების მიხედვით;
- არქეოლოგიური მონაპოვრების და, ზოგადად, ძეგლთა ასაკის განსაზღვრის მიზნით გამოყენებული იყო ტრადიციული შეფარდებითი (ტიპოლოგიური) ანალიზი. ჩატარებულმა კვლევებმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა სოფ. ქობუ-

ლეთის და ხუცუბნის ქვის კომპლექსების უშუალო ანალოგები საზღვარგარეთ;

- ძეგლთა აბსოლუტური თარიღების მისაღებად გამოყენებული იყო რადიოკარბონული მეთოდი ($C^{14}$ AMS), რომელიც ჩატარდა სოფ. ქობულეთისა და ხუცუბნის ხის ნახშირებზე.

**შედეგები**

სოფ. ქობულეთის და ხუცუბნის გათხრებით მეტად ტერესო არტეფაქტები გამოვლინდა. ქვის ინვენტარის ტექნოლოგიური ანალიზიდან ჩანს, რომ ნამოსახლარებზე გავრცელებული იყო ქვის დამუშავების ხელის წნევითი ტექნიკა, რომელიც გულისხმობდა კონუსისებრი და ფანქრისებრი ნუკლეუსებიდან ხელის წნევის გამოყენებით ლამელებისა და მიკროლამელების მიღებას. კოლექციაში ნუკლეუსების საერთო რაოდენობა 8 ერთეულს აღემატება. ამას გარდა, ინვენტარში წარმოდგენილია ნუკლეუსის მრგვალი ფირფიტები, რომელიც როგორც წესი, გამოიყენებოდა ნუკლეუსის სამუშაო მოედნის გასასწორებლად.

იარაღთა დასამზადებლად, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოყენებული იყო კაჟი და ობსიდიანი. კაჟი გამოირჩევა მაღალი ხარისხით. სხვადასხვა შეფერილობის მიუხედავად, როგორც ჩანს, იგი ერთი საერთო წყაროდან უნდა მომდინარეობდეს. რაც შეეხება ობსიდიანს, მათში დომინირებს გამჭირვალე და შავი ფერი. სულ დაფიქსირდა 2 356 ერთ. არტეფაქტი (ცხრილი I). მათგან 544 იარაღია (სურ. 1). იარაღებს შორის სჭარბობს რეტუშირებული ლამელები და მიკროლამელები, საჭრისები, საფხეკები, სატეხები და სხვ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მონაპოვრებში საკმაო რაოდენობით იყო წარმოდგენილი მცირე ზომის გვერდებდაბლაგვებული და თავწაკვეთილი (ტრონკირებული) მიკროლამელები (სიგანე 1-3 მმ), რომლებიც ძვლის/ხის ბუდეში თავსდებოდნენ. მსგავსი იარაღები ცნობილია როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის თანადროული ეპოქის ძეგლებიდან: ქვაჭარა (Бадер, Церетели 1989: 93-105), მირნოე (Сапожников, Сапожникова 2011: 119) და სხვ.

კაჟისა და ობსიდიანის კოლექციაში რამდენიმე ერთეულითაა წარმოდგენილი ,,კაშკაშოკის ტიპის იარაღი“. მსგავსი ტიპის იარაღები მიიღება შემდეგნაირად: ქვის გრდემლზე მოთავსებული ლამელა ჩაქუჩის დარტყმით ნაწილდება და მიიღება შუა (მედიალური) ნაწილი. ამის შემდეგ, მიღებულ მიკროარტეფაქტს უკეთდება რეტუში (სურ. 2).

აღსანიშნავია, რომ კოლექციაში რამდენიმე ეგზემპლარითაა წარმოდგენილი რიყის ქვები, რომელთაგან ერთ-ერთ საინტერესო ჯგუფს ქმნის ე.წ. „ღარებიანი ქვები“ (სურ. 3). მათი რაოდენობა სულ 3 ერთეულია. მეცნიერთა უმეტესობა ფიქრობს, რომ მსგავსი ტიპის იარაღები გამოიყენებოდნენ ძვლის სადგისის ან რაიმე სხვა წაწვეტებული საგნის დასამზადებლად (Usacheva, 2020).

**დისკუსია**

სოფ. ქობულეთის და ხუცუბნის ქვის ინდუსტრიის შესწავლით დგინდება, რომ ქვის კომპლექსი დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ე.წ. „მლეფაატურ კულტურასთან“. მლეფაატური კულტურა თანამედროვე ირანსა და ერაყის ტერიტორიაზე ჩნდება გვიან პლეისტოცენის და ადრე ჰოლოცენის ხანაში (ცხრილი 2, 1-3). მისი ძირითადი ძეგლებია: მლეფაატი (Dittermore, 1983), კარიმ შაჰირი (Howe, 1983), ჯარმო (Hole, 1987), განი დერე, ასიაბი (Kozlowski, 1999), ჩაგა სეფიდი (Hole, 1977), ალი კოში (Hole, Flannary, Neely, 1969), ჰაჯი ფირუზი (Kozlowski, 1999) და სხვ.

მლეფაატური კულტურის ძეგლები შემდეგი თავისებურებებით ხასიათდებიან:

1) ქვის დამუშავების ხელისწნევითი ტექნიკის გამოყენება ლამელებისა და მიკროლამელების მისაღებად;
2) კოლექციაში კონუსური და ფანქრისებრი ნუკლეუსების არსებობა;
3) იარაღებში გვერდდაბლაგვებული ლამელებისა და მიკროლამელების სიმრავლე;
4) სხვადასხვა ტიპის საჭრისების არსებობა: კუთხის, გვერდის, შუალა, ორკუთხა და სხვ.

5) ოვალური და მრგვალი საფხეკების გამოყენება. ბოლოკიდურა საფხეკების არსებობა;
6) „კაშკაშოკის“ ტიპის იარაღების წარმოება;
7) „ღარიანი“ ქვების არსებობა.

უკანასკნელი კვლევების თანახმად (Manko, Chkhatarashvili, 2022; Chkhatarashvili et. al., 2020), ადრე ჰოლოცენის ხანის დასაწყისში მლეფაატური კულტურის მატარებელი ტომები იწყებენ მიგრაციას კავკასიის ტერიტორიაზე. აღნიშნული მიგრაციის შედეგად, დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ჩნდება ე.წ. ქობულეთის კულტურა. აღნიშნულ კულტურაში ერთიანდება შემდეგი ძეგლები: სოფ. ქობულეთი (გოგიტიძე, 1978; 2008), ანასეული I-II (ნებიერიძე, 1972), დარკვეთის ეხის მე-V ფენა (ნებიერიძე, 1978), ზავრა, ზავრა 1-2 (გაბუნია, 2001; გაბუნია, წერეთელი 2003), ზავრა-აბლარი (Varoutsikos et. al., 2017), კვირიკე, ხუცუბანი (გოგიტიძე, 1978; Manko, Chkhatarashvili, 2022), სოსრუკო, ფენა M1-M2 (Замятнин, Акритас 1957; Леонова 2021) და სხვ.

მლეფაატური და ქობულეთის კულტურების ქვის ინვენტარის ტექნო-ტიპოლოგიური შესწავლის შედეგად რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება შეიძლება. კერძოდ:

1. ორივე კომპლექსი ერთ პერიოდში - ადრე ჰოლოცენის ხანაში თანაარსებობს; ამას ადასტურებს აბსოლუტური თარიღების სერიაც (ცხრილი 2).
2. ორივე ინდუსტრიაში წამყვანა ხელისწნევითი ტექნიკა, რაც გულისხმობს კონუსური და ფანქრისებრი ნუკლეუსების გამოყენებას. ადრე ჰოლოცენის დასაწყისამდე, ე.ი. მლეფაატური მიგრაციის დაწყებამდე დასავლეთ ამიერკავკასიის არც ერთ ძეგლებზე არ შეინიშნება ხელისწნევითი ტექნიკა. ამას ადასტურებს ჩრდ. კავკასიაში არსებული კასოჟსკაიას მღვიმის ყველაზე ახალგაზრდა თარიღიც (იხ. ცხრილი 2, 24-25).
3. ორივე ინდუსტრიაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს გვერდდაბლაგვებულ მიკროლამელებს, რომელიც ნადირობისთვის საჭირო სასროლ-სატყორცნი იარაღების ჩასართებად გამოიყენებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მნიშ-

ვნელოვანი დეტალიც. ერთადერთი ინდუსტრია, სადაც ჩანს გვერდდაბლაგვებული ლამელები, ფინალური ზედა პალეოლითია (ეპიგრავეტი). ძუძუანას მღვიმის B ფენის აბსოლუტური თარიღების თანახმად (ცხრილი 2, 26-28) (Bar-Yosef, et. al., 2011), ეპიგრავეტმა ამიერკავკასიაში იარსება ადრე ჰოლოცენის დაწყებამდე. ეპიგრავეტის ყველაზე ახალგაზრდა თარიღებთან სოფ. ქობულეთის და ხუცუბნის მონაცემების შედარებით, მივიღებთ დაახლ. 2500 წლიან ქრონოლოგიურ დიაპაზონს. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ ინდუსტრიას (გვერდდაბლაგვების) ამდენი ხანი გაეძლო.

4. ორივე კულტურის ქვის იარაღებში წამყვანი ადგილი უკავია საჭრისებს, რომლებიც მრავალფეროვნებით გამოირჩევა და რაც მთავარია, ერთმანეთთან სრულ მსგავსებას ამჟღავნებენ. იგივე ითქმის ოვალური და/თუ მრგვალი საფხეკების არსებობაზე. მსგავსებაა ბოლოკიდურა საფხეკების წარმოებაშიც;
5. კაშკაშოკის ტიპის იარაღი შეიძლება ითქვას, რომ კავკასიის ახლო აღმოსავლეთთან ურთიერთობის უტყუარი მაჩვენებელია. ახლო აღმოსავლეთის კომპლექსებში კაშკაშოკის ტიპის იარაღი ჩნდება ბორეალის ხანის ბოლოსა და ატლანტიკის პერიოდის დასაწყისში (ცხრილი 2, 17-21). რაც შეეხება დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მის გამოჩენას, იგი უნდა მომხდარიყო სწორედ ატლანტიკის პერიოდის დასაწყისში, რაც კარგად ჩანს, ხუცუბნის ქვის კოლექციის ტიპოლოგიური ანალიზით. მართალია ამის დამადასტურებელი აბსოლუტური თარიღი ჯერჯერობით არ გვაქვს, თუმცა, არაა გამორიცხული, რომ მომავალში კვლევების გაფართოების შემთხვევაში შესაბამისი მტკიცებულებაც მივიღოთ. აქვე ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ კაშკაშოკის ტიპის იარაღი რამდენიმე ეგზემპლარითაა წარმოდგენილი კინტრიშის ხეობის კიდევ ერთ მნიშნელოვან

ძეგლზე - კვირიკეში რომლის შესახებაც მოგვიანებით ცალკე გვექნება საუბარი.

6. ახლო აღმოსავლეთთან კონტაქტების საინტერესო მაგალითია სოფ. ქობულეთის ქვის კოლექციაში ე.წ. „ღარიანი" ქვების გამოჩენა. მსგავსი არტეფაქტები მლეფაატური კულტურის რამდენიმე ძეგლზე გვხვდება - ალი კოში, საბჟი, ჯარმო და სხვ. მათი გამოჩენა ახლო აღმოსავლეთისა და დასავლეთ ამიერკავკასიის კომპლექსებში დაკავშირებულია სწორედ ატლანტიკის ხანის დასაწყისთან (ცხრილი 2, 22-23).

**დასკვნა**

ახლო აღმოსავლეთისა და დასავლეთ ამიერკავკასიის ზემოთგანხილული კომპლექსების დეტალური ტექნო-ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე, გამოითქვა მოსაზრება ადრე ჰოლოცენის ხანაში თანამედროვე ირან-ერაყის ტერიტორიიდან დიდი მიგრაციული პროცესების დაწყების შესახებ. მიგრანტთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტალღა დასავლეთ ამიერკავკასიაში შემოდის, რომელიც სათავეს დაუდებს რამდენიმე მნიშვნელოვან სიახლეს როგორც საკუთრივ ქვის დამუშავებაში, ისე იარაღთა ტიპოლოგიაში: ჩნდება ახალი, მანამდე უცნობი იარაღებიც, რომლებიც შემდგომ სხვადასხვა ტერიტორიაზე ვრცელდება.

აღსანიშნავია, რომ ქვის ინვენტარის ტექნო-ტიპოლოგიური ანალიზის გარდა, მიგრაციულ პროცესებს ადასტურებს ჩვენს ხელთ არსებული აბსოლუტური თარიღების სერიაც, რომელიც, ასევე, ძალიან კარგად ასახავს მიგრანტთა გადაადგილების მარშრუტსა და დროს (ცხრილი 2).

მლეფაატური ტომების მიგრაციებზე და მათ როლზე სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე ნეოლითური კულტურის შექმნასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო მოსაზრებები აქვს მკვლევარ ვალერი მანკოს, რომელიც თანამედროვე ყირიმის ტერიტორიაზე კუკრეკის კულტურის წარმოშობას სწორედ მლეფაატელ მიგრანტებს უკავშირებს (ვრც.იხ. Манько, 2015; Manko, Chkhatarashvili, 2022).

ჩვენი აზრით, ქობულეთის კულტურა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ერთ-ერთი ადრეული კულტურაა, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მლეფაატური კულტურასთან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სამომავლოდ განხორციელებული ფართომაშტაბიანი საველე კვლევა-ძიებებისა და მუზეუმის ფონდებში არსებული კოლექციების დეტალური შესწავლის შედეგად გაიზრდება აღნიშნული კულტურის არეალი.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


ბერძენიშვილი, ნ., ნებიერიძე, ლ. (1964). *ქვის ხანის ნამოსახლარები კინტრიშის ხეობაში,* სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, *I,* თბილისი, 7-16.

გაბუნია, მ., წერეთელი, ლ. (2003). *კავკასიის მეზოლითური კულტურები,* აკცძ, № 12, თბილისი, 5-12.

გოგიტიძე, ს. (1978). *სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა,* თბილისი.

გოგიტიძე, ს. (2008). *კინტრიშის ხეობის ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლები (ქობულეთის ადრენეოლითური ნამოსახლარი),* ბათუმი.

ნებიერიძე, ლ. (1972). *დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი,* თბილისი.

ნებიერიძე, ლ. (1978). *დარკვეთის მრავალფენიანი ეხი,* თბილისი.

Амирханов, Х.А. (1987). *Чохское поселение, человек и его культура в мезолите и неолите горного Дагестана*, Москва.

Мешвелиани, Т. (2013). *К вопросу о возникновении неолита в Западной Грузии.* Археология, этнография и антропология Евразии, 2(54), с. 61-72.

Бадер, Н.О., Церетели, Л. Д. (1989). *Мезолит Кавказа*, *Мезолит СССР*, Москва, Издательство “Наука”, 93-105.

ГОЛОВАНОВА, Л.В., ДОРОНИЧЕВ, В.Б. (2012). *ИМЕРЕТИНСКАЯ КУЛЬТУРА В ВЕРХНЕМ ПАЛЕОЛИТЕ КАВКАЗА: ПРОШЛОЕ И НАСТОЯЩЕЕ, ПЕРВОБЫТНЫЕ ДРЕВНОСТИ*

*ЕВРАЗИИ,* К 60-летию Алексея Николаевича Сорокина, 59-102.

Замятнин, С. Н., Акритас, П. Г. (1957). *Археологические исследования 1957 года в Баксанском ущелье. Ученые записки Кабардино-Балкарского научно-исследовательского института, XIII.* Нальчик: Кабардино-Балкарское книжное издательство, с. 471–473.

Леонова, Е. В. (2021). *Грот Сосруко:* ревизия материалов из раскопок С. Н. Замятнина и радиоуглеродная хронология верхних слоев каменного века. *Camera Praehistorica*, 1, с. 101-119.

Манко, В. ( 2015). *Похождення кукрецькои культури,* Наукови студии, вип. 8.

Сапожников, И.В., Сапожникова, Г.В. (2011). *Каменный век,* Северо-Западного Причерноморья, Stratum plus, No 1, Санкт-Петербург, Кишинев, Одесса, Бухарест.

Akkermans, Peter M.M.G., Verhoeven, M. (2000). *Tell Sabi Abyad II – The Pre-Pottery Neolithic B Settlement.* Leiden & Istanbul: Nederlands Historisch-Archaeologisch Instituut.

Bar-Yosef, O., Belfer-Cohen, A., Mesheviliani, T., Jakeli, N. Bar-Oz, G., Boaretto, E., Goldberg, P., Kvavadze, E., Matskevich, Z. (2011). Dzudzuana: an Upper Palaeolithic cave site in the Caucasus foothills (Georgia). *Antiquity* 85, 331-349.

Chataigner, C. (1995). *La Transcaucasie au Néolithique et au Chalcolithique.* Oxford: BAR International Series.

Chkhatarashvili, G., Manko, V. (2020). Kobuleti Site: The Evidence of Early Holocene Occupation in Western Georgia. *Documenta Praehistorica*, XLVII, p. 28-35.

Chkhatarashvili, G., Manko, V., Kakhidze, A., Esakiya, K., Chichinadze, M., Kulkova, M., Streltcov, M. (2020). *The South-East Black Sea coast in the Early Holocene period (according to interdisciplinary archaeological investigations at the Kobuleti site),* Sprawozdania Archeologiczne, 72/2, 213-230.

Dittermore, M. (1983). The Soundings at M'lefaat. In L. S. Braidwood, R. J. Braidwood, B. Howe, C. A. Reed and P. J. Watson (eds),

*Prehistoric archaeology along the Zagros flanks* (= *Oriental Institute Publication* 105). Chicago: Oriental Institute of the University of Chicago, 671-692.

Golovanova, L. V., Doronichev, V. B., Doronicheva, E. V., Tregub, T. F., Volkov, M. A., Spasovskiy, Y. N., Petrov, A. Yu., Maksimov, F. E., Nedomolkin, A. G. (2020). Dynamique du climat et du peuplement du Caucase Nord-Central au tournant du Pléistocène et de l'Holocène. *L'anthropologie*, 124(2), p. 1-20.

Hole, F., Flannary, K.V., Neely, J.A. (1969). *Prehistory and Human Ecology of Deh Luran Plain. An Early Village Sequence from Khuzistan, Iran*. Michigan: Ann Arbor.

Hole, F. (1977). *Studies in the archeological history of the Deh Luran plain. The Excavation of Chagha Sefid* (= *Memories of the Museum of Anthropology. University of Michigan* 9). Ann Arbor: Museum of Anthropology, University of Michigan.

Hole, F. (1987). Chronologies in the Iranian Neolithic, In: Aurenche et al. (eds.), Chronologies in the Near East: relative chronologies and absolute chronology 16.000-4.000 B.P. : C.N.R.S. International symposium, Lyon (France) 24-28 November 1986, BAR International Series 379, Oxford, 353 – 379.

Howe, B. 1983. Karim Shahir. In L. S. Braidwood, R. J. Braidwood, B. Howe, C. A. Reed and P. J. Watson (eds), *Prehistoric Archaeology along The Zagros Flanks* (= *Oriental Institute Publication* 105). Chicago: Oriental Institute of the University of Chicago, 23-154.

Kozłowski, S.K. (1994). Radiocarbon Dates from Aceramic Iraq, Radiocarbon 36, 255–264.

Kozłowski, S. K. (1999). *The Eastern Wing of Fertile Crescent: Late Prehistory of Great Mesopotamian Lithic Industries.* Oxford: BAR International Series.

Kvavadze, E.V., Connor, S.E. (2005). Zelkova carpinifolia (Pallas) K. Koch in Holocene sediments of Georgia – an indicator of climatic optima. *Review of Palaeobotany and Palynology*, 133, 69-89.

Matsutani, T. (1991). Excavation Report on Kashkashok II. Institute of Oriental Culture.
Manko, V., Chkhatarashvili, G. (2022). Transcaucasia and Neolithic of south of Eastern Europe, Archaeology, 2022, № 2.
Nishiaki, Y. (1996). Side-Blow Blade-Flakes from Tell Kashkashok II, Syria: a technological study, *Neolithic chipped stone industries of the Fertile Crescent, and their contemporaries in Adjacent regions, Studies in Early Near Eastern Production, Subsistence, and Environment 3,* Berlin, Ex-Oriente, 311-326
Tixier, J. (1974). Glossary for the description of stone tools, with special reference to the Epipaleolithic of the Maghreb, Newsletter of Lithic Technology: Special Publication, p. 3-40.
Usacheva, I. (2020). The earliest transverse grooved stone of Eurasia: Near Eastern distribution, types and chronology, Journal of Lithic Studies, vol. 7, nr. 3-20.
Varoutsikos, B., Mgeladze, A., Chahoud, J., Gabunia, M., Agapishvili, T., Martin, L., Chataigner, C. (2017). From the Mesolithic to the Chalcolithic in the South Caucasus: New Data from the Bavra Ablari Rock Shelter. In: Batmaz, A., Bedianashvili, G., Michalewicz, A., Robinson, A. (eds.). Context and Connection: Essays on the Archaeology of the Ancient Near East in Honour of Antonio Sagona. Leuven: Peeters, p. 233-255.

**ცხრილი 1.** სოფ. ქობულეთი და ხუცუბანი. კაჟისა და ობსიდიანის კომპლექსი.

| არტეფაქტი | ს. ქობულეთი | % | ხუცუბანი | % |
|---|---|---|---|---|
| ნუკლეუსი | 3 | 0,26 | 5 | 0,92 |
| ფირფიტა | 4 | 0,31 | 7 | 1,29 |
| სასაჭრისე ჩამონატეხი | 9 | 0,70 | 5 | 0,92 |
| ლამელა (1,2 სმ-ზე მეტი) | 25 | 1,79 | 68 | 12,5 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლამელა (0,6-1,2 სმ) | 194 | 15,2 | 102 | 18,8 |
| მიკროლამელა (0,6 სმ-ზე ნაკლები) | 159 | 12,50 | 9 | 1,66 |
| პირველადი ანატკეცი | 6 | 0,47 | 33 | 6,09 |
| მეორადი ანატკეცი | 272 | 21,40 | 282 | 52,12 |
| ქერცლისებრი ანატკეცი | 378 | 29,74 | 20 | 3,29 |
| ანამტვრევი | 221 | 17,38 | 10 | 1,84 |
| **იარაღები** | **262** | **17,09** | **282** | **34,26/100%** |
| საფხეკი | 15 | 5,73 | 46 | 16,31 |
| საჭრისი | 62 | 23,66 | 136 | 48,23 |
| რეტუშირებული ლამელა | 89 | 33,97 | 47 | 16,67 |
| გვერდამორარული ლამელა | 27 | 10,31 | 29 | 10,28 |
| რეტუშირებული ანატკეცი | 9 | 3,44 | 7 | 2,48 |
| გვერდდაბლაგვებული მიკროლამელა | 25 | 9,54 | 8 | 2,84 |
| კაშკაშოკის ტიპის იარაღი | 0 | 0 | 5 | 1,77 |
| „ღარიანი“ ქვა | 3 | 1,14 | 0 | 0 |
| თავწეკვეთილი მიკროლამელა | 19 | 7,25 | 1 | 0,35 |
| სატეხი | 12 | 4,58 | 3 | 1,06 |
| საჭრის-საფხეკი | 1 | 0,38 | 0 | 0 |
| **ჯამი** | **1533** | **100** | **823** | **100%** |

**ცხრილი**. 2. აბსოლუტური თარიღები.

| № | BP | ლაბ. ინდექსი | ნიმუში | ძეგლი | პუბლიკაცია |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 10850 ±200 | Gd-4465 | ნახშირი | მლეფაატი | Kozłowski 1994 |
| 2 | 10890 | Gd-6150 | ნახშირი | მლეფაატ | Kozłowski |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ±140 | | | ი | 1994 |
| 3 | 10425 ±145 | UCLA-305 | ? | ჩაგა სეფიდი | Hole 1977 |
| 4 | 9700 ±140 | ? | ? | ბავრა | გაბუნია, წერეთელი, 2003 |
| 5 | 10250 ± 50 | Poz-61367 | კბილი | ბავრა-აბლარი | Varoutsikos, et al. 2017 |
| 6 | 9530 ± 40 | Poz-66742 | ნახშირი | ბავრა-აბლარი | Varoutsikos, et al. 2017 |
| 7 | 9410 ± 40 | Poz-61370 | ნახშირი | ბავრა-აბლარი | Varoutsikos, et al. 2017 |
| 8 | 9420 ± 40 | BETA - 363172 | ნახშირი | ბავრა-აბლარი | Varoutsikos, et al. 2017 |
| 9 | 8670± 30 | BETA - 393559 | ძვალი | ბავრა-აბლარი | Varoutsikos, et al. 2017 |
| 10 | 9720± 45 | OS-90615 | ნახშირი | ანასეულო 1 | Мешвелиани 2013 |
| 11 | 9540± 40 | OS-78999 | ნახშირი | ანასეულო 1 | Мешвелиани 2013 |
| 12 | 8260± 35 | OS-78998 | ნახშირი | ანასეულო 1 | Мешвелиани 2013 |
| 13 | 8670± 100 | SPb-3084 | ნახშირი | სოფ. ქობულეთი | Chkhatarashvili, Manko, 2020 |
| 14 | 9629± 37 | FTMC-LD04-1 | ნახშირი | ხუცუბანი | გამოუქვეყნებელი |
| 15 | 9960± 140 | LU-9477 | ძვალი | სოსრუკო | Golovanova et al. 2020 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16 | 9945± 35 | IGANams -7988 | ძვალი | სოსრუკო | Леонова 2021 |
| 17 | 7880± 110 | TK-859 | ? | კაშკაშოკ ი 2 | Matsutani 1991 |
| 18 | 7730± 90 | TK-803 | ? | კაშკაშოკ ი 2 | Matsutani 1991 |
| 19 | 7720± 50 | GrN- 24248 | ნახშირი | საბი აბიადი | Akkermans, Verhoeven 2000 |
| 20 | 6930± 45 | GrN- 26924 | ნახშირი | საბი აბიადი | Akkermans, Verhoeven 2000 |
| 21 | 7269± 86 | P-455 | ნახშირი | ჰაჯი ფირუზი | Chataigner 1995 |
| 22 | 7820± 190 | I-1494 | ნახშირი | ალი კოში | Hole 1987 |
| 23 | 7220± 160 | I-1495 | ნახშირი | ალი კოში | Hole 1987 |
| 24 | 11000 ± 150 | Spb-128 | ? | კასოჟკაი ა | Golovanova , Doronichev , 2012 |
| 25 | 10550 ±130 | Spb-130 | ? | კასოჟკაი ა | Golovanova , Doronichev , 2012 |
| 26 | 13860 ± 90 | RTT-3278 | ძვალი | მუძუანა, B ფენა | Bar-Yosef et al., 2011 |
| 27 | 13250 ± 70 | RTT-3821 | ძვალი | მუძუანა, B ფენა | Bar-Yosef et al., 2011 |
| 28 | 11500 ± 75 | RTT-3282 | ძვალი | მუძუანა, B ფენა | Bar-Yosef et al., 2011 |

## ილუსტრაციების აღწერა:

**სურ. 1.** ადრე ჰოლოცენის ხანის არქეოლოგიური ძეგლები, სადაც დადასტურებულია ხელისწნევითი ტექნიკა და გვერდდაბლაგ-ვებული მიკროლამელები.

1 - ალი კოში; 2 - ჩაგა სეფიდი; 3 - ტეპე გურანი; 4 - საბჟი; 5 - სარაბი; 6 - ასიაბი; 7 - განი დარე; 8 - ჯარმო; 9 - კარიმ შაჰირი; 10 - მლეფაატი; 11 - ჰაჯი ფირუზი; 12 - ბავრა, ბავრა I-II, ბავრა-აბლარი; 13 - სოფ. ქობულეთი, ხუცუბანი, კვირიკე; 14 - ანასეული I; 15 - დარკვეთის ეხი; 16 - სოსრუკო



**სურ. 2.** ქვის იარაღთა კომპლექსი ახლო აღმოსავლეთისა და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი არქეოლოგიური ძეგლიდან (Howe, 1983, სურ. 12, 1-3; Golovanova et. al., 2020, სურ. 6, 9; Manko, Chkhatarashvili, 2022, სურ. 2; Nishiaki 1996, სურ. 3).

1-5 ნუკლეუსი; 6-13 გვერდდაბლაგვებული მიკროლამელები; 14-22 საჭრისები; 23-25 საფხეკები; 26 - სატეხი; 27-29 ,,ღარიანი ქვები“; 30-31 კაშკაშოკის ტიპის იარაღი



# The Caucasus and the Middle East in the early Holocene[56] (According to recent archaeological research)

**Guram Chkhatarashvili**
Batumi Shota Rustaveli State University
Assistant-Professor of Department of History,
Archaeology and Ethnology. Georgia,
6010. Batumi, Ninoshvili Str., 32/35.
+995577 550930. guramchkhatarashvili@bsu.edu.ge
ORCID: 0000-0002-0568-979X
**Valery Manko**
Institute of Archaeology of
Ukrainian National Academy of Sciences
Phd. Ukraine,
04210. Kiyv, Volodimira Ivasjuka 12.
+995557 378870. valery_manko@yahoo.com
ORCID: 0000-0002-2990-723X
**Merab Khalvashi**
Batumi Shota Rustaveli State University
Professor of Department of History,
Archaeology and Ethnology. Georgia,
6010. Batumi, Ninoshvili Str., 32/35.
+995577 171755. m.khalvashi@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0004-5570-231X
DOI:https://doi.org/10.61671/hos.6.2023.7369

## Abstract

The article provides a comprehensive account of two significant prehistoric archaeological sites located in Adjara - Kobuleti village and Khutsubani, including their history, modern investigations, and findings. The authors highlight that bone remains were not uncovered during the excavation of Stone Age archaeological sites due to the soil's

[56] This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (grant number CS-I-23-027).

peculiarities. These remains could have shed light on the hunting environment of that era. Stone artifacts provide insight into the lives of ancient hunter-gatherers in our regionThus, a thorough examination of the stone industry is very important. According to this analysis the authors, a fascinating conclusion is drawn regarding the origins of the Western Transcaucasia stone industry. During the early Holocene era, a new method of stone processing and various types of tools emerged within the aforementioned region. This innovative approach was originally developed in the territory of Iran and Iraq. It's a Mlefaatien culture, which comprises of many significant sites. After conducting a techno-typological analysis of the stone complex, it is believed that hand pressure techniques, backed microblades, Kashkashok side-blow blade-flakes, grooved tools etc. emerged in Western Georgia result of the great migration process from Middle East in the beginning of the 10th millennia BC. This view is supported by the complete range of precise dates, which accurately reflect the migrations ways and times of the early migrants. Additional inquiries in this field, conducted in the future, will undoubtedly uncover even more fascinating insights.

**Keywords:** Caucasus; Middle East; early Holocene; stone industry; migration.

## Introduction

The territory of Ajara, like other parts of Georgia, has been exploited from the earliest period of human history - the Stone Age. In the 60s of the 20th century, archaeological research in our region was found to be very important settlements dating back to the Stone Age. These include Khutsubani, Kvirike, village. Kobuleti, Jikhanjuri, Makhvilauri and others. (Berdzenishvili, Nebieridze, 1964: 7-16; Gogitidze 1978, 2008). These sites are "open-air" type settlements on the natural hills near the rivers. Currently, archaeological sites are located in the homestead of private owners, where there are accidental artifacts of stone during annual land cultivation. It is precisely such random

discoveries that led to the discovery of Stone Age monuments in the Adjara territory and its scientific research.

In 1961, the Institute of History and Archeology of Iv. Javakhishvili started archaeological fieldwork (N. Berdzenishvili, L. Nebieridze, G. Grigolia, and others) in the Black Sea region. The expedition uncovered the Kobuleti and Khutsubani archaeological sites, where more than 500 flint and obsidian artifacts were discovered.From 1973 to 1986, archaeologist Sergo Gogitidze conducted extensive archaeological investigations in Kobuleti, resulting in the discovery of numerous artifacts, pits, and other archaeological objects. Simultaneously, works were also carried out on Khutsubani and the recently discovered Kvirike site. These archaeological campaigns uncovered a significant amount of material, estimated at approximately 30,000 items, establishing Adjara's prehistoric significance on the map of Georgia.

The new phase in the study of the Ajara Stone Age sites began in 2019, when the expedition of Batumi Archaeological Museum (head of expedition: Guram Chkhatarashvili) continued the archaeological fildwork in Kobuleti. The Batumi Shota Rustaveli State University financed these excavations. Recently, the field research area has also included the Khutsubani site, which was financed by the Kobuleti Municipality. It is worth mentioning that the archaeological studies undertaken were interdisciplinary and involved not only archaeologists but also various specialists in the Natural Sciences field, such as geologists, geochemists, geophysicists, palynologists, and others.

Detailed techno-typological analysis of archaeological material and the results of laboratory studies have given us the most important information about hunter-gatherers from Kintrishi valley lived there about 11,000 years ago. In this work, we will discuss in detail the material discovered in Kobuleti and Khutsubani during archaeological excavations. In this paper, we will discuss in detail the material discovered in Kobuleti and Khutsubani during archaeological excavations. We separated some important groups of artifacts, which provide very interesting information about connections with the Middle East.

## Geographical Location

The settlements of Kobuleti and Khutsubani are situated in western Georgia, located 10-12 km from Kobuleti, within the villages bearing the same name in the Kintrish valley. The sites are territorially located in the Colkheti plain, where there is a geographically wide-spread subtropical climate. The flora characteristic of this climate is present in the mentioned zone, as confirmed by palynological samples collected during excavations in Kobuleti and Khutsubani. In the cultural layers dating back to the 9th-8th millennia, researchers identified various plants that flourish in warm and moist soil, such as hornbeam (Corpinus betulus), lime (Tilia), maple (Acer), walnut (Juglans regia), hazel (Corylus), and Zelkova (Chkhatarashvili et al., 2020: 224). Regarding the latter, it is a relic from the Tertiary period that still grows in Georgia today, specifically in warm locations and at low altitudes along the Alazani Valley and Kolkheti coast (Kvavadze, Conor, 2005). It is feasible to assume that the same climate may have been present in other parts of Kobuleti based on the provided info-rmation.

It is significant to note that due to the moist soil, no organic matter has ever been discovered during Stone Age settlement excav-ations.Thus, the specific animals that were hunted by humans during that time remain unknown. Consequently, we must confine ourselves to the information contained in the Early Holocene faunistic list.

## Methods

Both traditional and modern archaeological methods were utilized in the research, facilitating a comprehensive study of the issue.

- The study of Kobuleti and Khutsubani materials were carried out formal-typological method of J. Tixie (Tixie, 1974) and Kh. Amirkh-anov (Amirkhanov, 1987) typological scheme of the Holocene period.
- Traditional typological analysis was utilized to ascertain the age of archaeological discoveries and sites. The research conducted enabled us to identify the analoggys of Kobuleti and khutsubani stone industry in abroad.

- In order to obtain the absolute ages of the sites were used the Radiocarbon method ($C^{14}$ AMS) on charcoals from Kobuleti and Khutsubani.

**Results**

The Kobuleti and Khutsubani excavations have uncovered important artifacts. The technological analysis of the stone industry demonstrates the utilization of the hand pressure technique to process conical and pencil-like cores. The collection houses over 8 units of cores. Furthermore, there are also tablets present that were typically used to correct the core platform.

Flint and obsidian were main source to process the tools. Flint is distinguished by its high quality. Despite the different colors, it seems that it has to come from one source. As for the obsidian, they are dominated by a transparent and black color. All artifacts are 2 356 unit (Table I). Among them 544 unit are tools (Fig. 1). There are various types of tools, such as retouched blades, burins, scrapers, chisels etc. The group backed and truncated microblades (width of 1-3 mm) are particularly interesting. These micro tools can be inserted into bone or wood. Similar tools have been discovered at sites both in Georgia and abroad, such as Kvachara (Bader, Tsereteli 1989: 93-105), Mirnnoe (Sapozhnikov, Sapozhnikova 2011: 119), and others.

In flint and obsidian collection features several units of "Kashkashok side-blow blade-flakes". Similar tools are obtained as follows: wooden hummer is struck on the dorsal side of the plate on a stone anvil. This technique of blade segmentation was used to obtain narrow blade segments. The place of the chipping was retouched (Fig. 2).

Notably, the collection contains numerous cobblestones, one of which forms a fascinating assembly of "grooved tools" (Fig. 3). A total of three units have been recorded.It is widely believed by many scientists that these tools were utilized in the creation of bone awls or other pointed objects (Usacheva, 2020).

**Discussion**

The study of the Kobuleti and Khutsubani stone industry shows that the complexs has a great resemblance to the so called Mlefaatien

culture. This culture appears in the modern territory of Iran and Iraqi in the late Pleistocene and Early Holocene (Table 2, 1-3). The main sites of this culture are: Mlefaat (Dittermore, 1983), Karim Shahir (Howe, 1983), Jarmo (Hole, 1987), Gand Dareh, Asiab (Kozlowski, 1999), Chaga Safid (Hole, 1977), Ali Kosh (Hole, Flannary , Neely, 1969), Hajji Firuz (Kozlowski, 1999) etc.

Mlefaatien culture sites are characterized by the following peculiarities:
1) The use of hand pressure technique for obtaining blades, bladelets, and microblades
2) the presence of conical and pencil like core in the collection;
3) abundance of backed bladelets and microblades in the tools;
4) The presence of different types of burins: angle, dihedral, bilaterial, etc.
5) Use of oval and round scrapers. The presence of endsrapers;
6) Production of "Kashkashok side-blow blade-flakes" tools;
7) Presence of "grooved tools".

According to the latest studies (Manko, Chkhatarashvili, 2022; Chkhatarashvili et. al., 2020), at the beginning of the early Holocene, the tribes carrying the Mlefaatien culture begin to migrate to the territory of the Caucasus. As a result of the mentioned migration, the so-called Kobuleti culture appeared. This cultre are include following archaeological sites: Kobuleti (Gogitidze, 1978; 2008), Anaseuli I-II (Nebieridze, 1972), Darteti rockshelter layer V (Nebieridze, 1978), Bavra, Bavra I-II (Gabunia, 2001; Gabunia, Tsereteli 2003), Bavra- Abl-ari (Varoutsikos et. al., 2017), Kvirike, Khutsubani (Gogitidze, 1978; Manko, Chkhatarashvili, 2022), Sosruko, layer M1-M2 (Zamjatnin, Akritas, 1957; Leonova, 2021) and others.

As a result of the techno-typological study of the stone industry of the Mlefaatien and Kobuleti cultures, several important conclusions can be made. In particular:
1. Both complexe coexisted in one period - early Holocene; This is also confirmed by the series of absolute dates (Table 2).

2. Both industry used the hand pressure techniques involving the conic and pencil like cores. Before the beginning of the Holocene, i.e. Before the start of the Mlephaatien migration, none of the sites of the Western Transcaucasia show hand pressure technique. This is confirmed by the youngest date of the Kasozhskaya cave in the North Caucasus (see Table 2, 24-25).

3. One of the leading places in both industries is hold the backed microblades, which were used to insert tools for hunting. One important detail should be noted here. The only industry where we have backed microblades is the Final Upper Palaeolithic (Epigravettian culture). According to the absolute dates of layer B of Dzudzuana Cave (Table 2, 26-28) (Bar-Yosef, et. al., 2011), Epigravetian industry existed in Transcaucasia before the beginning of the Holocene. With the youngest dates of the Epigravettian comparing the absolute data from Kobuleti and Khutsubani, we get approx. 2500 year chronological range. Taking into account the mentioned circumstances, we consider it impossible that the mentioned industry (backed) could last so long.

4. Among the stone tools of both cultures, the leading place is occupied by burins, which are distinguished by diversity and, most importantly, show complete similarity with each other. The same applies to the presence of oval and/or round scrapers. There is a similarity in the production of endscrapers;

5. Kashkashok side-blow blade-flakes can be said to be an unmistakable indicator of the relationship between the Caucasus and the Middle East. In Near Eastern complexes, Kashkashok-type tools appear in the late Boreal and early Atlantic periods (Table 2, 17-21). As for its appearance in the territory of the Western Transcaucasia, it should have happened at the beginning of the Atlantic period, which is clearly seen by the typological analysis of the Khutsubani stone collection. It should be emphasized here that the Kashkashok side-blow blade-flakes is represented in several copies on another significant site of the Kintrishi valley - Kvirike, about which we will talk separately later.

6. An interesting example of contacts with the Middle East in Kobuleti stone collection is the appearance of "grooved tools". Similar artifacts can be found on several sites of the Mlefaatien culture - Ali Koshi, Sabzhi, Jarmo and others. Their appearance in the complexes of the Middle East and Western Transcaucasia is associated with the beginning of the Atlantic Age (Table 2, 22-23).

**Conclusion**

Based on the detailed techno-typological analysis of the above-mentioned complexes of the Middle East and Western Transcaucasia, an opinion was expressed about the beginning of large migration processes from the territory of modern Iran-Iraq in the early Holocene era. One of the important waves of migrants enters the Western Transcaucasia, which will give rise to several important innovations both in the actual stone processing and in the typology of tools: new, previously unknown tools also appear, which then spread to different territories.

It is worth noting that, in addition to the techno-typological analysis of the stone industry, the migration processes are confirmed by the series of absolute dates at our disposal, which also very well reflect the route and time of migration of migrants (Table 2).

Researcher Valery Manko has very interesting opinions on the migrations of the Mlefaatian culture and their role in the creation of the Neolithic culture in the territory of South-Eastern Europe, who connects the origin of the Kukrek culture in the territory of modern Crimea with the Mlefaatian migrants (for details, see Манко 2015; Manko, Chkhatarashvili, 2022).

In our opinion, the Kobuleti culture is one of the earliest cultures in the territory of southwestern Georgia, which is directly related to the Mlefaat culture. We think that in the future, as a result of large-scale field research and detailed study of the collections in the museum funds, the area of the mentioned culture will increase.

**Table 1.** Kobuleti and Khutsubani. Flint and Obsidian complexs.

| Artifacts | Kobuleti | % | Khutsubani | % |
|---|---|---|---|---|
| Core | 3 | 0,26 | 5 | 0,92 |
| Tablettes | 4 | 0,31 | 7 | 1,29 |
| Burin spalls | 9 | 0,70 | 5 | 0,92 |
| Blade (1.2 – cm.) | 25 | 1,79 | 68 | 12,5 |
| Bladelet (0,6-1,2 cm.) | 194 | 15,2 | 102 | 18,8 |
| Microblade (0.6 cm less) | 159 | 12,50 | 9 | 1,66 |
| Primary flakes | 6 | 0,47 | 33 | 6,09 |
| Secondary flakes | 272 | 21,40 | 282 | 52,12 |
| Chips | 378 | 29,74 | 20 | 3,29 |
| Chunks | 221 | 17,38 | 10 | 1,84 |
| **Tools** | **262** | **17,09** | **282** | **34,26/ 100%** |
| Scrapers | 15 | 5,73 | 46 | 16,31 |
| Burins | 62 | 23,66 | 136 | 48,23 |
| Retouched blade | 89 | 33,97 | 47 | 16,67 |
| Notched Blades | 27 | 10,31 | 29 | 10,28 |
| Retouched flakes | 9 | 3,44 | 7 | 2,48 |
| Backed microblades | 25 | 9,54 | 8 | 2,84 |
| Kashkashok side-blow blades flakes | 0 | 0 | 5 | 1,77 |
| „Grooved tools” | 3 | 1,14 | 0 | 0 |
| Truncated microblades | 19 | 7,25 | 1 | 0,35 |
| Chisels | 12 | 4,58 | 3 | 1,06 |
| Burin-Endsraper | 1 | 0,38 | 0 | 0 |
| **TOTAL** | **1533** | **100** | **823** | **100%** |

**Table 2.** Absolue dates.

| № | BP | Lab. Index | Sample | Site | Publication |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 10850±200 | Gd-4465 | Charcoal | M'lefaat | Kozłowski 1994 |
| 2 | 10890±140 | Gd-6150 | Charcoal | M'lefaat | Kozłowski 1994 |
| 3 | 10425±145 | UCLA-305 | ? | Chaga Sefid | Hole 1977 |
| 4 | 9700 ±140 | ? | ? | Bavra | Gabunia, Tsereteli, 2003 |
| 5 | 10250 ± 50 | Poz-61367 | Tooth | Bavra-Ablari | Varoutsikos, et al. 2017 |
| 6 | 9530 ± 40 | Poz-66742 | Charcoal | Bavra | Varoutsikos, et al. 2017 |
| 7 | 9410 ± 40 | Poz-61370 | Charcoal | Bavra | Varoutsikos, et al. 2017 |
| 8 | 9420 ± 40 | BETA -363172 | Charcoal | Bavra | Varoutsikos, et al. 2017 |
| 9 | 8670±30 | BETA -393559 | Bone | Bavra | Varoutsikos, et al. 2017 |
| 10 | 9720±45 | OS-90615 | Charcoal | Anaseuli I | Meshveliani, 2013 |
| 11 | 9540±40 | OS-78999 | Charcoal | Anaseuli I | Meshveliani, 2013 |
| 12 | 8260±35 | OS-78998 | Charcoal | Anaseuli I | Meshveliani, 2013 |
| 13 | 8670±100 | SPb-3084 | Charcoal | Kobuleti | Chkhatarashvili, Manko, 2020 |
| 14 | 9629±37 | FTMC-LD04-1 | Charcoal | Khutsubani | Unpublished |
| 15 | 9960±140 | LU-9477 | Bone | Sosruko | Golovanova et al. 2020 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16 | 9945±35 | IGANams-7988 | Bone | Sosruko | Leonova 2021 |
| 17 | 7880±110 | TK-859 | ? | Kashkashok 2 | Matsutani 1991 |
| 18 | 7730±90 | TK-803 | ? | Kashkashok 2 | Matsutani 1991 |
| 19 | 7720±50 | GrN-24248 | Charcoal | Sabi Abyad | Akkermans, Verhoeven 2000 |
| 20 | 6930±45 | GrN-26924 | Charcoal | Sabi Abyad | Akkermans, Verhoeven 2000 |
| 21 | 7269±86 | P-455 | Charcoal | Hajji Firuz | Chataigner 1995 |
| 22 | 7820±190 | I-1494 | Charcoal | Ali Kosh | Hole 1987 |
| 23 | 7220±160 | I-1495 | Charcoal | Ali Kosh | Hole 1987 |
| 24 | 11000 ± 150 | Spb-128 | ? | Kasozhskaia | Golovanova, Doronichev, 2012 |
| 25 | 10550±130 | Spb-130 | ? | Kasozhskaia | Golovanova, Doronichev, 2012 |
| 26 | 13860 ± 90 | RTT-3278 | Bone | Dzudzuana (B) | Bar-Yosef et al., 2011 |
| 27 | 13250 ± 70 | RTT-3821 | Bone | Dzudzuana (B) | Bar-Yosef et al., 2011 |
| 28 | 11500 ± 75 | RTT-3282 | Bone | Dzudzuana (B) | Bar-Yosef et al., 2011 |

**References:**


Amirhanov, H.A. (1987). Chohskoe poselenie, chelovek i ego kul'tura v mezolite i neolite gornogo Dagestana (Chokh settlement, man and his culture in the Mesolithic and Neolithic of mountainous Dagestan), Moskva (in Russian)

Akkermans, Peter M.M.G., Verhoeven, M. (2000). *Tell Sabi Abyad II – The Pre-Pottery Neolithic B Settlement.* Leiden & Istanbul: Nederlands Historisch-Archaeologisch Institut.

Bader, N.O., Cereteli, L.D. (1989). Mezolit Kavkaza (Mesolithic of the Caucasus), Mezolit SSSR, Moskva, 93-105 (in Russian)

Bar-Yosef O. Belfer-Cohen A. Mesheviliani T. Jakeli N. Bar-Oz G. Boaretto E. Goldberg P. Kvavadze E. and Matskevich Z. (2011). Dzudzuana: an Upper Palaeolithic cave site in the Caucasus foothills (Georgia). *Antiquity* 85, 331-349

Berdzenishvili n., nebieridze l. (1964). kvis khanis namosakhlarebi k'int'rishis kheobashi (Stone age sites in Kintrishi gorge), samkhret-dasavlet sakartvelos dzeglebi, I, tbilisi, 7-16 (in Georgian).

Chataigner, C. (1995). *La Transcaucasie au Néolithique et au Chalcolithique*. Oxford: BAR International Series.

Chkhatarashvili, G., Manko, V. (2020). Kobuleti Site: The Evidence of Early Holocene Occupation in Western Georgia. *Documenta Praehistorica*, XLVII, p. 28-35.

Chkhatarashvili G., Manko V., Kakhidze A., Esakiya K., Chichinadze M., Kulkova M., Streltcov M. (2020). The South-East Black Sea coast in the Early Holocene period (according to interdisciplinary archaeological investigations at the Kobuleti site), Sprawozdania Archeologiczne, 72/2, 213-230

Dittermore M. (1983). The Soundings at M'lefaat. In L. S. Braidwood, R. J. Braidwood, B. Howe, C. A. Reed and P. J. Watson (eds), *Prehistoric archaeology along the Zagros flanks* (= *Oriental Institute Publication* 105). Chicago: Oriental Institute of the University of Chicago, 671-692.

Gabunia, m., Ts'ereteli, l. (2003). k'avk'asiis mezolituri k'ult'urebi (Mesolithic Cultures of Caucasus), ak'tsdz, № 12, Tbilisi, 5-12 (in Georgian).

Gogit'idze, s. (1978). samkhret-aghmosavlet shavizghvisp'iretis neolituri k'ult'ura (*The Neolithic Culture of the South- Eastern Black Sea Littoral)*, Tbilisi (in Georgian).

Gogit'idze, s. (2008). k'int'rishis kheobis kvis khanis arkeologiuri dzeglebi (*The Archaeological Sites of the Stone Age in the Kintrishi Valley)*, Batumi (in Georgian)

Golovanova, L.V., Doronichev, V.B. (2012). Imeretinskaja kul'tura v verhnem paleolite kavkaza: proshloe I nastojashee, Pervobytnye drevnosti Evrazii (Imereti culture in the Upper Paleolithic of the Caucasus: Past and present, primitive ancienties of Eurasia), K 60-letiju Alekseja Nikolaevicha Sorokina, 59-102 (in Russian)

Golovanova, L. V., Doronichev, V. B., Doronicheva, E. V., Tregub, T. F., Volkov, M. A., Spasovskiy, Y. N., Petrov, A. Yu., Maksimov, F. E., Nedomolkin, A. G. (2020). Dynamique du climat et du peuplement du Caucase Nord-Central au tournant du Pléistocène et de l'Holocène. *L'anthropologie*, 124 (2), 1-20.

Hole, F., Flannary, K. V., Neely, J. A. (1969). *Prehistory and Human Ecology of Deh Luran Plain. An Early Village Sequence from Khuzistan, Iran*. Michigan: Ann Arbor.

Hole F. (1977). *Studies in the archeological history of the Deh Luran plain. The Excavation of Chagha Sefid* (= *Memories of the Museum of Anthropology. University of Michigan* 9). Ann Arbor: Museum of Anthropology, University of Michigan.

Hole, F. (1987). Chronologies in the Iranian Neolithic, In: Aurenche et al. (eds.), Chronologies in the Near East: relative chronologies and absolute chronology 16.000-4.000 B.P.: C.N.R.S. International symposium, Lyon (France) 24-28 November 1986, BAR International Series 379, Oxford, 353 - 379

Howe B. (1983). Karim Shahir. In L. S. Braidwood, R. J. Braidwood, B. Howe, C. A. Reed and P. J. Watson (eds), *Prehistoric Archaeology along The Zagros Flanks* (= *Oriental Institute*

*Publication* 105). Chicago: Oriental Institute of the University of Chicago, 23-154.

Kozłowski, S.K. (1994). Radiocarbon Dates from Aceramic Iraq, Radiocarbon 36, 255 – 264

Kozłowski, S. K. (1999). *The Eastern Wing of Fertile Crescent: Late Prehistory of Great Mesopotamian Lithic Industries.* Oxford: BAR International Series.

Kvavadze E. V. and Connor S. E. (2005). Zelkova carpinifolia (Pallas) K. Koch in Holocene sediments of Georgia – an indicator of climatic optima. *Review of Palaeobotany and Palynology*, 133, 69-89.

Leonova, E. V. (2021). Grot Sosruko: revizija mate¬rialov iz raskopok S. N. Zamjatnina i radiouglerod¬naja hronologija verhnih sloev kamennogo veka (Grotto: revision of materials from S. N. Zamyatnin's excavations and radiocarbon chronology of the upper layers of the Stone Age). Camera Praehistorica, 1, 101-119 (in Russian)

Nishiaki, Y. (1996). Side-Blow Blade-Flakes from Tell Kashkashok II, Syria: a technological study, *Neolithic chipped stone industries of the Fertile Crescent, and their contemporaries in Adjacent regions, Studies in Early Near Eastern Production, Subsistence, and Environment 3,* Berlin, Ex-Oriente, 311-326

Matsutani, T. (1991). Excavation Report on Kashkashok II. Institute of Oriental Culture.

Manko, V. (2015). Pohozhdennja kukrec'koi kul'turi (About origin of Kukrek culture), Naukovi studii, vip. 8 (in Ukrainian).

Manko V., Chkhatarashvili G. (2022). Transcaucasia and Neolithic of south of Eastern Europe, Archaeology, 2022, № 2

Meshveliani, T. (2013). K voprosu o vozniknovenii neolita v Zapadnoj Gruzii (On the issue of the emergence of the Neolithic in Western Georgia). Arheologija, jetnografija i antropologija Evrazii, 2(54), 61-72 (in Russian)

Nebieridze, l. ( 1972). dasavlet amierk'avk'asiis neoliti (*The Neolithic of Western Transcaucasia)*, Tbilisi (in Georgian).

Nebieridze, l. (1978). dark'vetis mravalpeniani ekhi (Multilayer RockShelter *Darkveti)*, Tbilisi (in Georgian).
Sapozhnikov, I.V., Sapozhnikova, G.V. (2011). Kamennyj vek, Severo-Zapadnogo Prichernomor'ja (Stone Age, Northwestern Black Sea region), Stratum plus, No 1, Sankt-Peterburg, Kishinev, Odessa, Buharest (in Russian).
Tixier J. (1974). Glossary for the description of stone tools, with special reference to the Epipaleolithic of the Maghreb, Newsletter of Lithic Technology: Special Publication, p. 3-40
Usacheva I. (2020). The earliest transverse grooved stone of Eurasia: Near Eastern distribution, types and chronology, Journal of Lithic Studies, vol. 7, nr. 3-20
Varoutsikos, B., Mgeladze, A., Chahoud, J., Gabunia, M., Agapishvili, T., Martin, L., Chataigner, C. (2017). From the Mesolithic to the Chalcolithic in the South Caucasus: New Data from the Bavra Ablari Rock Shelter. In: Batmaz, A., Bedianashvili, G., Michalewicz, A., Robinson, A. (eds.). Context and Connection: Essays on the Archaeology of the Ancient Near East in Honour of Antonio Sagona. Leuven: Peeters, p. 233-255.
Zamjatnin, S. N., Akritas, P. G. (1957). Arheologicheskie issledovanija 1957 goda v Baksanskom ushhel'e (Archaeological research in 1957 in the Baksan Gorge). Uchenye zapiski Kabardino-Balkarskogo nauchno-issledovatel'¬skogo instituta, XIII. Nal'chik: Kabardino-Balkarskoe knizhnoe izdatel'stvo, s. 471–473 (in Russian)

## Describe of illustration:

**Pic. 1.** Early Holocene period archaeological sites with hand pressure technique and backed microblades.

1 – Ali Kosh; 2 – Chaga Sefid; 3 – Tepe Guran; 4 - Sabz; 5 - Sarab; 6 - Asiab; 7 – Ganj Dareh; 8 - Jarmo; 9 – Karim Shahir; 10 - Mlefaat; 11 – Hajji Firuz; 12 – Bavra, Bavra I-II, Bavra-Ablari; 13 – Kobuleti, Khutsubani, Kvirike; 14 – Anaseuli I; 15 – Darkveti rockshelter; 16 - Sosruko



**Pic. 2.** Stone tools complexs from some arcaeological sites of Middle East and Western Georgia (Howe, 1983, fig. 12, 1-3; Golovanova et. al., 2020, fig. 6, 9; Manko, Chkhatarashvili, 2022, fig. 2; Nishiaki 1996, fig. 3).
1-5 Cores; 6-13 Backed microblades; 14-22 Burins; 23-25 Scrapers; 26 - Chisel; 27-29 ,,Grooved tools“; 30-31 Kashkashok side-blow blade-flakes.


1
2
3
4
5
27
28
6
7
8
9
10
11
12
13
29
14
15
16
17
18
19
30
20
21
22
31
23
24
25
26

# რომაული მონეტები სუფსა-ყვავილნარიდან (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, გურია)

**ირინე ვარშალომიძე**
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი. საქართველო,
6010. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35.
+995593 340346 Irine.Varshalomidze@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0009-7082-0040
DOI:https://doi.org/10.61671/hos.6.2023.7370
**ანდრია როგავა**
საქართველოს ეროვნული მუზეუმის
მეცნიერ თანამშრომელი. საქართველო,
0105. თბილისი,შოთა რუსთაველის ქ.3
+995598 676477. Androrogava22@gmail.com
ORCID: 0000-0003-2443-9985
DOI:https://doi.org/10.61671/hos.6.2023.7370

**ანოტაცია**

ნაშრომი მიზნად ისახავს 2013 და 2023 წელს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, გურიის რეგიონში, კერძოდ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში - ყვავილნარსა და სუფსაში შემთხვევით გამოვლენილი ვერცხლის მონეტების განსაზღვრას, აღწერას, ქვეყნის, ქალაქის, ემისიის წლების, მეტროლოგიური პარამეტრების დადგენას, პარალელური მასალის მოძიებას და მონეტების საკვლევ ტერიტორიაზე მიმოქცევის მიზეზებისა და გზების დადგენას.

ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ყვავილნარის მონეტები წარმოადგენს კაპადოკიის ქალაქ კესარიაში, რომის იმპერატორების - სეპტიმიუს სევერუსის (193-211 წწ.) - 3, იულია დომნას (†217) - 3, გეტას (209-211 წწ. ) - 2, კარაკალას (198-

217 წწ.) - 2, ფულვია პლაუტილას (202/5-211) – 1 სახელით მოჭრილ დრაქმებს. ხოლო სუფსის მონაპოვარი, სეპტიმიუს სევერუსის დენარს (1 ერთეული). კოლხეთი კაპადოკიის პროვინციის შემადგენლობაში შედიოდა. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაულ ფორტებში აქედან გადმოყვანილი გარნიზონებიც იდგა. პოლიტიკურ კონიუნქტურას მოჰყვა შესაბამისი ეკონომიკური ურთიერთობები. კესარიაში მოჭრილი დრაქმები რომაულ ხანაში დიდი რაოდენობით შემოდიოდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და მიმოქცევის მირითად საშუალებას წარმოადგენდა.

მონეტების შესწავლის საკითხში ყველაზე მნიშვნალოვანია მისი აღმოჩენის ადგილის კვლევა. სუფსა-ურეკის მიდამოებში რომაული მონეტები ადრეც გამოვლენილა. 1942 წელს ურეკში მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა რომაული აურეუსი, მისი მინაბამი და რამდენიმე კესარიული დრაქმა. 1949 წელს იგივე პუნქტში შემთხვევით და შემდეგ არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა კაპადოკიური საფასეები. რაც შეეხება კესარიული და რომაული მონეტების საკვლევ პუნქტში გამოვლენის საკითხს, რომაული გარნიზონი იდგა ციხისძირშიც და ფოთშიც, ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, სოფელ მოედანში (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი) გარნიზონი ჩააყენა სეპტიმიუს სევერუსმა. ასეთ შემთხვევაში ყვავილნარსა და სუფსაში რომაული მონეტების გამოვლენა ბუნებრივია და არავითარ განსაკუთრებულ კომენტარს არ საჭიროებს. შესწავლილი ნუმიზმატიკური ძეგლები სრულიად ჯდება კოლხეთის სამონეტო მიმოქცევის კანონზომიერებაში. მონეტების აღმოჩენა დღის წესრიგში აყენებს საკვლევი პუნქტების არქეოლოგიური შესწავლის აუცილებლობას.

**საკვანძო სიტყვები:** სუფსა; ყვავილნარი; მონეტა; კესარია; რომი; კოლხეთი.

## შესავალი

ახ.წ. I-IV სს-ში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე განლაგებული რომაული თავდაცვითი ხაზის, ე.წ. პონტოს ლიმესის

ფუნქციონირების, ქრონოლოგიის, სამხედრო შენაერთების იდენტიფიკაციის, მომარაგების, ჯარის ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის, ეკონომიკური ყოფის და კოლხეთის სამონეტო მიმოქცევის სრულყოფილად შესწავლისათვის ინფორმაციულია აქ მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალა. კერძოდ, გურიის სანაპირო ზოლში შემთხვევით გამოვლენილი რომის იმპერიის მონეტები, რომელიც სრულად პირველად ქვეყნდება.

2013 წელს ყვავილნარის ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩნდა სამარხი, სადაც სხვა ინვენტართან ერთად იყო ვერცხლის 11 დრაქმა. ნუმიზმატიკური მასალა, შესწავლის შედეგად ასე გამოიყურება: სეპტიმიუს სევერუსი (193-211 წწ.) - 3, იულია დომნა (†217) - 3, გეტა (209-211 წწ.) - 2, კარაკალა (198-217 წწ.) - 2, ფულვია პლაუტილა (202/5-211) - 1. მონეტები მოჭრილია კაპადოკიის კესარიაში. ისინი ერთტიპიურია, შუბლზე გამოსახულია იმპერატორის პროფილი, ზურგზე კი არგეოსის მთები. საფასეები ინახება ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (საინვენტარო №5349-1/11).

2023 წელს მდინარე სუფსის სანაპიროზე, ასევე შემთხვევით აღმოჩნდა რომის იმპერატორ სეპტიმუს სევერუსის (193-211 წწ.) სახელით რომში მოჭრილი ვერცხლის დენარი.

**მეთოდები**

კვლევის ჩასატარებლად გავეცანით სპეციალურ ლიტერატურას, ვიპოვეთ პარალელური მასალა და დავადგინეთ ნუმიზმატიკური მასალის ზარაფხანა, მონარქი და ემისიის წლები. შევისწავლეთ საქართველოში კესარიული მონეტებისა და რომაული დენარების მიმოქცევის ქრონოლოგია. მიმოვიხილეთ საკვლევი არეალის ისტორია, დავადგინეთ მონეტების შემოსვლის მიზეზები და გზები.

**შედეგი**

კვლევის შედეგად ნუმიზმატიკურ მეცნიერებას შეემატა ახალი გამოუქვეყნებელი რომაული მონეტების კატალოგი. კოლხეთში II-III ს-ის მონეტების გავრცელების რუკაზე გაჩნდა ახალი ლოკაციები ყვავილნარისა და სუფსის სახით. საფასეები წარმ-

ოადგენს მნიშვნელოვან წყაროს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული ექსპანსიის სხვადასხვა ეტაპების შესახებ, ასევე დასავლეთ საქართველოს სინქრონული პერიოდის სამონეტო მიმოქცევის ხასიათის, სავაჭრო-ეკონომიკური და სოციალური ურთირთობების შესწავლისათვის.

**დისკუსია**

2013 წელს სოფელ ყვავილნარში (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი), შოთა მანაგაძის ეზოში შემთხვევით აღმოჩნდა სამარხი ინვენტარით: მინის კოლბისებური ჭურჭელი, მინის სანელსაცხებლის ფრაგმენტები, მინის სასმისი, თიხის თასი, ბრინჯაოს კოვზი და ფიბულა, კერამიკული ჭურჭლის ნატეხები, რკინის ცული, შუბისპირი და 11 ვერცხლის მონეტა (ვარშალომიძე, როგავა, იმნაძე, 2023: 28). მონეტები მოჭრილია რომის პროვინცია კაპადოკიის ქალაქ კესარიაში იმპერატორ სეპტიმიუს სევერუსის ოჯახის წევრების სახელებით:

1. სეპტიმიუს სევერუსი (193-211 წწ.), კესარია, დრაქმა, 197 წელი, დ. 18/19 მმ. წ.1.67 გ.

შუბლი: მონეტის ცენტრში გამოსახულია მარჯვნივ მიმართული სეპტიმიუს სევერუსის ბიუსტი. ირგვლივ AY Λ CЄΠ CЄOYHPOC.

ზურგი: მონეტის ცენტრში გამოსახულია არგეოსის მთები, რომლის ფერდობებზეც მცენარეები იზრდება, მწვერვალზე ვარსკვლავით. ირგვლივ: MHTPO KAICAPI. მონაკვეთს ქვემოთ Є T Є (Sydenham, 1978: 97; Erkiletlioğlu, 2019: 366)

2. სეპტიმიუს სევერუსი (193-211 წწ.), კესარია, დრაქმა, 194 წელი, დ.19/17 მმ. წ 2.22 გრ.

შუბლი: მონეტის ცენტრში გამოსახულია მარჯვნივ მიმართული სეპტიმიუს სევერუსის ბიუსტი. ირგვლივ AY Λ CЄΠ CЄOYHPOC.

ზურგი: მონეტის ცენტრში გამოსახულია არგეოსის მთები, რომლის ფერდობებზე მცენარეები იზრდება, მწვერვალზე ვარსკვლავით. ირგვლივ: MHTPO KAICAPI. მონაკვეთს ქვემოთ ЄTB (Sydenham, 1978: 95).

3. სეპტიმიუს სევერუსი (193-211 წწ.), კესარია, დრაქმა, 194 წელი, დ. 18/17 მმ. წ. 2.56 გრ.

შუბლი: მონეტის ცენტრში გამოსახულია მარჯვნივ მიმართული სეპტიმიუს სევერუსის ბიუსტი. ირგვლივ AY Λ CЄΠ CЄOYHPOC.

ზურგი: მონეტის ცენტრში გამოსახულია არგეოსის მთები, რომლის ფერდობებზე მცენარეები იზრდება, მწვერვალზე ვარსკვლავით. ირგვლივ: MHTPO KAICAPI. მონაკვეთს ქვემოთ ЄTB (Sydenham, 1978: 95).

4. იულია დომნა (193-217 წწ.), კესარია, 207, დრაქმა, დ. 19/18 მმ. წ. 2.61 გრ.

შუბლი: მონეტის ცენტრში გამოსახულია მარჯვნივ მიმართული იულია დომნას ბიუსტი. ირგვლივ: IOYΛIA ΔOMNA AV.

ზურგი: მონეტის ცენტრში გამოსახულია არგეოსის მთები, რომლის ფერდობებზეც მცენარეები იზრდება, მწვერვალზე ვარსკვლავით. ირგვლივ: MHTPO KAICAPI. მონაკვეთს ქვემოთ ЄT IЄ (Sydenham, 1978: 105).

5. იულია დომნა (193-217 წწ.), კესარია, 207, დრაქმა, დ 18/17 მმ. წ. 2.03 გრ.

შუბლი: მონეტის ცენტრში გამოსახულია მარჯვნივ მიმართული იულია დომნას ბიუსტი. ირგვლივ IOYΛIA ΔOMNA AV.

ზურგი: მონეტის ცენტრში გამოსახულია არგეოსის მთები, რომლის ფერდობებზეც მცენარეები იზრდება, მწვერვალზე ვარსკვლავით. ირგვლივ: MHTPO KAICAPI. მონაკვეთს ქვემოთ ЄT IЄ (Sydenham, 1978: 105).

6. იულია დომნა (193-217 წწ.), კესარია, დრაქმა, 209 წელი, დ. 19/18 მმ. წ. 2.65 გრ.

შუბლი: მონეტის ცენტრში გამოსახულია მარჯვნივ მიმართული იულია დომნას ბიუსტი. ირგვლივ IOYΛIA ΔOMNA AV.

ზურგი: მონეტის ცენტრში გამოსახულია არგეოსის მთები, რომლის ფერდობებზეც მცენარეები იზრდება, მწვერვალზე

ვარსკვლავით. ირგვლივ: MHTPO KAICAPI. მონაკვეთს ქვემოთ ЄT IZ (Sydenham, 1978: 105).

7. გეტა (209-211 წწ.), კესარია, დრაქმა, დ. 19/18 მმ. წ. 2.75 გრ.

შუბლი: მონეტის ცენტრში გამოსახულია მარჯვნივ მიმართული გეტას ბიუსტი. ირგვლივ CEΠTI ΓETAC KAI.

ზურგი: მონეტის ცენტრში გამოსახულია არგეოსის მთები, რომლის ფერდობებზეც მცენარეები იზრდება, მწვერვალზე ვარსკვლავით. ირგვლივ: MHTPO KAICAPINEΩK მონაკვეთს ქვემოთ ET Iς.

8. გეტა (209-211 წწ.), კესარია, დრაქმა, 206 წელი, დ. 18/19 მმ. წ. 2.09 გრ.

შუბლი: მონეტის ცენტრში გამოსახულია მარჯვნივ მიმართული გეტას ბიუსტი. ირგვლივ ΓETAC KAI CEΠTI.

ზურგი: მონეტის ცენტრში გამოსახულია არგეოსის მთები, რომლის ფერდობებზეც მცენარეები იზრდება, მწვერვალზე ვარსკვლავით. ირგვლივ: MHTPO KAICAPINEΩK. მონაკვეთს ქვემოთ ЄT I Δ (Sydenham, 1978: 113).

9. კარაკალა (198-217 წწ.), კესარია, დრაქმა, 206 წელი, დ. 20/19 მმ. წ. 3 გრ.

შუბლი: მონეტის ცენტრში გამოსახულია მარჯვნივ მიმართული კარაკალას ბიუსტი. ირგვლივ AY K M AYP ANTΩNINOC.

ზურგი: მონეტის ცენტრში გამოსახულია არგეოსის მთები, რომლის ფერდობებზეც მცენარეები იზრდება, მწვერვალზე ვარსკვლავი. ირგვლივ: MHTPO KAICAPI. მონაკვეთს ქვემოთ ЄT IΔ (Sydenham, 1978: 110).

10. კარაკალა (198-217 წწ.), კესარია, დრაქმა, 198 წელი, დ. 18/19 მმ. წ. 2.42 გრ. მონეტა ჩამოტეხილია.

შუბლი: მონეტის ცენტრში გამოსახულია მარჯვნივ მიმართული კარაკალას ბიუსტი. ირგვლივ AY K M AYP ANTΩNINOC.

ზურგი: მონეტის ცენტრში გამოსახულია არგეოსის მთები, რომლის ფერდობებზეც მცენარეები იზრდება, მწვერვალზე ვარსკვლავით. ირგვლივ: MHTPO KAICAPI. მონაკვეთს ქვემოთ ЄTЄ (Erkiletlioğlu, 2019: 368).

11. ფულვია პლაუტილა (198-217 წწ.), კესარია, დრაქმა დ. 18/19 მმ. წ. 1.90 გრ.

შუბლი: მონეტის ცენტრში გამოსახულია მარჯვნივ მიმართული პლაუტილას ბიუსტი. ირგვლივ PLAVTILLA AVGOSTA.

ზურგი: მონეტის ცენტრში გამოსახულია არგეოსის მთები, რომლის ფერდობებზეც მცენარეები იზრდება, მწვერვალზე ვარსკვლავი. ირგვლივ: MHTPO KAICAPI. მონაკვეთს ქვემოთ ЄTIB.

2023 წელს მდინარე სუფსის სანაპიროზე ასევე შემთხვევით აღმოჩნდა ვერცხლის დენარი. მონეტის განსაზღვრისათვის მოგვმართეს ჩვენ. ფული მპოვნელთან დარჩა (ვარშალომიძე, როგავა, იმნაძე, 2023:28).

სეპტიმიუს სევერუსი, დენარი. მოჭრილია 210 წელს რომში. დ. 20 მმ. წ 2.7 გრ.

შუბლი: მონეტის ცენტრში გამოსახულია წვეროსანი სეპტიმიუს სევერუსის მარჯვნივ მიმართული ბიუსტი, ირგვლივ: SEVERVS PIVS AVG BRIT.

ზურგი: მონეტის ცენტრში მთელი ტანით გამოსახულია ფეხზე მდგარი ვიქტორია. მას ხელში გრძელი პალმის ტოტი უჭირავს, რომელზედაც დადებულია მრგვალი ფარი. პალმის ქვემოთ იკითხება პატარა R. ირგვლივ: VICTORIAE BRIT (Mattingly, 1936: 296, ტაბ. XLIV, 4).

დენარის ორივე მხარეს იკითხება სეპტიმიუს სევერუსის ტიტული „ბრიტანიკუსი", ეს ზედწერილი პირველად რომის იმპერატორმა კომოდუსმა 184-191 წწ-ში მოჭრილ მონეტებზე მოათავსა, სეპტიმიუსმა განაგრძო ამ პროტოკოლის აღბეჭდვა საფასეებზე მას შემდეგ, რაც 208 წელს ბრიტანეთში წარმატებით ილაშქრა (Абрамзон, 1994: 162-163).

ყვავილნარის ნუმიზმატიკური მასალა შესწავლის შედეგად ასე გამოიყურება: სეპტიმიუს სევერუსი (193-211 წწ.) - 3, იულია დომნა (†217) - 3, გეტა (209-211 წწ.) - 2, კარაკალა (198-217 წწ.) - 2, ფულვია პლაუტილა (202/5-211) - 1. ყველაზე ადრეული მონეტა მოჭრილია 194, გვიანდელი კი 209 წელს. აღსანიშნავია, რომ მონეტები გაცვეთილია, ეტყობათ ხანგრძლივი მიმოქცევის კვალი. სამარხი III ს-ის 10-იანი წლების შემდომი პერიოდით უნდა დათარიღდეს. მონეტები მოჭრილია კაპადოკიის კესარიაში. ისინი ერთტიპიურია, შუბლზე გამოსახულია იმპერატორის პროფილი, ზურგზე კი არგეოსის მთები. საქართველოში დაახლოებით 1800 ერთეული კესარიული მონეტაა გამოვლენილი. უმრავლესობაზე გამოსახულია არგეოსის მთები. ქართულ ნუმიზმატიკურ ლიტერატურაში აღნიშნული სამონეტო ტიპის გენეზისის შესახებ არაფერია ცნობილი. ჩვენ შევეცადეთ კვლევა მიგვემართა ამ კუთხითაც.

არგეოსის (ამჟ. ერჯიასი, თურქ. Erciyes Dağı) მთები მდებარეობს შიდა ანატოლიაში. იგი ყველაზე მაღალი მთაა კაპადოკიაში. ღმერთების მთები პირველად მოხსენიებულია არგეოსისკენ მიმავალ გზაზე მდებარე სოფელ თექირდერბენტში გამოვლენილ ძველ ხეთურ წარწერაში ჰარჰარას სახელით. ხეთურად ჰარჰარა თეთრს ნიშნავს, თოვლიანი საფარის გამო (Kara, 2016: 304). ამ მთების გაღმერთება ხეთური პერიოდიდან იღებს სათავეს, ხათუშაში ქვაზე ამოკაწრულ ხეთურ წარწერაში მოხსენიებულია არგეოსის მთა, იქვე არის გამოსახული ორი ღვთაებრივი მთის შეხვედრა, მათგან ერთი არგეოსის მთაა (Kara, 2016:308). სხვადასხვა ნივთებზე, ბრინჯაოს სკულპტურებზე, გემებზე, მონეტებზე, მთების, როგორც ღვთაების გამოსახვა ინტენსიურად დაიწყო რომის იმპერიის პერიოდიდან. საფასეებზე ეს მთები პირველად მოათავსა კაპადოკიის სამეფოს უკანასკნელმა მეფემ არქელაოსმა, ძვ.წ. 37-17 წწ. (Belis, 2021: 74). არგეოსის მთებს რომის იმპერატორ ტიბერიუსის (14-37 წწ.) დროიდან ინტენსიურად გამოსახავდნენ კესარიულ მონეტებზე. აღნიშნული მთები კესარიულ ნუმიზმატიკურ პროდუქციაზე გვხვდება სხვადასხვა კომბინაციებში: არგეოსის მთები მწვერვალზე ვარსკვლავით ან ადამიანის გამოსახუ-

ლებით, აგალმის სახით ან ტაძრის შუაგულში (Sydenham, 1978: 19-20). უფრო იშვიათად გვხვდება არგეოსის მთების ფორმის გვირგვინით შემკული სხვადასხვა ღვთაება, მაგალითად სერაპ-ისი (Erkiletlioğlu, 2019: 370). ბოლო მონარქი, ვინც 243 წელს მოჭრა აღნიშნული ტიპის მონეტები იყო გორდიანე III (Kara, 2016: 306).

კაპადოკიაში მოჭრილი მონეტები საქართველოში შემოდის ჯერ კიდევ არიარათეს I (ძვ.წ. 333–322 წწ.) დროიდან. იგი სპარსე-თის ბოლო სატრაპი და კაპადოკიის სამეფოს პირველი მეფე იყო. ძვ.წ. 332 წელს თავი მან დამოუკიდებელი კაპადოკიის სატრაპად გამოაცხადა. დღევანდელი ზილეს (ზელა/თოქათის ილში) მახ-ლობლად მდებარე გაზიურას (თურჰალი) ციხე რეზიდენციად აქცია და აქ განახორციელა სამონეტო ემისია (Erkiletlioğlu, 2019: 83). ამ ზარაფხანაში მოჭრილი მონეტა აღმოჩნდა ფიჭვნარში 2017 წელს არქეოლოგიური გათხრების დროს. გაზიურაში მოჭრილი დრაქმა ფიჭვნარში სინოპურ პროდუქციასთან ერთად შემოვიდა. ამ აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან არა მხოლოდ ფიჭვნარში, არამედ საქართველოში პირველად გამოვლინდა ამ სამონეტო ცენტრში მოჭრილი საფასე. ასევე ესაა ყველაზე ადრე-ული კაპადოკიური მონეტა, რაც ჩვენს ქვეყანაშია აღმოჩენილი (ვარშალომიძე, 2023: 44-52).

ელინისტური ხანის კაპადოკიური მონეტები საქართველ-ოში აღმოჩენილია ვანში - არიარათ VI (ძვ.წ. 130-116 წწ.) – 1; არი-არათ VII (ძვ.წ. 116-101 წწ.) – 1; არიარათ IX (ძვ.წ. 101-87 წწ.) – 2; არიობარძანე I (ძვ.წ. 96-63 წწ.) – 3 (დუნდუა, ლორთქიფანიძე, 1977:133-137); აღაიანში (კასპის რაიონი) - არიარათ IV (ძვ.წ. 220-163 წწ.) -1 (დუნდუა, 1993: 93); და მცხეთაში - არიობარძანე I (ძვ.წ. 96-63 წწ.) - 1 (Дундуа, 1987: 145). ამ პერიოდში კაპადოკია მოჭრილი მონეტების მიმოქცევას არ ჰქონდა ინტენსიური ხას-იათი. ახ.წ. II-III სს-ში, კოლხეთის სამონეტო ცირკულაციაში დომინირებსა კესარიულ მონეტებს, რომელთა აღმოჩენის ტოპო-გრაფია საქართველოში ფართოა. გურზულში (იგივე გერზეული - აფხაზეთი, გულრიფში) 1926 წელს შემთხვევით აღმოჩნდა დი-დი განძი, რომელიც გაიფანტა. გადარჩენილი ნაწილი 469 ცალი

შეისწავლა მ. ივაშენკომ. მათგან 467 მოჭრილია კესარიაში (Иващенко, 1931:2-32), ნაბაკევის (აფხაზეთი, გალი) განძში 13 (Голенко, 1964:68) და ეკის (სენაკის მუნიციპალიტეტი) განძში 907 მონეტიდან 771 ცალი მოჭრილია კესარიაში (დუნდუა, 1979: 5-6). გარდა ამისა კესარიული მონეტები ნაპოვნია გონიოში (ვარშალომიძე, 2009: 52-53; ვარშალომიძე, 2021: 147-148;ვარშალომიძე, 1999: 93; ვარშალომიძე, 2000: 81-87), ციხისძირში (ინაიშვილი, 1993: 104), ურეკსა და სუფსაში (დუნდუა, 1997:118), ნოქალაქევში (აბრამიშვილი, 1987: 274-287.), ვანში (დუნდუა, ლორთქიფანიძე, 1977:127), სეფიეთში (მაკალათია, 1944: 217-259; დუნდუა, 1979: 5-6.), წებელდაში (Трапш, 1971: 207-211; Воронов, Юшин, 1973: 171-191; Воронов, Юшин, 1979: 181-198), სოხუმში (Трапш, 1971: 280-429; Шамба, 1993:57-74), ბიჭვინტაში (დუნდუა, 1975: 280-418; ლორთქიფანიძე, 1991: 98-105).

მიღებული მოსაზრების თანახმად, ქრონოლოგიური ჩარჩო ჩვენში აღმოჩენილი იმპერიული ხანის კესარიული მონეტებისა არის I ს-ის ბოლო და III ს-ის შუახანები (ვარშალომიძე, 2009: 53). კესარიული მონეტების შემოსვლა მცირდება II ს-ის დასასრულიდან. ამ დროიდან კოლხეთის სამონეტო ცირკულაციაში ერთვება საერთო საიმპერიო ტიპის დენარები. ეს მომენტი განსაკუთრებული რელიეფურობით გამოიკვეთა სეპტიმიუს სევერუსის მმართველობის დასაწყისიდან. რომაული დენარები დიდი რაოდენობით გვხვდება სეფიეთისა და ეკის განძებში. ჩვენში მოპოვებული დენარების უმრავლესობა მოჭრილია რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში, სირიასა და თვით მეტროპოლიაში. მათი გავრცელების ქრონოლოგიური ზღვარი ლაზიკის ტერიტორიაზე ალექსანდრე სევერუსის მმართველობის დასაწყისი - 222 წელია (დუნდუა გ., დუნდუა თ., 2006: 117-119).

კაპადოკიის დედაქალაქ მაზაკას სახელი ეუსებეიათი არიარათეს V ეუსებემ (ძვ.წ. 163-130) შეუცვალა. ძვ.წ. 11-9 წწ-ში კი მას კეისარია დაერქვა. ახ.წ. 17 წელს კაპადოკია რომის პროვინციად იქცა. ამის შემდეგ კესარიის ზარაფხანის მნიშვნელობა ზევრად გაიზარდა. ტიბერიუსის ეპოქიდან ის იქცა რომაულ იმპერიულ ზარაფხანად, რომელიც გამოსცემდა როგორც ვერცხლის, ისე

სპილენძის მონეტებს. ამ მხრივ იგი შეიძლება შევადაროთ ანტიოქიის ზარაფხანას. თუმცა მაშინ, როდესაც ანტიოქიის მონეტები ვალერიანეს დრომდე ინარჩუნებენ თავის სირიულ მახასიათებლებს, კესარიის მონეტები, ბერძნული ლეგენდების გამოყენების მიუხედავად, სრულიად რომაულია. იმპერიული პორტრეტი მჭიდროდ მიჰყვება რომაული ზარაფხანის მიერ მიღებულ სტილს, გარდა არგეოსის მთისა, რომელიც ერთადერთი „წმინდა" ლოკალური ტიპია, რევერსის ტიპების უმეტესობა დასავლეთის მონეტებზე გამოსახული პერსონიფიკაციების მსგავსია. ამრიგად, ქრისტიანული ეპოქის პირველი ორნახევარი საუკუნის განმავლობაში კესარია შეიძლება ჩაითვალოს დამაკავშირებელ რგოლად აღმოსავლეთისა და დასავლეთის მონეტებს შორის; იმპერიული ზარაფხანის დაარსების თარიღი დაახლოებით ახ.წ. 30 წელი უნდა იყოს. საიმპერატორო ზარაფხანას, ძირითადად ვერცხლის პროდუქციის ემისია აინტერესებდა. აქ ოქროს მონეტები არ იჭრებოდა (Sydenham, 1978:2-3). საზღვართან ახლოს მდებარე კესარიაში ვერცხლის მონეტები განსაკუთრებული ინტენსივობით იჭრებოდა მაშინ, როცა ეწყობოდა სამხედრო კამპანიები რომის იმპერიის აღმოსავლეთი მეზობლების (პართია, სპარსეთი) წინააღმდეგ (Arslan, 1992: 13-15). ცნობილია, რომ ტრაიანემ თავისი პოლიტიკის გაძლიერების ფინანსური უზრუნველყოფისათვის, მე-6 კონსულობის დროს, 112-117 წწ-ში ყველაზე მასშტაბური სამონეტო ემისია განახორციელა (Erkiletlioğlu, 2019: 273). აქ მოჭრილი საფასეები ძირითადად უმთავრეს უწყებას, კაპადოკიის პროვინციებში მდგარ გარნიზონებს ხმარდებოდა (Arslan,1992: 13-15).

ნუმიზმატიკური ძეგლების შესწავლის საკითხში, ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენის ადგილის კვლევაა. სუფსა-ყვავილნარის ტერიტორიაზე III ს-ის დასაწყისის მონეტების გამოვლენას ისტორიული კონტექსტი გააჩნია. ამ მიდამოებში სინქრონული ხანის რომაული მონეტები ადრეც გამოვლენილა. 1942 წელს ურეკში მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა რომაული აურეუსი, მისი მინაბაძი და რამდენიმე კესარიული დრაქმა. 1949 წელს, იქვე, შემთხვევით და შემდეგ არქეოლოგიური გათხრების დროს, აღმოჩნდა კაპადოკიური მონეტები (დუნდუა, 1996: 102). გარდა

